

დოკუმენტი გამოცემულია „ღია საზოგადოების ფონდის“ შიდა პროექტის
„ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსმეტრი“ ფარგლებში.

დოკუმენტი მომზადდა ორგანიზაციების: „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“,
„სასამართლოს გუშაგი“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“,
„საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი“,
„მმართველობის მონიტორინგის ცენტრი“, „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“,
„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, „საფარი“ მიერ.

შინაარსი

პრიორიტეტი N 1. დეპოლარიზაცია	1
პრიორიტეტი N 2 საარჩევნო და ინსტიტუციური რეფორმები	25
პრიორიტეტი N 3 დამოუკიდებელი მართლმსაჯულება	47
პრიორიტეტი N 4 ანტი-კორუფციული ზომები	74
პრიორიტეტი N 5 დეოლიგარქიზაცია	81
პრიორიტეტი N 6 ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა	95
პრიორიტეტი N 7 მედიის თავისუფლება	100
პრიორიტეტი N 8 მოწყვლადი ჯგუფები	111
პრიორიტეტი N 9 გენდერული თანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა	116
პრიორიტეტი N 10 სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა	120
პრიორიტეტი N 11 ECHR-ის გადაწყვეტილებების პროაქტიური გათვალისწინება	128
პრიორიტეტი N 12 დამოუკიდებელი სახალხო დამცველი	130

პრიორიტეტი N 1. დეპოლარიზაცია

„19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით გადაჭრას პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხი პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის გზით“

შესავალი

პოლარიზაცია ზოგადად თანამედროვე დემოკრატიების გამოწვევას წარმოადგენს, თუმცა ამ ფენომენმა საქართველოში საგანგაშო მასშტაბი შეიძინა და სხვადასხვა მიმართულებით ქვეყნის განვითარებას აფერხებს. სწორედ ამიტომ ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსის მისაღებად შესასრულებელ პრიორიტეტებს შორის პირველ პრიორიტეტად დეპოლარიზაციის აუცილებლობა დაასახელა. ევროკავშირის თანახმად, პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხი პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის გზით 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების (ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმება) სულისკვეთებით უნდა გადაიჭრას.

დეპოლარიზაცია ევროკავშირის წევრობის კანდიდატისთვის მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ თავად ევროკავშირში ბევრი გადაწყვეტილება კონსენსუსის და ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით მიიღება. შესაბამისად, აუცილებელია, რომ მისი პოტენციური წევრის პოლიტიკურ ელიტას კონსენსუსის კულტურა გააჩნდეს და მუდმივი კონფრონტაციის რეჟიმში არ იყოს. ამდენად, დეპოლარიზაციაში პირველ რიგში პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობა მოიაზრება.

2023 წლის 22 ივნისს წარდგენილ შუალედური შეფასებაში ევროკავშირმა გარკვეულ პროგრესად მიიჩნია დეპუტატების უმრავლესობის მიერ პარლამენტის ბოიკოტის დასრულება და ზოგი კანონის მრავალპარტიული მხარდაჭერით მიღება. ევროკავშირმა პოლარიზაციის დაძლევის მიმართულებით შემდეგი ნაბიჯების გადადგმის მოლოდინი გააჟღერა:

- პარლამენტის ეფექტიანი ზედამხედველობის უზრუნველყოფა
- მწვავე რიტორიკის დასრულება
- პოლიტიკური შეთანხმებების, მათ შორის, ევროკავშირის მედიაციით მიღწეული 19 აპრილის შეთანხმების პატივისცემა

პირველი პრიორიტეტის შესრულების მიზნით, „ქართულმა ოცნებამ“ 2022 წლის 1 ივლისს პოლიტიკურ ოპოზიციას აგრესიულ რიტორიკაზე მორატორიუმის გამოცხადება [შესთავაზა](#). კერძოდ, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა განმარტეს, რომ ოპოზიციას უნდა შეეწყვიტა მათთვის პრო-რუსულობის იარაღის მიკვრა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის [თქმით](#), იმისათვის, რომ პოლარიზაცია შემცირებულიყო, საჭირო იყო ოპოზიციის ლექსიკონიდან ისეთი სიტყვების ამოღება, როგორიც არის „პრორუსული ხელისუფლება“, „პუტინისტური ხელისუფლება“, „გადატრიალება“, „რიგგარეშე“ და ასე შემდეგ. „ქართული ოცნების“ მხრიდან ასევე განმარტებულ იქნა, რომ ინსტიტუციურ პროცესში მონაწილეობა, პარლამენტში ჩართულობა და ქუჩის აქციების არგამართვა

შეუწყობდა ხელს დეპოლარიზაციას. აღსანიშნავია, რომ ამ განცხადებების ფონზე, „ქართულ ოცნებას“ მაპოლარიზებელი რიტორიკა არ შეუწყვიტავს.

„ქართული ოცნების“ მიერ 2022 წლის 1 ივლისს ოფიციალურად გამოქვეყნებული [გეგმით](#), საქართველოს პარლამენტის ბაზაზე უნდა შექმნილიყო პოლარიზაციის მონიტორინგის ჯგუფი „ყველა საპარლამენტო პარტიის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით“, რომელიც განახორციელებდა „პერმანენტულ მონიტორინგს და საზოგადოებას წარუდგენდა ყოველკვირეულ ანგარიშს პოლარიზაციის თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ“ და პოლიტიკური პარტიების, მედიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი რეკომენდაციებს შეიმუშავებდა. ნიშანდობლივია, რომ პერიოდულ ანგარიშებში, რომელსაც „ქართული ოცნება“ საერთაშორისო პარტნიორებს აწვდიდა, დეპოლარიზაციის პრიორიტეტზე ყველაზე ცოტა ეწერა. კერძოდ, ხაზგასმული იყო მხოლოდ ის, რომ პარლამენტთან არსებული მონიტორინგის ჯგუფი პერიოდულად იკრიბებოდა და იმ განცხადებებს განიხილავდა, რომლებიც ქვეყანაში პოლარიზაციას ხელს უწყობდა, თუმცა ამ სამუშაო ჯგუფის მუშაობის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაცია ცნობილი და ხელმისაწვდომი არასოდეს გამხდარა. ამავე ანგარიშის თანახმად, მედიაში მაპოლარიზებელი რიტორიკის მონიტორინგი ხორციელდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მიცემის შემდეგ, პოლარიზაცია, მათ შორის მწვავე რიტორიკა საქართველოს ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის არათუ შემცირდა, არამედ მნიშვნელოვნად გაიზარდა. საგულისხმოა, რომ პოლარიზაცია გაიზარდა როგორც მმართველ ძალასა და ოპოზიციის შორის, ასევე „ქართულ ოცნებას“ და პრეზიდენტს, „ქართულ ოცნებას“ და მედიას და „ქართულ ოცნებას“ და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.

დეპოლარიზაცია „შარლ მიშელის შეთანხმებაში“

2021 წლის [„19 აპრილის შეთანხმება“](#), რომელიც „შარლ მიშელის დოკუმენტის“ სახელით არის ცნობილი, „ქართულ ოცნებას“ და ოპოზიციური პარტიების ნაწილს შორის ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მედიაციით გაფორმდა. შეთანხმების მიზანი იყო პოლიტიკური კრიზისის დაძლევა, რომელიც საქართველოში წარმოიქმნა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ოპოზიციური პარტიებისგან ბოიკოტის გამო. შეთანხმება რამდენიმე ბლოკისგან შედგებოდა, თუმცა მისი დიდი ნაწილი სწორედ დეპოლარიზაციას, ძალაუფლების განაწილებასა და პარლამენტის ბოიკოტის დასრულებას ეხებოდა. დეპოლარიზაციის კონტექსტში „შარლ მიშელის შეთანხმებაში“ შემდეგი კომპონენტები იყო ყველაზე მნიშვნელოვანი:

- პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირება;
- ამბიციური საარჩევნო რეფორმის გატარება:
 - მომდევნო საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციულად ბუნებრივიდან 2%-მდე ბარიერით ჩატარება;
 - ცესკოს დაკომპლექტება 9 პარტიული და 8 პროფესიული წევრით (პროფესიულ წევრებს აირჩევდა პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3);

- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების იმავე პრინციპით დაკომპლექტება;
- ცესკო-ს თავმჯდომარის პარლამენტის მიერ ხმების 2/3-ით არჩევა (ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის პროცესში გათვალისწინებული იყო ე.წ. „ანტი-ჩიხური“ მექანიზმი);
 - ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის დასკვნების გათვალისწინებით კანონპროექტის მიღებას და ა.შ.;
 - სასამართლოს რეფორმის გატარება, რომელიც, მათ შორის, მოიცავდა უზენაეს სასამართლოში ყველა მიმდინარე დანიშვნის შეჩერებას ახალი კანონის ძალაში შესვლამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სიღრმისეულ რეფორმას ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების გათვალისწინებით, გენერალური პროკურორის დანიშვნას პარლამენტის კვალიფიციური უმრავლესობით (მოიცავდა ანტი-ჩიხურ მექანიზმს) და ა.შ.;
 - პარლამენტში ძალაუფლების განაწილება, რაც გულისხმობდა ოპოზიციის წევრების მიერ ხუთი საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელობას.

„შარლ მიშელის შეთანხმებას“ 2021 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ გარდა თითქმის ყველა პოლიტიკურმა ძალამ მოაწერა ხელი. თუმცა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეასრულა შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი მიზანი - შევიდა პარლამენტში და შეწყვიტა საპარლამენტო ბოიკოტი. 2021 წლის 28 ივლისს „ქართულმა ოცნებამ“ [განაცხადა](#) შეთანხმების ანულირების და დატოვების შესახებ. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ „შარლ მიშელის დოკუმენტს“ ხელი მხოლოდ ამის შემდეგ 2021 წლის 2 სექტემბერს [მოაწერა](#).

დღესდღეობით „19 აპრილის შეთანხმებასთან“ დაკავშირებით „ქართული ოცნების“ პოზიციას, რომ შეთანხმება „ანულირებულია, დამთავრებულია, წარსულია“ და მას არ [დაუბრუნდებიან](#). პარტიის პოზიციით, შეთანხმება „საბოტაჟის და შანტაჟის“ „ქვეშ იქნა [ხელმოწერილი](#)“ და ის [იყო](#) „ანომალია“ და „უხეში და ღია მცდელობა, რომ ხალხის ნების წინააღმდეგ შეცვლილიყო ხელისუფლება“. ხოლო შეთანხმება არა დეპოლარიზაციისთვის, არამედ ხელისუფლების შეცვლის მიზნით დაიწერა, რაშიც გარე ძალები, მათ შორის, „გლობალური ომის პარტია“ იყო ჩართული. ხელისუფლების შეცვლის გარდა, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის თქმით, შეთანხმების [მეორე მიზანი](#) იყო „სასამართლოზე „ნაც-მოძრაობის“ მეშვეობით გარკვეული გავლენების აღდგენა გლობალური ომის პარტიის მხრიდან“. ასევე, ირაკლი კობახიძემ [განაცხადა](#), რომ 19 აპრილის შეთანხმების მიზანი რომ შესრულებულიყო, „თბილისში რუსული ტანკები იდგებოდა“ და „საბედნიეროდ, არ შედგა ის სცენარი, რომელიც 19 აპრილის შეთანხმებაში იყო ჩადებული“. რადიკალიზაციის და დესტაბილიზაციის ამ გეგმაში, მისი თქმით, ოპოზიციის გარდა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც [მონაწილეობდნენ](#).

საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხი

ზოგიერთი ოპოზიციური ძალისთვის („ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“) დეპოლარიზაციის მოთხოვნის შესრულება პირდაპირ უკავშირდება „შარლ მიშელის დოკუმენტის“ მნიშვნელოვანი პუნქტების შესრულებას, მათ შორის, საარჩევნო ბარიერთან

დაკავშირებით.

ოპოზიციური პარტიები ითხოვდნენ, რომ სამივე მოსმენით ყოფილიყო მიღებული საარჩევნო ბარიერის შემცირების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებები, რასაც „19 აპრილის შეთანხმება“ ითვალისწინებდა. 2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის მიხედვით საარჩევნო ბარიერი 5%-დან 2%-მდე უნდა დაწეულიყო, თუმცა შემდეგ პროცესი შეჩერდა და „ქართულ ოცნებას“ აღარ გამოუხატავს ინტერესი მეორე და მესამე მოსმენით ეს საკონსტიტუციო ცვლილება ბოლომდე მიეყვანა.

დეპოლარიზაციის და ზოგადად ევროკავშირის 12 მოთხოვნის შესრულების კონტექსტში საარჩევნო ბარიერის დაწევას „ქართული ოცნება“ კატეგორიულად ეწინააღმდეგება. უფრო მეტიც, 2022 წლის 7 ივლისს „ქართულმა ოცნებამ“ ევროკავშირის, ფაქტობრივად, პირობა წაუყენა. ირაკლი კობახიძემ მაშინ განაცხადა, რომ საარჩევნო ბარიერს 2%-მდე მხოლოდ 2022 წლის დეკემბერში კანდიდატის სტატუსის მიღების შემთხვევაში [დაწევდნენ](#). კობახიძემ ასევე 2022 წლის 24 ივლისს [განაცხადა](#), რომ თუ მმართველი პარტია დაინახავდა, რომ „რადიკალურ ოპოზიციას პოლარიზაციის ხარისხის შემცირების სურვილი აქვს“, „ქართული ოცნების“ ინტერესი საარჩევნო ბარიერის დაწევაზე გაიზრდებოდა. 2022 წელს კანდიდატის სტატუსის ვერ მიღების შემდეგ „ქართული ოცნების“ რიტორიკა შეიცვალა საარჩევნო ბარიერის დაწევასთან დაკავშირებით. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის მამუკა მდინარაძის 2023 წლის 4 მაისის [განმარტებით](#), საარჩევნო ბარიერის 2%-მდე დაწევის შესახებ დაპირება „კონკრეტულად ვადას შეეხებოდა“ და 2022 წლის დეკემბერში სტატუსის მიღების შემთხვევაში იქნებოდა რელევანტური. მმართველი პარტიის სხვა ლიდერებმაც იგივე პოზიცია დააფიქსირეს. მათი [აზრით](#), „5%-იანი ბარიერი დემოკრატიული სისტემებისთვის ერთ-ერთი ყველაზე დაბალანსებული გადაწყვეტაა“ და „ბარიერის დაწევის საკითხი დღეს აქტუალური არ არის“.

პარლამენტში ძალაუფლების განაწილების საკითხი

2022 წელს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა თავიანთ [ხედვაში](#) 12 პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით დეპოლარიზაციის მოთხოვნის შესასრულებლად ცალკე გამოყვეს პარლამენტში ძალაუფლების განაწილების საკითხი. კერძოდ, მათ მიზანშეწონილად მიიჩნიეს საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან რამდენიმე საპარლამენტო კომიტეტისა და საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელობა, როგორც ამას „19 აპრილის შეთანხმება“ ითვალისწინებდა. საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრით, ოპოზიციამ უნდა უხელმძღვანელოს საფინანსო-საბიუჯეტო და ადამიანის უფლებების კომიტეტებს, ხოლო კიდევ სამი კომიტეტის თავმჯდომარეობა უნდა შეთანხმდეს პარლამენტში მმართველი პარტიის მონაწილეობით. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ერთ-ერთი მუდმივი საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი ასევე უნდა დაინიშნოს საპარლამენტო ოპოზიციის რიგებიდან.

პარლამენტში ძალაუფლების განაწილებასთან დაკავშირებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ წინადადებაც [წარმოადგინა](#), რომლის

თანახმად, “პარლამენტის 5 კომიტეტის, მათ შორის, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარედ, შეიძლება აირჩეს მხოლოდ ოპოზიციის წევრი. დანარჩენი სამი კომიტეტი განისაზღვრება ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის შეთანხმებით.” ამასთან, წარდგენილი ინიციატივით, “პარლამენტის თავმჯდომარე ოპოზიციაში შემავალი იმ ფრაქციის წარდგენილ კანდიდატს, რომელშიც ყველაზე მეტი პარლამენტის წევრია გაერთიანებული, ნიშნავს ერთ-ერთი საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარედ, რომლებიც საქართველოს წარმოადგენენ შემდეგ საერთაშორისო ფორუმებში: ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა, ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა.” “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” თანახმად, “საკანონმდებლო წინადადება სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან, რომლის მიხედვით, პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხი პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის გზით 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით უნდა გადაიჭრას“.

წარდგენილი წინადადება პარლამენტის ბიურომ 2022 წლის 22 დეკემბერს განიხილა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს მისი განხილვა [დაავალა](#). 2023 წლის 13 მარტს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი ქადაგიშვილმა, პარლამენტის ბიუროს [წერილით](#) მიმართა, რომელშიც საკანონმდებლო წინადადების განხილვის ვადის 30 დღით გაგრძელება ითხოვა, რადგან მისი განხილვა განსაზღვრულ ვადაში ვერ ხერხდებოდა. პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადების განხილვის ვადა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს 2023 წლის 23 მარტიდან 30 დღით გაუგრძელდა. საბოლოოდ, კომიტეტმა საკანონმდებლო წინადადება 8 მაისს განიხილა და [უარყო](#).

თანამშრომლობის არარსებობა პარლამენტში - პოლარიზაციის კიდევ ერთი გამოვლინება

პოლარიზაციის დასაძლევად მნიშვნელოვანია, რომ მმართველმა პარტიამ და ოპოზიციამ მიაღწიონ კონსენსუსს ისეთ საპარლამენტო დანიშვნებზე, სადაც საჭიროა კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერა. პოლარიზაციის შედეგად ვერ ხერხდება კონსენსუსის მიღწევა საპარლამენტო დანიშვნებზე, სადაც მაღალი კვორუმია (90 ხმა) საჭირო. ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც ეს შესაძლებელი გახდა, სახალხო დამცველის არჩევა იყო, თუმცა ამ შემთხვევაშიც კანდიდატების შერჩევის პირველი სათანადოდ და გამჭვირვალედ წარმართული პროცესი „ქართულმა ოცნებამ“ ჩააგდო, რადგან საუკეთესო შეფასების მქონე კანდიდატებს მხარი არ დაუჭირა; ხოლო სახალხო დამცველის არჩევის განმეორებითი მცდელობისას, რომელიც გამჭვირვალობის იმავე სტანდარტს ვერ აკმაყოფილებდა, ზოგმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა მხარი დაუჭირა ლევან იოსელიანის კანდიდატურას და შესაძლებელი გახდა [96 ხმის მოგროვება](#). სამწუხაროდ, ეს ეპიზოდი პარტიებს შორის ფართო კონსენსუსის გამოვლინების საუკეთესო მაგალითად მაინც ვერ გამოდგება, რადგან ყველაზე დიდმა ოპოზიციურმა საპარლამენტო პარტიებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს.

2023 წლის მაისში პარლამენტმა შეძლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 არამოსამართლე

წევრის [არჩევა](#), რასაც ასევე 90 ხმაზე მეტი სჭირდებოდა, თუმცა ფარული კენჭისყრის დროს რამდენიმე ოპოზიციონერმა დეპუტატმა მმართველი პარტიის მიერ მოწონებულ კანდიდატებს საეჭვო ვითარებაში რაიმე წინასწარ არსებული შეთანხმების გარეშე დაუჭირა მხარი, რაც კონსენსუსის მიღწევის შემთხვევად ვერ გამოდგება. ორი არამოსამართლე წევრის ადგილი ვაკანტური დარჩა, რადგანაც დარჩენილი კანდიდატებიდან საჭირო 90 ხმა ვერცერთმა მოაგროვა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი არამოსამართლე წევრის [არჩევა](#) ასევე 90 ხმით მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, 2023 წლის 23 ოქტომბერს მოხდა.

ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციასთან კონსენსუსის გამონახვის მცდელობის ნაცვლად თავმჯდომარის კონსენსუსით დანიშვნის საჭიროების მოხსნა გადაწყვიტა. „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, ცესკო-ს თავმჯდომარის და პროფესიული წევრების მაღალი ქვორუმით არჩევის წესი საერთოდ [უქმდება](#) და მათ ასარჩევად უბრალო უმრავლესობა იქნება საჭირო, ხოლო კანდიდატებს პრეზიდენტის ნაცვლად პარლამენტის თავმჯდომარე წარადგენს.

ანალოგიურად მოიქცა „ქართული ოცნება“ ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების დანიშვნასთან დაკავშირებითაც, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა პრეზიდენტს. ნაცვლად პრეზიდენტთან საერთო ენის გამონახვისა, მმართველმა პარტიამ ეროვნული ბანკის მმართველ საბჭოსთან დაკავშირებით კანონში ცვლილებები [შეიტანა](#) და ეროვნული ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა შემოიღო.

პრეზიდენტმა ცესკო-სა და ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით ცვლილებებს ვეტო დაადო, თუმცა ისინი „ქართულმა ოცნებამ“ მარტივად [დაძლია](#). პრეზიდენტი პარლამენტს [სთავაზობდა](#) ცესკო-ს თავმჯდომარე და წევრები [90 ხმით](#) ყოფილიყვნენ არჩეული, რაც მისი აზრით, „აუცილებელია არჩევნებისა და საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობის შესანარჩუნებლად და გასამყარებლად“. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა [განაცხადა](#), რომ ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შუალედური ანგარიშის მიხედვით, ევროკავშირი პირდაპირ მოგვიწოდებდა, რომ ცესკოს თავმჯდომარე კონსენსუსის გზით ყოფილიყო არჩეული. პრეზიდენტის თქმით, მის მიერ გამოყენებული ვეტოები ინსტიტუტების (ცესკო და ეროვნული ბანკი) დამოუკიდებლობის დაცვას ემსახურებოდა. ევროკავშირის შუალედურ შეფასებაში გაჟღერებული მოწოდების მიუხედავად, რომ ქვეყანა დაუბრუნდეს ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის აქამდე არსებულ წესს, „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტის ვეტო მაინც [დაძლია](#).

„ქართულმა ოცნებამ“ გატარებული ცვლილებები და ორივე ვეტოს დაძლევის მიზეზები ინსტიტუტების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფის არგუმენტით ახსნა. მეტიც, ირაკლი კობახიძის [განცხადებით](#), პრეზიდენტის ვეტო ცესკო-ში ხელოვნური ინსტიტუციური კრიზისის შექმნას ემსახურებდა, რაც „გლობალური ომის პარტიის“ კარნახით გაკეთდა.

ცესკო-სთან დაკავშირებით „ქართულმა ოცნებამ“ დააანონსა განახლებული კანონპროექტის მიღება, რომელიც ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევისთვის 90 ხმის საჭიროებას ითვალისწინებს, თუმცა თუ 90 ხმა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, არჩევა კვლავ 76 ხმით მოხდება 5 წლის ვადით. აღნიშნული კანონპროექტი საპარლამენტო

ოპოზიციამ უარყოფითად შეაფასა, რადგან იგი არსებულ პრაქტიკას არ აუმჯობესებს.

ეს ფაქტები მიუთითებს, რომ „ქართული ოცნებას“ კონსენსუსის მიღწევის მზაობა პოლარიზაციის შემცირების პოლიტიკური ნება არ გააჩნია. მმართველ პარტიას აშკარად ურჩევნია გამონახოს გზები ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მისაღებად იმ შემთხვევებშიც კი, სადაც ოპოზიციასთან და პრეზიდენტთან თანამშრომლობა კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. ირაკლი კობახიძის [თქმით](#), თანამედროვე დემოკრატია ეფუძნება არა კონსენსუსის კულტურას, არამედ უმრავლესობის მმართველობას. მისი [თქმით](#), „ისეთ თანამდებობებზე, როგორიცაა ცესკოს თავმჯდომარე, სახალხო დამცველი თუ სხვა“, ოპოზიცია არავის უჭერს მხარს, თუ კანდიდატი უცხოელი აგენტი არაა, რადგან თავად ოპოზიციონერებიც „უცხოელი აგენტები“ არიან.

დეპოლარიზაციის პროცესისათვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიციას პარლამენტში მის ხელთ არსებული ბერკეტების ეფექტიანი გამოყენების საშუალება მიეცეს. დეპოლარიზაციის ერთ-ერთ კომპონენტად ევროკავშირი სწორედ ეფექტიანი საპარლამენტო ზედამხედველობის უზრუნველყოფას მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებებით ზედამხედველობის ფუნქციები გააძლიერა, პრაქტიკაში მათ გამოყენებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები იქმნება. კერძოდ, პარლამენტში პოლარიზაცია კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ საპროცედურო საბოტაჟის [გზით](#) საპარლამენტო ოპოზიციას არ მისცა შესაძლებლობა „სასამართლო სისტემაში კორუფციულ და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია“ შეექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციას საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის კონსტიტუციით განსაზღვრული 50 ხმა ჰქონდა. სასამართლოსთან დაკავშირებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნას ოპოზიციური პარტიები წარსულშიც ითხოვდნენ, თუმცა საკითხი განსაკუთრებით აქტუალური აშშ-ის მიერ ოთხი ქართველი მოსამართლის დასაწესებრების შემდეგ გახდა. ოპოზიცია ასევე ითხოვდა ე.წ. „ქოლცენტრების“ საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას, თუმცა „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა საკითხის კენჭისყრის წინ რეგისტრაცია ამ შემთხვევაშიც არ [გაიარეს](#) და საპროცედურო საბოტაჟის გზით ოპოზიციას არც აღნიშნული საგამოძიებო კომისიის შექმნის საშუალება მისცეს, მიუხედავად იმისა, რომ სხდომაზე რეგისტრაცია 54 ოპოზიციონერმა დეპუტატმა გაიარა. ასევე ოპოზიციონერი დეპუტატების შეკითხვების ნაწილი სამთავრობო ორგანოების მიერ პასუხგაუცემელი რჩება და ზოგ შემთხვევაში ოპოზიციის მიერ დაბარებული მინისტრები პარლამენტში არ ცხადდებიან.

პოლარიზაციის კიდევ ერთი გამოხატულებაა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვიცე-სპიკერის ვაკანტურ თანამდებობაზე „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატის, ლევან ბეჟაშვილის არჩევას მხარი არ [დაუჭირა](#), რაც ეწინააღმდეგება პარლამენტში არსებულ პრაქტიკას, რომ ოპოზიციის მხრიდან ვიცე-სპიკერს ყველაზე დიდი ოპოზიციური ფრაქცია ასახელებს. ირაკლი კობახიძის [განმარტებით](#), გადაწყვეტილების მიზეზებია „ნაციონალური მოძრაობისთვის“ „თუნდაც ერთი დამატებითი სტატუსის მინიჭების“ პრინციპული მიუღებლობა და „ნაციონალური მოძრაობის“ სურვილი, აღნიშნული თანამდებობა „ევროინტეგრაციის საბოტაჟისთვის“ გამოიყენონ. კობახიძის თქმით, ისინი არც სხვა „ნაცის

კანდიდატურას“ დაუჭერენ მხარს.

თავის მხრივ, დეპოლარიზაციისკენ არც ოპოზიციას გადაუდგამს ნაბიჯები. პროცესის დასაწყისში ოპოზიციამ გამოთქვა მზაობა, ჩართულიყო 12 პუნქტის შესრულებასთან დაკავშირებით სამუშაო პროცესში და თავისი ხედვა [გამოაქვეყნა](#) ევროკავშირის მოთხოვნებთან დაკავშირებით. საპარლამენტო ოპოზიციის თხოვნით პრეზიდენტმა [მოიწვია](#) პარლამენტის საგანგებო სესია, სადაც ევროკავშირის მოთხოვნები უნდა განხილულიყო, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტის სხდომაში მონაწილეობა არ მიიღო და, შესაბამისად, სხდომა არ შედგა. ამასთან, ოპოზიციის დიდმა ნაწილმა უარი თქვა პარლამენტის ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობაზე, თუმცა მათ მზადყოფნა გამოთქვეს ჩართულიყვნენ კომიტეტების და პლენარული განხილვების დროს სამუშაო პროცესში. მიუხედავად ამისა, „ქართული ოცნების“ მიერ დარეგისტრირებული კანონების საკომიტეტო მოსმენებს ოპოზიციის დიდი ნაწილი არ ესწრებოდა. ოპოზიციის ნაწილის აღნიშნული გადაწყვეტილებები და ნაბიჯები დეპოლარიზაციას ხელს არ უწყობდა.

ბუნებრივია, რომ „ქართული ოცნების“ გარდა, მწვავე რიტორიკაზე პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც ეკისრება. ოპოზიციის დიდი ნაწილის რიტორიკა, რომელიც ხელისუფლებას პრო-რუსულ და მოღალატეობრივ ძალად აცხადებს და ხშირად „რუსეთის მოწმეს“ ან/და მსგავს ეპითეტებს უწოდებს, ასევე არ უწყობს ხელს დეპოლარიზაციას. პოლარიზაციის პროცესში, თავის დროზე, დიდი წვლილი შეიტანა საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიუღებლობამ და პარლამენტის ბოიკოტმა, თუმცა „შარლ მიშელის შეთანხმების“ შემდეგ პარლამენტში შესვლით ოპოზიციამ გადადგა გარკვეული ნაბიჯი დეპოლარიზაციისკენ. სამწუხაროდ, „შარლ მიშელის შეთანხმების“ „ქართული ოცნების“ მხრიდან დეზავუირების გამო დეპოლარიზაციის ეს მცირე შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული.

დამოუკიდებელი ინსტიტუტების საქმიანობაში ჩარევა

ეროვნული ბანკის ირგვლივ განვითარებულმა პროცესებმა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პოლარიზაციის ხარისხი კიდევ უფრო გაზარდა. კერძოდ, 14 სექტემბერს აშშ-მა საქართველოს ყოფილ მთავარ პროკურორს, ოთარ ფარცხალაძეს სანქციები [დაუწესა](#) და ის მოიხსენია, როგორც „ქართველი-რუსი ოლიგარქი“, რომელთან რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური („ფსბ“) მუშაობდა, რათა რუსეთის სასარგებლოდ ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკაზე გავლენა მოეხდინა. სხვა ქვეყნის (რუსეთის) მოქალაქეობის მიღების გამო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ოთარ ფარცხალაძისთვის საქართველოს მოქალაქეობის [შეწყვეტა](#), რის საფუძველზეც, 17 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა [ხელი მოაწერა](#) მისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის ბრძანებულებას.

თავდაპირველად, ეროვნულმა ბანკმა ოთარ ფარცხალაძეს საბანკო აქტივებზე წვდომა და ფინანსური ტრანზაქციების შესრულება [შეუზღუდა](#) აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციების შესაბამისად. ირაკლი კობახიძის [განცხადებით](#), ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ოთარ ფარცხალაძისთვის საბანკო აქტივებზე წვდომისა და ფინანსური ტრანზაქციების შესრულების შეზღუდვაზე „პირდაპირ ეწინააღმდეგება“ საქართველოს კონსტიტუციას,

კერძოდ უდანაშაულობის პრეზუმფციას. ამის შემდეგ ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება, სანქციათა რეჟიმების შესრულების წესში საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით გამონაკლისი [დაეშვა](#) - შესაბამისად, სანქციები საქართველოში ოთარ ფარცხალაძეზე აღარ გავრცელდებოდა. შესაბამისად, 14 სექტემბრიდან 17 ოქტომბრამდე, სანამ ფარცხალაძისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურა მიმდინარეობდა, მასზე, ფორმალურად და იურიდიულად ფინანსური სანქციები არ ვრცელდებოდა.

"ქართული ოცნების" განცხადებები და ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ბევრმა ეროვნული ბანკის საქმიანობაში მმართველი პარტიის ჩარევად შეაფასა. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ საქართველოს ფინანსური სისტემის უსაფრთხოებისთვის რისკის მოლოდინი გააჩინა და შედეგად, შეიქმნა ერთგვარი კრიზისი - ეროვნული ბანკი [დატოვა](#) სამმა ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველმა და რამდენიმე დეპარტამენტის უფროსმა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის უფროსმა შემოთქვა გამოთქვა ეროვნული ბანკის მიერ სანქციების მიმართ მიდგომის შეცვლით, მისი [განცხადებით](#), საკითხის შესწავლის შემდეგ მოხდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის შეფასება რომლის აღდგენის მიზნით საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა.

ოთარ ფარცხალაძისა და ეროვნული ბანკის ირგვლივ მიმდინარე პროცესის გამო მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის მოხდა [დაპირისპირება](#) პარლამენტის [სხდომაზე](#), რის შემდეგაც ოპოზიციამ პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი [დატოვა](#). პარლამენტში ადგილი ჰქონდა [ფიზიკურ](#) დაპირისპირებასაც. ირაკლი კობახიძემ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს მოუწოდა, ოპოზიციასთან საერთოდ არ შესულიყვნენ პოლემიკაში, რადგან ისინი „ჯაშუშები“ და „აგენტები“ [იყვნენ](#), ხოლო უმრავლესობის და „ხალხის ძალის“ დეპუტატმა გურამ მაჭარაშვილმა ოპოზიციონერ კოლეგებს „ამერიკის აგენტურა“ უწოდა და [მიმართა](#), პარლამენტიდან გასულიყვნენ.

ეროვნული ბანკის საბჭოში გაჩენილი ვაკანტური ადგილების დაკომპლექტება სწრაფად მოხდა. ორ ვაკანტურ ადგილზე პარლამენტმა პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატები [აირჩია](#), მიუხედავად იმისა, რომ საკომიტეტო განხილვების შემდეგ, რომელსაც თავად კანდიდატები არ ესწრებოდნენ, პარლამენტის ორმა კომიტეტმა კანდიდატებთან დაკავშირებით პარლამენტს უარყოფითი დასკვნა წარუდგინა, ხოლო პრეზიდენტს მის მიერ წარდგენილი კანდიდატების პარლამენტიდან უკან გაწვევა სურდა (რისი უფლებაც, საპარლამენტო უმრავლესობის აზრით, პრეზიდენტს არ ჰქონდა). ირაკლი კობახიძის [განმარტებით](#), საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატების არჩევის გადაწყვეტილება მიიღო, რადგან პრეზიდენტსა და ოპოზიციას ეროვნული ბანკის საბჭოს ფუნქციონირების ხელის შეშლის გზით ეროვნული ბანკის საბოტაჟი სურდათ, ხოლო სამი ვიცე-პრეზიდენტისა და პრეზიდენტის მრჩეველის მიერ ეროვნული ბანკის დატოვება მან პოზიტიურად და „ეროვნული ბანკის გასუფთავებად“ [შეაფასა](#). ამასთან, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ეროვნული ბანკის პრეზიდენტ ნათია თურნავაზე [ხეწოლაში დაადანაშაულეს](#). ეროვნული ბანკის საკითხის შემდეგ პოლარიზაციის გამძაფრების შემდეგ სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირებით [ჩაიარა](#) შოვის ტრაგედიასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრის

[მოსმენამ პარლამენტში](#) და თბილისის საკრებულოს [სხდომამ](#).

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოთარ ფარცხალაძესთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების ირგვლივ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 15 სექტემბერს საკითხის [შესწავლა](#), ხოლო 19 სექტემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 319-ე მუხლით - [გამოძიება](#) დაიწყო. 19 ოქტომბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, გრიგოლ ლილუაშვილის მიერ გაკეთებული [განცხადებიდან](#) გამოჩნდა, რომ აღნიშნული საკითხი უწყებისთვის პრიორიტეტს არ წამოადგენს („იმდენი საფრთხეებია, იმდენი რისკებია, რა დროს ფარცხალაძეა“). მისივე თქმით, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ხელისუფლებას არ მიუღია მტკიცებულებები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისგან, რის გამოც გამოძიება შედეგით ვერ დასრულდება. ლილუაშვილმა ასევე განაცხადა, რომ ყოფილი გენერალურმა პროკურორმა გამოკითხვიდან მეორე დღესვე საქართველო დატოვა, რაც საგამოძიებო პროცესის მხოლოდ ფორმალურ მიმდინარეობაზე მიუთითებს. თავის მხრივ, ირაკლი კობახიძემ პირდაპირ [განაცხადა](#), რომ ოთარ ფარცხალაძის საკითხი „დამთავრებული ამბავია“, რადგან მას მოქალაქეობა შეუწყდა და ქართული სამართლებრივი სივრცისთვის ნაკლებად რელევანტური გახდა.

პოლარიზაციის გაღრმავება პოლიტიკურ ოპონენტებზე ძალადობის გზით

სიტყვიერი დაპირისპირების პარალელურად, უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა ფიზიკური თავდასხმები პოლიტიკოსების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კრიტიკული მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ. ხშირად, ამ დანაშაულის ჩამდენები არ მალავენ თავიანთ საქციელს და, პირიქით, ამით საჯაროდ ამაყოფენ.

მაგალითად, 2023 წლის 17 ივნისს თავს დაესხნენ პარტია “გირჩი - მეტი თავისუფლებას” ლიდერ [ზურაბ ჯაფარიძეს](#). ასევე 17 ივნისს თავს [დაესხნენ](#) ბორჯომში “გირჩი - მეტი თავისუფლებას” ბანაკს. 20 ივნისს თავს დაესხნენ ყოფილ პარლამენტარსა და ლიტერატორ [ლევან ბერძენიშვილს](#), ხოლო 27 ივნისს თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ “ფორმულას” ჟურნალისტ [მიშა მშვილდაძეს](#); 22 სექტემბერს თბილისის საკრებულოს „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატს, [ირაკლი ემგვერამეს](#), დაესხნენ თავს. ასევე რამდენჯერმე მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებზე [თავდასხმა რეგიონებში](#) ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს. ზოგი აღნიშნული ძალადობის ორგანიზებაში მთავრობის კვალს ხედავს, რასაც ხელისუფლება უარყოფს, თუმცა აშკარაა, რომ მსგავსი ქმედებები მინიმუმ წახალისებულია პოლარიზაციითა და ხელისუფლების მწვავე რიტორიკით.

გარდა ძალადობრივი ქმედებების წახალისებისა, როგორც წესი, „ქართული ოცნება“ ყველა პოლიტიკურ ოპონენტს საქართველოს ომში ჩათრევის სურვილსა და მცდელობაში ადანაშაულებს. "ქართული ოცნება" პოლიტიკურ ოპონენტებს ხშირად მოიხსენიებს, როგორც „დასავლეთის აგენტებს“, „გლობალური ომის პარტიის“ წევრებს და „უსამშობლოებს“. ბუნებრივია, მსგავსი ყოველდღიური რიტორიკა შემდეგ საფუძველს უდებს ურთიერთბრალდებების სპირალს, საიდანაც ქვეყანა უკვე ძალიან დიდი ხანია ვერ ახერხებს

ამოსვლას.

„ქართული ოცნების“ ლიდერები ვერ ხედავენ საკუთარ პასუხისმგებლობას გაღრმავებული პოლარიზაციის და გამოწვეული ძალადობრივი ქმედებების გამო. უფრო მეტიც, ირაკლი კობახიძემ საქართველოში [ძალადობის წახალისებაში](#), ასევე [ბილწსიტყვაობისა და პოლარიზაციის მხარდაჭერაში](#) ერთ-ერთი უცხო სახელმწიფოს ელჩიც კი დაადანაშაულა, ხოლო შალვა პაპუაშვილმა საქართველოში არსებულ პოლარიზაციაზე პასუხისმგებლობა ევროკავშირსაც [დააკისრა](#) წარსულში მიხეილ სააკაშვილის, ხოლო ამჟამად თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის „შეფარების“ გამო.

აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერები უარს აცხადებენ კრიტიკულ ტელევიზიებში მისვლაზე, რადგან, მათი თქმით, იქ „ქართულ ოცნებას“ შეურაცხყოფას აყენებენ. ასევე, არც სამთავრობო მედია იწვევს თავის გადაცემებში პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლებს. აღნიშნული სიტუაციის შეცვლა და წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური დებატების გამართვა პოლარიზაციის შემცირებისა და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის ჩამოყალიბებისკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი იქნებოდა.

„ქართული ოცნება“ პრეზიდენტის წინააღმდეგ - პოლარიზაციის კიდევ ერთი მაგალითი

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა დაპირისპირება „ქართულ ოცნებასა“ და საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს შორის. აღნიშნული კონფლიქტი თავდაპირველად რიტორიკულ დონეზე გამოიხატებოდა, თუმცა 2022 წლის ბოლოდან ბრალდებები გახშირდა და მმართველის პარტიის მიერ იმპიჩმენტის პროცედურის პერიოდში კულმინაციას მიაღწია. ირაკლი კობახიძემ სალომე ზურაბიშვილი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის საწინააღმდეგო კამპანიაში ჩართვასა და საბოტაჟში [დაადანაშაულა](#). მმართველმა ძალამ პრეზიდენტს ოპოზიციის დღის წესრიგის სასარგებლოდ „პოლიტიკური მიკერძოების“ გამოვლენაში დასდო [ბრალი](#) და „რადიკალური ოპოზიციის პოზიციების“ გამეორებაში დაადანაშაულა. „

ქართულმა ოცნებამ“ 2023 წლის 29 მაისს რიტორიკულად [განაცხადა](#), რომ თითქოს გადაწყვიტეს პრინციპულად თავი შეეკავებინათ პრეზიდენტის კრიტიკისგან, რათა ხელი არ შეეწყობოთ „პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინებისთვის“, თუმცა სალომე ზურაბიშვილზე სიტყვიერი თავდასხმები კვლავ გაგრძელდა. ამასთან, „ქართულმა ოცნებამ“ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებები შეეკვეცა (მაგალითად ეროვნული ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების და პრეზიდენტის დანიშვნით, ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის წესის ცვლილებით).

პრეზიდენტს და მმართველ გუნდს შორის დაპირისპირება განსაკუთრებით გაღრმავდა პრეზიდენტის მიერ ტელეკომპანია „მთავარის“ დირექტორის ნიკა გვარამიას შეწყალების გამო. მას შემდეგ, რაც 2023 წლის 19 ივნისს ნიკა გვარამიას საქმეზე საქართველოში

ამოიწურა ყველა სამართლებრივი საფეხური, (უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო განსახილველად საკასაციო სარჩელი), საქართველოს პრეზიდენტმა 22 ივნისს ნიკა გვარამია [შეიწყალა](#), რაც დეპოლარიზაციის მხრივ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. თუმცა, ამ გადაწყვეტილებას „ქართული ოცნება“ უკიდურესად კრიტიკულად გამოეხმაურა. მმართველი პარტიის აზრით, ეს არათუ დეპოლარიზაციისთვის გადადგმული ნაბიჯი, არამედ გარე ძალების ზეწოლით და დავალებით პოლარიზაციის [გაღვივებისკენ](#) მიმართული და 12 პუნქტის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იყო. ირაკლი კობახიძის [შეფასებით](#), სალომე ზურაბიშვილს გლობალური ომის პარტიის [დაკვეთით](#) შეაწყალებინეს გვარამია, რათა უფრო მეტად გაეღვივებინათ პოლარიზაცია. მისი [ტექნით](#), „ერთ აგენტს მეორე აგენტი შეაწყალებინეს“ და პრეზიდენტი ზურაბიშვილი გარე ძალების კარნახით მოქმედებს. სალომე ზურაბიშვილის მიერ ნიკა გვარამიას შეწყალების გადაწყვეტილება ასევე გარე ზეწოლას [დაუკავშირა](#) პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმაც.

ამ დაპირისპირების შემდეგ მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ხელი შეეშალა პრეზიდენტისთვის საგარეო ვიზიტების განხორციელებაში. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის [განცხადებით](#), პრეზიდენტს უარი ეთქვა საერთაშორისო ვიზიტების განხორციელებაზე, რომელთა ნაწილიც საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მონიჭების ადვოკატირებას ისახავდა მიზნად. პრეზიდენტი [საერთაშორისო ვიზიტებში მაინც გაემგზავრა](#), რაც მმართველმა პარტიამ კონსტიტუციის დარღვევად შეაფასა. „ქართულმა ოცნებამ“ აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა და იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის საჭირო 100 ხმა არ ჰქონდათ. 2023 წლის 18 სექტემბერს პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს გადაეცა, ხოლო 22 სექტემბერს პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე კონსტიტუციური წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში [მიიღო](#). საკითხზე გამართული მოსმენების შემდეგ 16 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაქვეყნა დასკვნა და [დაადგინა](#) საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი, რაც გამოიხატა საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, საზღვარგარეთ სამუშაო ვიზიტების განხორციელებასა და ოფიციალურ პირებთან სამუშაო შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გამართვაში. გადაწყვეტილებას 9-დან 6-მა მოსამართლემ დაუჭირა მხარი. სამ მოსამართლესთან დაკავშირებით, რომელმაც გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ, [განაცხადა](#), რომ „თუ ამ სამ მოსამართლეს თავის განსხვავებულ აზრში უწერია ის, რომ პრეზიდენტს კონსტიტუცია არ დაურღვევია, გამოდის, რომ ისინი ისევე, როგორც სალომე ზურაბიშვილი, კონსტიტუციურ წესრიგს უპირისპირდებიან“. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნამ ოპოზიციის კრიტიკა გამოიწვია; მათი [შეფასებით](#), „ქართული ოცნების“ მიერ დაკომპლექტებული სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება „ანტისახელმწიფოებრივი და ანტიდასავლურია“ და კიდევ ერთხელ მიუთითებს სასამართლო ხელისუფლების კლანურ მმართველობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ იმპიჩმენტის საკითხზე კენჭისყრა პარლამენტში 2023 წლის 18 ოქტომბერს დაინიშნა, თუმცა იმპიჩმენტი ვერ შედგა ხმების არასაკმარისი რაოდენობის გამო - პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებას პარლამენტის 86-მა წევრმა დაუჭირა მხარი, ხოლო 1-მა წინააღმდეგ მისცა ხმა. პარლამენტის

რეგლამენტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი, ე.ი. 100 დეპუტატი. აღსანიშნავია, რომ კენჭისყრამ, რომელსაც ოპოზიციის ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა და მასში მონაწილეობა არ მიიღო, მწვავე სიტყვიერი დაპირისპირებისა და ურთიერთბრალდებების ფონზე ჩაიარა. სხდომას თავად საქართველოს პრეზიდენტიც ესწრებოდა.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან. 17 ოქტომბერს საქართველოში საფრანგეთის საელჩომ [გაავრცელა](#) განცხადება და აღნიშნა, რომ „ქვეყნის მომავლისთვის გადამწყვეტ მომენტში, როცა ევროპული ღირებულებების ირგვლივ ერთიანობა და თანმიმდევრულობა უნდა ჭარბობდეს, საფრანგეთი ელის საქართველოს მთავრობისგან, რომ ის მოახდენს პასუხისმგებლობის დემონსტრირებას და თავისი ძალისხმევის კონცენტრირებას ყველა რეფორმის განხორციელებაზე, რომელიც აუცილებელია დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებისთვის“. ევროპარლამენტარებმა ანა ფოტიგამ, რასა იუკნევიჩიენემ, ანდრიუს კუბილიუსმა და მირიამ ლექსმანმა „ქართულ ოცნებას“ წერილით [მიმართეს](#) და საკუთარი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს მმართველი პარტიის მიერ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებასთან დაკავშირებით.

იმპიჩმენტთან დაკავშირებულ პარლამენტის სხდომაზე მმართველი პარტიის წარმომადგენელთა განცხადებებიდან, ასევე მომდევნო დღეებში გაკეთებული კომენტარებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ „ქართული ოცნება“ კვლავ ეცდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შემდგომ შეზღუდვას. ირაკლი კობახიძემ პირდაპირ [განაცხადა](#), რომ იგი „მხოლოდ ფორმალურად იქნება საქართველოს პრეზიდენტი“, ხოლო შალმა პაპუაშვილმა საერთაშორისო პარტნიორებს [მოუწოდა](#), უარი ეთქვათ სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრებზე, თუკი მათ მთავრობის თანხმობა არ ექნება. მეტიც, მმართველი პარტიის წარმომადგენლები ([ირაკლი კობახიძე](#), [ანრი ოხანაშვილი](#), [გივი მიქანაძე](#)) პროკურატურის მიერ პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასაც არ გამორიცხავენ. ანრი ოხანაშვილის [ტექსტით](#), თუ სალომე ზურაბიშვილი დანაშაულს ჩაიდენს (ანუ ვიზიტებს მთავრობის ოფიციალური თანხმობის გარეშე ისევ განხორციელებს), დაიწყება შესაბამისი სამართლებრივი წარმოება, თუმცა პრეზიდენტის იმუნიტეტის გათვალისწინებით, სამართლებრივი გადაწყვეტილება მიღებული იქნება მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდგომ.

„ქართული ოცნების“ მიერ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებამ პრეზიდენტსა და მმართველ პარტიას შორის პოლარიზაცია კიდევ უფრო გააღრმავა. აღნიშნული პერიოდი განსაკუთრებით გამოირჩეოდა მწვავე რიტორიკით, რომელიც ხშირ შემთხვევაში შეურაცხყოფელ შეფასებებსაც მოიცავდა. საქართველოში ვიზიტის დროს, 8 სექტემბერს, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბორელმა, პრემიერთან, ირაკლი ღარიბაშვილთან გამართული შეხვედრის შემდეგ [განაცხადა](#), რომ იმპიჩმენტის საკითხი არის რისკი, რომელიც კიდევ უფრო ძაბავს სიტუაციას და ზრდის პოლარიზაციას. 6 ოქტომბერს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ევროკავშირის ელჩმა, პაველ ჰერჩინსკიმ და [განაცხადა](#), რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტი არის

„ცუდი სიგნალი“, რაც პირველი პრიორიტეტის [დეპოლარიზაციის] შესრულებას ხელს ნადმილად არ უწყობს. ირაკლი კობახიძის [განცხადებით](#), არა იმპიჩმენტი, არამედ კონსტიტუციის უხეში დარღვევაა მაპოლარიზებელი ფაქტორი და მთავარი ძალა, ვინც საქართველოში პოლარიზაციას აღვივებს, უცხოური აგენტურაა. მისივე [ტექნით](#), სამართლის უზენაესობის დაცვაზე საქართველოში პასუხისმგებელია არა რომელიმე ელჩი, არამედ საქართველოს ხელისუფლება.

მიხეილ სააკაშვილის საკითხი

ოპოზიციური პარტიების შეფასებით, პოლარიზაციის გაღრმავების მხრივ ძალიან დიდ როლს თამაშობს მიხეილ სააკაშვილის სამართლებრივი დევნა და მისი ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობა.

2021 წლის 29 სექტემბერს საქართველოში ძებნაში მყოფი მესამე პრეზიდენტი სამშობლოში უკანონო გზით დაბრუნდა და ის 1 ოქტომბერს [დააკავეს](#). საქართველოში მისმა ჩამოსვლამ და დაპატიმრებამ პოლარიზაცია უფრო მეტად გააღვივა. ციხეში ყოფნის დროს სააკაშვილმა პროტესტის ნიშნად შიმშილობა დაიწყო, რასაც მისი ჯანმრთელობის გაუარესება მოჰყვა და მისი კლინიკა „ვივამედში“ გადაყვანა მოჰყვა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ პოლარიზაციის შემცირებისთვის აუცილებელ წინაპირობად აღქმულია ექს-პრეზიდენტის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანა. სააკაშვილის საკითხის გადაწყვეტას დეპოლარიზაციას [უკავშირებს](#) „ლელო“. ეს საკითხი განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც გაჩნდა ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ. 2023 წლის 4 აპრილს გამოქვეყნებული სახალხო დამცველის კონსილიუმის [დასკვნის](#) თანახმად, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო, რის გამოც [კონსილიუმის წევრებმა](#) მიხეილ სააკაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანას [დაუჭირეს](#) მხარი. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ხშირად ამბობენ, რომ ექს-პრეზიდენტის გათავისუფლება/შეწყალება/სამკურნალოდ გადაყვანა ხელს შეუწყობს დეპოლარიზაციას. 2023 წლის 6 თებერვალს სასამართლომ მიხეილ სააკაშვილის სასჯელის გადავადების, ან სასჯელისგან გათავისუფლების მოთხოვნა არ [დააკმაყოფილა](#).

საკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას ევროკავშირიც აქტიურად [აკვირდება](#) და ხელისუფლებას მისი ჯანმრთელობის დაცვისკენ [მოუწოდებს](#). 2023 წლის დასაწყისში ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინკსიმ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობის შესახებ ცნობების გამო შემფოთება [გამოთქვა](#) და იუსტიციის მინისტრს სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირის 27-ვე წევრი სახელმწიფოს დემარში [გადასცა](#). მისივე [ტექნით](#), მიხეილ სააკაშვილის საკითხი პოლარიზაციას ზრდის და ევროკავშირი მზად არის, დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებას ნებისმიერი სახით, რასაც ის სასარგებლოდ მიიჩნევს, რათა გამოსავალი მოიძებნოს. სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით ასევე შემფოთება [გამოთქვა](#) ევროპარლამენტის პრეზიდენტმა, რობერტა მეცოლამ. სააკაშვილის საკითხის ჰუმანიტარულ გადაწყვეტასთან [დაკავშირებით მოწოდებები აქტიურად ისმოდა ევროპარლამენტარების მხრიდან](#). სააკაშვილისთვის საზღვარგარეთ სათანადო მკურნალობის უფლების მიცემის მოთხოვნა ევროპარლამენტის მიერ მიღებულ დოკუმენტშიცაა [ასახული](#). ევროპარლამენტის [რეზოლუცია](#) სააკაშვილის საკითხის ჰუმანიტარულ მოგვარებას განიხილავს, როგორც

პოლარიზაციის შემცირების გზას.

მიხეილ სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით ასევე შემოფოთება გამოხატა ევროკავშირის [წევრი](#) არაერთი სახელმწიფოს წარმომადგენელმა და მისი მოგვარება პოლარიზაციის დაძლევის [დაუკავშირა](#). პოლონეთის პრემიერ-მინისტრის, მატეუმ მორავიეცკის [განცხადებით](#), პოლონეთმა საქართველოს მთავრობას მიხეილ სააკაშვილის პოლონეთში მკურნალობის წინადადებით მიმართა და აღნიშნა, რომ „საქართველოს თუ სურს მის ევროპულ მისწრაფებებზე დადებითი პასუხის იმედი ჰქონდეს, მან ასევე სერიოზულად უნდა მიიღოს ეს მიმართვა“.

2023 წლის 12 მაისს სტრასბურგის სასამართლომ მიხეილ სააკაშვილს უარი [უთხრა](#) სამკურნალოდ ვარშავაში გადაყვანაზე, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს არ დაევალა სააკაშვილის ქვეყნის შიგნით სხვა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა.

მიუხედავად სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებისა ევროპარლამენტარების ნაწილმა, მაგალითად, [მარინა კალიურანდმა](#), [ჯოზას ოლეკასმა](#) და [კოსმა ზლოტოვსკიმ](#) სააკაშვილის საკითხი კვლავ დაუკავშირეს დეპოლარიზაციის მოთხოვნას. ეს თემა განხილვის საგანი იყო 2023 წლის ივნისში ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის (PAC) მე-12 სხდომაზე. პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის [შეფასებით](#), როცა არსებობს სტრასბურგის გადაწყვეტილება სააკაშვილთან დაკავშირებით და ამის მიუხედავად, „ზოგიერთი ევროპარლამენტარი კვლავ აგრძელებს „free Misha“ კამპანიას,“ ეს პოლიტიკური კორუფციაზე მეტყველებს. ასოცირების კომიტეტის სხდომაზე ევროპარლამენტარების კრიტიკა არ გაიზიარეს და მწვავე კრიტიკითვე [უპასუხეს](#) „ქართული ოცნების“ სხვა [დეპუტატებმაც](#).

ასევე ხშირი იყო მოწოდებები პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილისადმი, რომ მიხეილ სააკაშვილი შეეწყალებინა. საინტერესოა, რომ პრეზიდენტის მოსაზრებით, მიხეილ სააკაშვილის შეწყალება, პირიქით, პოლარიზაციის გაღრმავებისკენ მიმართული ნაბიჯი [იქნება](#). აქვე აღსანიშნავია, რომ 2022 წლის დეკემბერში პრეზიდენტ ზურაბიშვილის პოზიცია სააკაშვილის არშეწყალებასთან დაკავშირებით ისეთი კატეგორიული აღარ იყო. 2023 წლის 2 ივნისს France 24-თან ინტერვიუში ზურაბიშვილმა [განაცხადა](#), რომ „მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით“ მიყენებულ ზიანს სააკაშვილის „შეწყალება-არშეწყალება“ არ შეცვლის და ნაცვლად ამისა, „მას კარგად უნდა მოუარონ“ და გამოიყენონ სხვა ფორმები, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით პატიმრობამისჯილ სხვა პრეზიდენტების შემთხვევაში იყენებენ, მაგალითად, - ელექტრონული სამაჯური.

პოლარიზაციის გაღრმავებას ასევე ხელი შეუწყო სააკაშვილის არათანმიმდევრულმა გადაწყვეტილებებმა და განცხადებებმა, მისი ჯერ მხოლოდ უკრაინის პოლიტიკაში მონაწილეობის და შემდეგ საქართველოს პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის შესახებ. კერძოდ, 2023 წლის 16 ივნისს პატიმრობაში მყოფმა სააკაშვილმა ქართულ პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ [განაცხადა](#). [მაშინ როდესაც მანამდე ის ამბობდა, რომ ქართული პოლიტიკა არ აინტერესებდა და თავს უკრაინულ პოლიტიკოსად მიიჩნევდა](#). სააკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ განცხადებას მოჰყვა კომენტარები „ქართული ოცნების“ მხრიდან, რომ [„სააკაშვილი სიმულიანტობდა 600 დღის განმავლობაში“](#) და [„ის არასდროს ყოფილა სერიოზულად ავად“](#), ხოლო საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ მიმდინარეობდა

დეზინფორმაციული კამპანია. ამ დეზინფორმაციულ კამპანიაში მონაწილე უცხოელ პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით ევროპარლამენტარებს, პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ბოდიშის მოხდაც კი [მოთხოვა](#).

2023 წლის 12 ივლისს 50-მდე ევროპარლამენტმა [მიმართვა](#) გაავრცელა, რომელშიც საქართველოს ხელისუფლებას სთხოვდნენ, მიხეილ სააკაშვილი სამკურნალოდ ევროპაში გადაყვანას. ასევე 12 ივლისს პოლონელი ექიმების ჯგუფი კლინიკა „ვივამედში“ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად [შევიდა](#), რასაც ევროკავშირი [მიესალმა](#). თუმცა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის და ვიდეოს [თანახმად](#), ერთ-ერთმა პოლონელმა ექიმმა სააკაშვილისგან აღებული ნიმუში ქაღალდში გადაახვია და ფეხსაცმლის მეშვეობით კლინიკიდან მის მალულად გატანას ცდილობდა. უწყების განმარტებით, ოფიციალური წესით აღებული ნიმუშის გატანის უფლება მათ მისცა სამსახურმა, შესაბამისად, აღნიშნული ქმედება ექიმის მხრიდან „სამედიცინო ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებთან შეუსაბამო“ საქციელად შეფასდა. ირაკლი კობახიძის [განცხადებით](#), აღნიშნულის მიზეზი, შესაძლოა, გაყალბება და მანიპულაცია ყოფილიყო. მამუკა მდინარაძის [განცხადებით](#), ერთადერთი მიზანი, რაც შეიძლებოდა ჰქონოდა პოლონელი ექიმის მიერ სააკაშვილის ბიოლოგიური ნიმუშის მოპარვას, ექსპერტიზის დასკვნის გაყალბება იყო.

სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის 2023 წლის 10 აგვისტოს [შეფასებით](#), მიხეილ სააკაშვილის ნევროლოგიური სტატუსი პრაქტიკულად უცვლელია, ნარჩუნდება თანდათანობითი ნელი დინამიკა გაუარესებისკენ, კვლავ ვლინდება კოგნიტიური დეფიციტი, ატაქსია, ჰიპესთეზია, ძალის დიფუზური დაქვეითება. ასევე მას აქვს გამოხატული მიკროციტარული ანემია, რომელიც ღრმავდება და კლინიკის მიერ იმართება სისხლის და მისი პროდუქტების ინფუზიებით. კლინიკაში სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის მხრივ ექსპერტთა ჯგუფს განსაკუთრებული შენიშვნები არ აქვს.

ექიმთა ჯგუფის მორიგი ვიზიტი მიხეილ სააკაშვილთან 2023 წლის 19 ოქტომბერს შედგა. გამოქვეყნებული [შედეგების](#) თანახმად, „სახეზეა გარკვეული დადებითი დინამიკა, თუმცა ძირითადი სურათი - კუნთთა ატროფია, ნეიროპათია, კოგნიტიური გაუარესება კვლავ უცვლელი რჩება, ხოლო პაციენტი საჭიროებს მჭიდრო სამედიცინო მეთვალყურეობას.

პოლარიზაციის გაღრმავება მმართველ ძალას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტის მეშვეობით

პოლარიზაციის გაზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონპროექტის ინიცირებამ და 2023 წლის 7 მარტს მისი პირველი მოსმენით მიღებამ. კანონპროექტი საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მედიას, რომლებიც დაფინანსების 20%-ს მაინც უცხოური წყაროდან იღებენ, „უცხოური გავლენის აგენტად“ რეგისტრაციას დაავალდებულებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი განსაზღვრული ჯარიმები ორგანიზაციების პარალიზებას გამოიწვევდა.

პარლამენტში საკომიტეტო განხილვები მწვავე დამაბულობის ფონზე მიმდინარეობდა, მათ

შორის, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ დაპირისპირებებსაც, ხოლო ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების რიგ წარმომადგენლებს განხილვებში ჯეროვანი მონაწილეობის საშუალება არ მიეცათ. კანონპროექტს საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან დიდი კრიტიკა მოჰყვა. ასევე 7-8-9 მარტს გაიმართა მასობრივი საპროტესტო აქციები, რომლებიც პოლიციამ 7 და 8 მარტს წყლის ჭავლის და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაარბია. პროცესის დამკვირვებლებმა პოლიციის ქმედებების პროპორციულობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. სახალხო დამცველის [შეფასებით](#), შს-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი აქციების გაუმართლებელ დაშლას, დემონსტრანტების წინააღმდეგ არაპროპორციული ძალის გამოყენებას, მათ უსაფუძვლო დაკავებებს და ა.შ. საპროტესტო აქციების ძალადობრივმა დაშლამ პოლარიზაცია უფრო გააღრმავა. საბოლოოდ, დიდი შიდა და გარე ზეწოლის ფონზე „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი მეორე მოსმენაზე ჩააგდო და მის მიღებაზე უარი თქვა, თუმცა მის სულისკვეთებას კვლავ იზიარებს. კანონპროექტის გაწვევის მიუხედავად, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა სამოქალაქო საზოგადოების მიმართ კონფრონტაციული რიტორიკა გაამძაფრეს, რაც პოლარიზაციის გაღრმავების მორიგი ფაქტორია. ოპოზიციურ პარტიებს, სამოქალაქო საზოგადოებას, მედიას, ასევე პრეზიდენტს და ნებისმიერ ოპონენტს „ქართული ოცნება“ და მასთან დაკავშირებული წყაროები უცხოეთიდან მართულ აგენტებს და ჯაშუშებს უწოდებენ.

საგულისხმოა, რომ კანონპროექტზე, რომლის ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა პოლარიზაცია მკვეთრად გააღრმავა, „ქართული ოცნება“ აცხადებდა, რომ ის დეპოლარიზაციას ისახავდა მიზნად. ამასთან, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა დაიწყეს პოლარიზაციის ხელშეწყობის გადამრალევა საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებზე. ირაკლი კობახიძის 2023 წლის 22 თებერვლის [განცხადებით](#), „ევროკავშირი ერთი ხელით დეპოლარიზაციისკენ მოგვიწოდებს და მეორე ხელით პოლარიზაციას აფინანსებს“. აღნიშნულის მაგალითად კობახიძემ ევროკავშირის მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მაგალითად მოძრაობა „სირცხვილიას“, დაფინანსება დაასახელა. ირაკლი კობახიძემ „ექსტრემიზმისა და პოლარიზაციის“ დამფინანსებლებად ასევე [დაასახელა](#) ამერიკული ფონდი „დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდი“ (NED) და „ევროპული ფონდი დემოკრატიისთვის“ (EED).

სამოქალაქო საზოგადოების დადანაშაულება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში

18 სექტემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების (სუს-ი) სამსახურმა გააკეთა [განცხადება](#), რომლის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი პირთა გარკვეული ჯგუფი, მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში გეგმავს დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო არეულობის მოწყობას, რომლის საბოლოო მიზანია ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა“ „ევრომაიდნის“ მსგავსი სცენარით. სუს-მა ორგანიზატორებს შორის დაასახელა უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელის მოადგილე, გიორგი ლორთქიფანიძე (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე), მიხეილ სააკაშვილის დაცვის ყოფილი წევრი, მიხეილ ბატურიანი და უკრაინაში მოქმედი „ქართული ლეგიონის“ მეთაური, მამუკა მამულაშვილი. სუს-ის თანახმად, ახალგაზრდული ჯგუფების რევოლუციური სცენარისთვის მომზადების მიზნით

გამოიყენება ორგანიზაცია „კანვასი“, რომელიც ადრეც მონაწილეობდა სახელმწიფოს წინააღმდეგ ორგანიზებულ შეთქმულებაში მოქმედი ხელისუფლების დამხობის მიზნით.

2023 წლის 2 ოქტომბერს სუს-მა დამატებით [გაავრცელა განცხადება](#), რომლის მიხედვით 2023 წლის 26-29 სექტემბერის პერიოდში, USAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოწვევით თბილისში ჩამოსულმა სერბეთის მოქალაქეებმა გადაამზადეს ახალგაზრდული ჯგუფი, რომელსაც „გადამწყვეტი როლი“ უნდა შეესრულებინა ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის პროცესების მომზადებასა და განხორციელებაში. დაწყებული გამოძიების ფარგლებში სუს-მა „კანვას საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ნინი გოგიბერიძე და დირექტორი გიორგი მელაძე, ასევე ორგანიზაციის სამი წევრი სერბეთიდან და ტრენინგის სხვა მონაწილეები, მათ შორის, ტელეკომპანია „ფორმულას“ ფოტოგრაფი [ვახო ქარელი](#) და დოკუმენტური კინოს ასოციაციის წარმომადგენელი [მარიამ ჩუტკერაშვილი გამოკითხა](#).

სუს-ის განცხადებაზე დაყრდნობით, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების მიერ ოპოზიციის გადატრიალების მოწყობის მცდელობაში [დადანაშაულებამ](#) პოლარიზაცია უფრო გაზარდა.

აღსანიშნავია, რომ სუს-ის განცხადების საფუძველზე და მისი გამოყენებით, „ქართულმა ოცნებამ“ [შეიმუშავა](#) „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ამკრძალავი ხასიათის ღონისძიებების შემდგომ გამკაცრებას დროებითი კონსტრუქციების მოწყობის შეზღუდვის გზით. აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტმა დაჩქარებული წესით 5 ოქტომბერს [მიიღო](#), რამაც პოლარიზაცია გააღრმავა. მიღებულ ცვლილებებს ოპოზიციამ და სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა „ახალი რუსული კანონი“ [უწოდა](#), ხოლო სახალხო დამცველმა „გამოხატვის/შეკრების თავისუფლებაში ინტენსიურ ჩარევად“ [შეაფასა](#) და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის [მიმართა](#) (OSCE/ODIHR) დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე სამართლებრივი შეფასების წარმოდგენის თხოვნით. 17 ოქტომბერს აღნიშნულ კანონპროექტს საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო [დაადო](#), თუმცა „ქართული ოცნება“ ვეტოს დაძლევის [გეგმავს](#).

უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართულ გეგმებზე საზოგადოებას ინფორმაცია არაერთხელ მიეწოდა. უფრო კონკრეტულად, სახელმწიფო ორგანოები და პოლიტიკოსები ოპოზიციას და ზოგჯერ, საერთაშორისო აქტორებს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად შეთქმულებასა ან ამბოხებაში ადანაშაულებდნენ. აღნიშნული ბრალდებების მიუხედავად, საქმეების სამართლებრივი მსვლელობის დეტალები, საზოგადოებისთვის ძირითადად უცნობი რჩება.

პოლარიზაციის გამაღრმავებელი ანტი-დასავლური რიტორიკა „ქართული ოცნების“ მხრიდან

2022 წლის თებერვლის შემდეგ, პოლიტიკურ ოპონენტებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან პოლარიზაციის პარალელურად, „ქართულმა ოცნებამ“ ანტიდასავლური რიტორიკაც გააძლიერა. ამასთან, მმართველი პარტია კოლექტიურ დასავლეთს, ოპოზიციას, სამოქალაქო საზოგადოებასა და კრიტიკულ მედიას პოლარიზაციის გაღრმავებასა და საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩათრევის სურვილში ადანაშაულებს, ხოლო კრიტიკოსებს „გლობალური ომის პარტიად“ ან/და მათ აგენტებად, მტრებად და მოღალატეებად მოიხსენიებს. პარლამენტში რამდენიმე მწვავე დაპირისპირების შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ ერთგვარ პოლიტიკად ჩამოაყალიბა, რომ მათთვის პრორუსის წოდებისთვის [დედის გინება](#) პასუხია და ვინც პრორუსს დაუძახებს, [მიიღებს](#) ცხვირ-პირში ჯერ მორალურად და თუ არ მოისვენებს, შეიძლება ცოტა მეტიც მიიღოს“. პარლამენტში განხილვების დროს გაიზარდა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირებების შემთხვევები. „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციურ პარტიებს შორის რიტორიკის მეტად გამწვავება სპირალურ ხასიათს იძენს და საგანგაშო ტენდენციაა. ეს კი განსაკუთრებით იმ ფონზე ხდება, როცა ევროკავშირი დეპოლარიზაციისთვის ერთ-ერთ საფუძვლად სწორედ მწვავე რიტორიკის დასრულებას მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ევროკავშირის საქართველოში პოლარიზაციის წახალისება [დააბრალა](#) ოპოზიციასთან შეხვედრების გამართვის გამოც. ოპოზიციური პარტიების ბრიუსელსა და სტრასბურგში ვიზიტის კომენტარებისას 2023 წლის 20 მარტს მან [განაცხადა](#), რომ „ძალიან იმედგაცრუებულია“ როდესაც „რადიკალური დაჯგუფების წევრებს ბრიუსელისა და სტრასბურგის კორიდორებში“ ხედავს, რადგან „ეს არის რადიკალიზმის პირდაპირ წახალისება“ და თუ რადიკალიზმი წახალისებული იქნება, „არანაირ დეპოლარიზაციაზე საუბარი შესაძლებელი არ იქნება“. „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა, კახა კალაძემ, პოლარიზაციის წახალისებაში „ე.წ. ჩვენი მეგობრები“ (კონკრეტულად დაასახელა ევროპარლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი) [დაადანაშაულა](#), რომლებიც საქართველოს ერთი მხრივ დეპოლარიზაციისკენ მოუწოდებენ, ხოლო მეორე მხრივ, პოლარიზაციას, რადიკალური ჯგუფების დაფინანსებას ხელს უწყობენ.

„ქართული ოცნების“ დეპუტატმა, ირაკლი ქადაგიშვილმა კი აშშ-ის მიერ 4 ქართველი მოსამართლის დასაწესიერებას [დააბრალა](#) „რეკომენდაციების შესრულების პროცესში შიდაპოლიტიკური რადიკალიზმისა და პოლარიზაციის“ გაღრმავება.

პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, [შეფასებით](#), „შეცდომა იყო, საქართველოს კანდიდატის სტატუსი რომ არ მისცეს ავანსად, როგორც მოლდოვას და უკრაინას“, რადგან შედეგად პოლარიზაციამ მოიმატა. ამის მაგალითად ღარიბაშვილმა დაასახელა „დესტაბილიზაციის მცდელობები“ 2022 წლის ივნისის აქციების დროს, და 2023 წლის მარტის აქციები“ ასევე ის, რომ ოპოზიციონერი პარლამენტარები არ მონაწილეობენ „12 რეკომენდაციების შესრულების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში“. აქედან გამომდინარე, ღარიბაშვილის განცხადებით, „თუ ევროპას რეალურად სურს პოლარიზაციის დასრულება, საქართველოს კანდიდატის სტატუსი უნდა მიანიჭოს“, რადგან „ეს მოხსნის

სპეკულაციებს და დაასრულებს ოპოზიციის დესტრუქციულ, რადიკალურ ქმედებებს“.

ამასთან, გადატრიალების მცდელობის თაობაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადების კვალდაკვალ, მმართველმა პარტიამ ღიად და პირდაპირ დაადანაშაულა აშშ არეულობის ინსპირაციის დაფინანსებაში. შალვა პაპუაშვილმა ამას საქართველოს მიმართ ამერიკის დახმარების ისტორიის „შავი დღე“ [უწოდა](#), ხოლო ირაკლი კობახიძემ [შემფოთება გამოთქვა](#) იმის გამო, რომ USAID საქართველოში „რევოლუციის ექსპერტების“ ჩამოსვლას აფინანსებს.

შალვა პაპუაშვილმა USAID საქართველოში გამართულ არჩევნებში ჩარევაშიც [დაადანაშაულა](#). როგორც მან აღნიშნა, USAID-ის დაფინანსებული ორგანიზაცია პარალელური დათვლის ყალბ შედეგებს ავრცელებდა, ხოლო თავად USAID-ის „ჩინოვნიკებმა“ ეს იცოდნენ და უმაღლესდნენ ქართულ საზოგადოებას. შალვა პაპუაშვილი ასევე გააკრიტიკა „ევროპული ფონდი დემოკრატიისთვის“ (EED) „ფარული“ საქმიანობა საქართველოში და „სამწუხარო ფაქტი“ რომ ევროკავშირი ერთი მხრივ დეპოლარიზაციისკენ მოუწოდებს საქართველოს, მეორე მხრივ კი EED-ს მეშვეობით საქართველოში ექსტრემიზმს ახალისებს.

[ოპოზიციური პარტიებისა](#) და [სამოქალაქო საზოგადოების](#) წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად აკრიტიკებენ მმართველი პარტიის ანტიდასავლურ რიტორიკას და მიიჩნევენ, რომ ის მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს.

„ქართული ოცნების“ ოფიციალური პოზიცია დეპოლარიზაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით

დეპოლარიზაციის პრიორიტეტის შესრულებასთან დაკავშირებით მმართველმა პარტიამ ევროკავშირის 12 პრიორიტეტის განხორციელების პროგრესის შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშის თანახმად:

„ევროკავშირის რეკომენდაციების განხორციელების კონსტრუქციულმა სამუშაო პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკურ დეპოლარიზაციას საქართველოში. პარლამენტის თავმჯდომარემ ყველა საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიას მისცა პროცესში კონსტრუქციული ჩართულობის შესაძლებლობა, შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნა ინკლუზიურობის პრინციპი და ღია კარის პოლიტიკა.

მართლაც, პარლამენტში ევროკავშირის რეკომენდაციებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე კენჭისყრის შედეგები აჩვენებს, რომ საპარლამენტო საქმიანობა შედარებით კონსტრუქციულ გარემოში მიმდინარეობდა (პოლიტიკური ფრაქციიდან/ჯგუფიდან და პარლამენტის დამოუკიდებელი წევრებიდან 7 სისტემატიურად მონაწილეობდა კენჭისყრებში). პროცესი გრძელდება.

ამასთან ერთად, პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირების გზების მოსაძებნად, პარლამენტის თავმჯდომარე აგრძელებს რეგულარულ

შეხვედრებს პოლიტიკურ მოთამაშეებთან.

აგრეთვე, მიმდინარეობს მედიაში პოლარიზაციის ხელშემწყობი განცხადებების მონიტორინგი.“

2023 წლის 4 ივლისს ირაკლი კობახიძემ, საზოგადოებისთვის 12 პრიორიტეტის შესრულების ანგარიშის წარდგენისას [განაცხადა](#), რომ ხორციელდება „პოლარიზაციის მონიტორინგი“, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ ეფექტიანობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია მონიტორინგში სხვადასხვა შესაბამისი სუბიექტის ჩართულობა. უხემ რიტორიკასთან დაკავშირებით კობახიძემ განაცხადა, რომ ეს რთული საკითხია და საჭიროა მსჯელობა, თუ როგორ შეიძლება გამოსწორდეს. რაც შეეხება „19 აპრილის შეთანხმებას“, ირაკლი კობახიძის აზრით, შეთანხმების ძირითადი ელემენტები იყო უმრავლესობის მხრიდან ოპოზიციის სათანადო ჩართულობის უზრუნველყოფა საპარლამენტო მუშაობაში და ოპოზიციის მხრიდან პარლამენტის მუშაობაში ჩართვა. „ქართული ოცნების“ თანახმად, მათ პირობის თავისი ნაწილი შეასრულეს.

აღსანიშნავია, რომ მთელი პროცესის განმავლობაში „ქართული ოცნების“ ლიდერები [ამბობდნენ](#), რომ დეპოლარიზაცია იყო ერთადერთი მოთხოვნა 12 პუნქტიდან, რომლის შესრულების პასუხისმგებლობა დიდწილად ოპოზიციას ეკისრებოდა. ირაკლი კობახიძის [შეფასებით](#), „პოლარიზაციის ინიციატორები ყოველთვის არიან სწორედ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები“. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილი, პრობლემას არა პოლარიზაციაში, არამედ რადიკალიზაციაში ხედავს. მისი [განცხადებით](#), „სიტუაციიდან არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი - დერადიკალიზაცია, ანუ რადიკალური ჯგუფების მიერ დემოკრატიული ინსტიტუტების აღიარება და რადიკალური დღის წესრიგის უარყოფა. ამის მიღწევის ერთადერთი გზა კი დემოკრატიული ჩარჩოდან გასული ჯგუფების მიმართ მტკიცე და არაორაზროვანი პოზიციის დაკავებაა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ“. „ქართული ოცნების“ დეპუტატების განცხადებების თანახმად, ისინი ყველა პრიორიტეტს ასრულებდნენ, შეუსრულებელი კი მხოლოდ დეპოლარიზაციის პრიორიტეტი რჩება, რადგან აღნიშნულის ნება ოპოზიციას არ აქვს. პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ჯოზეფ ბორელთან გამართული შეხვედრის შემდეგ [განაცხადა](#), რომ „ბოლო 1 წლის განმავლობაში, რაც ეს რეკომენდაციები განისაზღვრა, პოლარიზაცია არათუ შემცირდა, არამედ პირიქით, მოიმატა“, რადგან „საქართველოში მოქმედი რადიკალური ძალები, ყველაზე ანტიევროპული ძალები, ცდილობენ საბოტაჟი მოუწყონ ამ პროცესს“.

პოლარიზაცია, როგორც 2024 წლის არჩევნების გასაღები „ქართული ოცნებისთვის“

„ქართული ოცნების“ დამოკიდებულება აჩვენებს, რომ მათთვის პოლარიზაციის მოგვარება პრიორიტეტული არ არის. უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ პოლარიზებული გარემოს შენარჩუნება „ქართულ ოცნებას“ აწყობს. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოში პირველად ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული წესით. სხვადასხვა დემოკრატიულ ქვეყნებში პროპორციული საარჩევნო სისტემა ხშირად სამთავრობო კოალიციების შექმნის საჭიროებას წარმოშობს, რადგან პარლამენტის მანდატების ნახევრის მოპოვება საკმაოდ რთულია. „ქართული ოცნება“ დღეს არსებული პოლიტიკური ველიდან არც ერთ პარტიას არ განიხილავს პოტენციურ პარტნიორად და

ერთპიროვნულად სურს მართვის გაგრძელება. შესაბამისად, არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ თითქმის ყოველი მეორე ხმის მოპოვება დასჭირდება, თუ არ ჩათვლით „ბარიერგდაულახავი“ პარტიების ხმების გადანაწილებას (მათი, ვინც 5%-იან საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავს). შესაბამისად, ერთპარტიული მმართველობის შესანარჩუნებლად „ქართულ ოცნებას“ მკვეთრად პოლარიზებული პოლიტიკური გარემო აძლევს ხელს.

შედეგად, პოლარიზაცია მმართველი პარტიის ხელში უფრო და უფრო მეტად იქცა პოლიტიკის ინსტრუმენტად. „ქართული ოცნება“ ცდილობს ყველა ოპოზიციური პარტია „ერთ ქვაბში მოხარშოს“ და დამოუკიდებელი იდენტობა წაართვას მათი „კოლექტიურ ნაც-მოძრაობად“ მონათვლით, რომელიც, მათი თქმით, ბოროტების სათავეა და უნდა [განეიტრალდეს](#). მმართველი პარტიის ლიდერების [განცხადებით](#), „კოლექტიურ ნაცმოძრაობაში“ მოიაზრება: „ლელო“, გახარიას პარტია [„საქართველოსთვის“], ვაშაძის პარტია [„სტრატეგია აღმაშენებელი“], ზურა ჯაფარიძე [„გირჩი - მეტი თავისუფლება“], ხოშტარია [„დროა“] და ა.შ.“ აქედან გამომდინარე, მმართველი გუნდის ამოცანაა არა მხოლოდ „ნაცმოძრაობის“, როგორც პოლიტიკური პარტიის, არამედ „კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ განეიტრალება.

ჯერჯერობით დეპოლარიზაციის კუთხით ევროკავშირის მიერ გარკვეულ პროგრესად მხოლოდ ოპოზიციის მიერ საპარლამენტო ბოიკოტის დასრულება და რამდენიმე კანონის მრავალპარტიული მხარდაჭერით მიღება სახელდება, რაც, ბუნებრივია, პოზიტიური, მაგრამ არასაკმარისი მოვლენებია. საერთო ჯამში ევროკავშირის მიერ 12 პრიორიტეტის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოში პოლარიზაციის ხარისხი არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა. რაც უფრო საგანგაშოა, ამჟამად ხელისუფლების მხრიდან არ ჩანს პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულების პოლიტიკური ნება. მეტიც, წინასაარჩევნოდ პოლიტიკური მიზნებისთვის პოლარიზაციის ინსტრუმენტალიზაცია ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ არსებულ ვითარებაში დეპოლარიზაციის მხრივ ოპტიმიზმის საფუძველი მცირეა, საქართველოში პოლიტიკურ ძალებს შორის შეთანხმების პრეცედენტები ახლო წარსულში არსებობს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „19 აპრილის შეთანხმება“, რომელიც ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მედიაციით იქნა მიღწეული. აღსანიშნავია, რომ „19 აპრილის შეთანხმება“ იმავე სუბიექტებმა მიაღწიეს, რომლებიც დღეს არიან პოლიტიკური სპექტრის მთავარი აქტორები. ამდენად, მცირეოდენი პოლიტიკური ნების შემთხვევაში, დეპოლარიზაციის და სხვადასხვა თემებზე შეთანხმების პროცესის დაწყება შეუძლებელი ნამდვილად არ არის. ბუნებრივია, პოლიტიკური პარტიები ყველა საკითხზე ვერ შეთანხმდებიან და პლურალიზმი დემოკრატიისთვის კარგიცაა, თუმცა საჭიროა არსებობდეს კონსენსუსი სტრატეგიულ (მაგალითად, ევროინტეგრაცია) და საბაზო (მაგალითად, დემოკრატიული ნორმების დაცვა, მათ შორის, სამართლიანი არჩევნების ჩატარება და სასამართლოს დამოუკიდებლობა) საკითხებსა და თამაშის წესებზე, რათა დაპირისპირებამ რადიკალური სახე არ მიიღოს და სადავო საკითხების ირგვლივ კონსტრუქციული და ჯანსაღი დებატები მიმდინარეობდეს.

* * *

ჩვენი შეფასებით, დეპოლარიზაციის მოთხოვნა შესასრულებელია, რადგან ყველა ის ფაქტორი, რამაც, პირველ რიგში, გამოიწვია პოლარიზაცია, ისევ ადგილზეა. კერძოდ,

მმართველი პარტიის დეკლარირებული პოზიცია, რომლის მიხედვით ყველა „ბოროტების“ სათავე არის პოლიტიკური ოპოზიცია, კერძოდ კი „ნაციონალური მოძრაობა“, არ შეცვლილა. ასევე, შეუცვლელია პოზიცია, რომ ყველა სხვა ოპოზიციური პარტია პირდაპირ დამოკიდებულია, ან დაქვემდებარებულია „ნაციონალურ მოძრაობაზე“. ეს მიდგომა ახდენს პოლიტიკური ოპონენტების დესუბიექტიზაციას და ყველა პოლიტიკურ ოპონენტს „ერთ ქვაბში აქცევს“, რაც რეალურად წარმოადგენს პოლარიზაციის ერთ-ერთ მთავარ წყაროს. ხელისუფლების მხრიდან გაზრდილია ანტიდასავლური რიტორიკა და რადიკალური დამოკიდებულება პოლიტიკური ოპონენტების, კრიტიკული მედიის და სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო პარტნიორების (აშშ, ევროკავშირი) მიმართ. კვლავ გრძელდება რიტორიკა, რომელიც პოლიტიკურ ოპონენტებს ადანაშაულებს ომის სურვილში, მეორე ფრონტის გახსნასა და [ევროინტეგრაციის](#) და [12 პრიორიტეტის](#) პროცესის [საბოტაჟში](#). ხელისუფლების მხრიდან ხშირია პოლიტიკური ოპონენტების „დალატში“ და „ჯაშუშობაში“ დადანაშაულება და სახელისუფლებო პროპაგანდისტული მედიის გამოყენება ოპონენტების „გასაშაველად“¹.

დეპოლარიზაციის პრიორიტეტის შესრულებას ხელს შეუწყობდა:

- საარჩევნო ბარიერის 2%-მდე შემცირება და პარლამენტში ძალაუფლების განაწილების სქემის დანერგვა, როგორც ეს გათვალისწინებულია „მარლ მიშელის შეთანხმებაში“;
- 19 აპრილის შეთანხმების სხვა ნაწილების შესრულება, მათ შორის „ქართული ოცნების“ მიერ ცესკო-ს დაკომპლექტების წესის ცვლილების უკან წაღება, რის შესახებაც მმართველ პარტიას ევროკავშირმაც მოუწოდა, და შეთანხმებით გათვალისწინებულ წესზე დაბრუნება;
- პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების კრიტიკული მედიის ხელმძღვანელების, დამფუძნებლებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ შეწყვეტა. აქვე აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ წარმოებული საქმეები პასიურ ფაზაში გადავიდა;
- ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საკითხის მოგვარება;
- მმართველი პარტიისა და ოპოზიციის მხრიდან ერთმანეთის მიმართ რადიკალური, მტრის ხატის შემქმნელი რიტორიკის შეწყვეტა;
- „ქართული ოცნების“ ლიდერების მიერ ოპოზიციურად განწყობილ ტელევიზიებზე პოლიტიკურ გადაცემებსა და დებატებში მონაწილეობა და ზოგადად კრიტიკულ მედიასთან თანამშრომლობის განახლება; ასევე, სამთავრობო ტელევიზიებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის აღდგენა;
- საპარლამენტო დანიშვნებზე, რომლებზეც მაღალი კვორუმი საჭირო, კონსენსუსის ჩამოყალიბება;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის საქმიანობისთვის ხელის

¹ აღსანიშნავია, რომ 2023 წელს Facebook-მა საქართველოს მთავრობის სტრატეგიასთან დაკავშირებული 100-ზე მეტი ყალბი ანგარიში და გვერდი [წაშალა](#), რომლებიც ჩართულნი იყვნენ ოპოზიციის დისკრედიტაციის კამპანიაში „განსაკუთრებით ბოლოდროინდელი ე.წ. „უცხოური აგენტების“ კანონპროექტის შესახებ სახალხო პროტესტის დროს“.

შემზღელი კანონების არმიღება და კონფრონტაციული რიტორიკის/ქმედებების შეწყვეტა;

- შეკრებებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა;
- „ქართულმა ოცნების“ მიერ ოპოზიციის ინიციატივებისათვის, შექმნას სასამართლოსთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიები, ხელის არშეშლა.

პრიორიტეტი N 2 საარჩევნო და ინსტიტუციური რეფორმები

“ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მათი დამოუკიდებლობისა და ეფექტიანი ანგარიშვალდებულების, ისევე როგორც მათი დემოკრატიული ზედამხედველობის ფუნქციების გაძლიერება და საარჩევნო ჩარჩოს გაუმჯობესება, ეუთო/ოდირის და ევროპის საბჭოს/ვენეციის კომისიის მიერ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა”

ევროკავშირის მიერ განსაზღვრული მეორე პრიორიტეტი მოიცავს, ერთი მხრივ, საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებას, ხოლო, მეორე მხრივ, ეუთო/ოდირის და ევროსაბჭოს/ვენეციის კომისიის მიერ აღწერილი ხარვეზების აღმოფხვრის გზით საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესებას.

საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების კუთხით, ევროკავშირი მოითხოვს, რომ: **[ხელისუფლებამ] უზრუნველყოს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულყოფილი მუშაობა, გააძლიეროს მათი დამოუკიდებლობა და ეფექტიანი ანგარიშვალდებულება, ასევე მათი დემოკრატიული ზედამხედველობის ფუნქციები.**

შესავალი

ანგარიშვალდებულების და დემოკრატიული ზედამხედველობის კომპონენტთან დაკავშირებით „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან სამუშაო ჯგუფი შექმნა. პარლამენტში ევროკომისიის პრიორიტეტების შესასრულებლად შექმნილი სხვა სამუშაო ჯგუფებისგან განსხვავებით, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ უზრუნველყო სამუშაო ჯგუფში ყველა დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის მონაწილეობა და გაითვალისწინა საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციების ნაწილი.²

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მომზადებული ცვლილებები საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში და სხვა დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებში პარლამენტმა სამი მოსმენით 2022 წლის 2 ნოემბერს [მიიღო](#). ეს [ცვლილებები](#) მოიცავს შემდეგ საკითხებს: თემატური მოკვლევის, დეპუტატის შეკითხვის, ინტერპელაციის, პრემიერ-მინისტრის ანგარიშის, მინისტრის საათის, კომიტეტებზე თანამდებობის პირების სავალდებულო გამოცხადებისა და ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლს, პასუხის გაცემის და დაბარების და ინტერპელაციის ვადების [შემცირება და გამკაცრება](#), და თემატური მოკვლევის წამოწყების უფრო [გაადვილება](#).

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ინტერპელაციების რაოდენობა წელიწადში 4-დან 8-მდე გაიზარდა²; „მინისტრის საათის“ ფორმატში პარლამენტში წარდგენამდე, მინისტრებს დაევალებათ მოხსენების წერილობითი ფორმით პარლამენტისთვის გაზიარება სხდომაზე გამოსვლამდე 5 დღით ადრე მაინც, რაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეკომენდაციასაც წარმოადგენდა³; კომიტეტების თავმჯდომარეებს დაევალებათ, ფრაქციების მიმართვიდან ან კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 დღისა მთავრობის შესაბამისი წარმომადგენლისთვის საკომიტეტო მოსმენაზე გამოსაცხადებლად მოთხოვნის გადაგზავნა⁴; პარლამენტარის შეკითხვაზე პასუხის გაცემის ვადა 15 დღიდან 10 დღემდე შემცირდა (თუ

² საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 149.5

³ იქვე, მუხლი 153.1

⁴ იქვე, მუხლი 40.4

ვერ ხერხდება 10 დღეში პასუხის გაცემა, ადეკვატური დასაბუთების შემთხვევაში, შესაძლებელია შემდგომი 10 დღით პასუხის გაცემის ვადის გახანგრძლივება)⁵; თემატური მოკვლევის დასაწყებად საკმარისი გახდა კომიტეტზე დამსწრე პარლამენტართა უმეტესობის თანხმობა (კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ნაცვლად)⁶; თემატური მოკვლევის ვადად განისაზღვრება 3 თვე, მაქსიმუმ 2 თვის ვადით გახანგრძლივების პერსპექტივით⁷; რეგლამენტში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის წარდგენა მხოლოდ სამსახურის უფროსის ვალდებულება იქნება და არა ასევე მისი მოადგილის, რაც დანერგილ პრაქტიკას წარმოადგენდა.⁸

რეგლამენტში ცვლილებები არ შეხებია წინა მოწვევის პარლამენტის მიერ გაუქმებულ წესს ფრაქციის მიერ მინისტრების დაბარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის ძალადაკარგული რეგლამენტის⁹ მიხედვით, 2019 წლამდე საქართველოს მთავრობის წევრი, ასევე პარლამენტის მიერ არჩეული ყველა თანამდებობის პირი, ვალდებული იყო დასწრებოდა ფრაქციის სხდომებს და წარედგინა გაწეული საქმიანობის ანგარიში. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო ფრაქციის მიერ პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების დაბარება იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საპარლამენტო ზედამხედველობის ინსტრუმენტი საპარლამენტო ოპოზიციის ხელში, ოპოზიციის მიერ დაბარებული მინისტრები პარლამენტში ხშირად არ ცხადდებოდნენ. 2019 წლის პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებებით საპარლამენტო ზედამხედველობის ეს ინსტრუმენტი საერთოდ გაუქმდა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებულ ცვლილებები არასაკმარისად მიიჩნია, თუმცა მხარი დაუჭირა საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა. პოლიტიკური პარტია „გირჩის“ [განცხადებით](#), მხოლოდ რეგლამენტში ასახული ცვლილებები არ უზრუნველყოფდა საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებას.

პარლამენტის ანგარიშვალდებულების გაზრდის კუთხით პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატების შალვა შავგულიძის, დავით უსუფაშვილისა და ანა ნაცვლიშვილის მიერ შემოთავაზებული ინიციატივა, რომელიც ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ ინიცირებული კანონპროექტების დიდი ხნის განმავლობაში „თაროზე შემოდების“ პრაქტიკის შეცვლას ისახავდა მიზნად, საპარლამენტო უმრავლესობამ [არ მოიწონა](#). შემოთავაზებული ცვლილების თანახმად, კანონპროექტის ინიციატორს უფლება ენიჭებოდა მისი პროექტი პლენარულ სხდომაზე განსახილველად წამყვანი კომიტეტის დასკვნის გარეშე გაეტანა, თუ წამყვანი კომიტეტი კანონპროექტს ბიუროს მიერ დადგენილ ვადაში არ განიხილავდა.

მმართველმა პარტიამ არც სხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მოსაზრებები გაიზიარა: მათ შორის, „ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივა ნდობის ჯგუფის წევრებისთვის უფლებამოსილების [გაზრდის](#) (განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომას) და პარტია „მოქალაქეების“ შეთავაზება „მინისტრის საათის“ ფარგლებში გამართული კითხვა-პასუხის წესში [ცვლილებების](#) შეტანის შესახებ.

ანგარიშვალდებულების და დემოკრატიული ზედამხედველობის გაძლიერებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები და შეფასებები წარადგინეს არასამთავრობო

⁵ იქვე, მუხლი 148.4

⁶ იქვე, მუხლი 155.2

⁷ იქვე, მუხლი 155.8

⁸ იქვე, მუხლი 171.1.

⁹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია, მუხლი 94.3

ორგანიზაციებმაც.

საპარლამენტო უმრავლესობამ გათვალისწინა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის [რეკომენდაციების](#) ნაწილი, თუმცა, არა ყველა. მმართველმა გუნდმა არ გაითვალისწინა საია-ს რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა ინტერპელაციის უნდობლობის პროცედურასთან დაკავშირებას; „მინისტრის საათთან“ ერთად, ე.წ. სამთავრობო საათის პროცედურის დანერგვას; ფრაქციებისთვის თანამდებობის პირების (პრემიერ-მინისტრი, გენერალური პროკურორი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი) დაბარების შესაძლებლობის მიცემას; ყველა თემატური მოკვლევის ვადის ინდივიდუალურად განსაზღვრას; ცალკეული მინისტრისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას; მთავრობის შემადგენლობის კონკრეტული რაოდენობით განახლების შემთხვევაში, პარლამენტის ნდობის განმეორებით მიღების აუცილებლობას და ნორმატიული აქტების აღსრულებაზე კონტროლის გაუმჯობესებას.

პარლამენტმა [გათვალისწინა](#) დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის [რეკომენდაცია](#), რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წლიური ანგარიშის პარლამენტისთვის წარდგენა მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ვალდებულებად უნდა განსაზღვრულიყო. თუმცა, რეგლამენტით განსაზღვრული ვალდებულების მიუხედავად, 2023 წლის 7 ივლისს, თავდაცვისა და უშიშროების, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე პარლამენტის წევრებს ანგარიში ისევ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ [წარუდგინა](#), რაც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დარღვევას წარმოადგენს.

პარლამენტმა არ განიხილა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის სხვა რეკომენდაციები, რომლებიც უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებას ეხებოდა, იმ მოტივით, რომ ამ საკითხებზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შეიქმნებოდა სამუშაო ჯგუფი. თუმცა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფს სამართალდამცავ სტრუქტურებზე ზედამხედველობის გაძლიერების კუთხით მუშაობა არ გაუწევია.

რა შეიცვალა პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შემდეგ?

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული დადებითი ცვლილებების მიუხედავად, საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების კუთხით შესასრულებელი დარჩა არაერთი საკითხი. მათ შორის, საპარლამენტო ოპოზიციისთვის საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების გაზრდა (დღეს კონტროლის მექანიზმების ამოქმედება დამოკიდებულია საპარლამენტო უმრავლესობის თანხმობაზე); ნდობის ჯგუფის დაკომპლექტებასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება; ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის მხრიდან, რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების ამოქმედება და სხვ.¹⁰

ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების მიზნით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შემდეგ, სახელმწიფო უწყებების დამოუკიდებლად ფუნქციონირებისა და მათზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელების კუთხით

¹⁰ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2023, „ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების შეფასება“, გვ. 12, ხელმისაწვდომია <https://shorturl.at/ahuM8>

მნიშვნელოვანი გარდატეხა არ მომხდარა.

2023 წლის 22 ივლისს, სამი ქვეყნის - საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას მიერ პრიორიტეტების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით, შუალედური ზეპირი შეფასების წარმოდგენისას, ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ოლივერ ვარჰეიმ მე-2 პრიორიტეტთან დაკავშირებით [აღნიშნა](#), რომ გარკვეული პროგრესის მიუხედავად, „საქართველომ უნდა გააუმჯობესოს საპარლამენტო ზედამხედველობა.“

სდადებითი ტენდენციის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების¹¹ საფუძველზე, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა პარლამენტის წევრის კითხვაზე რეაგირების შესახებ მონიტორინგი დაიწყო.

ჯამში, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების ძალაში შესვლიდან (2022 წლის ნოემბრიდან) 2023 წლის აგვისტომდე, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 3 ანგარიში მოამზადა - 2022 წლის დეკემბერში, 2023 წლის აპრილსა და ივნისში. ანგარიშების მიხედვით, საპარლამენტო კონტროლის მექანიზმს - პარლამენტის წევრის კითხვას, პარლამენტარები აქტიურად იყენებენ. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ანგარიშებში მოცემულია საჯარო დაწესებულებების მხრიდან პასუხგაუცემელი კითხვების რაოდენობა, აგრეთვე, სტატისტიკური ინფორმაცია პარლამენტის წევრის კითხვაზე პასუხის გაცემის ვადის დარღვევისა და არაუფლებამოსილი პირების მიერ გაცემული პასუხების შესახებ.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის 2022 წლის 4 აპრილის ანგარიშის თანახმად, 2022 წლის 1 დეკემბრიდან 2023 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, პარლამენტის წევრების 2,594 შეკითხვა გაიგზავნა სხვადასხვა უწყებაში. აქედან პასუხი გაეცა 2,038 კითხვას (დაახლოებით 79%). 556 კითხვაზე (გაგზავნილი კითხვების 21%) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებს პასუხი არ გაუციათ.¹²

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მესამე, უახლესი [ანგარიშის](#) მიხედვით, 2023 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 31 მაისის ჩათვლით, სახელმწიფო უწყებებს “სულ გაეგზავნა პარლამენტის წევრის 514 კითხვა, რომელთაგან 105 წერილობით კითხვაზე არ არის გაცემული პასუხი, რაც კითხვების საერთო რაოდენობის 20%-ს წარმოადგენს”¹³;

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მიხედვით, რომელზეც პროაქტიულად ქვეყნდება ინფორმაცია პარლამენტის წევრის შეკითხვისა და მიღებული პასუხების შესახებ, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი დეპუტატების შეკითხვებს საჯარო ინსტიტუტები, ხშირად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი ვადის დარღვევით, ან საერთოდ არ პასუხობენ.¹⁴

¹¹ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 148.8

¹² Parliament.ge, „საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში პარლამენტის წევრის კითხვაზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს,“ 4 აპრილი, 2023, ხელმისაწვდომია <https://shorturl.at/cvEIR>

¹³ საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ინფორმაცია პარლამენტის წევრის კითხვაზე რეაგირების შესახებ, 23 ივნისი, 2023, ხელმისაწვდომია <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/zedamxedveloba/parlamentis-wevris-kitxva/reagireba/info-23.06.23.pdf>

¹⁴ მაგალითად, 2022 წლის 22 დეკემბრიდან 2023 წლის 8 მაისის ჩათვლით, სახელმწიფო უწყებებმა არ უპასუხეს ოპოზიციონერი დეპუტატის თეონა აქუბარდიას არაერთ სადეპუტატო კითხვას. იხ. <https://parliament.ge/supervision/deputy-question>

გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვალდებულების მიუხედავად, საპარლამენტო ოპოზიცია ვერ ახერხებს საქართველოს მთავრობის წევრების კომიტეტის სხდომაზე დაბარებას. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, რომელიც პარლამენტიდან მიღებულ საჯარო ინფორმაციას ეყრდნობა, პოლიტიკური ჯგუფის „რეფორმების ჯგუფის“ 2023 წლის 30 მარტის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე მოწვეულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. ასევე, საანგარიშო პერიოდში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტზე მოიწვიეს საქართველოს თავდაცვის მინისტრი პოლიტიკური ჯგუფების – „რეფორმების ჯგუფის“ და „საქართველოსთვის“ მოთხოვნის საფუძველზე.

მიუხედავად რეგლამენტით დადგენილი ვალდებულებისა, არცერთი თანამდებობის პირი არ დაესწრო საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომას. პარლამენტიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით, სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზად ორივე თანამდებობის პირმა აღნიშნულ პერიოდში საზღვარგარეთ ოფიციალური ვიზიტი დაასახელა.¹⁵

საანგარიშო პერიოდში „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ ოპოზიციას ხელოვნური დაბრკოლებები შეუქმნა პარლამენტში საგამოძიებო კომისიების შექმნის კუთხითაც. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის¹⁶ მიხედვით, პარლამენტი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით, რაც საპარლამენტო ოპოზიციის ხელში საპარლამენტო ზედამხედველობის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო ოპოზიციამ შეძლო საგამოძიებო კომისიის შესაქმნელად აუცილებელი 50 ხმის მოზილიზაცია, საპარლამენტო უმრავლესობამ სასამართლო სისტემაში კორუფციულ და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის ხელის შეშლის მიზნით, კენჭისყრის წინ სავალდებულო რეგისტრაცია ერთი კვირის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ არ გაიარა;¹⁷ ხოლო მომდევნო სასესიო კვირას დღის წესრიგიდან ამოიღო.¹⁸ „ქართული ოცნება“ ანალოგიურად მოიქცა საპარლამენტო ოპოზიციის მიერ ინიცირებული დადგენილების „ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ თაღლითური „ქოლცენტრების“ მეშვეობით ჩადენილი ტრანსნაციონალური დანაშაულებისა და მათზე შესაძლო არასათანადო რეაგირების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ პროექტის [ჩასაგდებად](#), არ გაიარა რა კენჭისყრის წინ სავალდებულო რეგისტრაცია.

ევროკავშირის მეორე პრიორიტეტის ანგარიშვალდებულების და დემოკრატიული ზედამხედველობის კომპონენტზე შეიძლება ითქვას, რომ ის ნაწილობრივ შესრულდა, რადგან საკანონმდებლო ცვლილებების უმრავლესობამ, მართალია, საკანონმდებლო მოწესრიგების კუთხით არსებული მდგომარეობა გააუმჯობესა, თუმცა არ მომხდარა საპარლამენტო ანგარიშვალდებულების თვისობრივად გაზრდა.

¹⁵ საქართველოს პარლამენტის აპარატის წერილი, N 5707/2-7/23

¹⁶ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 62.1

¹⁷ რადიო თავისუფლება, 2023, „ამ კვირაში მოსამართლეთა საქმიანობაზე საგამოძიებო კომისიის შექმნას კენჭს არ უყრიან, ამბობს პაპუაშვილი“, ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/32387051.html>

¹⁸ იქვე.

ევროკავშირის მეორე პრიორიტეტი ასევე მოიცავს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებასა და ეუთო/ოდირ-ის და ევროპის საბჭო/ვენეციის კომისიის მიერ ამ პროცესებში გამოვლენილი ყველა ხარვეზის [აღმოფხვრას](#).

საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხი

მეორე პრიორიტეტის საარჩევნო კომპონენტში განსაკუთრებით [მნიშვნელოვანია](#) საარჩევნო ბარიერის შემცირების საკითხი. ამისთვის საჭიროა საპარლამენტო არჩევნების ბარიერის 2%-მდე დასაწევად საკონსტიტუციო ცვლილების მეორე და მესამე მოსმენით მიღება, როგორც ეს იყო შეთანხმებული 19 აპრილის ე.წ. „შარლ მიშელის დოკუმენტში“. 2021 წელს, „შარლ მიშელის დოკუმენტის“ ხელმოწერიდან მალევე, „ქართულმა ოცნებამ“ ეს საკონსტიტუციო ცვლილება პირველი მოსმენით მიიღო, თუმცა შემდეგ პროცესი გაჩერდა. „ქართული ოცნების“ პოზიციაა, რომ საარჩევნო ბარიერის შემცირება არ უკავშირდება ევროკავშირის მეორე პირობას და საერთოდ ევროკავშირის მოთხოვნების მიღმაა. უფრო მეტიც, ქართული ოცნების ლიდერების [განცხადებით](#), ბარიერის დაწევა შეიძლება განხილული იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველო მიიღებს ევროკავშირისგან კანდიდატის სტატუსს. სხვა განცხადებებში „ქართული ოცნების“ ლიდერებს ნათქვამი [აქვთ](#), რომ თუ ოპოზიცია ნაბიჯებს გადადგამს დეპოლარიზაციის კუთხით, ეს დაეხმარება მათ მიიღონ გადაწყვეტილება საარჩევნო ბარიერის შემცირებასთან დაკავშირებით. როგორც პირველი პრიორიტეტის თავში იყო აღნიშნული, 2022 წელს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, საარჩევნო ბარიერის დაწევა წლის ბოლომდე კანდიდატის სტატუსის მიღებას დაუკავშირა. ხოლო „ქართული ოცნების“ ლიდერების 2023 წელს გაკეთებული განცხადებების თანახმად, ირაკლი კობახიძის დაპირება 2022 წელს სტატუსის მიღებას ეხებოდა და 2023 წელს კანდიდატის სტატუსის მიღებასთან კავშირში აღარაა. შესაბამისად, ამჟამად „ქართული ოცნება“ საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხს არ განიხილავს.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც „ქართული ოცნება“ არ არის დაინტერესებული საარჩევნო ბარიერის შემცირებით არის ის, რომ 5%-იანი ბარიერის შენარჩუნების პირობებში, სავარაუდოდ, რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას, რომელთა რეიტინგი წინა არჩევნებზე 2-5%-ს შორის იყო, შეიძლება გაუჭირდეს საარჩევნო ბარიერის გადალახვა. ეს გაუნაწილებელი ხმები კი, 5%-იან ბარიერგადალახულ პარტიებს შორის განაწილდება, რაც საშუალებას მისცემს „ქართულ ოცნებას“ წაიღოს ამ ხმების გარკვეული ნაწილი და ამის მეშვეობით უფრო მარტივად მოახერხოს მთავრობის ფორმირება და ერთპარტიული მმართველობის შენარჩუნება.

განახლებული საარჩევნო კოდექსი და ვენეციის კომისიის მოსაზრება

„ქართულმა ოცნებამ“ ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული პრიორიტეტების საპასუხოდ 2022 წელს საარჩევნო კოდექსში და შესაბამის კანონებში ცვლილებების მიღება დააანონსა. საარჩევნო საკითხებზე პარლამენტმა საკანონმდებლო [პაკეტი](#) საბოლოოდ 2022 წლის 22 დეკემბერს მიიღო. საპარლამენტო კომიტეტებში დამტკიცების და პლენარულ სესიაზე პირველი მოსმენით მიღების შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ პაკეტი ვენეციის კომისიას და

ეუთოს გადაუგზავნა მოსაზრებებისთვის. მანამდე საკანონმდებლო პაკეტი განიხილეს სამუშაო ჯგუფში, რომელშიც ასევე მიიწვიეს ოპოზიციის წარმომადგენლები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ ძირითადად საპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა (“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”, “ლელო”, “სტრატეგია აღმაშენებელი”) სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა არ მიიღეს, თუმცა განაცხადეს, რომ შეიმუშავებდნენ ალტერნატიულ კანონპროექტებს და მათ შესაბამის კომიტეტებს წარუდგენდნენ. ასევე ნიშანდობლივია, რომ “ქართულმა ოცნებამ” სამუშაო ჯგუფში არ ჩართო “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების” (ISFED) წარმომადგენელი, იმ მოტივით, რომ ეს ორგანიზაცია 2022 წელს ითხოვდა ხელისუფლების გადადგომას და დროებითი მთავრობის დანიშვნას.

ვენეციის კომისიამ 2022 წლის დეკემბერში [გამოაქვეყნა](#) თავისი შენიშვნები საარჩევნო კოდექსში წარდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით. კერძოდ, ვენეციის კომისიამ და ეუთოს ადამიანის უფლებების ბიურომ (ODIHR) ერთობლივ დასკვნაში აღნიშნეს, რომ ზოგიერთი ცვლილება იწვევდა შეშფოთებას, ზოგიერთი არ იყო ადეკვატურად განხილული, ხოლო ზოგი კვლავ საჭიროებდა ყურადღებას. „შეშფოთებასთან“ დაკავშირებულ ჩანაწერს პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილი არ დაეთანხმა და იმედი [გამოთქვა](#), რომ ეს შეფასება მხოლოდ ტექნიკური ლაფსუსი იყო.

ვენეციის კომისიამ თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ საარჩევნო ცვლილებას ესაჭიროება ფართო პოლიტიკური კონსენსუსი, რაც ამ ცვლილებებზე არ ყოფილა. ვენეციის კომისიამ გამოყო შემდეგი დამატებითი რეკომენდაციები:

- ა. საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოების ფორმირებისას რეკრუტირებისა და შერჩევის პროცესის უფრო მეტად გაძლიერება;
- ბ. ქალაქის მერობისა და მუნიციპალური საბჭოების კანდიდატებისთვის ბინადრობის კრიტერიუმის შემდგომი შემცირება;
- გ. ხმის მიცემის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისთვის რეგულირების ჩარჩოს მიღება;
- დ. გადათვლის ჩატარების მკაფიო და ყოვლისმომცველი კრიტერიუმების დადგენა;
- ე. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევის პროცესის გაუმჯობესება;
- ვ. პარტიის მიერ დანიშნული წევრებისთვის ტრენინგ სერტიფიცირების მოთხოვნების გაფართოება;
- ზ. სამართლებრივი კრიტერიუმებით განმარტება, თუ რომელ საარჩევნო უბნებზე იქნება გამოყენებული ელექტრონული საშუალებები;
- თ. ამომრჩევლების მაქსიმალური რაოდენობის შენარჩუნება იმ უბნებისთვის, სადაც გამოყენებული იქნება ელექტრონული საშუალებები;

ი. ხმის მიცემის ახალი ტექნოლოგიებისადმი საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბება;

კ. შეზღუდული გადაადგილების მქონე ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ადგილების ადაპტირება;

ლ. შეზღუდვების გაფართოება ბოლო ორი არჩევნების დროს პარტიასთან აფილირებულ დამკვირვებლებზე;

მ. უფრო სრულყოფილი და სისტემატური რეგულაციების შემოღება ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის;

ნ. საჩივრებისა და აპელაციების წარდგენისა და განხილვის ვადების მეტად გაფართოება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ [პოზიცია](#) იყო, რომ ვენეციის კომისიის მოსაზრებების უმრავლესობა ჯერ კიდევ 2021 წელს იქნა გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისიის მოსაზრებების ნაწილი „ქართულმა ოცნებამ“ კანონის მომდევნო რედაქციაში [გაითვალისწინა](#). კერძოდ, 2022 წლის 22 დეკემბერს კანონში შევიდა ცვლილებები, რომლითაც ვენეციის კომისიის დასკვნების შესაბამისად [მოწესრიგდა](#) შემდეგი საკითხები:

- ელექტრონული საშუალებების გამოყენებით კენჭისყრა;
- ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განხორციელება;
- კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურები;
- საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმისა და სახის დადგენა;
- საარჩევნო ბიულეტენების ციფრულ ფორმატში გადაყვანა;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა არჩევა;
- არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მონაწილეობის წესი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისა და ხელმძღვანელი პირის სერტიფიკატის წარდგენისგან გათავისუფლების დროებითი წესი.

ასევე საარჩევნო კანონპროექტებში [შევიდა](#) სხვა ცვლილებებიც. კერძოდ:

- პირველი სხდომის ჩატარება - კომისიის უფლებამოსილების ცნობა იმპერატიულად არჩევნებამდე 30-ე დღეს განხორციელდება;
- ელექტრონული საშუალებების გამოყენებით არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული ნორმები დეტალურად გაიწერება;

- ყველა ამომრჩეველი, მიუხედავად იმისა ტრადიციული ფორმით მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, თუ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, დაექვემდებარება მარკირებას;

- არჩევნების დასრულების შემდეგ ელექტრონული აპარატიდან ამობეჭდილი ფურცელი იქნება წინასწარი შედეგების შემაჯამებელი, ხოლო შემდგომში თითოეული კომისია მყისიერად დაიწყებს ბიულეტენების ხელით დათვლას, რაც შემაჯამებელი ოქმის სახით იქნება წარდგენილი;

ცვლილებები ასევე შეეხო ადგილობრივ დამკვირვებლებთან დაკავშირებით შეზღუდვების გამკაცრებასაც, საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადას და არასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ვადებს.

პარლამენტმა გადამუშავებული კანონპროექტი, რომელშიც ვენეციის კომისიის შენიშვნების დიდი ნაწილი გათვალისწინებული იყო, 2022 წლის 15 დეკემბერს 88 ხმით მეორე მოსმენით [მიიღო](#), ხოლო 22 დეკემბერს მესამე მოსმენით [დაამტკიცა](#). აღსანიშნავია, რომ ეს პაკეტი პარლამენტმა მრავალპარტიული მხარდაჭერით მიიღო და საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს მხარი [96-მა](#), ხოლო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში ცვლილებებს [93-მა](#) დეპუტატმა [დაუჭირა](#). პაკეტს მხარი არ დაუჭირეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და „საქართველოსთვის“ დეპუტატებმა, ხოლო მხარი დაუჭირეს „ევროპელმა სოციალისტებმა“, „ლელომ“, „გირჩმა“, „მოქალაქეებმა“ და „რეფორმების ჯგუფის“ დეპუტატებმა ხათუნა სამნიძემ და თეონა აქუბარდიამ.

საარჩევნო კანონის მთავარი სიახლე: არჩევნების ელექტრონული დათვლა

“ქართული ოცნების” მიერ წარდგენილ საარჩევნო ცვლილებებში მთავარ სიახლეს უბნების 70%-ში არჩევნების ელექტრონულად ჩატარება [წარმოადგენდა](#). ოპოზიციის ნაწილმა ეს ინიციატივა მოიწონა, თუმცა ელექტრონულად არჩევნების ჩატარება უბნების არა 70%, არამედ 100%-ში მოითხოვა. იგივე მოითხოვეს საარჩევნო პროცესის დამკვირვებელმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რადგან ელექტრონული დათვლის მხოლოდ უბნების 70%-ზე გავრცელება აჩენდა ეჭვებს, რომ მმართველ პარტიას შესაძლოა უბნები მისთვის სასურველი პრინციპით შეერჩია. ბუნებრივია, ელექტრონული დათვლის ცვლილებას დამატებითი ღირებულება ძირითადად სოფლებსა და ნაკლებად მისაღებ ადგილებში მყოფ საარჩევნო უბნებზე აქვს, რადგან ელექტრონული დათვლა ხელს უწყობს საარჩევნო შედეგების უბნის დახურვისთანავე გაგებას, რაც ამცირებს დათვლის პროცესში მანიპულაციების და საარჩევნო კომისიის წევრებზე ზეწოლის შესაძლებლობას. მაგალითად, ცნობილია, რომ ხშირად, როდესაც საარჩევნო უბნების შედეგების დათვლა ჭიანჭურდება, ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელსაც ხელისუფლება იყენებს, არის თვლის პროცესში საარჩევნო კომისიის წევრების გადმოხიზვა, ან დაშინება და შემდეგ ხელოვნურად შედგენილ ოქმებზე ხელმოწერა, ანუ, უბნის ე.წ. “გამწვანება”. ეს ძირითადად ხდება სოფლებში არსებულ საარჩევნო უბნებზე. შესაბამისად, თუ დამკვირვებლებსა და უბანზე

მყოფ პარტიის წარმომადგენლებს არჩევნების დასრულებისთანავე ექნებათ უბნის ინდიკატიური შედეგი, „გამწვანების“ საფრთხე კლებულობს.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ჩანაწერის მიხედვით, ელექტრონული არჩევნები უბნების მინიმუმ 70%-ში უნდა ჩატარდეს, ცესკო-ს მიერ [შემუშავებული](#) კრიტერიუმებით უბნების რიცხვი 90%-მდე გაიზარდა, ხოლო „იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც კენჭისყრა ტრადიციული წესით ჩატარდება, ბიულეტენები გაციფრულდება, შესაბამის უსაფრთხო პლატფორმაზე განთავსდება და იქნება საჯარო, რაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მისცემს შედეგების გადახედვის და შემოწმების შესაძლებლობას“. ასევე, დაიგეგმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით საარჩევნო უბნების შედეგების გადათვლა. აღნიშნული გადაწყვეტილება აგვარებს რისკს, რასაც ოპოზიციური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ელექტრონული არჩევნების მხოლოდ 70%-ში ჩატარების შემთხვევაში მიუთითებდნენ. შესაბამისად, ცესკო-ს მიერ შემუშავებული კრიტერიუმები წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

ელექტრონული დათვლის პროცესში გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, აპარატის მიერ ბიულეტენების დათვლისა და წინასწარი მონაცემების ამობეჭდვის შემდგომ, პროცესში კვლავ [განსაზღვრულია](#) ბიულეტენების ხელით გადათვლის კომპონენტი, რის შემდგომაც შედგება იურიდიული ძალის მქონე შემაჯამებელი ოქმი, თუმცა წინასწარი შედეგების გამოქვეყნება მოხდება აპარატებიდან ამობეჭდილი შედეგების ამსახველი ამონაწერებზე (ქვითრებზე) დაყრდნობით.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონულად ხმის მიცემის ახალი წესი გარკვეულწილად აგვარებს ე.წ. „კარუსელების“ პრობლემას. ამ თემაზე ცესკო-მ დამატებითი კომენტარი [გააკეთა](#) და განმარტა, თუ როგორ უზრუნველყოფს ელექტრონული არჩევნები „კარუსელების“ გამორიცხვას. კერძოდ, ცესკო-ს მიხედვით:

- 1) ვერიფიკაციის აპარატი სრულად გამორიცხავს საარჩევნო უბანზე კონკრეტული პირის ხელმეორედ ან ისეთ უბანზე შესვლას, სადაც ის რეგისტრირებული არ არის;
- 2) თითოეული ბიულეტენი უნიკალური და დაცულია, შეუძლებელია ერთი უბნისთვის განკუთვნილი ბიულეტენი სხვა უბანზე განთავსებულმა აპარატმა მიიღოს;
- 3) საჯაროობის მაღალი ხარისხი იქნება უზრუნველყოფილი, ვინაიდან ვერიფიკაციის აპარატიდან ამოიბეჭდება მასში ჩატვირთული კონკრეტული საარჩევნო უბნის სია, რომელიც იქვე გამოკრულ ე.წ. კედლის სიასთან ერთად გამოიკვრება და ყველა უფლებამოსილ პირს ექნება მისი გადამოწმებისა და შედარების შესაძლებლობა;
- 4) მიუხედავად პროცესის გამარტივების მიზნით ამომრჩეველთა ვერიფიკაციის (რეგისტრაციის) აპარატების დანერგვისა, კანონმდებლის მიერ კვლავ გათვალისწინებულია მარკირების პროცედურის არსებობა. ამას გარდა, მარკირება არათუ საარჩევნო უბნებზე, არამედ სიახლის სახით გადასატანი საარჩევნო ყუთით მოსარგებლე ამომრჩევლების შემთხვევაშიც იქნება გამოყენებული;

5) ვერიფიკაციის აპარატებიდან ამომრჩეველის არჩევნებში მონაწილეობის უტყუარი დადასტურების მიზნით, ამოიბეჭდება ე.წ. ქვითარი, რომელზე ხელმოწერითაც ამომრჩეველი დაადასტურებს არჩევნებში მონაწილეობას.

ცესკო-ს [თანახმად](#), ელექტრონული არჩევნების ღიაობას უზრუნველყოფს ე.წ. „ქაღალდის კვალის“ არსებობა, რაც „იძლევა შესაძლებლობას შემოწმდეს როგორც ვერიფიკაციის, ისე ხმის დათვლის პროცესის ყველა ეტაპი (ნულოვანი ქვითარი, აქტივობა, სია, წინასწარი შედეგები და ა.შ.)“.

ცესკო-ს [განმარტებით](#), ელექტრონული არჩევნები არ გამოიწვევს საარჩევნო უბნებთან რიგებს, რადგან ვერიფიკაციის აპარატი საშუალებას იძლევა ამომრჩეველმა რეგისტრაციის ნებისმიერ თავისუფალ რეგისტრატორთან გაიაროს, რაც, თავის მხრივ, რიგში ყოფნის დროს ამცირებს, ხოლო 20:00 საათისთვის რიგში მდგომ ყველა ამომრჩეველს კანონმდებლობით აქვს შესაძლებლობა მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა.

ცესკო-ს [თანახმად](#), ელექტრონული არჩევნების უპირატესობებია კენჭისყრის დღის პროცედურების გამარტივება, ადამიანური შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა, ხმის მიცემისა და საარჩევნო უბანზე ამომრჩეველის დაყოვნების დროის შემცირება, ხმების ზუსტი დათვლის უზრუნველყოფა, ბიულეტენის უნიკალურობა და დაცულობა, ვერიფიკაციის აპარატის მეშვეობით საარჩევნო სიაში ამომრჩეველის სწრაფი იდენტიფიცირება, ხმის დათვლის აპარატების მეშვეობით მონაცემების ოპერატიული დამუშავება და საზოგადოების დროული ინფორმირება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არჩევნების კიბერჩარევისგან უზრუნველყოფის მიზნით, ელექტრონული აპარატები ინტერნეტის ქსელთან დაკავშირებული არ იქნება.

საარჩევნო ცვლილებებით, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ჩატარებულ არჩევნებში ხმის მიცემა და სხვა სათანადო პროცედურების განხორციელება შესაძლებელია აგრეთვე საქართველოს მოქალაქის მოქმედი არაელექტრონული პირადობის მოწმობით, ხოლო 2024 წლის არჩევნებში ამომრჩეველის ვერიფიკაცია მხოლოდ ელექტრონული ID ბარათისა და პასპორტის წარდგენის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. ცესკო-ს თანახმად, „ვერიფიკაციის აპარატი იძლევა ორმაგი დადასტურების შესაძლებლობას. კერძოდ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის აპარატზე გატარების/შემოწმების შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება დოკუმენტის მფლობელის ფოტოსურათი, რის საფუძველზეც დადასტურდება მისი ვინაობა. ამოიბეჭდება შესაბამისი ქვითარი, რომელზეც ამომრჩეველი მოაწერს ხელს“. ასევე „ბიულეტენს აქვს დამატებითი დაცვის შესაძლებლობებიც - ინდივიდუალური QR კოდი და შტრიხკოდი, რაც გამორიცხავს იმას, რომ სხვა უბნის ბიულეტენი ან იგივე ბიულეტენი განმეორებით მოხვდეს ყუთში“. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 24 ოქტომბერს „პატრიოტთა ალიანსმა“ მოახდინა საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების [ინიცირება](#), რომლის მიხედვით 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემა და სხვა სათანადო პროცედურების განხორციელება შესაძლებელი უნდა გახდეს აგრეთვე საქართველოს მოქალაქის არაელექტრონული პირადობის მოწმობით.

საარჩევნო ცვლილებები არ ეხება ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფას დისტანციური ხმის მიცემის (e-voting) გზით.

მოცემულ საკითხს მნიშვნელობას ანიჭებს “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”. აღნიშნული ინიციატივა, ერთი შეხედვით, საკმაოდ პოზიტიურია, რადგან საქართველოს მეტ მოქალაქეს მიეცემა ხმის მიცემის შესაძლებლობა, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ღია რჩება. კერძოდ, ვინ ჩაატარებს დისტანციური ხმის მიცემითა არჩევნებს - უშუალოდ „ცესკო“ თუ „ცესკო“-ს დაკვეთით რომელიმე ავტორიტეტული გამოცდილი კომპანია, როგორ იქნება ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის ჩატარებული ელექტრონული არჩევნების უსაფრთხოება უზრუნველყოფილი, როგორ იქნებიან ისინი ზეწოლის ქვეშ ხმის მიცემისგან დაცული, რამდენად მიზანშეწონილი იქნება დისტანციური ხმის მიცემის შესაძლებლობის რუსეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებზე გავრცელება და ა.შ. ამ თემასთან დაკავშირებით, “ქართულ ოცნებას” მხარდაჭერა არ დაუფიქსირებია, შესაბამისად, პარლამენტში მიღებულ ცვლილებებში საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეებისთვის ელექტრონული კენჭისყრა გათვალისწინებული არ არის. ირაკლი კობახიძის [განმარტებით](#), ემიგრანტებისთვის ელექტრონულად ხმის მიცემის უფლება ხარჯთეფექტიანი არ არის. რაც შეეხება დიასპორისთვის დისტანციურად ხმის მიცემას, მისი აზრით, „ეს უამრავ რისკთან არის დაკავშირებული“, მათ შორის, ყველაზე დიდი დიასპორა საქართველოს ჰყავს რუსეთში „სადაც ხმის მიცემის პროცედურის დაშვება“ ასევე სარისკოა.

ცესკო-ს [განმარტებით](#), მოქმედი კანონმდებლობით, „ემიგრანტებს კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმის მიუხედავად, იმყოფებიან თუ არა საკონსულო აღრიცხვაზე. ამასთან, საარჩევნო კოდექსში რეფორმის ფარგლებში შესული ცვლილებებით, გაიზარდა საარჩევნო ადმინისტრაციისთვის/საკონსულოებისთვის მიმართვის ვადა.

აღსანიშნავია, რომ 7 სექტემბრიდან 24 სექტემბრის პერიოდში Edison Research-ის მიერ ჩატარებული [კვლევის](#) თანახმად, მოსახლეობის 81% მიესალმება საქართველოში ელექტრონული ხმის მიცემის ტექნოლოგიების შემოღებას, ხოლო 19% - არ მიესალმება.

ელექტრონული არჩევნებისა და მათზე გამოყენებული ელექტრონული საშუალებების შესაბამისობის აუდიტს აშშ-ში რეგისტრირებული და აკრედიტებული კომპანია Pro V&V [განახორციელებს](#), ხოლო 2023-2024 წლებში საარჩევნო ელექტრონული აპარატებითა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით საარჩევნო ადმინისტრაციას კომპანია „სმარტმატიკი“ [მოემსახურება](#). სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან გამოითქვა წუხილი აღნიშნული კომპანიების შერჩევის დახურულ პროცესსა და ინფორმაციის ნაკლებობასთან დაკავშირებით. კერძოდ, მათი თქმით, არ მომხდარა ცესკო-ს ოპოზიციური წევრების ინფორმირება შერჩეული კომპანიების თაობაზე, ასევე იზღუდება მათი პირდაპირი კონტაქტი ზემოხსენებულ კომპანიებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ელექტრონული არჩევნების დანერგვა დადებითად შეფასდა ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, გარკვეული წუხილი დარჩა შესაძლო გამოწვევებისა და ხარვეზების თაობაზე, მათ შორის ე.წ. [კარუსელსა](#) და ხმის [ფარულობასთან](#), ასევე საარჩევნო პროცესის [გაყალბებასთან](#) დაკავშირებით. პრობლემად რჩება წინასაარჩევნო მანიპულაციები (ამომრჩევლების მოსყიდვა, დაშინება, ან სხვა სახის ზემოქმედება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და სხვ.).

საარჩევნო კოდექსში შესული სხვა ცვლილებები

პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებების პაკეტით იცვლება პარტიების ხარჯვის ზედა ზღვარი. აქამდე დაშვებული ლიმიტი - საქართველოს მშპ-ის 0.1%, ანუ 60 მილიონი ლარი, გახდება საქართველოს მშპ-ის 0.05%, ანუ 30 მილიონი ლარი. ეს ცვლილებები, წესით პოლიტიკურ პარტიებს შორის უფრო თანაბარ კონკურენციას ქმნის. თუმცა, რეალურად, აღნიშნულ ცვლილებას პრაქტიკაში შედეგი შეიძლება არ ჰქონდეს, რადგან პოლიტიკური პარტიების ოფიციალური საარჩევნო ხარჯი გაცილებით [ნაკლებია](#) 30 მილიონ ლარზე. შესაბამისად, პრობლემური რჩება პარტიების არაოფიციალური და არადეკლარირებული დაფინანსება.

მიღებული ცვლილებებით იზრდება ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენებისთვის ჯარიმა 2 ათასი ლარიდან 4 ათას ლარამდე. ასევე, მოხდება საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების პროფესიული სერტიფიცირება და საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული წევრების ასარჩევად სპეციალური კრიტერიუმების დაწესება, რათა გაუმჯობესდეს მათი ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა. საარჩევნო საჩივრების წარდგენის ვადა 2-დან 3 დღემდე იზრდება, ხოლო თუ უბანზე დათვლილი ხმების რაოდენობა ამომრჩეველთა რაოდენობას 5-ით მაინც აღემატება, ან 10-ით მაინც ნაკლებია, საარჩევნო უბანი ხელახლა გადაითვლება. მოხდება იმ ამომრჩეველთა მარკირებაც, რომლებიც გადასატანი ყუთით სარგებლობენ; გაუმჯობესდება შშმ პირების არჩევნებში მონაწილეობის რეგულაცია; ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მანდატი გაიზრდება და მათ შეეძლებათ არასაარჩევნო პერიოდში ცესკო-ს სესიებზე დასწრება.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები არ ეხება წინასაარჩევნო პერიოდს და არ უზრუნველყოფს ამომრჩევლების დაშინების, მოსყიდვის და სხვა დარღვევების აღმოფხვრას. „მოქალაქეების“ ყოფილი დეპუტატის და პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერის, ლევან იოსელიანის [შეფასებით](#), მიღებული ცვლილებები „არ გამოორიხავს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში არ განმეორდება ის პრობლემები, რაც აქამდე იყო. საუბარია ხმების მოსყიდვაზე, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე და ასე შემდეგ“.

ოპოზიციის კანონპროექტი

საარჩევნო საკითხთან დაკავშირებით კანონპროექტი ოპოზიციამაც [წარმოადგინა](#). ოპოზიციის მიერ შეთავაზებული კანონპროექტი გულისხმობდა შემდეგ [ცვლილებებს](#):

- ცესკო-ს თავმჯდომარისა და წევრების არჩევის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად გასაუბრებების საჯაროობა;
- საუბნო საარჩევნო კომისიებში უფლებამოსილი პარტიების მიერ წევრების დანიშვნის უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ზემდგომი კომისიის მიერ წევრების 17-მდე შევსების წესის გაუქმება და ამ ზღვარის განსაზღვრა 12 წევრით;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელად არჩევის უფლების დაბრუნება

პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრებისთვის. ასევე, მუხლის გაუქმება, რომლის მიხედვით, ეს უკანასკნელნი არ მონაწილეობენ საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორის ფუნქციის განაწილების წილისყრაში;

- ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესის შეცვლა და შესაძლო მანიპულაციების შედეგად უცხოეთში მყოფი ამომრჩევლების მაგივრად ხმის მიცემის შესაძლებლობის შემცირება;
- იმ მუხლის მოქმედების ვადა გახანგრძლივება, რომლითაც ამომრჩევლებს, რომლებიც მოიხსნენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან, ან რომელთა რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა, სააგენტოს გადაწყვეტილებით, ეძლევათ შესაძლებლობა არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ რეგისტრაციის ბოლო მისამართის მიხედვით;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების წესის შეცვლა: სიაში მოხვედრა შესაძლებელი გახდება კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 6 დღისა, ხოლო მოთხოვნის საჭიროების გადამოწმება მოხდება განცხადებიდან 2 დღეში და დადასტურდება კომისიის წევრთა სხდომაზე დამსწრეთა არანაკლებ ორი მესამედით; საარჩევნო სუბიექტების თანაბარ პირობებში ჩასაყენებლად, უფლებამოსილ სუბიექტებს, მათ შორის, ამომრჩევლებს, ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერებიანი სიის საჯარო სარგებლობისთვის განკუთვნილ ვერსიას;
- კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობითა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის მეშვეობით;
- 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩევლის რეგისტრაცია (ვერიფიკაცია-ელექტრონული რეგისტრაცია), ხმის მიცემა, ხმების დათვლა და შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურების განხორციელება ისეთი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის ქაღალდის მატარებლის ტრადიციული მეთოდით გადათვლის შედეგად იძლევა არჩევნების შედეგების გადამოწმების შესაძლებლობას;
- საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობის გაზრდისთვის ხმის მიცემის არა მარტო დიპლომატიურ წარმომადგენლობებში შესაძლებლობა, არამედ სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების შექმნის შესაძლებლობა არა მხოლოდ საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის საფუძველით, არამედ საზღვარგარეთ მყოფი არანაკლებ 200 ამომრჩევლის მოთხოვნით, მათი ადგილსამყოფელის შესაბამისად.

აღნიშნულ ცვლილებებზე „ლელოს“ დეპუტატმა დავით უსუფაშვილმა [შესთავაზა](#) ქართულ ოცნებას, რომ უმრავლესობის და ოპოზიციის პროექტები ვენეციის კომისიაში გაეგზავნათ და საერთო დოკუმენტი კონსენსუსით მიეღოთ, სადაც ვენეციის კომისიის მიერ მოწონებული პუნქტები აისახებოდა. მისი [ტექმით](#), საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ოპოზიცია პოლიტიკური კონსენსუსისა და შეთანხმებისთვის მზად იყო. ოპოზიცია მის პროექტში მხოლოდ იმ ნაწილებს დატოვებდა, რომელსაც ვენეციის კომისია მოიწონებდა და

ასევე ხმას მისცემდა უმრავლესობის პროექტში საკითხებს, რომლებსაც ვენეციის კომისია პოზიტიურად შეაფასებდა. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა ოპოზიციის შეთავაზებული ცვლილებები განიხილა, თუმცა მხარი არ [დაუჭირა](#).

საარჩევნო თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციების შეფასება

2023 წლის იანვარში “სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ” (ISFED), „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (საია) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ „საარჩევნო კანონმდებლობაში 2022 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შეფასების [დოკუმენტი](#)“ გამოაქვეყნეს, რომელშიც შეფასებულია, რამდენად გაითვალისწინა პარლამენტმა ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებიდან რა საკითხები დარჩა მოუგვარებელი.

ორგანიზაციების შეფასებით, „მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, როგორც ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების, ისე ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მიერ იდენტიფიცირებულ რიგ პრობლემებს პასუხობს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, ამ ცვლილებებით სრულად არ იქნა გათვალისწინებული ყველა არსებითი ხასიათის რეკომენდაცია, მათ შორის, არ აისახა იმ რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი, რომელიც ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა 2022 წლის დეკემბერში წარმოადგინეს. მათი ერთობლივი შეფასებით, განხორციელებული რეფორმა საარჩევნო კოდექსის ყოვლისმომცველ ანალიზს არ ეფუძნება და მხოლოდ ცალკეულ საკითხებს შეეხება“.

კერძოდ, ორგანიზაციებმა „გარკვეული დათქმებით“ პოზიტიურად შეაფასეს შემდეგი ცვლილებები: „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის სავალდებულო სერტიფიცირების შემოღება; საჩივრების/სარჩელების წარდგენისა და განხილვის ზოგიერთი ვადის გახანგრძლივება; გადასატანი ყუთით ხმის მიცემის პროცესში ამომრჩევლის მარკირების შემოღება; პარტიების წლიური ხარჯებზე დაწესებული ზედა ზღვრის განახევრება; ადგილობრივ არჩევნებზე კანდიდატებისთვის ბინადრობის ცენზის შემცირება; ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისთვის დაწესებული ჯარიმის ოდენობის გაზრდა; პროფესიული ნიშნით საარჩევნო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა თანამდებობრივი შეუთავსებლობის საფუძვლების გაფართოება; შედეგების შემაჯამებელ ოქმში დისბალანსის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის გახსნის და ხმების გადათვლის იმპერატიული ვალდებულების გაჩენა“.

ამავდროულად, „ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის არსებითი ხასიათის რეკომენდაციებიდან, რომლებიც მიღებულ ცვლილებებში საერთოდ არ ასახულა, აღსანიშნავია ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევისა და უფლებამოსილების გახანგრძლივების ნაკლოვანი რეგულაციები, ასევე, პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების ჩამორთმევის შესაძლებლობა, რომელიც უსამართლოა და საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება (კერძოდ, „პარტია კარგავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლებას, თუ ამ პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა ნახევარს ან ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდა პარლამენტის

წევრის უფლებამოსილება“ და „პარტია მომდევნო 6 თვის საბიუჯეტო დაფინანსებას ვერ მიიღებს, თუ მისი წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი პარლამენტის წინა სესიის განმავლობაში არასაკმარისი მიზეზით არ დაესწრება პარლამენტის პლენარული სხდომების ნახევარზე მეტს“). ამასთან, არ იქნა გათვალისწინებული განმეორებადი რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება საარჩევნო კომისიების ქვედა დონეზე პროფესიული წევრების არჩევას და ამ პროცესის გამჭვირვალობას. ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა ერთობლივ დასკვნაში, ასევე, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიღებული პროექტი ვერ პასუხობდა ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევებს, როგორიცაა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, ამომრჩევლის დაშინება, ხმები გადათვლისა და შედეგების გაბათილებისთვის არასაკმარისი კრიტერიუმების არსებობა“.

ISFED-ის, საია-ს და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მოსაზრებით, სამომავლოდ შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებაა აუცილებელი:

- „ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მოწოდების შესაბამისად, რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს ყოვლისმომცველი და ინკლუზიური საარჩევნო რეფორმა, რომელიც დაეფუძნება საარჩევნო კანონმდებლობისა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების სრულ და სიღრმისეულ ანალიზს;
- საარჩევნო რეფორმის დროს მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის როგორც ცალკეულ კანონპროექტებზე დაწერილი დასკვნები, ისე საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების მიერ სხვადასხვა დროს წარმოდგენილი რეკომენდაციები, მათ შორის აუცილებელია:
 - გადაიხედოს ცესკოს დაკომპლექტების მოქმედი წესი და აღდგეს 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციები;
 - გაუქმდეს პოლიტიკური პარტიისთვის საბიუჯეტო დაფინანსების ჩამორთმევის ის უსამართლო წესი, რაც პარლამენტში მისი წევრების გარკვეულ ქმედებებს შეიძლება მოჰყვეს;
 - უფრო დეტალურად გაიწეროს საარჩევნო პროცესებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები; [აღნიშნული საკითხი გადაჭრილია]
 - შეიცვალოს პრობლემური რეგულაცია, რომელიც საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა რეგისტრატორის ფუნქციის შესრულებას პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრებს უკრძალავს;
 - დაიხვეწოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევის კრიტერიუმები და თავად შერჩევის პროცესი, ასევე, უზრუნველყოფილ იქნას პროცესის მეტი გამჭვირვალობა და გაიზარდოს წევრობისათვის განაცხადების წარდგენისა და განხილვის ვადები;
 - დადგინდეს უფრო მეტი და კონკრეტული კრიტერიუმი, თუ რა შემთხვევაში იქნება საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებული გადათვალოს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შეჯამებული შედეგები;
 - განისაზღვროს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო უბნების შედეგების თანმიმდევრობით გადათვლის წესი მათი პარალელურ რეჟიმში გადათვლის ნაცვლად;
 - საჩივრებისა და სარჩელების წარდგენისა და განხილვის ვადები უფრო მეტად

გაიზარდოს და დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს;

- ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების აღმოსაფხვრელად შემუშავდეს დამატებითი რეგულაციები სამუშაო საათებში საჯარო მოხელეების მხრიდან საარჩევნო აგიტაციის (მათ შორის, სოციალურ ქსელებში) შესაზღუდად.“

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული არჩევნების პროცედურა ქმნის ახალ გამოწვევას ხმის ფარულობის დაცვის კუთხით, რადგან ბიულეტენის კონვერტში მოთავსების და საარჩევნო ურნაში ჩაგდების ნაცვლად, ამჟამად გათვალისწინებულია ბიულეტენის მოთავსება ჩარჩო კონვერტში და შემდეგ ხმის დამთვლელ აპარატში მოთავსება, რაც ქმნის რისკს, რომ საარჩევნო კომისიის წევრმა, პარტიის წარმომადგენელმა, ან სხვა ამომრჩეველმა დაინახოს ამომრჩეველის მიერ გაკეთებული არჩევანი. ამ პრობლემის მოგვარების მხრივ ცესკო-ს რეკომენდაციაა, რომ „ამომრჩეველმა ბიულეტენი სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენებით, ამობრუნებული ფორმით უნდა მოათავსოს ხმის მთვლელ აპარატში“. ცესკოს-ს თავმჯდომარის განცხადებით, ხმის ფარულობის უზრუნველყოფის დაცვის საკითხს 2023 წლის 29 აპრილის შუალედურ არჩევნებზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა.

2023 წლის 29 აპრილის შუალედური არჩევნები

2023 წლის 29 აპრილს გაიმართა პარლამენტის ფოთი-სენაკი-ხოზის მაჟორიტარი დეპუტატის, გურჯაანის, თიანეთის, ახალციხის, ტყიბულის და ქუთაისის საკრებულოების მაჟორიტარი დეპუტატების და ასევე ცაგერისა და თერჯოლის მერების არჩევნები. არჩევნებისთვის 164 საარჩევნო უბანიეგაიხსნა. შუალედურ არჩევნებზე პირველად იქნა გამოყენებული ელექტრონული ხმის დათვლის აპარატები. ცესკო-ს ოპოზიციონერმა მოადგილემ, „ლელოს“ წარმომადგენელმა გიორგი სიორიძემ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება დადებითად და რევოლუციურ ცვლილებად [შეაფასა](#), თუმცა, ასევე აღნიშნა, რომ „ტექნოლოგიების პირველად დანერგვას, ცალკეული ხარვეზები შეიძლება ჰქონდეს“, რაც გამოსწორებადია 2024 წლის არჩევნებისთვის. უბნების გარეთ არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით სიორიძემ აღნიშნა ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენების ფაქტები.

29 აპრილის შუალედური არჩევნების შესახებ ISFED-ის შემაჯამებელ [შეფასებაში](#) აღნიშნულია, რომ „არჩევნები პრაქტიკულად უკონკურენტო გარემოში გაიმართა“, „არჩევნების დღემ მშვიდ გარემოში, მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე ჩაიარა. საარჩევნო პროცედურები უმეტესად გამართულად ჩატარდა. ელექტრონულმა ტექნოლოგიებმა დააჩქარა ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი. თუმცა, რამდენიმე საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ვერიფიკაციისა და ხმის მიცემისა და დათვლის ელექტრონული აპარატების მუშაობის ხარვეზები, რამაც, რიგ შემთხვევებში, კენჭისყრის პროცესი შეაფერხა. გარდა ამისა, კენჭისყრის მიმდინარეობისას გამოიკვეთა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შემთხვევები. კერძოდ, ხმის მიცემისა და დათვლის აპარატში ბიულეტენის მოთავსების განმეორებითი მცდელობის, ან, საბოლოოდ, ბიულეტენის გაფუჭებულად ჩათვლისა და

ცალკე შენახვის შემთხვევაში, არ არსებობდა მექანიზმი, რომელიც სათანადოდ უზრუნველყოფდა ამომრჩევლის ხმის ფარულობას.“ ასევე, „უკონკურენტო არჩევნების პირობებშიც კი, მმართველ პარტიას უარი არ უთქვამს ამომრჩევლის მობილიზებისა და აღრიცხვის პრაქტიკაზე. ხშირ შემთხვევაში ეს, ასევე, საარჩევნო უბნის მიმდებარედ, 100 მეტრის მანძილზე ხდებოდა, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია.“

2023 წლის 1 ოქტომბრის შუალედური არჩევნები

ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით შუალედური/რიგგარეშე არჩევნები 2023 წლის 1 ოქტომბერსაც გაიმართა. გორსა და კასპში საქართველოს პარლამენტის შუალედური, ხოლო გურჯაანში მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებზე სულ 133 საარჩევნო უბანი გაიხსნა, მათ შორის 103 უბანზე კენჭისყრა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა. აღნიშნული არჩევნებისთვის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა ქცევის (ეთიკის) კოდექსს [მოაწერეს](#) ხელი.

იმ 103 უბნის შედეგები, სადაც არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა, შედეგები უბნის დახურვიდან 1 საათში [გამოქვეყნდა](#). ხოლო დანარჩენი 30 უბნიდან, სადაც კენჭისყრა ტრადიციული წესით ჩატარდა, ბიულეტენები გაციფრულდა და შესაბამის უსაფრთხო პლატფორმაზე აიტვირთა.

2023 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე გადასატანი ყუთით ხმის მიცემის დროსაც მოხდა ამომრჩევლების [მარკირება](#), რაც გატარებული რეფორმით იყო გათვალისწინებული.

ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევის საკითხი

საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებით ცენტრალური საკითხი არის ცესკო-ს თავმჯდომარის მაღალი ქვორუმით არჩევის წესი. „შარლ მიშელის დოკუმენტის“ ხელმოწერის შემდეგ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საარჩევნო კოდექსში, და ცესკოს თავმჯდომარის ასარჩევად განისაზღვრა მაღალი ქვორუმი (100 ხმა). თუმცა, კანონში ასევე ჩაიდო ანტი-ჩიხური მექანიზმი, რომელმაც საშუალება მისცა „ქართულ ოცნებას“ დროებით, 6 თვის ვადით უბრალო უმრავლესობით აერჩია მისთვის სასურველი კანდიდატი მოვალეობის შემსრულებლად. ამ საფრთხეზე ოპოზიცია დიდი ხანია საუბრობდა. ასე მაგალითად, „სტრატეგია აღმაშენებელი“ ხშირად [ამახვილებდა](#) ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ „ქართული ოცნების“ მიერ შეიქმნა საკანონმდებლო საფუძველი, რომ ცესკო-ს თავმჯდომარის ერთი და იმავე პირის უვადოდ, მოვალეობის შემსრულებლად დატოვება იყო შესაძლებელი.

ცესკო-ს თავმჯდომარისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების უფლებამოსილების ვადის გაურკვეველი ვადით გახანგრძლივებას ასევე პრობლემატურად მიიჩნევს ცესკო-ს ოპოზიციონერი თავმჯდომარის მოადგილე „ლელო“-დან გიორგი სიორიძე, რომელიც ამას „ხელისუფლების თვითნებობად“, „კონსტიტუციის დარღვევად“ და „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის დარღვევად“ [აფასებს](#). „სამართლიანი არჩევნების“ დირექტორის მოადგილის, ლევან ნატროშვილის [განცხადებით](#), „მმართველ

პარტიას არ აქვს მოტივაცია, ისეთ კანდიდატებს დაუჭიროს მხარი, რომელიც არცერთ პარტიასთან არ იქნება აფილირებული“, ასევე, „პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურებს მხარს არ უჭერს საპარლამენტო უმრავლესობა“ და „ირღვევა კანონი, როდესაც პარლამენტი არ განიხილავს ამ ადამიანების [ამჟამად თავმჯდომარეების წარდგენილი კანდიდატების] კანდიდატურებს“.

2022 წლის სექტემბერში ცესკო-ს თავმჯდომარის თემაზე საკუთარი კანონპროექტი პარლამენტში ოპოზიციამაც [წარადგინა](#). შეთავაზებული [ცვლილებებით](#), ე.წ. „ანტიჩიხური“ მექანიზმის არასწორად გამოყენების აღსაკვეთად უნდა დაწესებულიყო ცესკო-ს თავმჯდომარისა და წევრის მხოლოდ ერთი ვადით არჩევის ლიმიტი, ამასთან ლიმიტი აღარ უნდა გახანგრძლივებულიყო უვადოდ ახალი კანდიდატის არჩევამდე. ეს ცვლილება „ქართულმა ოცნებამ“ არ გაითვალისწინა.

2023 წლის 13 ივნისს „ქართულმა ოცნებამ“ მესამე მოსმენით [მიიღო](#) ცვლილებები საარჩევნო კანონში და ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევა უბრალო უმრავლესობით გახადა შესაძლებელი. კერძოდ, ცესკო-ს თავმჯდომარეობის და პროფესიული წევრობის კანდიდატების შერჩევის და პარლამენტისთვის წარდგენის პრეროგატივა პრეზიდენტის ნაცვლად, პარლამენტის თავმჯდომარეს გადაეცა, ხოლო ცესკო-ს თავმჯდომარის 5 წლის ვადით დამტკიცებას უბრალო უმრავლესობა (ე.ი. 76 ხმა) ესაჭიროება. ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევის პროცესში პრეზიდენტის როლი საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლის ყოლით განისაზღვრა. ახალი კანონის თანახმად, ცესკო-ს თავმჯდომარისა და წევრების შესარჩევ კონკურსს აცხადებს და საკონკურსო კომისიას ქმნის პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც წარუდგენს პარლამენტს ცესკო-ს თავმჯდომარის და ცესკოს წევრების კანდიდატურებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის შედეგად ყველა ვაკანსია არ შეივსო, პრეზიდენტი შესაბამისი კონკურსში მონაწილე სხვა კანდიდატს წარადგენს და კენჭი პრეზიდენტის წარდგენილ კანდიდატურას ეყრება.

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ცესკო-ს ერთპარტიული ზეგავლენის ქვეშ მოქცევად და არჩევნების გაყალბებისთვის მომზადებად შეაფასეს ოპოზიციურმა პარტიებმა (მაგალითად, [„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“](#), [„გირჩი“](#), [„საქართველოსთვის“](#), [„სტრატეგია აღმაშენებელი“](#), [„ლელო“](#) და ცალკეულმა [დეპუტატებმა](#)). „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა ანა წითლიძემ, საპარლამენტო უმრავლესობას ინიცირებული ცვლილებების ვენეციის კომისიაში გაგზავნისა და ეუთო/ოდირის შეფასებების დალოდებისკენ მოუწოდა. დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დააფიქსირეს საარჩევნო თემატიკაზე მომუშავე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც (მაგალითად, [საია](#), [ISFED](#), [„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“](#)), ასევე ცესკო-ს თავმჯდომარის ოპოზიციონერმა მოადგილემ, „ლელოს“ წარმომადგენელმა, [გიორგი სიორიძემ](#) და [პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა](#), რომელმაც აღნიშნა, რომ დაგეგმილი ცვლილებები საქართველოს 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას აშორებს. მისი [შეფასებით](#), „ცვლილებები პირდაპირ ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის არაერთ უწინდელ რეკომენდაციას“ და ვინაიდან „ქართული ოცნება“ კანონპროექტს ვენეციის კომისიაში არ აგზავნის, მან პრეზიდენტს მოუწოდა „გადააგზავნოს

მეორე მოსმენით მიღებული ცვლილებები ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირში დაჩქარებული დასკვნის მისაღებად, რათა შესაძლებელი გახდეს ამ პროექტის კანონად ქცევამდე მისი საერთაშორისო ლუსტრაცია“. პრეზიდენტის ადმინისტრაციის [განცხადებით](#), ცესკო-ს თავმჯდომარეობისა და ე.წ. პროფესიული წევრობის კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებით საკანონმდებლო პაკეტს, მიღების შემთხვევაში, პრეზიდენტი ვეტოს დაადებდა.

ცესკო-მ ოპოზიცია საკითხის რეგულარულად პოლიტიზებასა და პოლიტიკურად მიკერძოებული განცხადებებით ინსტიტუციის დაზიანებაში [დაადანაშაულა](#), ხოლო სხვა ჯგუფების მიერ კრიტიკა „უსაფუძვლო ბრალდებების, დეზინფორმაციის და დისკრედიტაციის შემცველი განცხადებების მორიგ ტალღად“ შეაფასა. „ქართული ოცნების“ ლიდერებმა ცვლილებების საჭიროება პრეზიდენტის მიერ მაღალი დონის პროფესიონალის კანდიდატად პოლიტიკური მოტივაციიდან [გამომდინარე](#) არწარმოდგენით და ჩიხის გაღრმავებით [ახსნა](#). ხოლო საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, გურამ მაჭარაშვილმა ცვლილებების განხორციელების საჭიროება ოპოზიციის საბოტაჟს დააბრალა, რომელშიც, მისი თქმით, პრეზიდენტიც [ჩაერთო](#). პარლამენტის თავმჯდომარის [განცხადებით](#), წინა წესი იყო ექსპერიმენტი, რომელმაც არ გაამართლა, ხოლო შემოთავაზებული წესი „სრულად ჯდება აპრობირებულ წესებთან, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაშია“. მისი თქმით, „პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მიდგომა, თითქოს კვალიფიციური უმრავლესობა კონსენსუსის მიღწევის პანაცეაა, ტყუილია“.

როგორც დეპოლარიზაციის თავშია აღნიშნული, პრეზიდენტმა ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის შესახებ კანონპროექტს ვეტო [დაადო](#). მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა შუალედურ შეფასებაში პირდაპირ მიუთითა, რომ მეორე პრიორიტეტის შესრულებისთვის ევროკავშირის მოლოდინი იყო, ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის აქამდე არსებულ წესთან დაბრუნება, „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტის ვეტო მაინც [დამლია](#).

“ქართულმა ოცნებამ” 2023 წლის სექტემბერში დააანონსა მორიგი ცვლილებები “საქართველოს საარჩევნო კოდექსში”, რომლის მიხედვითაც, ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევას პარლამენტის წევრთა 90 ხმა დასჭირდება. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ 90 ხმა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, კანდიდატების ასარჩევად საკმარისი იქნება პარლამენტის წევრთა 76 ხმა. თუ ვერც 76 ხმა მოგროვდება, საკითხი გადაწყვეტილების მისაღებად პრეზიდენტს გადაეცემა. პრეზიდენტი კონკურსში მონაწილე კანდიდატების სიიდან დანიშნავს ცესკო-ს თავმჯდომარეს/პროფესიულ წევრებს. ეს ცვლილებები ითვალისწინებს ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების 5 წლის ვადით არჩევას (შესაძლებელი იქნება ერთი კანდიდატის ორი ვადით არჩევა). “ქართულიმა ოცნებამ” საკანონმდებლო ცვლილებებს პარლამენტი დაჩქარებული წესით განხილვა დააანონსა, თუმცა ამასთან პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა [განაცხადა](#), რომ საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტი ვენეციის კომისიაში გადაიგზავნა. ჩვენი შეფასებით, დაანონსებული კანონპროექტი არსებულ მდგომარეობას არსებითად არ აუმჯობესებს, რადგან საპარლამენტო უმრავლესობას მაინც შეეძლება ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების საპარლამენტო ოპოზიციის ჩართულობის გარეშე 76 ხმით არჩევა.

ჩვენი შეფასებით, ევროკავშირის მეორე პირობის საარჩევნო ნაწილი ნაწილობრივ შესრულებულია. შეიძლება მიღებული კანონების და ცვლილებების რაოდენობით თუ შევხედავთ, ამ პირობის მეტწილად შესრულება ჩანდეს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი რეფორმები ჯერ-ჯერობით განხორციელებული არაა.

იმისთვის, რომ მეორე პირობა სრულად შესრულებულად ჩაითვალოს აუცილებელია შემდეგი ცვლილებების მიღება:

- საარჩევნო ბარიერის შემცირება 2%-მდე;
- ელექტრონული ტექნოლოგიებით არჩევნების ჩატარებაში 2023 წლის 29 აპრილის შუალედური არჩევნების დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა; მათ შორის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ISFED-ის შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:
 - საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყოს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების უკეთ მომზადება ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით, რათა, ზემდგომი საარჩევნო კომისიების წარმომადგენლების დახმარების გარეშე, შეძლონ დაკისრებული მოვალეობების შესრულება;
 - გაგრძელდეს ამომრჩევლის უწყვეტი ინფორმირება დანერგილი ელექტრონული ტექნოლოგიების, განსაკუთრებით, კი, ხმის მიცემისა და დათვლის ელექტრონული აპარატის ფუნქციონირების შესახებ, რათა არ დაირღვეს კენჭისყრის ფარულობა და არ დაიკარგოს ამომრჩევლის ხმა;
 - საარჩევნო უბანზე მისული ამომრჩევლისთვის შეიქმნას და დაინერგოს ხმის მიცემის წესის შესახებ სტანდარტიზებული ინფორმაცია, მაგალითად, საარჩევნო უბანზე თვალსაჩინოდ გამოკრული ინსტრუქციის სახით, რათა მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს არ უხდებოდეთ ამომრჩევლის ინფორმირება;
 - ამომრჩეველსა და საუბნო საარჩევნო კომისიას მიეცეს ცხადი ინსტრუქცია, რათა ამომრჩეველმა არ დატოვოს საარჩევნო უბანი ბიულეტენის საარჩევნო ყუთში საბოლოოდ მოთავსებამდე, ხმის ფარულობის შესაძლო დარღვევის ან/და ამომრჩევლის ხმის დაკარგვის რისკის შესამცირებლად;
 - საარჩევნო ადმინისტრაციამ შეიმუშაოს შესაბამისი ინსტრუქცია, რომელიც ხმის მიცემისა და დათვლის ელექტრონული აპარატის მიერ დაბრუნებული, გაფუჭებული ბიულეტენის იმგვარად შენახვას/დამუშავებას უზრუნველყოფს, რომ არ დაირღვეს ამომრჩევლის ხმის ფარულობა;
- ცესკო-ს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების არჩევის წესის ცვლილების გაუქმება და 19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებულ ფორმულასთან დაბრუნება;
- ისეთი საარჩევნო ცვლილებების მიღება, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს მოსყიდვასა და წინასაარჩევნო ზეწოლას. აღნიშნულის მისაღწევად საკანონმდებლო ცვლილებების გარდა, მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნება და გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ მხრიდან;

- ISFED-ის რეკომენდაციის შესრულება, რომელიც ეხება პოლიტიკური პარტიების მხრიდან საარჩევნო უბანზე და მის მიმდებარედ ამომრჩეველთა აღრიცხვისა და მობილიზების ნეგატიურ პრაქტიკაზე უარის თქმას პოლიციის პროაქტიულ რეაგირებას საარჩევნო უბნის გარეთ 100 მეტრის მანძილზე ამომრჩეველთა აღრიცხვისა და მობილიზების შემთხვევებზე.

პრიორიტეტი N 3 დამოუკიდებელი მართლმსაჯულება

“მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება 2021 წლის შემდგომი პერიოდისათვის, ფართო, ინკლუზიურ და პარტიათა შორის კონსულტაციების საფუძველზე; მართლმსაჯულების სრულად, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი მთელი ჯაჭვის უზრუნველყოფა, ძალაუფლების განაწილების პრინციპის დაცვა; სახელდობრ, ყველა სასამართლო და საგამოძიებო ინსტიტუტის ჯეროვანი ფუნქციონირებისა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოსი, და მოსამართლეთა ნომინირების ყველა დონეზე, ასევე გენერალური პროკურორის შემთხვევაში გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვანი რეფორმის გატარება და უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრების დანიშვნა. ყველა ამ ზომის გატარება ევროპული სტანდარტებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით”

შესავალი

ევროკავშირის მესამე პრიორიტეტი სისტემურად ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს - სასამართლო ხელისუფლებაში გასატარებელ ცვლილებებს შეეხება, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასამართლოს დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება და მიუკერძოებლობა, რომელიც უნდა დაეფუძნოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს; ამავე დროს, პროცესი უნდა იყოს ფართო და ინკლუზიური, რაშიც სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობა და პარტიათა შორის კონსულტაციები იგულისხმება.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასამართლოს სისტემაში არსებული პრობლემები ძირითადად კლანური მმართველობით არის გამოწვეული (მოსამართლეთა ე.წ. კლანი მმართველ პოლიტიკურ ძალასთან დაკავშირებული გავლენიანი მოსამართლეების ჯგუფია). სწორედ ამიტომ წლების განმავლობაში გატარებულ სხვადასხვა სახის საკანონმდებლო ცვლილებებს სათანადო შედეგები არ მოჰყოლია, ვინაიდან სისტემა დღესაც იმართება მოსამართლეთა იმ ჯგუფის მიერ, რომლებსაც პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან აქვთ ძლიერი მხარდაჭერა. ამდენად, ასეთ პირობებში ძნელად სავარაუდოა, როგორ უნდა შესრულდეს მესამე პრიორიტეტი, რომელიც მოითხოვს სასამართლოს დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს სასამართლო რეფორმის საკითხი “შარლ მიშელის შეთანხმების” ნაწილი იყო. თუმცა, მაშინ, შეთანხმების დადებიდან მალევე, “ქართულმა ოცნებამ” აღებული ვალდებულების საწინააღმდეგოდ, პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით, უვადოდ აირჩია უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლე. რომელსაც გამოეხმაურა ევროკავშირის საგარეო სამსახურის პრესსპიკერის საგანგებო [განცხადებით და აღნიშნა](#), რომ ეს ეწინააღმდეგება ეუთოს (ODIHR), ვენეციის კომისიის რეკომენდაციებსა და 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების ფარგლებში საქართველოს ლიდერების მიერ აღებულ ვალდებულებას მართლმსაჯულების რეფორმირების შესახებ.

სამოქალაქო საზოგადოებამ მესამე პრიორიტეტის შესრულება შემდეგ ძირითად 6 საკითხს [დაუკავშირა და წარადგინა შესაბამისი რეკომენდაციები](#): სასამართლო რეფორმის ახალი

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მიღება და განხორციელება; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიანი რეფორმა; პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, ასევე, საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევა ფართო საპარლამენტო კონსენსუსს საფუძველზე; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ყველა ბოლოდროინდელი არჩევის შეფასება და მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა; საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულება, რომლის [თანახმად](#), ღია სხდომის შედეგად მიღებული სასამართლოს აქტები საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს; და გენერალური პროკურორის დანიშვნის წესში ცვლილება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ „19 აპრილის შეთანხმებით“ [განსაზღვრული](#) პროკურორის დანიშვნის წესის დამტკიცების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებები [პარლამენტმა მიიღო](#), რომლის თანახმად, მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტი გენერალურ პროკურორს სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით ანუ 90 ხმით აირჩევს. თუ აღნიშნული წესით პარლამენტი გენერალურ პროკურორს ორჯერ ვერ აირჩევს, მაშინ გენერალური პროკურორის არჩევა სრული შემადგენლობის უმრავლესობით ანუ 76 ხმით (ანტი-ჩიხური მექანიზმით) მოხდება. ამ შემთხვევაში, გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადა იქნება ერთი და არა ექვსი წელი, როგორც ეს 90 ხმით არჩევის შემთხვევაშია გათვალისწინებული. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხზე კონსენსუსი შედგა და საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებას, მმართველ პარტიასთან ერთად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და სხვა ოპოზიციური პარტიების წევრებმაც დაუჭირეს მხარი. ნიშანდობლივია, რომ პაკეტის წარდგენის დროს, „ქართული ოცნების“ დეპუტატები მას წარმოადგენდნენ არა როგორც მაღალი კვორუმით გენერალური პროკურორის არჩევის დოკუმენტს, არამედ პირდაპირ, როგორც მოკლე ვადით, მხოლოდ ერთი წლით რვაჯერ ზედიზედ გენერალური პროკურორის არჩევის წესს. ამ ცვლილებას ქართული ოცნების ლიდერები „სამართლებრივ ნონსენსს“ [უწოდებდნენ](#). თუმცა აღნიშნავდნენ, რომ დათმობის სახით იღებდნენ ამ ცვლილებებს.

სამოქალაქო საზოგადოებას ჰქონდა სხვა დამატებითი წინადადებებიც. კერძოდ, „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა“ [წარადგინა](#) რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევის დროს კანდიდატთა საჯარო მოსმენის ვალდებულებას; წევრების არჩევას პოლიტიკურ ჯგუფებს შორის წინასწარი კონსულტაციების და ღია კენჭისყრის საფუძველზე; იუსტიციის საბჭოდან სასამართლოს თავმჯდომარეების (მათ შორის თავმჯდომარის მოადგილის, კოლეგიის, პალატის თავმჯდომარის) წევრობის შეზღუდვას; იუსტიციის საბჭოს წევრების განმეორებითი არჩევის შეზღუდვას; მოსამართლის მივლინებისას კონკრეტული საფუძვლების განსაზღვრას; საპარლამენტო ფორმატში სასამართლო რეფორმის ოთხი ტალღის იმპლემენტაციის შეფასებას; მართლმსაჯულების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებას.

„ქართული ოცნების“ მიერ 2022 წლის ნოემბერში ინიცირებული იქნა ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში, რომელიც ოპოზიციის [შეფასებით](#) იყო კოსმეტიკური ხასიათის, რადგან ის ვერ განაპირობებდა სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით

პოლიტიკურმა პარტია „ლელომ“ საკუთარი ხედვა [წარადგინა](#) ამასთან, ამ პაკეტის დიდი ნაწილი „ლელომ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ 2021 წელს [დაარეგისტრირეს](#) პარლამენტში. „ლელოს“ ეს საკანონმდებლო პაკეტი „ქართულ ოცნებას“ არ განუხილავს.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა კონფერენციამ 2022 წლის 23 ოქტომბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებად ის გავლენიანი მოსამართლეები აირჩია, რომლებსაც ერთი ვადით უკვე ეკავათ თანამდებობები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, კერძოდ - [ლევან მურუსიძე](#) და [დიმიტრი გვრიტიშვილი](#). ხოლო იქამდე, 2022 წლის 27 ივნისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიხეილ ჩინჩალაძე 5-წლიანი უფლებამოსილების ვადით მეორედ [დანიშნა](#) თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ. მისი დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება ფორმალური ხასიათს ატარებს. ამასთანავე, მიხეილ ჩინჩალაძის დანიშვნის დროს მოსამართლეებთან ჩატარებულ ონლაინ კონსულტაციებში, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნისას სავალდებულოა რომ გაიმართოს,¹⁹ მონაწილეობა დაახლოებით ორმოცდაათმა მოსამართლემ მიიღო; მოსამართლეების ამგვარმა აქტიურობამ შთაბეჭდილება დატოვა, რომ ისინი განსაკუთრებულად მობილიზებას ჰქონდა ადგილი, სხვადასხვა დროს სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნებისგან განსხვავებით. მოგვიანებით, 2022 წლის 18 ივლისს კიდევ ერთი გავლენიანი მოსამართლე, ირაკლი ბონდარენკო, რომელიც 4 წლის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი იყო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ [დანიშნა](#). მისი დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებაც ზოგადი ხასიათისაა და დასაბუთების ნაწილი არ მოიცავს სათანადო არგუმენტებს. ამავე დღეს, მოსამართლე მამია ფხაკაძე რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მესამე ვადით [დანიშნა](#). ოთხივე თავმჯდომარის დანიშვნას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრმა [ერთხმად](#) დაუჭირა მხარი. [ოპოზიციისა](#) და სამოქალაქო საზოგადოების [წარმომადგენლების შეფასებებით](#), იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები თავმჯდომარეების შესახებ ეწინააღმდეგება ევროკავშირის მესამე პრიორიტეტს და სერიოზულ დარტყმას აყენებს სასამართლოს დამოუკიდებლობას.

მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება

2022 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გამოაქვეყნა, მისი კოორდინაციით მომზადებული, სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული [სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა](#). 2022 წლის 3 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე კომიტეტის თავმჯდომარემ [განაცხადა](#), რომ სტრატეგია შემუშავებულია პროფესიული საზოგადოებისა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელთა ფართო ჩართულობით. ამავდროულად, ხაზი გაუსვა, იმ გარემოებას, რომ ის ეფუძნება „ქართული ოცნების“ მიერ შემუშავებულ 200-გვერდიან დოკუმენტს - „ქართული მართლმსაჯულების ინსტიტუციური განვითარება 2013-2021

¹⁹ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 23-ე მუხლი, მე-6 პუნქტი.

წლებში”.

სახალხო დამცველის იმდროინდელმა მოადგილემ, გიორგი ბურჯანაძემ [განაცხადა](#), რომ „სასამართლო რეფორმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული რეკომენდაციები, რომლებიც წარმოდგენილი იყო სამოქალაქო საზოგადოების, სახალხო დამცველის აპარატის და აშშ-ის საელჩოს მიერ“. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ თავდაპირველად სამუშაო ჯგუფში მონაწილეობდნენ, თუმცა „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილების გამო, არ დაეშვათ ISFED არჩევნებთან დაკავშირებულ სამუშაო ჯგუფში, მათ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა [შეაჩერეს](#). გარდა ამისა, სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებმაც გამოხატეს სამუშაო ჯგუფში ჩართულობის [ინტერესი](#), თუმცა ამის საშუალება [არ მიეცათ](#).

კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ „ქართული ოცნების“ მიერ შემოთავაზებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა კრიტიკულად [შეაფასა](#). კოალიციის წარმომადგენლების განცხადებით, „ქართული ოცნების“ სასამართლო რეფორმის დოკუმენტი უგულებელყოფს მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ძირითად პრობლემებს, როგორცაა ძალაუფლების კონცენტრაცია და „კლანური“ გავლენები. ასევე, მათი თქმით, საპარლამენტო უმრავლესობამ არ განიხილა სასამართლო სისტემაში არსებული ვითარების სრულყოფილი და სიღრმისეული შეფასების საკითხი.

2022 წლის 1 ოქტომბერს გამოქვეყნებული ახალი სტრატეგიის დოკუმენტი აღწერს 2013 წლიდან განხორციელებულ სასამართლო რეფორმებს. მმართველი პოლიტიკური ძალის [აზრით](#), „2012 წლიდან მოყოლებული სასამართლო სისტემის განვითარება და მართლმსაჯულების ხარისხის ზრდა ობიექტურად დასტურდება“. ამის პარალელურად, სასამართლო რეფორმებთან მიმართებით სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარდა, საერთაშორისო პარტნიორების შეფასებებიც საკმაოდ კრიტიკულია. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების [ანგარიშში](#), რომელიც 2022 წლის 12 აგვისტოს გამოქვეყნდა, კრიტიკულად არის შეფასებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევა, 2021 წლის დეკემბრის ცვლილებები ორგანულ კანონში, 5 არამოსამართლე წევრის ვაკანტური ადგილების და სხვ. ანგარიშში მითითებულია, რომ „სასამართლო სისტემაში რეფორმები გასული წლის განმავლობაში შეჩერდა და საკვანძო სფეროებში კი რეგრესია.“

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ 2022 წლის 1 ოქტომბერს გამოქვეყნებული სასამართლო რეფორმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მესამე ნაწილი [მოიცავს](#) შემდეგ საკითხებს:

- მოსამართლეებისა და სასამართლო მოხელეების ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა, დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების გონივრულ ვადაში შესასრულებლად და საქმიანობის მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად;

- სასამართლოში საქმეთა ნაკადის შემცირება და სასამართლოს გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება, რისთვისაც აუცილებელია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების სათანადო განვითარება და ხელშეწყობა, როგორც არბიტრაჟის, ისე მედიაციის მიმართულებით;
- სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესება და მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა პროფესიული განვითარების კიდევ უფრო ხელშეწყობა;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომების დანერგვის მექანიზმების გაუმჯობესება;
- მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების გაძლიერება, ასევე, მართლმსაჯულების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხების კიდევ უფრო განვითარება;
- საზოგადოების ინფორმირებულობისა და მასთან კომუნიკაციის გაზრდის გზით სასამართლოს მიმართ ნდობის კიდევ უფრო გაძლიერება;
- სასამართლოს დისკრედიტაციისკენ მიმართული დეზინფორმაციის თავიდან აცილების მექანიზმების გაუმჯობესება;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის შემდგომ გაძლიერება;
- სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით ელექტრონული საშუალებების გამოყენების პრაქტიკის გაფართოება;
- მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ახალი სერვისების დანერგვა;
- შშმ პირებისთვის სრულად ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა, აგრეთვე ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით სათანადო გარემოს შექმნა;
- თარჯიმნის სერვისის გაუმჯობესება, რათა სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა ჯეროვნად იქნეს უზრუნველყოფილი;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის გაძლიერება, რათა მან ჯეროვნად შეძლოს სათანადო რაოდენობის იუსტიციის მსმენელთა მომზადება, რაც აუცილებელია 2025 წლის 1 იანვრიდან მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ განწესების პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის;
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა არჩევის პროცედურაში საბჭოს წევრობის კანდიდატის კომიტეტის საჯარო სხდომაზე მოსმენის ვალდებულების განსაზღვრა;
- საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის არჩევის პროცესში საბჭოს წევრობის კანდიდატებისთვის მოსამართლეთა კონფერენციისთვის თავისი ხედვების წარდგენის შესაძლებლობის მიცემა;
- საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული აქტების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის უზრუნველსაყოფად, საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ზოგადი და ზედაპირულია,

რადგან სასამართლოში არსებული პრობლემების სიღრმისეული ანალიზი და მათ გადასაჭრელად კონკრეტული ქმედებები განსაზღვრული არ არის. ამავდროულად, აშკარაა, რომ ხელისუფლება სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით არსებულ მდგომარეობას პრობლემად არ მიიჩნევს. ის მითითებას აკეთებს საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლზე, რომელიც შეეხება მოსამართლის დამოუკიდებლობასა და ხელშეუხებლობას, თუმცა სტრატეგიით არ არის განსაზღვრული თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმაში არაფერია ნათქვამი სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების თაობაზე, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობასა და საჯაროობის გაზრდაზე. უფრო მეტიც, უგულებელყოფილია ისეთი უმთავრესი პრობლემა, როგორიცაა სასამართლოში არსებული შიდა გავლენები და ვიწრო ჯგუფის ხელში კონცენტრირებული ძალაუფლება, რაც პირდაპირ უქმნის საფრთხეს მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას. ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების [განცხადებით](#) იურიდიული კომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტი შერჩევითად და ფრაგმენტულად გვთავაზობს საკითხებს, რომელსაც რეფორმა უნდა შეეხოს.

სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით 2022 წლის ნოემბერში „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტის ბიუროს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების პროექტი [წარუდგინა](#), რომელიც განსახილველად იურიდიულ საკითხთა კომიტეტს გადაეცა. მოგვიანებით, 2022 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მიმართა ვენეციის კომისიას და ეუთო (ODIHR)-ს კანონპროექტზე მათ მიერ მოსაზრების მომზადების მიზნით. ამავე წლის თებერვალში, აღნიშნულმა ინსტიტუტებმა აცნობეს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ისინი ინდივიდუალურ შეფასებებს მოამზადებდნენ კანონპროექტთან დაკავშირებით.

ვენეციის კომისიის მოსაზრება - 2023 წლის 14 მარტი

ვენეციის კომისიამ 2023 წლის 14 მარტს გამოაქვეყნა მოსაზრება, სადაც ის იმეორებს მის წინა რეკომენდაციებსაც, მათ შორის, 2021 წლის დეკემბერში „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის ცვლილებებთან დაკავშირებით [მოსაზრებას](#). ვენეციის კომისიის მიერ 2023 წლის მარტში გამოქვეყნებული დასკვნის შემდგომ, „ქართულმა ოცნებამ“ ცვლილებები შეიტანა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში.

ვენეციის კომისიამ (როგორც 2022, ასევე 2023 წელს) მიუთითა, რომ პარლამენტის მიერ ოპოზიციასთან, ექსპერტებთან ან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ნამდვილი კონსულტაციების გარეშე ისეთი აქტების მიღება, რომლებიც არეგულირებს სამართლებრივი წესრიგის მნიშვნელოვან ასპექტებს, არ შეესაბამება დემოკრატიული კანონშემოქმედებითი პროცესის სტანდარტებს.

ვენეციის კომისიამ, კანონპროექტის პირვანდელ ვერსიასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ცვლილებების პროექტი ლიმიტირებულია და არ ითვალისწინებს საერთო სასამართლოების

შესახებ კანონის, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიან რეფორმას, რომელიც ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. გარდა ამისა, ვენეციის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეიცვალა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების წესი, იუსტიციის საბჭოში კორპორატივიზმისა და პირადი ინტერესების შესახებ, რაზეც არსებობს უკმაყოფილება, აზიანებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ და სერიოზულად უნდა იქნას აღქმული.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და საკანონმდებლო ცვლილებები:

- მოსამართლეობის კანდიდატების ხელახლა კენჭისყრის დროს უნდა დაზუსტდეს, რომ მეორე ტურით დანიშნულმა მოსამართლეობის კანდიდატმა დააკმაყოფილოს კონკრეტული ვაკანსიის ყველა კრიტერიუმი, მაგ. სპეციალიზაციის მოთხოვნა.

საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა და რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა კონკურსში კანდიდატის ხელახალი კენჭისყრის თაობაზე, “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტს დაემატა ზოგადი მითითება, რომ როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 წევრი, კანდიდატის თანხმობით, მიმართავს საბჭოს, რომ ამ კანდიდატს მიმდინარე კონკურსის ფარგლებში დარჩენილ რომელიმე ვაკანტურ თანამდებობაზე ხელახლა ეყაროს კენჭი, პირი უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლის იმ ვაკანტურ თანამდებობაზე გასამწესებლად დადგენილ მოთხოვნებს, რომელზედაც მას ხელახლა ეყრება კენჭი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა კრიტერიუმები არის საერთო ერთი კატეგორიის კანდიდატებისთვის (მაგ. ყოფილი მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული ან მოქმედი მოსამართლე), [ვაკანტური ადგილების](#) სპეციფიკის მიუხედავად.

- მოსამართლეთა მივლინება მათი ნების საწინააღმდეგოდ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა იყოს შესაძლებელი და გამართლებული ლეგიტიმური მიზნით. გათვალისწინებული უნდა იყოს მკაფიო და ვიწრო კრიტერიუმები, ასევე მივლინების დროის მოკლე პერიოდები. ასევე, უნდა აღდგეს მივლინების შემთხვევითი ან ობიექტური პროცედურა გეოგრაფიული შეზღუდვით.

აღნიშნული რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა. ვენეციის კომისიის 2022 წლის მოსაზრება ეხებოდა კანონის 37¹-ე მუხლში ცვლილებებს, რამაც გაზარდა იუსტიციის საბჭოს უფლებამოსილება მოსამართლეთა მივლინება და გადაყვანის თაობაზე მათი თანხმობის გარეშე. ვენეციის კომისიამ ეს დებულებები უაღრესად პრობლემურად მიიჩნია, თუმცა ორგანულ კანონში შევიდა მხოლოდ შემდეგი სახის ცვლილება: რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა სხვა სასამართლოში მივლინება და გადაყვანის საფუძვლებიდან ფრაზა „სხვა ობიექტური გარემოება“ შეცვალა ფრაზით „მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესთან დაკავშირებული სხვა ობიექტური გარემოება.“ გარდა ამისა, კანონში დაემატა, რომ მივლინების დროს მოსამართლეზე გაიცემა სამივლინებო დანამატი, რომლის ოდენობასაც ადგენს იუსტიციის საბჭო და არ უნდა იყოს მივლინებული მოსამართლის ყოველთვიური

თანამდებობრივ სარგოს 10%-ზე ნაკლები, ხოლო თანამდებობრივი სარგოს და დანამატის ოდენობის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივ სარგოს ოდენობას.

- რაიონული სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების საქმის განხილვიდან ჩამოცილების სიმძიმის გათვალისწინებით, კრიტერიუმი „დასაბუთებული ვარაუდი, რომ შესაბამის თანამდებობაზე დარჩენით მოსამართლე ხელს შეუშლის დისციპლინურ სამართალწარმოებას ან/და დისციპლინური გადაცდომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ან/და განაგრძობს სამუშაო დისციპლინის დარღვევას“ ძალიან ბუნდოვანი და ფართოა. ასევე, საჩივრის შეტანის (სამი დღე) და საჩივრის განხილვის ვადები (ხუთი დღე), ძალიან მოკლე დროა იმისათვის, რომ მოსამართლეს ჰქონდეს საკმარისი დრო დისციპლინური სამართალწარმოებისას მისი საქმის წარსადგენად. გარდა ამისა, მოსამართლის ხელფასი არ უნდა შეჩერდეს, დისციპლინური სამართალდარღვევის დადასტურებამდე და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი წარდგინებით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, თუ მოსამართლის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კენჭისყრის შედეგად სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ შესაბამის თანამდებობაზე მოსამართლის დარჩენით ხელი შეეშლება შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის წარმოებას.

10 სამუშაო დღემდე გაიზარდა როგორც საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების განხილვის ვადა. ასევე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებასთან დაკავშირებით საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უზენაეს სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გასაჩივრების და უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში საჩივრის განხილვის ვადები.

მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მოქმედების ვადაში მოსამართლეს უჩერდება უფლებამოსილება, თუმცა, მოსამართლეს აღნიშნულ ვადაში უნარჩუნდება “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-40 მუხლით გათვალისწინებული უფლებები (მოსამართლის ხელშეუხებლობასა

და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით), ხელფასი და სხვა მატერიალური შეღავათები.

- დისციპლინური გადაცდომის საფუძვლების შესახებ ვენეციის კომისიამ მიუთითა, რომ თუ ფორმულირება მოსამართლის მიერ „პოლიტიკური ნეიტრალიტეტის“ დარღვევა შენარჩუნებული იქნება, კანონით უნდა განისაზღვროს დისციპლინური სანქციების საფუძვლები. კერძოდ, რომ ასეთი გადაცდომა ვლინდება მხოლოდ ნეიტრალიტეტის მოვალეობის აშკარა დარღვევის დროს ან გამორიცხავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოსამართლის მიერ სასამართლო სისტემის რეფორმების და საკანონმდებლო საკითხების შესახებ აზრის გამოთქმა.

საქართველოს პარლამენტმა მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის საფუძვლის (75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ზ“ ქვეპუნქტი) შესახებ ვენეციის რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ გაითვალისწინა. კერძოდ, მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის საფუძვლად კვლავ რჩება „მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევით“ იმ განსხვავებით, რომ თან ახლავს დათქმა, რომელმაც კვლავ შეიძლება შეუქმნას საფრთხე მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობას და გამოხატვის თავისუფლებას - პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევად არ მიიჩნევა მოსამართლის მიერ სასამართლო რეფორმის შესახებ ან/და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილების თაობაზე მოსამართლის მეცნიერული ან ანალიტიკური მსჯელობა.

- ვენეციის კომისიამ შეშფოთებით აღნიშნა, რომ დიდი ხანია, რაც ის იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრების არარჩევასთან დაკავშირებით უთითებს, რომ ეს პრობლემა შეიძლება გადაიჭრას ან საკონსტიტუციო ცვლილების გზით ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმის შემოღებით ან კანდიდატებზე პოლიტიკური კომპრომისის მიღწევით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევის პროცედურის თაობაზე მიმდინარე ცვლილებების ფარგლებში მსჯელობა არ ყოფილა. ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის მიერ 3 ახალი არამოსამართლე წევრის არჩევის მიუხედავად, ეს გადაწყვეტილება პოლიტიკური კომპრომისის შედეგს არ წარმოადგენს; ამას მოწმობს იმ ოპოზიციონერი დეპუტატების [განცხადებებიც](#), რომლებმაც მხარი დაუჭირეს არამოსამართლე წევრების არჩევას. მათ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამი არამოსამართლე წევრების არჩევის შემდეგ. ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” [დატოვეს](#). გარდა ამისა, კოალიციამ “დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის” ახალი არამოსამართლე წევრების არჩევა მმართველი პარტიის მიერ ე.წ. კლანის მხარდაჭერად [შეაფასა](#).

- ვენეციის კომისიის მოსაზრებაში ხაზგასმულია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პლურალიზმის მნიშვნელობა და ამ მხრივ იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრების ფუნქცია, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საბჭოს

მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. შესაბამისად, აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნას ეფექტიანი მონაწილეობა საბჭოს საქმიანობაში და რეკომენდაციას აძლევს საქართველოს პარლამენტს გადახედოს საბჭოს შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცედურას, რათა უზრუნველყოს შესაბამისი ბალანსი არამოსამართლე და მოსამართლე წევრებს შორის.

რეკომენდაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების მიღების პროცედურას შეეხება, საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა.

- კორპორატივიზმის პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზად, ვენეციის კომისია საბჭოს წევრების როტაციის წესით განახლებას მიიჩნევს და იმეორებს 2022 წლის რეკომენდაციას.

აღნიშნული რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა.

- 2021 წლის დეკემბერში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ცვლილებებით, იუსტიციის საბჭოს წევრებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ ისინი წევრის პოზიციაზე არჩეულ იყვნენ ერთზე მეტი ვადით. ამ საკითხთან დაკავშირებით, ვენეციის კომისია მიუთითებს 2022 წლის მოსაზრებაზე და აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტი, სასურველია ფიქსირებული ვადების დადგენა, რათა უზრუნველყოფილი იქნას საბჭოს წევრების დამოუკიდებლობა და სთავაზობს ხელისუფლებას გადახედოს ორგანული კანონის 47-ე მუხლს მე-12 პუნქტს და მხედველობაში მიიღოს აღნიშნული მოსაზრება. ამავდროულად, საქართველოს ხელისუფლებამ შესაძლოა განიხილოს იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევის წესის რეფორმაც.

ერთი და იგივე პირის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ზედიზედ ორჯერ არჩევის (დანიშვნის) შესახებ რეკომენდაცია საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა. მოსამართლე წევრების არჩევის წესში შევიდა ფორმალური ხასიათის ცვლილება, რომლის თანახმადაც საბჭოს წევრობის კანდიდატს უფლება აქვს, კენჭისყრამდე საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას მიმართოს და წარუდგინოს თავისი ხედვა და მოსაზრება საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

- ვენეციის კომისიის რეკომენდაცია (რომელსაც 2019 წელსაც აღნიშნავდა), რომ გაიზარდოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის მინიმალური ასაკი და მოთხოვნები გამოცდილებასთან დაკავშირებით.

ვენეციის კომისიის მითითებული რეკომენდაცია არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან საკანონმდებლო ცვლილებები არ ითვალისწინებს უზენაესი სასამართლოს კანდიდატებისთვის დაზუსტებულ მოთხოვნებს, როგორც ასაკობრივ, ასევე პროფესიული გამოცდილების ნაწილში.

- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატურების ნომინირების შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე 2019, 2020 და 2021 წლებში ვენეციის კომისიამ რეკომენდაცია გასცა, რომ შეიქმნას ანტი-ჩიხური მექანიზმი იმ შემთხვევისთვის, თუ შემოკლებულ სიაში შეყვანილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები ვერ მიიღებენ 2/3-ის უმრავლესობას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

ვენეციის კომისიის რეკომენდაცია, უზენაესი სასამართლოს კანდიდატურების ნომინირების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ანტი-ჩიხური მექანიზმის შექმნის შესახებ, საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა.

- უზენაესი სასამართლოს კანდიდატურების ნომინირების შესახებ გადაწყვეტილების გამჭვირვალობისა და დასაბუთების შესახებ ვენეციის კომისიას 2020 წელს ჰქონდა რეკომენდაცია ხმის მიცემის ღიაობის თაობაზე, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების იდენტიფიცირების შესახებ, როდესაც ქვეყნდება, მათ მიერ მომზადებული წერილობითი დასაბუთება.

აღნიშნული რეკომენდაციის შესახებ ვენეციის კომისია დადებითად აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის მე-11 და მე-13 პუნქტებში შენარჩუნებულია ხმის მიცემისა და კანდიდატების თაობაზე წევრების მიერ წერილობითი დასაბუთების ღიაობის პრინციპები.

- იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის ცვლილება „შემდგომი გადაწყვეტილებებისათვის“, რათა გამოირიცხონ საბჭოს ის წევრები, რომლებიც მიკერძოებულები იყვნენ ან სხვაგვარად არღვევდნენ კანდიდატების უფლებებს; ასეთ შემთხვევაში საბჭოს წევრის ჩამოცილების საფუძვლები არ უნდა იყოს ძალიან ფართო.

ვენეციის კომისიის რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა პარლამენტის მიერ და განისაზღვრა, რომ როდესაც უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა დაადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რომელიმე წევრის მიერ დარღვევის ჩადენას, გარდა იმისა, რომ აღნიშნული წევრი კანდიდატის შემდგომ შეფასებაში აღარ მონაწილეობს, ასევე უქმდება უზენაესი სასამართლოს შესაბამის ვაკანსიასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრის მიერ განხორციელებული ყველა კანდიდატის შეფასების შედეგები და საბჭოს წევრები აღნიშნულ კანდიდატებს ხელახლა შეაფასებენ.

ამავე დროს, საქართველოს პარლამენტში 2022 წლის ნოემბერში კანონპროექტის ინიცირებულ ვერსიაში, “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 34³-ე მუხლის მე-13¹ პუნქტი შეიცვალა და დავიწროვდა საბჭოს წევრის კონკურსის შემდგომ პროცედურებიდან ჩამოცილების საფუძვლები.

თუმცა, ცვლილებები არ შეხება კვორუმის პოტენციურ პრობლემებს და საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების უნარიანობას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას რამდენიმე

წევრის ჩამოცილების შემდეგ. ცვლილებები არ მოიცავს შესაბამის მექანიზმს, რომელიც საშუალებას აძლევს საბჭოს მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის შემდეგ, რომელიც მისი რამდენიმე წევრის დისკვალიფიკაციას ახდენს.

- ვენეციის კომისიამ გაიმეორა 2021 წლის დასკვნაში მითითებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მის ახალ გადაწყვეტილებაში (უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატურის წარდგენის შესახებ) იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მხედველობაში უნდა მიიღოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილება და მითითებები, რაც წარმოადგენს აუცილებლობას გასაჩივრების უფლების ეფექტიანობისათვის. ვენეციის კომისიის მოსაზრების თანახმად, საბჭოს უფლებამოსილება უზენაეს სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის წარდგენის შესახებ არ არის შეუზღუდავი და კანონი უზენაეს სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას, შეამოწმოს პროცედურის კანონიერება. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი სახის არასწორი ინტერპრეტაცია, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და ინსტრუქციების სავალდებულო ხასიათი შეიძლება პირდაპირ იყოს მითითებული კანონში. გარდა ამისა, იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებას რომ ჰქონდეს მნიშვნელობა, საჭიროა არსებობდეს მკაფიო წესი, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ძალაში რჩება მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა.

საქართველოს პარლამენტმა რეკომენდაცია გაითვალისწინა და გასაჩივრების პროცედურა ახლებური წესით დაარეგულირა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების/წარდგინების გასაჩივრების შესაძლებლობა კონკურსის მონაწილეებს ენიჭებათ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის ყოველ შესაბამის ეტაპზე, იქამდე, ვიდრე უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა არ მიიღებს გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების/წარდგინების უცვლელად დატოვების თაობაზე („საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, 34³-ე მუხლის მე-13¹ და მე-13² პუნქტები). უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხელახალ წარდგინებას მიიღებს.

- ვენეციის კომისიამ გაიმეორა 2019 წლის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისთვის გათვალისწინებული 10-წლიანი უფლებამოსილების ვადა არის ხანგრძლივი და შესაძლებელია მისი შემცირება.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციის თანახმად, ეს საკითხი მომავალში უნდა იქნას განხილული საკონსტიტუციო ცვლილების ფარგლებში, შესაბამისად აღნიშნული

რეკომენდაცია კვლავ აქტუალურია.

- 2022 წლის მოსაზრებაში, ვენეციის კომისიამ კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისი წინა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ განისაზღვროს, თუ როდის უნდა ჩაითვალოს დისციპლინური სამართალწარმოება ინიცირებულად, რათა მოსამართლემ ადრეულ ეტაპზევე ისარგებლოს ადვოკატის ყოლის უფლებით.

კომისიის მითითებული რეკომენდაციაც ამ ეტაპზე არ არის შესრულებული.

- ვენეციის კომისიამ დადებითად აღნიშნა სასამართლო აქტების საჯარო ინფორმაციის სახით ხელმისაწვდომობის თაობაზე საკანონმდებლო ცვლილებები, თუმცა, მიუთითა, რომ საჭიროა ისეთი ცვლილებების განხორციელება, რომლებიც პრაქტიკულია, ამავე დროს არ ქმნის რთულ და ხანგრძლივ პროცესს. გარდა ამისა, კომისიამ ყურადღება გაამახვილა წარსულში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის საჭიროებაზეც.

“ქართულმა ოცნებამ” ვენეციის კომისიის რეკომენდაცია ამ შემთხვევაში სრულად არ გაითვალისწინა. მართალია, სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჯაროების პროცედურა გამარტივდა, მაგრამ საკანონმდებლო ცვლილებები არ შეეხო წარსულში მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის საკითხს. ამავდროულად განსაზღვრა, რომ მხოლოდ კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი სასამართლოს დეპერსონალიზებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნება, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას აქტუალურ დროში. ამასთან, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიენიჭა უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვროს, თუ რა სახის ინფორმაცია განეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს. გამომდინარე აქედან, შეიზღუდება თუ არასასამართლოს გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განხორციელდება მითითებული საკანონმდებლო ცვლილება პრაქტიკაში საერთო სასამართლოების სისტემის მიერ.

აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტმა ვენეციის კომისიას წარუდგინა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის ცვლილებები მეორე მოსაზრებისთვის.

ვენეციის კომისიის მოსაზრება - 2023 წლის 9 ოქტომბერი

2023 წლის 9 ოქტომბერს გამოქვეყნდა ვენეციის კომისიის დასკვნა, რომელიც აფასებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2023 წლის ივნისის ცვლილებებსა და ამავე წლის სექტემბერში ინიცირებულ კანონპროექტს სასამართლო სისტემის რეფორმირების პერსპექტივიდან. კომისიის დასკვნა გამოირჩევა კრიტიკული შეფასებებით და მასში კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებების (ასევე ინიცირებული კანონპროექტის) შეუსაბამობა

ვენეციის კომისიის რეკომენდაციებსა და სასამართლოს რეფორმირების რეალურ მიზანთან.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოვლისმომცველი რეფორმა

ვენეციის კომისია აცხადებს, რომ მათთვის ცნობილია ბრალდებები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში გავლენის მოხდენის მიზნით არაფორმალური არხების გამოყენების შესახებ, რაც ეწინააღმდეგება საბჭოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს.

კომისია აღნიშნავს, რომ საფუძვლიანი რეფორმა მხედველობაში უნდა იღებდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების კეთილსინდისიერების ნაკლებობასთან დაკავშირებულ მუდმივ ბრალდებებს, რომელიც წარმოადგენს რისკს მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისათვის. ასევე აცხადებს, რომ დღევანდელი კონტექსტის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, რომ ხელისუფლებამ სათანადოდ განიხილოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს “ვეტინგის” (vetting) შესაძლებლობა.

ვენეციის კომისია თავის მოსაზრებაში მიუთითებს, რომ ხელისუფლებამ სასამართლოს რეალური რეფორმირებისთვის არასაკმარისი ნაბიჯები გადადგა და აღნიშნავს, რომ:

ტექნიკური ან მცირე ცვლილებების შეტანა არსებულ კანონმდებლობაში არ არის საკმარისი, არამედ ყოვლისმომცველი რეფორმა გულისხმობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძალაუფლების, ფუნქციების, შემადგენლობის და მისი წევრების არჩევის წესის გადახედვას.

კომისიამ კვლავ ისაუბრა სამოსამართლო კორპორატივიზმის პრობლემის გადაჭრის აუცილებლობაზე და მიუთითა მისი აღმოფხვრის სხვადასხვა საშუალებებზე, ესენია:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის წესის ცვლილება;
- სასამართლო სისტემაში საბჭოს სხვა ადმინისტრაციული ფუნქციების შეზღუდვა;
- საბჭოს ძალაუფლების შემცირება, იმისათვის, რომ შემცირდეს მისი ბოროტად გამოყენების რისკი;
- საბჭოს უფლებამოსილების სხვა ორგანოებს შორის დანაწილება.

ვენეციის კომისიის მოსაზრებით, ამგვარი რეფორმა უნდა გატარდეს ინკლუზიური და კონსულტაციებზე დაფუძნებული პროცესით, რადგან არ არსებობს სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის აღდგენის სწრაფი გზა. მან არაერთხელ გაიმეორა, რომ სასამართლოში პროფესიონალიზმის, გამჭვირვალობის და ეთიკის სტანდარტების გაუმჯობესების გრძელვადიანი ძალისხმევის პარალელურად უნდა გატარდეს ინსტიტუციური რეფორმები.

მიუხედავად 2023 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით გარკვეული საკითხების გაუმჯობესებისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოვლისმომცველ რეფორმასთან დაკავშირებული რეკომენდაცია კვლავ არ შესრულდა. გარდა ამისა, ვენეციის კომისია

მიუთითებს, რომ ეს არც 2023 წლის სექტემბერში ინიცირებული კანონპროექტით არის გათვალისწინებული.

არამოსამართლე წევრების არჩევა

კომისიის განცხადებით, საბჭოს არამოსამართლე წევრები პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში აირჩიეს [იგულისხმება 17 მაისს საბჭოს 3 არამოსამართლე წევრის არჩევა], როდესაც საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა ხმის მიცემის პროცესს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამი წევრის არჩევის შემდეგ საბჭოში პლურალიზმი ეჭვქვეშ დგას, იმ ბრალდებების ფონზე, რომ ეს წევრები შეიძლება დაკავშირებული იყვნენ გავლენიან ჯგუფთან. ასევე კომისიის განმარტები, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არამოსამართლე წევრების ყოფნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, არამედ ეფექტიანი მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში. შესაბამისად კომისია რეკომენდაციას იძლევა, რომ გადაიხედოს საბჭოში გადაწყვეტილების მიღების პროცედურა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ბალანსი საბჭოში არსებულ ორ ჯგუფს (მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს) შორის.

საბჭოს წევრების ეტაპობრივად არჩევა

მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა საბჭოს შემადგენლობის ეტაპობრივად განახლების წესი, მიუთითა, რომ ეს არის სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, ასევე განაცხადა, რომ საეჭვოა, რამდენად არის საკმარისი ზომა საბჭოს უწყვეტობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. კომისიის რეკომენდაციით, უკეთესია საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევა ორ საპარლამენტო ვადაზე გადანაწილდეს, თუმცა სასურველია არჩევნებს შორის უფრო დიდი ინტერვალი იყოს, მაგალითად, წევრთა ნახევარი განახლდეს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ან ერთი მეოთხედი - ყოველწლიურად.

საბჭოს წევრის ხელახალი არჩევის შეზღუდვა

ვენეციის კომისია უარყოფითად აფასებს საბჭოს წევრის ხელახალი არჩევის შეზღუდვის გაუქმებას და აცხადებს, რომ ამგვარი გადაწყვეტილება განსაკუთრებულ დასაბუთებას საჭიროებს. ეს რეკომენდაცია არ შესრულდა არც 2023 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით და არ არის გათვალისწინებული არ სექტემბერში წარმოდგენილი კანონპროექტით.

მოსამართლე წევრების არჩევის წესი

დასკვნაში მითითებულია, რომ ხელისუფლებამ ასევე არ გაითვალისწინა საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევის წესის ცვლილებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, არც 2023 წლის ივნისში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით და არც ამავე წლის სექტემბერში წარმოდგენილი კანონპროექტით. შესაბამისად კომისიას უწევს კვლავ გაიმეოროს რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევის წესი

და დაინერგოს სხვადასხვა თანამდებობებზე ასარჩევი კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასების მართებული სისტემა.

მოსამართლეთა მივლინება და გადაყვანა

მოსამართლის მივლინების წესთან დაკავშირებით ვენეციის კომისიას არაერთხელ მითითებული რეკომენდაციების გამოვრება ამჯერადაც მოუხდა, აღნიშნული რეკომენდაციები ითვალისწინებს:

- მოსამართლის მივლინების/გადაყვანისათვის უფრო ვიწრო კრიტერიუმების განსაზღვრას;
- მივლინების ვადის შემცირებას;
- ტერიტორიული შეზღუდვის დაწესებას;
- შემთხვევითი შერჩევის პრინციპის დაწესებას.

კომისიის შეფასებით, ნაცვლად აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებისა, 2023 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით, ორგანული კანონის 37-ე პრიმა მუხლის პირველ პუნქტში მხოლოდ ლინგვისტური ცვლილებები შევიდა.

საქმის განხილვისგან მოსამართლის ჩამოცილება

ვენეციის კომისია პოზიტიურად აფასებს იმ ფაქტს, რომ “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლთან დაკავშირებით 2023 წლის მარტში მის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები, თითქმის სრულად იქნა გაზიარებული ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით.

დისციპლინური პასუხისმგებლობა მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმისთვის

2023 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრა ის საკითხები, რომელთა შესახებ მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმა არ ჩაითვლება პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლილება კომისიამ შეაფასა, როგორც ნაწილობრივ შესრულებულად, ის აღნიშნავს, რომ მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების დასაცავად უფრო ფართო საფუძვლებიც შეიძლებოდა შექმნილიყო.

კომისიის განმარტებით, დემოკრატიის, ხელისუფლების დანაწილებისა და პლურალიზმის პრინციპი მოითხოვს საჯარო ინტერესებთან დაკავშირებულ დებატებში მოსამართლის მონაწილეობის თავისუფლებას, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სავალდებულო ხასიათი

2023 წლის მარტში გამოქვეყნებულ მოსაზრებაში კომისიამ აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და მითითებების სავალდებულო ხასიათი შეიძლება პირდაპირ იყოს აღნიშნული კანონში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების უზენაესი სასამართლო საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრებასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის ივნისში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა. ახალი ნორმა სამოსამართლო კონკურსის მონაწილეს შესაძლებლობას აძლევს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში წარადგინოს საჩივარი კონკურსის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სხვადასხვა ეტაპზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე/განკარგულებებზე. ასევე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისას კონკურსანტებს ენიჭებათ უფლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულება/წარდგინება გასაჩივრონ კანდიდატების შერჩევის ყოველ შესაბამის ეტაპზე, მანამ სანამ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა არ მიიღებს გადაწყვეტილებას საბჭოს განკარგულების/წარდგინების უცვლელად დატოვების თაობაზე. კომისიამ ნაწილობრივ შესრულებულად მიიჩნია ეს რეკომენდაცია და მიუთითა, რომ ნორმა საჭიროებს გაუმჯობესებას, იმგვარად, რომ საბჭოს დაეკისროს ვალდებულება შეასრულოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

2023 წლის სექტემბრის კანონპროექტები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მიმდინარე წლის 21 და 27 სექტემბერს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების 2 ახალი პროექტი წარადგინეს. კანონპროექტებთან დაკავშირებით ჯერ საკომიტეტო განხილვები არ დაწყებულა.

ინიცირებული კანონპროექტის თანახმად ცვლილებები შეეხება:

1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
2. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების გასაჩივრებას;
3. მოსამართლეთა მივლინების წესს;
4. პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევის წესს;
5. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს;
6. მოსამართლეთა მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევას, როგორც მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეს;
7. ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესს.

1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

კანონპროექტი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნის უფრო მაღალი სტანდარტის განსაზღვრას ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც კანდიდატს უნდა ჰქონდეს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საკვალიფიკაციო მოთხოვნების გამკაცრებას ვენეციის კომისია დიდი ხანია მოუწოდებს ხელისუფლებას, აღნიშნული რეკომენდაცია აისახა კომისიის 2023 წლის მარტში დასკვნაშიც, თუმცა იგი ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით გათვალისწინებული არ ყოფილა. კომისია პოზიტიურად აფასებს, სექტემბერში ინიცირებული კანონპროექტით რეკომენდაციის ნაწილობრივ შესრულებას. თუმცა კიდევ ერთი რეკომენდაცია, რაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მინიმალური ასაკობრივი ზღვრის გაზრდას უკავშირდება, კანონპროექტით გათვალისწინებული არ არის.

2. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების გასაჩივრება

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევ კონკურსში კანდიდატს უფლება აქვს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გაასაჩივროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის შესაბამისად მიღებული განკარგულება/წარდგინება. ინიცირებული კანონპროექტის თანახმად უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების/წარდგინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდეგ, კანდიდატის ხელახლა შეფასებისას და ხელახალი წარდგინების მიღებისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ითვალისწინებენ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებას. ეს ინიციატივა ვენეციის კომისიის შეფასებით გათვალისწინება ჯერ კიდევ არ ნიშნავს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ისეთ დაცვასა და შესრულებას, რომელსაც სავალდებულო ხასიათი აქვს.

3. მოსამართლეთა მივლინების წესი

მოსამართლის მივლინების წესთან დაკავშირებით კანონპროექტით გათვალისწინებულია რამდენიმე ცვლილება:

ა) ორგანული კანონის 37¹-ე მუხლის 1-ლი პუნქტში მითითებულია დათქმა იმის შესახებ, რომ მივლინების არსებული წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე თავისი ინიციატივით მიმართავს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მისი სხვა სასამართლოში მივლინების თაობაზე.

ბ) მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, ორგანული კანონით განსაზღვრული მაქსიმალური ვადა 2 წლიდან 1 წლამდე მცირდება,

თუმცა უცვლელი რჩება თანხმობის გარეშე მოსამართლის მივლინების პირველადი ვადა, რომელიც არაუმეტეს 2 წელია.

გ) კანონპროექტი ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულებას, დაასაბუთოს როგორც თანხმობის გარეშე მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების, ასევე, მივლინების ვადის გაგრძელების გადაწყვეტილება. კერძოდ, დაასაბუთოს იმ გარემოებების არსებობა, რამაც თანხმობის გარეშე სხვა სასამართლოში მივლინების ან ვადის გაგრძელების აუცილებლობა განაპირობა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულებას (მაგ. სამოსამართლო კონკურსში მიღებული გადაწყვეტილებების, სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნების შესახებ) არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ცვლილებები პროცესის გამჭვირვალობისა და სანდოობის კუთხით, რადგან საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთება შაბლონური და ხშირად სრულიად იდენტურია, ბუნებრივია ჩნდება კითხვა, რამდენად შეიქმნება მინიმალური გარანტიები მოსამართლის დამოუკიდებლობის დასაცავად.

რაც შეეხება მივლინების ვადის ვადების შემცირებას (მივლინების გაგრძელების შემთხვევაში), კომისიამ იგი დადებითად შეაფასა, თუმცა მისი განცხადებით ეს არასაკმარისი ნაბიჯია, რადგან მივლინების საერთო მაქსიმალური ვადა - 3 წელი კვლავ ხანგრძლივ ვადად რჩება.

4. პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევის წესი

კანონპროექტის მიხედვით, ერთი და იმავე სესიის განმავლობაში პარლამენტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 4 წევრი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

5. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

ინიცირებული ცვლილებები ითვალისწინებს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობის გაზრდას, კერძოდ, საბჭო აღნიშნულ გადაწყვეტილებას მიიღებს სრული შემადგენლობის 2/3-ით. ეს ცვლილება არ ეხება სხვა სადისციპლინო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას, რისთვისაც საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობაა საჭირო.

6. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევა მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოხატვისას

პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევა მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ

გამოთქმისას რჩება, როგორც დისციპლინური გადაცდომის სახე, ხოლო კანონპროექტი იმ საკითხთა ვიწრო ჩამონათვალს გვთავაზობს, რაც არ მიიჩნევა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევად. შესაბამისად უცვლელი რჩება ის საფრთხეები, რომლებიც მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებას შეიძლება ემუქრებოდეს.

რაც შეეხება ვენეციის კომისიის სხვა რეკომენდაციებს: უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების ნომინირების პროცესში ანტი-ჩიხური მექანიზმის შემუშავებას, მოსამართლეობის კანდიდატთა ხელახალი კენჭისყრის დროს კანდიდატის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დაწვრილებით განსაზღვრას და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების მიღების წესის ცვლილებას ახალი კანონპროექტითაც არ არის გათვალისწინებული.

კომისიის კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომელიც უკავშირდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის შემცირებას (ვენეციის კომისიის განმარტებით 10 წელი მეტისმეტად ხანგრძლივი ვადაა), საჭიროებს საკონსტიტუციო ცვლილებას და ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ სამომავლოდ ეს საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნას საკონსტიტუციო ცვლილებით.

მმართველი პარტია კვლავ გვერდს უვლის სასამართლო სისტემაში არსებულ რეალურ გამოწვევებს, იგი მხოლოდ ცვლილებების იმიტაციას ქმნის, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ სასამართლოს რეალური რეფორმირების მზაობა და პოლიტიკური ნება ამ ეტაპზე არ არსებობს.

არამოსამართლე წევრების არჩევა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად განსაზღვრული ერთ-ერთი პირობაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა, საერთო ჯამში, 5 არამოსამართლე წევრი აირჩია, არცერთი მათგანი არ არის იმ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ წარდგენილი კანდიდატი, რომლებიც წლების განმავლობაში სასამართლოს თემებზე მუშაობენ, უფრო მეტიც, ყველა მათგანი მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან აფილირებული პირები არიან. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლება აღნიშნული პირობის შესრულების იმიტაციას ქმნის და რეალურად არ აუარჩევია კანდიდატები მკაფიოდ ჩამოყალიბებული ისეთი ხედვებით, რომლებიც შეიძლებოდა, თანამდებობაზე მათი დამსახურებულად არჩევის ერთ-ერთი წინაპირობა გამხდარიყო.

სამი არამოსამართლე წევრის არჩევა - 2023 წლის 17 მაისი

საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 17 მაისის პლენარულ სხდომაზე, ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებად ტრისტან ბენაშვილი (93 ხმით), გიორგი გზობავა (91 ხმით) და ზურაბ გურასპაშვილი (93 ხმით) აირჩია.

აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ უმრავლესობას პარლამენტში სულ 84 ხმა აქვს. 3 არამოსამართლე წევრის არჩევას, როგორც შემდეგში გახდა ცნობილი, საპარლამენტო ოპოზიციიდან მხარი დაუჭირეს დეპუტატებმა ნიკა მაჭუტაძემ, ნატო და როსტომ ჩხეიძეებმა, ბაჩუკი ქარდავამ და დილარ ხაბულიანმა. მათგან პირველი 4 დეპუტატი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ მოქმედი წევრები იყვნენ, ხოლო დილარ ხაბულიანი - დაახლოებით ორი წელია, რაც ფრაქციის წევრი არ არის. არამოსამართლე წევრების არჩევის შემდეგ ოპოზიციონერმა დეპუტატებმა განმარტეს, რომ მათ არჩევას მხარი დაუჭირეს 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების გამო და ამას არაფერი აკავშირებს სასამართლოს სისტემაში არსებულ კლანთან. შესაბამისად, მათ ყოველგვარი „გარიგება“ [უარყვეს](#).

არასამთავრობო ორგანიზაციების [შეფასებით](#), 17 მაისს პარლამენტის მიერ საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევით “იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს არჩეულ კანდიდატებს, არ აქვთ სასამართლოს სისტემის გაჯანსაღების რეალური პოლიტიკური ნება და ფუნდამენტური რეფორმების ხედვა”. გარდა ამისა, ამ გადაწყვეტილებით, მომავალი 4 წლის განმავლობაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული წესრიგი მყარად [შენარჩუნდება](#).

ოპოზიციონერი დეპუტატის, ანა წითლიძის [თქმით](#) არგუმენტები, რომელიც მან მისი კოლეგა დეპუტატებისგან მოისმინა, იუსტიციის საბჭოს კანდიდატებისთვის ხმის მიცემასთან დაკავშირებით, არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ სერიოზულად ჩაეთვალიათ. ნატო ჩხეიძემ კი (რომელმაც მხარი დაუჭირა არამოსამართლე წევრების არჩევას) კენჭისყრის მომდევნო დღეს [განაცხადა](#): „გუშინდელი კენჭისყრის და მას მოდევნებული ბრიფინგების შემდეგ როცა ვითარება უნდა ახსნილიყო, პირიქით მოხდა, ასახსნელი მეტი დარჩა საზოგადოებისთვისაც და ჩემთვისაც.“ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“-ს წევრმა თინა ბოკუჩავამ [განაცხადა](#), რომ “რა დეტალებშიც არ უნდა შევიდეთ, გამართლება ამ საქციელს უბრალოდ, არ ექნება. ამიტომ არ ვთვლი საჭიროდ ამ დეტალებში შევიდე. ერთი, რაც შემიძლია გითხრათ არის ის, რომ არანაირი წინასწარი შეთანხმება, გარიგება, მოლაპარაკება, კანდიდატების გაცვლა და გამოცვლა, რაზეც თითქოსდა მინიშნებები იყო, არ არსებობს და ამას დაადასტურებენ სხვა ოპოზიციური დეპუტატებიც”. ხოლო ლელოს წევრი, ანა ნაცვლიშვილმა [აღნიშნა](#), რომ ეს იყო ყალბი პროცესი და “ვინც მოიგონა, ბოლომდე მან მიიყვანოს და პასუხი აგოს იმ უმძიმეს შედეგზე, რომლის წინაშე ქვეყანას აყენებს სასამართლოს ბუტაფორიული პროცესით.” მას შემდეგ რაც კონკრეტულმა დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს არამოსამართლე წევრების არჩევას, პარლამენტის ბიურომ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობიდან ოთხი დეპუტატის გარიცხვა [ცნობად მიიღო](#).

პარლამენტის მიერ 3 არამოსამართლე წევრის არჩევის შემდეგ ოპოზიციის ნაწილმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა, ტექნიკური შესვენების შემდეგ კი, დარჩენილი კანდიდატებიდან საჭირო 90 ხმა ვერცერთმა მოაგროვა. არამოსამართლე წევრის ორი ვაკანტური ადგილის შესავსებად მეორე ტურში ოთხი - სხვებთან შედარებით მეტი მხარდაჭერის მქონე კანდიდატები გადავიდნენ - რუსუდან კვინიკაძე (89 ხმა), გოგა კიკალაშვილი (89 ხმა), ლევან ნემსაძე (88 ხმა) და ნინო ნიშნიანიძე (87 ხმა).

საგულისხმოა, რომ 17 მაისს არჩეულ არამოსამართლე წევრებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებზე ამ დრომდე არ დაუფიქსირებიათ განსხვავებული აზრი.

ორი არამოსამართლე წევრის არჩევა - 2023 წლის 17 ოქტომბერი

2023 წლის 17 ოქტომბერს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, საქართველოს პარლამენტმა ორი ახალი არამოსამართლე წევრი აირჩია, თუმცა მათ შორის არ ყოფილა ნინო ნიშნიანიძე - ოპოზიციის ნაწილისთვის მოსაწონი კანდიდატი.

პარლამენტის სხდომაზე კენჭი ეყარა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრობის ოთხ კანდიდატს, შედეგები კი ასე გადანაწილდა:

- რუსუდან კვინიკაძე – 12 მომხრე, 2 წინააღმდეგი
- გოგა კიკილაშვილი – 90 მომხრე, 0 წინააღმდეგი
- ლევან ნემსაძე – 90 მომხრე, 0 წინააღმდეგი
- ნინო ნიშნიანიძე – 15 მომხრე, 0 წინააღმდეგი

ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა 90 ხმა, ლევან ნემსაძის და გოგა კიკილაშვილის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებად არჩევა რამდენიმე ოპოზიციონერი დეპუტატის მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.

გოგა კიკილაშვილი

გოგა კიკილაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს იმ მოქმედი მოსამართლის, ხვიჩა კიკილაშვილის შვილია. ის ერთ-ერთია იმ მოსამართლეთაგან, ვინც პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა. საინტერესო ფაქტია ის, რომ 2023 წლის 18 მაისს საქართველოს პარლამენტმა გოგა კიკილაშვილს უარი უთხრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად არჩევაზე. თუმცა, სულ რაღაც, 5 თვის შემდეგ პარლამენტის 90 წევრმა მხარი დაუჭირა კანდიდატის არჩევას. საინტერესოა, რა შეიცვალა 5 თვის განმავლობაში, რამაც პარლამენტის წევრთა დამოკიდებულებაც რადიკალურად შეცვალა.

გოგა კიკილაშვილს კანდიდატის სტატუსით საქართველოს პარლამენტში 2022 წლის 12 დეკემბერს მოუსმინეს. მას კრიტიკული მოსაზრებები სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით არ გამოუთქვამს, ის ძირითადად ასახელებდა ისეთ პრობლემებსა და არგუმენტებს, რომლებზეც მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი და ხელისუფლება საუბრობს ხოლმე.

ლევან ნემსაძე

პარლამენტმა ამავე სხდომაზე აირჩია ლევან ნემსაძე. ამ შემთხვევაშიც აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 17 მაისს საქართველოს პარლამენტმა ლევან ნემსაძეს უარი უთხრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად არჩევაზე. ხოლო, 2023 წლის 17 ოქტომბერს პარლამენტის მიერ ნემსაძის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის პროცესში თავდაპირველად 89 მხარდამჭერი პოზიცია დაფიქსირდა. როგორც შემდეგ განიმარტა, პარლამენტის ერთ-ერთ წევრის მოწყობილობა ხმის მიცემის პროცესში გამართულად არ

მუშაობდა. კენჭისყრა ხელმეორედ ჩატარდა და ლევან ნემსაძის კანდიდატურას პარლამენტის 90-მა წევრმა დაუჭირა მხარი.

ამ საკითხთან დაკავშირებით, IDFI [მიიჩნევს](#), რომ “მოცემულ შემთხვევაში, თუ არსებობდა ტექნიკური ხარვეზი, პარლამენტს ეს ხარვეზი უნდა გამოეკვლია პარლამენტის აპარატის კვალიფიციურ პირთა მონაწილეობით. გადაწყვეტილების მიღებისას პარლამენტის თავმჯდომარეს არ და ვერ ეცოდინებოდა იყო თუ არა ტექნიკური ხარვეზი. მხოლოდ ამ საკითხის გამოკვლევის შემდგომ შეიძლებოდა ყოფილიყო შესაძლებელი ხელახალი კენჭისყრის ჩატარება. აღნიშნულის გარეშე კენჭისყრის ხელახლა გამართვა იძლევა კანონისა და კონსტიტუციის მოთხოვნების, გვერდის ავლის შესაძლებლობას. ეს პრეცედენტი მნიშვნელოვნად აკნინებს პარლამენტის წევრების თავისუფალ მანდატს”.

ლევან ნემსაძე 2008 წლიდან მუშაობს სასამართლო სისტემაში, ხოლო 2015 წლიდან იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აპარატში სხვადასხვა პოზიციებზე. საბჭოს არამოსამართლე წევრად არჩევამდე კი ის იკავებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოში მენეჯმენტის დეპარტამენტში უფროსი კონსულტანტის პოზიციას.

ამდენად, ლევან ნემსაძე მხოლოდ ფორმალურად აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ საბჭოს წევრობის კრიტერიუმებს, რადგან ის არც აკადემიური სფეროს, არც ადვოკატთა ასოციაციას ან სამოქალაქო საზოგადოებას არ წარმოადგენს, რადგან წლების განმავლობაში ის მხოლოდ სასამართლო სისტემის თანამშრომელი იყო.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად ერთ-ერთი პირობაა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო 2-წელზე მეტი ხნის განმავლობაში არასრული შემადგენლობით ახორციელებდა საქმიანობას. საქართველოს პარლამენტს კანონით დადგენილ ვადებში უნდა აერჩია 5 არამოსამართლე წევრი, თუმცა ეს ვალდებულება საბოლოოდ ხუთივე არამოსამართლე წევრის არჩევით მხოლოდ 2023 წლის 17 ოქტომბერს დაასრულა. თუმცა ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლებამ აღნიშნული პირობის შესრულების ილუზია შექმნა.

ეუთო/ODIHR - 2023 წლის 15 მარტის მოსაზრება

ეუთო/ODIHR-მა გამოაქვეყნა 2023 წლის 15 მარტის მოსაზრება “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე მომზადდა. ის შეეხება სასამართლო აქტების საჯაროობას, უზენაესი სასამართლოების კანდიდატურების არჩევას, მოსამართლეების შერჩევას და სტატუსს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრებას. 2023 წლის 16 ივნისს ეუთო/ODIHR-მა, სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე გამოაქვეყნა კიდევ ერთი მოსაზრება და რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება: იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების მიღების წესს; არამოსამართლე წევრების ეფექტიან მონაწილეობას საბჭოს საქმიანობაში და მის არჩევას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ; მოსამართლე წევრების არჩევის წესის ცვლილებას; იუსტიციის საბჭოში

ფართო რეპრეზენტაციის, გენდერული ბალანსისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფას. გარდა ამისა, მოსაზრების თანახმად, საჭიროა, ცვლილებები საქმეთა ელექტრონული სისტემით განაწილების კუთხით. რეკომენდაციები აგრეთვე შეეხება სასამართლოს თავმჯდომარეებისა და იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრთა სამოსამართლო პრაქტიკის შენარჩუნების მნიშვნელობას; სასამართლოს თავმჯდომარის სტატუსს, პრივილეგიებსა და მათი არჩევის წესს; მოსამართლეთა და მათი ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების გადამოწმების სისტემას; მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირების საკითხზე პასუხისმგებელი ორგანოს დამოუკიდებლობის გარანტიების უზრუნველყოფას.

საქართველოს პარლამენტს მხედველობაში არ მიუღია ეუთო/ODIHR-ის 2023 წლის 15 მარტისა და 16 ივნისის რეკომენდაციების/მოსაზრებების დიდი ნაწილი.

მოქმედი და ყოფილი მოსამართლეების სანქცირება

2023 წლის 5 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა „საჯარო თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა“ და „მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში ჩართვის“ გამო, [სავიზო შეზღუდვა](#) დაუწესა სამ მოქმედ მოსამართლეს – ლევან მურუსიძეს, მიხეილ ჩინჩალაძეს, ირაკლი შენგელიას, და ერთ ყოფილ მოსამართლეს – ვალერი ცერცვაძეს. სანქცია ვრცელდება მათი ოჯახის წევრებზეც. რამდენიმე მოსამართლემ რომლებსაც არ შეხებიათ სანქცია, თავად გადაწყვიტეს, სანქცირებული მოსამართლეების გამო უარი ეთქვათ ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლო ვიზიტში მონაწილეობაზე. ამ აქტს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრმა, დიმიტრი გვრიტიშვილმა სანქცირებული მოსამართლეებისადმი სოლიდარობა [უწოდა](#). ხოლო მოსამართლე ნანა ჯოხაძემ [განაცხადა](#), რომ „ჩვენი კოლეგების და მით უფრო მათი ოჯახის წევრების სანქცირების გადაწყვეტილება შეურაცხყოფელი და აღმაშფოთებელია პირადად ჩემთვის. მით უმეტეს, მტკიცებულებებისა და ფაქტების გარეშე კორუფციაზე საუბარი ხომ საერთოდ მიუღებელია. ელემენტარულად ეს არის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა. ნებისმიერი შეზღუდვის დაწესება მოსამართლის მიმართ, თანაც დაუსაბუთებელი ბრალდებებით, ჩემ მიერ აღქმულია როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობაში ჩარევა. ჩემთვის შეურაცხყოფელი და დამამცირებელია“. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსამართლეების გარდა, სანქცირებულ მოსამართლეებს სოლიდარობა გამოუცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეც. გარდა ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის [საჯარო მოწოდების](#) შემდეგ, 2023 წლის 10 აპრილს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მივიდა პრემიერ-მინისტრი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და წევრებს შეხვდა. უზენაეს სასამართლოში შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე, ირაკლი ღარიბაშვილმა [განაცხადა](#): „მე, როგორც მთავრობის მეთაური და მმართველი პარტიის წარმომადგენელი, სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ ყველა მოსამართლეს“.

ნინო ქადაგიძემ, უზენაესი სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, მას [აქვს იმედი](#), აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი წარადგენს შესაბამის მტკიცებულებებს ან გადახედავს ამ საკითხს და მოუწოდა საზოგადოებას, თავი შეიკავონ ნაადრევო დასკვნებისგან, სანამ მეტი ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი.

2023 წლის 30 ოქტომბერს, 50-ზე მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ხელი მოაწერა [განცხადებას](#), რომლითაც ხელისუფლებას რეაგირებისკენ მოუწოდეს:

“ვფიქრობთ, დღეს საქართველოს ხელისუფლება ამკარად აფარებს ხელს აშშ-ს მიერ დასაწესებულ პირებს. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა ქვეყნის რეპუტაციას და საქართველოს ხელისუფლების მიმართ საერთაშორისო პარტნიორების ნდობას კიდევ უფრო მეტად აზიანებს. მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, შეწყვიტოს სანქცირებული პირების ინტერესების დაცვა და ამით ქვეყნის დასავლური სივრცისგან დაშორება, ადეკვატური რეაგირება მოახდინოს და კონკრეტული ნაბიჯები გადადგას სანქცირების ფაქტით ქვეყნისთვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად.”

საგამოძიებო კომისიის შექმნა

2022 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტში ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ [დაინიცირდა](#) საქართველოს სასამართლო სისტემაში კორუფციულ და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ ინიციატივა სამოქალაქო საზოგადოების [მოთხოვნის](#) საფუძველზე. საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხმა აქტუალობა მას შემდეგ შეიძინა, რაც აშშ-მა მიმდინარე წლის 5 აპრილს 4 მოსამართლის (მათ შორის ერთი ყოფილი) სანქცირების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება.

საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი პარლამენტის დღის წესრიგში 2023 წლის 18 აპრილს დადგა, თუმცა “ქართული ოცნების” დეპუტატებმა სხდომაზე რეგისტრაცია არ გაიარეს და კვორუმის არარსებობის გამო საკითხი [ჩავარდა](#). იგივე [განმეორდა](#) 19 აპრილს - ოცნების დეპუტატებმა კვლავ არ გაიარეს რეგისტრაცია და შესაბამისად, პროცედურულად საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი კვორუმის არარსებობის გამო [ჩავარდა](#). მმართველი პარტიის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ საქართველოს პარლამენტში [განაცხადა](#) “კოლეგებო, ჩვენ ისევ ვუცხადებთ მხარდაჭერას სასამართლოს დამოუკიდებლობას და სოლიდარობას ქართველ მოსამართლეებს და აქედან გამომდინარე დღესაც, რა თქმა უნდა, საპარლამენტო უმრავლესობა არ გაივლის რეგისტრაციას”. იგივე განმეორდა [21 აპრილს](#) - კვორუმის არარსებობის გამო კვლავ [ჩავარდა](#) საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი. საქართველოს პარლამენტის ბიუროს 1-ელი მაისის [სხდომაზე](#) გაიკვია, რომ კენჭისყრისას საკითხებს შორის არ იყო გათვალისწინებული სასამართლოსთან დაკავშირებული საგამოძიებო კომისიის შექმნის დადგენილების პროექტი. ამდენად, „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურა კვორუმთან დაკავშირებით კონსტიტუციით გარანტირებული საზედამხებდებლო მექანიზმის შექმნისთვის თავის ასარიდებლად [გამოიყენა](#). კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის შემდეგნაირად შეფასება [გააკეთა](#): “მიგვაჩნია, რომ საპარლამენტო უმრავლესობა ბოროტად იყენებს საპარლამენტო პროცედურებს და რეგისტრაციის გავლაზე უარით, ხელს უშლის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას. ამგვარი ქმედებით „ქართული ოცნება“, სასამართლო კლანის მხარდაჭერასთან ერთად, ქვეყნის უზენაეს

კანონსაც უგულბებლყოფს, რადგან აზრს უკარგავს კონსტიტუციურ ჩანაწერს, უმრავლესობის თანხმობის გარეშე შეიქმნას დროებითი საგამომიებო კომისია.”

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევა

2023 წლის 27 ივლისს დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 11 ხმით აირჩია [შოთა ქადაგიძე](#), რომელსაც ყველა დამსწრე წევრმა მისცა ხმა. შოთა ქადაგიძე 2017-2021 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე საქართველოს პარლამენტმა აირჩია.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამოუკიდებელი ინსპექტორის პოზიციაზე ყოფილი არამოსამართლე წევრის არჩევა წარმოადგენს კორპორატივიზმის კიდევ ერთ გამოვლინებას, რადგან შოთა ქადაგიძე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქმიანობის დროს გამოირჩეოდა სასამართლოს გავლენიანი ჯგუფის მიმართ ლოიალურობით.

აღსანიშნავია, რომ ქადაგიძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის მიერ (მათ შორის, ოპოზიციის რამდენიმე დეპუტატის მხარდაჭერილმა) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეულმა სამმა არამოსამართლე წევრმაც. სამოქალაქო საზოგადოების [შეფასებით](#) ეს გადაწყვეტილება საფრთხეს უქმნის ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას, ვინაიდან [მისი კავშირი](#) მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან მიუთითებს მისი დამოუკიდებლობის ხარისხის ნაკლებობაზე.

შოთა ქადაგიძის არჩევამდე დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობას იკავებდა ზურაბ აზნაურაშვილი, რომელმაც 2023 წლის 16 ივნისს თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე ისე დატოვა, რომ უფლებამოსილების 5-წლიანი ვადა ამოწურული არ ჰქონდა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ზურაბ აზნაურაშვილი თანამდებობიდან გადადგომისთანავე, იმავე დღეს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა.

* * *

ჩვენი შეფასებით, სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით, ევროკავშირის მესამე პრიორიტეტი [ნაწილობრივ არის შესრულებული](#). მართალია “ქართულმა ოცნებამ” შეცვალა გენერალური პროკურორის არჩევის წესი, შეიმუშავა სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა, შეიტანა ცვლილებები “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში და აირჩია სამი არამოსამართლე წევრი, არაერთი ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება.

პრიორიტეტების წარმოდგენიდან ერთი წლის შემდეგ, იკვეთება, რომ საქართველოს ხელისუფლებას პირობების ეფექტიანად შესრულების მიზნით, ჯერ კიდევ არ გამოუყენებია ბრიუსელთან კონსულტაციების შესაძლებლობა. „ქართული ოცნების” თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე [აცხადებს](#), რომ მათ არ იციან რა იგულისხმება უფრო ფართო სასამართლო რეფორმაში და მათ სჭირდებათ კონკრეტიკა.

იმისთვის, რომ მესამე პრიორიტეტი მიჩნეული იქნას შესრულებულად, მნიშვნელოვანია:

- განხორციელდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნდამენტური რეფორმა, რაც, სხვა საკითხებს შორის, ასევე მოიცავს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არამოსამართლე წევრების ეფექტიან მონაწილეობას;
- საქართველოს პარლამენტმა მიიღოს საკანონმდებლო ცვლილებები ვენეციის კომისიის და ეუთო/ODIHR-ის რეკომენდაციების საფუძველზე;
- განხორციელდეს სასამართლოს რეფორმა, რომელიც გამორიცხავს კლანურ მმართველობას სასამართლო სისტემაში და უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას, ანგარიშვალდებულებასა და მიუკერძოებლობას.

პრიორიტეტი N 4 ანტი-კორუფციული ზომები

“ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობის გაძლიერება ყველა საკვანძო ანტიკორუფციული ფუნქციის ერთად თავმოყრით; განსაკუთრებით მაღალი დონის კორუფციის შემთხვევების გადასაჭრელად; ახალდაარსებული სპეციალური საგამომიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტოს აღჭურვა იმ რესურსებით, რომლებიც მათ მანდატს შეესაბამება და მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.”

შესავალი

ევროკავშირის მეოთხე პრიორიტეტი მოიცავს ორ ძირეულ კომპონენტს - (1) დამოუკიდებელი ანტი-კორუფციული სააგენტოს შექმნას და (2) სპეციალური საგამომიებო სამსახურის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტოს გაძლიერებას და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისრის, ოლივერ ვარჰეის 2022 წლის 15 ნოემბრის განცხადებით, „საქართველო საკმაოდ წინ არის [კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით], თუმცა, ბევრი მუშაობა [მოუწევს] იმისთვის, რომ ანტიკორუფციული სააგენტო იყოს სრულად დამოუკიდებელი...“, რაც მიუთითებს, რომ დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ოპოზიციური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების მიერ გავრცელებულ ხედვებში, ასევე მოთხოვნილია დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა. სამოქალაქო ორგანიზაციების აზრით, ანტიკორუფციული სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები უნდა იყოს საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია, თანამდებობის პირების მიერ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით დადგენილი ნორმების კონტროლი და კორუფციული დანაშაულებების მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.

ანტიკორუფციული ბიურო

მეოთხე პრიორიტეტის შესასრულებლად „ქართულმა ოცნებამ“ ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის გადაწყვეტილება და შესაბამისი კანონი მიიღო, რომლის მიხედვით, ანტიკორუფციული ბიუროს ძირითადი ამოცანა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა იქნება. ბიურო ზედამხედველობას გაუწევს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის შესრულებას.

ბიურო ასევე კოორდინაციას გაუწევს სათანადო ორგანოების, ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას. ასევე, ანტიკორუფციულ ბიუროს დაევალება მაღალი თანამდებობის პირების ქონების დეკლარაციების მონიტორინგი, მამხილებლების დაცვის

გაუმჯობესება და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი.

ანტიკორუფციული ბიურო ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტისა და უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე. კერძოდ, ბიუროს ხელმძღვანელი წლიურ ანგარიშს პარლამენტს წარუდგენს, ხოლო პერიოდულ ანგარიშებს წარუდგენს უწყებათაშორის ანტიკორუფციულ საბჭოს. აღსანიშნავია, რომ დეკლარაციების მონიტორინგის, პარტიების დაფინანსების მონიტორინგის და მამხილებლების დაცვის გაძლიერება ასევე მოთხოვნილი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

კიდევ ერთი ფუნქცია, რომელიც შესაძლოა ანტიკორუფციული ბიუროს დამატებოდა, დაკავშირებულია იყო 12 მოთხოვნიდან ერთერთთან - დეოლიგარქიზაციასთან. კერძოდ, ცვლილება შევიდა კანონპროექტში “დეოლიგარქიზაციის შესახებ.” კანონპროექტის მიხედვით, პირის ოლიგარქად იდენტიფიცირება, შესაბამისი მოკვლევისა და დასაბუთებული არგუმენტების საფუძველზე, ანტიკორუფციული ბიუროს უფლებამოსილება იქნება. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ პირის ოლიგარქად გამოცხადების გადაწყვეტილება სასამართლო კონტროლს დაექვემდებარება. თუმცა, ვინაიდან ამ კანონპროექტის მიღება შეჩერებულია, ანტიკორუფციულ ბიუროს ასეთი უფლებამოსილება ჯერ არ დამატებია.

2023 წლის 22 ივნისს, საქართველოს ხელისუფლების მიერ 12 პრიორიტეტის შესრულების მდგომარეობაზე ზეპირი ანგარიშის წარმოდგენისას, სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისრმა ოლივერ ვარჰეიმ განაცხადა, რომ ანტიკორუფციული ღონისძიებების ნაწილში, ევროკავშირის მოლოდინებია: 1) ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებელის უზრუნველყოფა; 2) OECD-ის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელიდან (ACN) გამოსვლის შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა; 3) ვენეციის კომისიასთან კონსულტაციები საკანონმდებლო ცვლილებებზე.

ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობას დიდწილად განსაზღვრავს უფროსის დანიშვნის წესი და პოლიტიკური ანგარიშვალდებულება. “ქართული ოცნების” მიერ ბიუროს ხელმძღვანელთან დაკავშირებით შემუშავებული იქნა შემდეგი წესი: ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის კანდიდატურებს ღია კონკურსის საფუძველზე, სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნილი საკონკურსო კომისია შეარჩევს და თანამდებობაზე დასანიშნად პრემიერ-მინისტრს წარუდგენს, ხოლო პრემიერ-მინისტრი წარდგენილი კანდიდატებისგან შეარჩევს და თანამდებობაზე [6 წლის ვადით] დანიშნავს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს.

ამ პროცედურების დაცვით, კომისიამ - სადაც სახალხო დამცველისა და სამოქალაქო სექტორის (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო) წარმომადგენელიც შედიოდა, საჯარო კონკურსი ჩაატარა (კანდიდატების გასაუბრება აუდიო ფორმატში მთავრობის გვერდზე განთავსდა). კომისიამ, კონკურსის საფუძველზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრს სამი კანდიდატურა შესთავაზა, საიდანაც ირაკლი ღარიბაშვილმა, არჩევანი რაჟდენ კუპრაშვილზე, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ყოფილ უფროსზე გააკეთა.

თავმჯდომარის დანიშვნის წესმა თავიდანვე გამოიწვია კრიტიკა, რადგანაც პრემიერ-მინისტრის მიერ ბიუროს ხელმძღვანელის დანიშვნა წარმოქმნის რისკს, რომ ბიურო სრულად დამოუკიდებელი არ იქნება. არსებობს რისკი, რომ ბიუროს თავმჯდომარის დანიშვნის არსებული წესმა, შესაძლოა კონკურსის მიღმა დატოვა "სისტემის გარეთ" მყოფი პოტენციური კანდიდატები, რადგანაც გადაწყვეტილების მიღება პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებას წარმოადგენს, შესაბამისად, მოლოდინი, რომ ხელისუფლებისადმი ნაკლებად ლოიალური კანდიდატის არჩევა შესაძლებელი იქნებოდა, სავარაუდოდ, ძალიან დაბალი იქნებოდა.

კრიტიკის პასუხად, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ „საუბარი იმაზე, რომ პრემიერის მიერ დანიშნული დამოუკიდებელი ვერ იქნება, ცარიელი სპეკულაციაა“ და მიუთითა, რომ საკადრო გადაწყვეტილებებს საქართველოში ან პრემიერი, ან საპარლამენტო უმრავლესობა იღებს და არა - ოპოზიცია.

ანტიკორუფციული ბიუროს ეფექტურ და დამოუკიდებელ მუშაობაზე საუბრისას, ხაზგასასმელია ის ფუნქციები, რაც ამ უწყებას აქვს. „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, ანტიკორუფციულ ბიუროს საგამომიებო ფუნქციები არ ექნება. ოპოზიცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ ანტიკორუფციულ სამსახურს, რომელსაც არ აქვს საგამომიებო ფუნქცია და მხოლოდ კორუფციასთან ბრძოლის შესახებ რეკომენდაციების წარდგენა შეუძლია, არ ექნება გავლენა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ასეთი ფუნქციის არმქონე ბიურო კი, ვერ დააკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს.

ამ კონტექსტში ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ანტიკორუფციული სააგენტო, კვლავ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ქოლგის ქვეშ რჩება, რაც სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების კრიტიკის მიზეზია.

მაგალითად, „ლელოს“ შეფასებით, ანტიკორუფციული ბიურო მხოლოდ „დამატებითი ბიუროკრატიული რგოლი“ იქნება და „უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი ვერ ჩაითვლება ევრორეკომენდაციის შესრულებად“, რადგან „ახალ სსიპ-ს არ ექნება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის რეალური მანდატი“. ასევე, ლელოს მოსაზრებით, „ქართული ოცნების“ კანონპროექტი 20-მდე კანონში ცვლილებებს ითვალისწინებს, თუმცა ის რეალურად არაფერს ცვლის და 12 პუნქტით გათვალისწინებულ სულისკვეთებას არ იზიარებს.

პარტია „საქართველოსთვის“ წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მნიშვნელოვანი იყო დაწყებულიყო მუშაობა დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნაზე, რომლის ხელმძღვანელი მაღალი პოლიტიკური კონსენსუსით აირჩეოდა. მათი წინადადება მოიაზრებდა ანტიკორუფციული სამსახურის შექმნას, რომელსაც ექნებოდა გამომიების უფლებამოსილება, მასში გაერთიანდებოდა ყველა უწყებაში გაფანტული ანტიკორუფციული ფუნქციები და ხელმძღვანელი დაინიშნებოდა პარლამენტის 2/3-ის მხარდაჭერით.

ანტიკორუფციული ბიუროს შექმნასთან დაკავშირებული კანონპროექტი „ლელომ“

პარლამენტში ჯერ კიდევ 2021 წელს დაარეგისტრირა, თუმცა, „ქართულ ოცნებას“ ეს პაკეტი არ განუხილავს. აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი ოპოზიციური პარტიები მხარს უჭერდნენ ჯერ კიდევ 2020 წელს “ქართული ოცნების” ყოფილი დეპუტატების თამარ ჩუგოშვილის, თამარ ხულორდავას, ირინე ფრუიძის, ნინო გოგუაძის, დიმიტრი ცქიტიშვილისა – და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ შემუშავებულ კანონპროექტს ანტიკორუფციული ეროვნული სააგენტოს შექმნის შესახებ. მაშინ “ქართულმა ოცნებამ” არც ეს პაკეტი განიხილა.

“ლელომ” 2022 წლის ოქტომბერში კვლავ მოითხოვა, რომ პარლამენტი დაბრუნებოდა 2021 წელს დარეგისტრირებულ საკანონმდებლო პაკეტს ანტიკორუფციულ სააგენტოსთან დაკავშირებით. ამ კანონპროექტით, “ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო” უნდა ჩამოყალიბებულიყო როგორც დამოუკიდებელი ორგანო საგამოძიებო ფუნქციებით, რომელიც ანგარიშვალდებული იქნებოდა პარლამენტის წინაშე და რომლის თავმჯდომარე არჩეული იქნებოდა პარლამენტის მიერ 5 წლის ვადით. შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უნდა ჩამორთმეოდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქცია და გადასცემოდა დამოუკიდებელ სააგენტოს. “ლელოს” კანონპროექტით, ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს ფუნქციები უნდა ყოფილიყო: საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია, საჯარო მოხელეების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი, პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის კონტროლი და რაც მთავარია, სისხლის სამართლებრივი საქმეების გამომძიების უფლებამოსილება.

OECD: აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელი

კორუფციასთან ბრძოლაზე საუბრისას, ანტიკორუფციული ბიუროს შექმნის გარდა, ხაზგასასმელია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD/ACN) მიერ საქართველოს შესწავლა. 2022 წლის ნოემბერში, საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა (რუსეთისა და ბელარუსის გარდა, რომელიც ნების საწინააღმდეგოდ გარიცხეს), რომელიც არ მიიღო მონაწილეობა მეხუთე რაუნდის მონიტორინგის შეფასების ჩარჩოს დამტკიცების პროცესში.

საქართველოს მთავრობას 2022 წლის ბოლომდე უნდა განეცხადებინა თანხმობა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მიმდინარე წელს ქვეყნის მონიტორინგი OECD/ACN-ის მეხუთე რაუნდის შემოწმების ფარგლებში. თუმცა, თანხმობა ამ დრომდე არ ყოფილა. მმართველი გუნდის ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველო ანტიკორუფციულ ქსელში დაბრუნდება, რაც პირდაპირ არის ევროკავშირის შუალედურ შეფასებაში რეკომენდირებული, თუმცა პროგრესი ამ დრომდე არ ყოფილა. მეტიც, ირაკლი კობახიძის ამ განცხადების შემდეგ, 2023 წლის 3 ოქტომბერს ანტიკორუფციული ქსელის ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა, სადაც დაპატიჟების მიუხედავად, საქართველოს მთავრობას მონაწილეობა კვლავაც არ მიუღია.

აქვე ხაზგასასმელია, რომ OECD-ი, კონსესუსის საფუძველზე ადგენს კრიტერიუმებს, რომლითაც ქვეყნების შემოწმება ხდება, და ასეთი მკაცრი რეაქცია, როგორიც საქართველოს ჰქონდა, პრაქტიკულად არავის გამოუხატავს. ხაზგასასმელია ისიც, რომ იმ შემთხვევაშიც კი,

თუკი საქართველო თანხმობას განაცხადებს დაბრუნებაზე, უდიდესი ალბათობით, ქვეყნის მონიტორინგი წელს ვეღარ მოესწრება, რაც ცალსახად ნეგატიური ფაქტორი იქნება.

ამ საკითხზე, როგორც 2022 ასევე 2023 წელს, ქართულმა საზოგადოებრივმა მოძრაობებმა, რომლებიც კორუფციის საკითხებს იკვლევენ, საქართველოს მთავრობას OECD/ACN-ის ფორმატში დაბრუნებისკენ და აქტიური პარტნიორობისკენ არაერთხელ მოუწოდეს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

მეოთხე პრიორიტეტი ასევე მოიცავს სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დამოუკიდებლობას და სათანადო რესურსებით აღჭურვას.

„ქართული ოცნების“ ინიციატივით, პარლამენტმა 2022 წლის 30 ნოემბერს მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები, რომლის საფუძველზეც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა იზრდება.

კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე უფლების დარღვევის დადგენის შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხებზე გამოძიებას პროკურატურის ნაცვლად, სპეციალური საგამოძიებო სამსახური წარმართავს. კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შეეხება, სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ მუხლებთან დაკავშირებით ქვემდებარეობის გაფართოებაა, თუ ეს მუხლები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ან/და ბოროტად გამოყენებას ეხება და თუ დანაშაული გამოვლენილია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ წარმოებული გამოძიების ფარგლებში.

პარლამენტმა ასევე მხარი დაუჭირა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შემდგომი ინსტიტუციური გაძლიერების საკითხზე მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, რომლითაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები გაიზარდა. 2022 წლის 30 ნოემბერს მესამე მოსმენით მიღებული კანონი ყველა თანამშრომლისთვის, გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა, სპეციალური წოდების მინიჭების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ კანონი ითვალისწინებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევებზე ხანდაზმულობის ვადის გაზრდას.

ცვლილებები განხორციელდა პარლამენტის რეგლამენტშიც - კერძოდ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მოთხოვნისთანავე, აღნიშნული სამსახურის უფროსები პარლამენტის კომიტეტს წარუდგენენ ინფორმაციას სამსახურის საქმიანობის პროცესში გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზების თაობაზე და მოსაზრებებს აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, ასევე მოსაზრებებს სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

ცალკე აღსანიშნავია ის პრეისტორია, რაც, სავარაუდოდ, აღნიშნულ ინსტიტუტებთან დაკავშირებით ევროკავშირის რეკომენდაციის საფუძველი გახდა. 2021 წლის დეკემბერში „ქართულმა ოცნებამ“ მოულოდნელად, წინასწარი კონსულტაციების გარეშე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება და მის ნაცვლად ორი ახალი უწყების - სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურების შექმნა გადაწყვიტა. ქართული ოცნების ინიციატივას წინ უძღოდა 2021 წლის ნოემბერში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ რუსთავის ციხიდან გლდანის ციხის სამედიცინო დაწესებულებაში მისი ნების საწინააღმდეგოდ გადაყვანისას შესაძლო არაადამიანური მოპყრობაზე გამოძიების დაწყება.

ამასთან დაკავშირებით სამსახურმა დაადგინა, რომ იუსტიციის სამინისტრომ და სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სააკაშვილის ვიდეოებისა და ფოტოების გამოქვეყნებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი დაარღვიეს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილება გააკრიტიკეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე [ზურაბიშვილმა](#), თავად სამსახურის ხელმძღვანელმა, ლონდა თოლორაიამ [არასამთავრობო](#) ორგანიზაციებმა, ოპოზიციამ და აშშ-ის [საელჩომ](#) საქართველოში. ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ „მმართველმა პარტიამ ძირითადი გამოუთხარა მთავრობის ანგარიშვალდებულებას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებით“.

განსაკუთრებით კრიტიკული სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებასთან დაკავშირებით ევროკავშირი იყო. ევროკავშირის იმდროინდელმა ელჩმა, კარლ ჰარცელმა, განაცხადა, რომ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება ეჭვქვეშ [აყენებს](#) დემოკრატიული

ინსტიტუტებისა და სათანადო დემოკრატიული ზედამხედველობის მექანიზმების მიმართ პატივისცემას“. ეს კრიტიკა არ გაიზიარა „ქართულმა ოცნებამ“, რომლის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ხელისუფლებამ კი არ გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, არამედ მის ნაცვლად ორი დამოუკიდებელი უწყება შექმნა. თუმცა, დამატებითი კითხვები გაჩნდა მაშინ, როდესაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფროსი ლონდა თოლორაია პარლამენტმა არც ერთი ახლად შექმნილი უწყების ხელმძღვანელად აღარ დაამტკიცა და ორივე უწყებაში ხელმძღვანელებად ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები დანიშნა.

2023 წლის ივლისში სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კრიტიკის ობიექტი გახდა. საიას [განცხადებით](#), სამსახურმა არ დაიწყო გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის გოგა რაზმაძის საქმეზე, რომელიც შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილეს დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ მოპყრობასა და ახსნა-განმარტების მიცემის იძულებაში ადანაშაულებდა. საგამოძიებო სამსახურის გადაწყვეტილებით, განცხადება განსახილველად იმავე უწყებას გადაეგზავნა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელის შესაძლო დანაშაულის ჩადენას უკავშირდებოდა შსს-ს თანამშრომლის წარდგენილი განცხადება.

* * *

ჩვენი შეფასებით, ანტიკორუფციული ღონისძიებებთან დაკავშირებული პირობა [ნაწილობრივ](#) [შესრულებულია](#). კერძოდ, ანტიკორუფციული ბიუროს დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულებისთვის აუცილებელია, რომ ის იყოს დამოუკიდებელი მთავრობისგან, ხოლო ფუნქციურად, მნიშვნელოვანია, რომ ამ სააგენტოს გააჩნდეს საგამოძიებო ფუნქციები. ამასთანავე, უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს მთავრობა დაუბრუნდეს OECD-ის

ანტიკორუფციულ ქსელს, რაც ევროინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

გარდა ამ ორი ფაქტორისა, მნიშვნელოვანია ევროკავშირის შუალედური შეფასების დროს ხაზგასმული მოლოდინი, რაც საკანონმდებლო ცვლილებების ვენეციის კომისიასთან კონსულტაციის საფუძველზე მიღებას გულისხმობს.

მეოთხე პრიორიტეტის სრულად შესასრულებლად, ასევე მნიშვნელოვანია, სპეციალური საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურები დარჩნენ პოლიტიკური ჩარევისა და ზეწოლისგან თავისუფლები.

პრიორიტეტი N5 დეოლიგარქიზაცია

„დეოლიგარქიზაციის“ პირობისადმი ერთგულება, რაც უნდა მიღწეული იქნას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის საშუალებით“

შესავალი

ევროკავშირმა ასოცირებული ტრიოს სამივე სახელმწიფოს, უკრაინას, მოლდოვას და საქართველოს წარუდგინა დეოლიგარქიზაციის მოთხოვნა.

ვენეციის კომისიის [თანახმად](#), პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცალკეული ინდივიდების გაუმჭვირვალე არასათანადო გავლენის პრევენცია დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია და აღნიშნულ პრობლემას განსაკუთრებული კონოტაცია აქვს უკრაინაში, საქართველოსა და მოლდოვაში, სადაც ე.წ. ოლიგარქების გაუმჭვირვალე გავლენა დემოკრატიის მშენებლობისთვის მთავარ პრობლემას წარმოადგენს. ვენეციის კომისიისთვის ოლიგარქიზაცია არის შემდეგი ფაქტორების კომბინაცია: პოლიტიკური მანდატის გარეშე პოლიტიკური ძალაუფლების ქონა და გამოყენება, პარლამენტზე, მთავრობაზე, პოლიტიკურ პარტიებზე, სასამართლოსა და სამართალდამცავ ორგანოებზე ზეგავლენა, მედიის ფლობა ან/და მასზე ზეგავლენა, არსებითი, თუ არა მონოპოლისტური, გავლენა სხვადასხვა სფეროზე, როგორებიცაა ენერგეტიკა, მოპოვებითი მრეწველობა, ნავთობი და ბუნებრივი აირი, მეტალურგია, უძრავი ქონება და ა.შ. ასევე, ვენეციის კომისიის თქმით, ოლიგარქიის პრობლემაზე საუბრისას ასევე გამოიყენება ტერმინი „მიტაცებული სახელმწიფო“.

ვინ იგულისხმება ოლიგარქში?

კონკრეტულად რა ან/და ვინ იგულისხმება დეოლიგარქიზაციის მოთხოვნაში საქართველოში დებატების საგანი გახდა. საზოგადოების დიდ ნაწილს (ასევე პოლიტიკურ ოპოზიციას) მიაჩნია, რომ ეს ადამიანი „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილია. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის საზოგადოებრივი აზრის [გამოკითხვის](#) შედეგად გამოკითხულთა 35%-მა საქართველოში ოლიგარქად სწორედ ივანიშვილი მიიჩნია. გამოკითხულთა 3%-ის აზრით ოლიგარქები არიან მიხეილ სააკაშვილი და დავით კეზერაშვილი, ხოლო 2%-ის აზრით ვანო ჩხარტიშვილი და მამუკა ხაზარაძე. 2022 წელს ევროპარლამენტმა თავის [ივნისის](#) და [დეკემბრის](#) რეზოლუციებში ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქად მოიხსენია და მოუწოდა ევროკავშირის ინსტიტუტებს, რომ მისი გავლენების შემცირების მიზნით მისი სანქცირება მოეხდინათ.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი დეოლიგარქიზაციის მოთხოვნას პირდაპირ არ უკავშირებს რომელიმე კონკრეტულ ინდივიდს. როგორც ევროკომისიარმა ოლივერ ვარჰეიმ 2022 წლის 15 დეკემბერს [აღნიშნა](#), დეოლიგარქიზაციის მოთხოვნა არ მიესადაგება რომელიმე ერთ ადამიანს. 2022 წლის 20 სექტემბერს საქართველოში ევროკავშირის ელჩმა პაველ

ჰერჩინსკიმაც ასევე მკაფიოდ [განმარტა](#), რომ ევროკავშირის ზოგადად აწუხებს მდიდარი და გავლენიანი ბიზნესმენების არასათანადო ჩარევა პოლიტიკაში.

„ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილს ოლიგარქად არ მიიჩნევს, შესაბამისად, მკაცრად აკრიტიკებს ყველას, ქვეყნის შიგნით და გარეთ, ვინც დეოლიგარქიზაციის პროცესში ივანიშვილს მოიაზრებს. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საგანგებო წერილიც კი მისწერა ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლეიენს, სადაც [გააპროტესტა](#) 2022 წლის ივნისში მიღებული ევროპარლამენტის რეზოლუცია, რომელიც ბიძინა ივანიშვილს საქართველოში ერთადერთ ოლიგარქად მოიხსენიებდა, რომელსაც საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაზე დესტრუქციული ზეგავლენა აქვს და აკონტროლებს მთავრობის გადაწყვეტილებებს, მათ შორის ჟურნალისტებისა და პოლიტიკური ოპონენტების პოლიტიკურად მოტივირებულ დევნას. ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილს არ აქვს ფორმალური, ან არაფორმალური გავლენა ქართულ პოლიტიკასა და მედიაზე და ამიტომ არ უნდა ჩაითვალოს ოლიგარქად არც ერთი იურიდიული, თუ პოლიტიკური კრიტერიუმით. უფრო მეტიც, „ქართული ოცნების“ ლიდერების თქმით, საქართველოში ოლიგარქები მხოლოდ პოლიტიკური ოპოზიციის მხარდამჭერებში არიან. იმავე წერილში ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოში არის რამდენიმე მდიდარი ინდივიდი კრიმინალური წარსულით, რომლებსაც აქვთ აქტიური გავლენა პოლიტიკასა და მედიაზე ოპოზიციის რადიკალური ფრთის სასარგებლოდ.

როგორ უნდა განხორციელდეს დეოლიგარქიზაცია? სისტემური და პერსონალური მიდგომები

2022 წლის 3 ივლისს სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს დეოლიგარქიზაციის პრობლემის სისტემურად მოგვარების ვარიანტს. იმის გათვალისწინებით, რომ არასამთავრობო სექტორს კარგად ესმოდა, რომ „ქართული ოცნება“ არ გადადგამდა ისეთ ნაბიჯებს, რომელიც მათი პარტიის დამფუძნებლისა და არაფორმალური ლიდერის ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, თავის [ხედვაში](#) 12 პირობის შესრულებასთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოებამ აღნიშნა, რომ დეოლიგარქიზაციის მოთხოვნის შესასრულებლად აუცილებელი იყო 12-პუნქტიანი ჩამონათვალის დანარჩენი 11 მოთხოვნის სრულად შესრულება.

„სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ [რეკომენდაციით](#), საქართველოში „ასოცირებული ტრიოს“ დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით განსხვავებული კონტექსტია და „ანტი-ოლიგარქიული“ კანონის ანალოგის მიღება გონივრული ნაბიჯი არაა. შესაბამისად, საჭიროა არა ერთი კანონის მიღება, არამედ სისტემური ცვლილებები, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტებს უფრო ეფექტიანს, ანგარიშვალდებულს და გამჭვირვალეს გახდის. სამოქალაქო საზოგადოების და ოპოზიციის ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც ოლიგარქები, ან მათთან დაახლოებული პირები არ იმყოფებიან ხელისუფლებაში, დეოლიგარქიზაციის კანონი შეიძლება ეფექტიანი იყოს, ხოლო ისეთ ქვეყანაში, სადაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მმართველი ძალა ოლიგარქის გავლენის ქვეშ არის, მსგავსი კანონი უბრალოდ ვერ იმუშავებს და, პირიქით, გამოყენებული იქნება

პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ.

ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირის პრიორიტეტი დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებით კანონის მიღებას არ ითვალისწინებდა. საქართველოში ევროკავშირის ყოფილმა ელჩმა, კარლ ჰარცელმა [გაიზიარა](#) სამოქალაქო საზოგადოების ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ „კომისიის სხვა 11 პრიორიტეტის წარმატებით განხორციელება თავისთავად გამოიწვევს ოლიგარქიული ზეგავლენის შემცირებას“. მისი [ტექსტით](#), „პასუხისმგებლობის დიდი წილი მოდის ძლიერ ინსტიტუტებზე. უნდა არსებობდეს იმედი, რომ მათ საკუთარი მანდატის შესრულება კანონის უზენაესობის სრული დაცვით შეუძლიათ“. საქართველოში ესტონეთის ელჩმა, რიინა კალიურანდმა კი [აღნიშნა](#), „ევროკავშირის მხრიდან არასდროს ყოფილა მოთხოვნა, რომ გქონდეთ სპეციფიკური კანონი დეოლიგარქიზაციაზე იმიტომ, რომ ეს წინააღმდეგობრივი საკითხია.“

აღსანიშნავია, რომ პროცესის დასაწყისში, 2022 წლის 4 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, [ამბობდა](#), რომ თუ დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის გარშემო კონსენსუსი არ იქნებოდა და ევროკავშირი და ოპოზიცია მიიჩნევდა, რომ ეს კანონი საჭირო არ იყო, ხელისუფლება კანონს არ მიიღებდა. მიუხედავად ამისა, „ქართულმა ოცნებამ“ დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის მიღება მაინც გადაწყვიტა. კერძოდ, „ქართულმა ოცნებამ“ უკრაინის შესაბამისი კანონი პირდაპირ გადმოიღო, მცირე ცვლილებებით, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. ამასთან, „ქართულმა ოცნებამ“ წინასწარ [დააანონსა](#), რომ ეს კანონი ბიძინა ივანიშვილს არ შეეხებოდა, თუმცა [შეეხებოდა](#) ყოფილ თავდაცვის მინისტრს და ტელეკომპანია ფორმულას დამფუძნებელს დავით კუზერაშვილს და სხვა ოპოზიციურ პოლიტიკოსებს, კერძოდ, „ლელოს“ ლიდერებს - მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს და პარლამენტარებს ნაციონალური მოძრაობის სიიდან - კობა ნაყოფიასა და კახაბერ ოქრიაშვილს.

დეოლიგარქიზაციის შესახებ საკუთარი კანონპროექტი შეიმუშავა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამაც“. „ენმ“-ს დეპუტატმა ლევან ბეჟაშვილმა [განაცხადა](#), რომ უმრავლესობის მიერ დეოლიგარქიზაციის კანონპროექტის მარტო წარდგენის შემთხვევაში თავის ვერსიას ისინიც წარადგენდნენ. შესაბამისად, მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი წარადგინა, დეოლიგარქიზაციის კანონის თავისი ვერსია პარლამენტში 2021 წლის 21 ნოემბერს „ენმ“-მაც შეიტანა. „ენმ“-ს [კანონპროექტი](#) ასევე „პერსონალურ“ მიდგომას ეფუძნებოდა და ძირითადად, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ იყო მიმართული. ლევან ბეჟაშვილი [ითხოვდა](#) „ქართული ოცნების“ კანონპროექტის და მის მიერ წარდგენილი კანონპროექტის ვენეციის კომისიაში გაგზავნას, თუმცა მმართველმა პარტიამ ვენეციის კომისიაში მხოლოდ საკუთარი კანონპროექტი გააგზავნა. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა [განიხილა](#) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მომზადებული „ოლიგარქიული მმართველობის წინააღმდეგ“ კანონპროექტი და მას 2023 წლის 12 აპრილს გამართულ სხდომაზე მხარი არ [დაუჭირა](#).

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური პარტიები, [სამოქალაქო](#) საზოგადოება და საერთაშორისო [პარტნიორები](#) კანონის მიღებას ეწინააღმდეგებოდნენ, „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი დეოლიგარქიზაციის შესახებ 2022 წლის 16 ნოემბერს მეორე მოსმენითაც

მიიღო. თავიდან „ქართული ოცნება“ წინააღმდეგი იყო, რომ კანონპროექტი ვენეციის კომისიისთვის გაეგზავნა. თუმცა სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისიის, ოლივერ ვარჰეისა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მოწოდებების შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა კანონპროექტი მესამე მოსმენით აღარ განეხილა და ის ვენეციის კომისიაში გაეგზავნა. 2023 წლის 13 მარტს ვენეციის კომისიამ „ქართული ოცნების“ კანონპროექტთან დაკავშირებით კრიტიკული მოსაზრება გამოაქვეყნა, ხოლო 12 ივნისს გამოაქვეყნა საბოლოო დასკვნა, სადაც მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას არ მიეღო დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი.

ვენეციის კომისიის პირველი დასკვნა დეოლიგარქიზაციის კანონპროექტზე

დეოლიგარქიზაციის პრობლემის მოსაგვარებლად ვენეციის კომისიამ უპირატესობა სისტემურ მიდგომას მიანიჭა, მაშინ როდესაც საქართველოს პარლამენტში „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი კანონპროექტი „პერსონალურ“ მიდგომას ეფუძნებოდა. სისტემური მიდგომა გულისხმობს საკანონმდებლო მექანიზმების შემუშავებას და დახვეწას ისეთ სფეროებში, როგორიცაა მედიასთან, პოლიტიკურ პარტიებთან, არჩევნებთან, გადასახადებთან დაკავშირებული კანონმდებლობა, ანტი-მონოპოლისტური, ანტი-კორუფციული და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ძალისხმევები, ასევე ეფექტური კონკურენციის პოლიტიკა, მედია პლურალიზმის უზრუნველყოფა, პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების წესები და ა.შ.

ვენეციის კომისიის მიხედვით, დეოლიგარქიზაციისადმი „პერსონალური“ მიდგომა მყარ პროცედურულ გარანტიებს საჭიროებს, რათა ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დარღვევების პრევენცია მოხდეს. ვენეციის კომისიამ მიიჩნია, რომ დეოლიგარქიზაციის კანონპროექტი შეიცავდა დიდ რისკს, რომ მიღების შემდეგ იგი მხოლოდ ოპოზიციაზე გავრცელდებოდა. ასევე ვენეციის კომისიამ განაცხადა, რომ კანონპროექტი მთავრობას ზედმეტ გავლენას ანიჭებდა ოლიგარქად ცნობის პროცესში, და რომ ეს გადაწყვეტილება წმინდად პოლიტიკურ ორგანოს არ უნდა მიეღო. ვენეციის კომისიამ ასევე საჭიროდ მიიჩნია ძირითადი დებულებებისა და პროცედურების კლასიფიკაცია, როგორიცაა „პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობა“, „მასმედიაზე მნიშვნელოვანი გავლენის ქონა“ და ა.შ.

ვენეციის კომისიის თანახმად, კანონპროექტი შეიცავდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) მუხლების დარღვევის საშიშროებას. მე-8 მუხლთან კავშირში პრობლემური იყო მთავრობის მიერ პირის პერსონალური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და შენახვა, ოლიგარქად ცნობილი პირებისთვის საჯარო სამსახურის ბიუროსთვის დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება და მათი გამოქვეყნება, ოლიგარქად ცნობილ პირებთან, ან მათ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის დეკლარირების ვალდებულება და ოლიგარქად ცნობილი პირების ვინაობის რეესტრში გამოქვეყნება. ვენეციის კომისიამ პრობლემატურად მიიჩნია პირის ოლიგარქად ცნობით გამოწვეული სტიგმატიზაციის რისკი, რადგან ის ხალხის თვალში

სამართალდამრღვევად შეიძლება ყოფილიყო აღქმული.

კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებთან კავშირში ვენეციის კომისიამ დაასახელა პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო კამპანიების ან/და პოლიტიკური მოთხოვნების შემცველი შეკრებებისა და დემონსტრაციების დაფინანსების შეზღუდვა. შესაბამისად, ვენეციის კომისიას გაუჩნდა კითხვები „ოლიგარქად“ დასახელების გამო გამოწვეული სამართლებრივი შედეგების პროპორციულობასთან დაკავშირებით. ვენეციის კომისიისთვის ასევე პრობლემური იყო პირის ოლიგარქად აღიარების პროცესის არაადეკვატური პროცედურული გარანტიები და ჩანაწერის არარსებობა მთავრობის გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით.

ვენეციის კომისიის თანახმად, დეოლიგარქიზაციის კანონპროექტით დასახული მიზნის მიღწევის ალტერნატიული საშუალებას წარმოადგენს ისეთი სტრუქტურული რეფორმები, როგორიცაა სასამართლოს დამოუკიდებლობის და კეთილსინდისიერების გაძლიერება, კონკურენციის კანონმდებლობის დახვეწა, მედიის კონცენტრაციის პრობლემასთან გამკლავება, ოფიციალურ ინფორმაციაზე წვდომის და საგამომიებო ჟურნალისტიკის გასამარტივებლად კანონმდებლობის დახვეწა, ანტიკორუფციული ორგანოების მხარდაჭერის გაგრძელება მაღალი დონის კორუფციის აღმოსაფხვრელად, საგადასახადო კოდექსის რეფორმირება, პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების წესების დახვეწა და ა.შ.

„ოლიგარქის“ განმარტების ცვლილება „ქართული ოცნების“ კანონპროექტებში მიხედვით

ვენეციის კომისიის მოსაზრების გამოქვეყნების შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი მეორე მოსმენაზე [დააბრუნა](#) და [შეცვლილი](#) სახით 2023 წლის 14 აპრილს კვლავ ვენეციის კომისიას [გადაუგზავნა](#) და მოსაზრების დაჩქარებულად მომზადება სთხოვა. მიუხედავად იმისა, რომ დეოლიგარქიზაციის განახლებული კანონპროექტი ოლიგარქიზაციის პრობლემას ვერ აგვარებდა, მასში რეკომენდაციების ნაწილი გაითვალისწინებულ იქნა და ის ნაკლებ შეზღუდვებს აწესებდა.

„ქართული ოცნების“ მიერ თავდაპირველად წარდგენილი [კანონპროექტის](#) თანახმად, ოლიგარქად მიიჩნეოდა ფიზიკური პირი, რომელიც შემდეგი კრიტერიუმებიდან სულ მცირე სამ პუნქტს ერთდროულად აკმაყოფილებს:

ა) პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობს;

ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს;

გ) არის იმ მეწარმე იურიდიული პირის საბოლოო ბენეფიციარი, რომელსაც ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა უკავია და რომელიც ამ მდგომარეობას 1 წლის განმავლობაში ინარჩუნებს, ან აუმჯობესებს;

დ) მისი და იმ მეწარმე იურიდიული პირების აქტივების დადასტურებული ოდენობა, სადაც

ის ბენეფიციარია, შესაბამისი წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1.000.000-ჯერ აღემატება შრომისუნარიანი პირებისთვის დადგენილ საარსებო მინიმუმს.

ვენეციის კომისიიდან მიღებული შუალედური რეკომენდაციების შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ შეცვალა ოლიგარქის განმარტება. ახალი ვერსიის მიხედვით, ოლიგარქად მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ კრიტერიუმს:

ა) იგი პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობს;

ბ) იგი მედიამომსახურებაზე გავლენას ახდენს;

გ) იგი მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსს ფლობს.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციებში აღნიშნული იყო, რომ ამ კრიტერიუმების განმარტებები ბუნდოვანი იყო. კანონპროექტის მეორე ვერსიაში დაემატა აღნიშნული კრიტერიუმების განმარტებები, კერძოდ, განისაზღვრა, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კრიტერიუმს პირი აკმაყოფილებს, თუ იგი იკავებს მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებს, არის პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, ან მისი აღმასრულებელი, ან მაკონტროლებელი ორგანოს წევრი, საარჩევნო მიზნის მქონე ფიზიკური პირი, პოლიტიკური პარტიის შემოქმედელი, რომლის ბოლო 1 წლის, ან ბოლოს ჩატარებულ საერთო არჩევნებში შემოწირულობა აღემატება 30 ათას ლარს, ან „არსებობს სხვა აშკარა მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ იგი ბოლო 1 წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობდა“. აღსანიშნავია, რომ ეს ჩანაწერი მაინც საკმაოდ ბუნდოვანია და ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას ტოვებს.

მედიამომსახურებაზე გავლენის მოხდენის კრიტერიუმად განისაზღვრა, მესაკუთრეობა, ან მეწილეობა, ან არაპირდაპირი ფლობა, ან თუ „არსებობს სხვა აშკარა მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ იგი ბოლო 1 წლის განმავლობაში საქართველოში მედიამომსახურებაზე გავლენას ახდენდა“. ბოლო კრიტერიუმი ამ შემთხვევაშიც ბუნდოვანია და ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას ტოვებს.

რაც შეეხება „მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსის ფლობის“ კრიტერიუმს, ამას პირი აკმაყოფილებს იმ შემთხვევაში, თუ „იმ ქონების ერთობლივი ღირებულება, რომელზედაც მას საკუთრების უფლება აქვს ან/და რომელსაც იგი არაპირდაპირ ფლობს... საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ საარსებო მინიმუმს 1.000.000-ჯერ აღემატება“.

„ქართულმა ოცნებამ“ ვენეციის კომისიის რეკომენდაციების მიხედვით ასევე შეცვალა იმ შეზღუდვების ჩამონათვალი, რაც ოლიგარქებზე უნდა გავრცელდეს. კანონის თავდაპირველი ვერსიის თანახმად ოლიგარქებს ეკისრებოდათ შემდეგი შეზღუდვები:

1. პოლიტიკური პარტიების მხარდასაჭერად თავისი სახსრებიდან შემოწირულებების გაღება, სამუშაოს შესრულება, საქონლის, მომსახურების ან ნაღდი ფულის მიწოდება, დაკავშირებული პირების მეშვეობით ან/და ისეთი იურიდიული პირების მეშვეობით, სადაც ის საბოლოო ბენეფიციარია, სამუშაოს შესრულება, საქონლის ან მომსახურების მიწოდება; აგრეთვე "საარჩევნო კოდექსის" შესაბამისად კანდიდატების საარჩევნო ფონდში (გარდა

თავისი საარჩევნო ფონდისა) შემოწირულებების გაღება და საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას პოლიტიკური პარტიების დაფინანსება;

2. ფართომასშტაბიანი ობიექტების პრივატიზაციის პროცესში იყოს მყიდველი (მყიდველის ბენეფიციარი);

3. ნებისმიერი პოლიტიკური კამპანიის დაფინანსება, პოლიტიკური მოთხოვნების მქონე შეკრებების ან დემონსტრაციების გამართვა.

ვენეციის კომისიამ ჩათვალა, რომ პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკური კამპანიებისა და დემონსტრაციების დაფინანსების უფლების შეზღუდვა ქმნიდა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევის რისკს. „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტის მეორე ვერსიაში ეს შეზღუდვები მოხსნა და ოლიგარქებს მხოლოდ პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობა აუკრძალა. ახალი რედაქციით, ამ მუხლის დარღვევა გამოიწვევს „დაჯარიმებას აღნიშნული აკრძალვის დამრღვევის მიერ შესაბამისი პრივატიზების ობიექტის შესასყიდად გადასახდელი/გადახდილი თანხის ორმაგი ოდენობით.“

„ოლიგარქთან“ დაკავშირებული შეზღუდვები „ქართული ოცნების“ კანონპროექტების მიხედვით

კანონის პირველ ვარიანტში ოლიგარქთან კომუნიკაციის შემთხვევაში ოფიციალურ პირებს, რომელთა წრეც განსაზღვრული იყო, ეკისრებოდათ ვალდებულება, წარედგინათ კომუნიკაციის შესახებ დეკლარაციები, მათ შორის „შეხვედრის შეჯამება“. განახლებული კანონპროექტით, ოლიგარქად დასახლებულ პირთან კომუნიკაციის დეკლარირება დაევალა ყველა ფიზიკურ პირს, გარდა გამონაკლისებისა, რომელიც ძირითადად ეხება უშუალო ნათესავებს და საჯარო ღონისძიებებს. ოლიგარქთან კომუნიკაციაში მყოფი პირები ვალდებული იქნებოდნენ დაედეკლარირებინათ, თუ ვის ჰქონდა კომუნიკაცია რომელ ოლიგარქთან, როდის, რა ადგილას, რა ფორმით და მოიცავდა თუ არა კომუნიკაცია საქართველოსთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხზე საუბარს. შედეგად გაფართოვდა პირთა წრე, ვისაც ოლიგარქთან კომუნიკაციის დეკლარაცია მოუწევს, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ მოხსნა შეხვედრის შეჯამების მოთხოვნა, რაც ვენეციის კომისიისთვის განსაკუთრებით პრობლემური იყო. აღსანიშნავია, რომ ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ფორმა, განსაზღვრული არ იყო. ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, აღნიშნული შეზღუდვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევის რისკს მაინც ქმნის.

„ქართული ოცნების“ მიერ შემუშავებული კანონპროექტის თავდაპირველ ვერსიაში, უკრაინისგან განსხვავებით, სადაც „ოლიგარქების“ რეესტრს პრეზიდენტის მიერ დაკომპლექტებული თავდაცვის საბჭო ადგენდა, საქართველოში ეს სია პარლამენტს უნდა შეექმნა. კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისას „ქართულმა ოცნებამ“ მასში [ცვლილება](#) შეიტანა და რეესტრის შედგენა მთავრობის პრეროგატივა გახდა. ვენეციის

კომისიის რეკომენდაციების მიღების შემდეგ კი „ქართულმა ოცნებამ“ ისევ შეცვალა კანონპროექტი და პირის ოლიგარქად ცნობის ფუნქცია ანტიკორუფციულ ბიუროს მიანიჭა. ნიშანდობლივია, რომ ბიუროს ხელმძღვანელი პრემიერ-მინისტრის მიერ ინიშნება. ამასთან, კანონპროექტის მიხედვით, „ანტიკორუფციული ბიურო პირის ოლიგარქად ცნობის პროცედურას იწყებს თავისი ინიციატივით ან საქართველოს მთავრობის წევრის, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართვის საფუძველზე“. ოლიგარქად ცნობის პროცედურაზე წარდგენილ პირს ექნება საშუალება, წარმოდგენილ იქნეს წარმომადგენლის მეშვეობით და ისარგებლოს მისი დახმარებით. ანტიკორუფციული ბიუროს ის სხდომა, რომელზედაც პირის ოლიგარქად ცნობის საკითხი განიხილება, ღია და საჯარო იქნება. ოლიგარქად ცნობის შემთხვევაში პირს შეეძლება ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივროს და შემდეგ, სურვილის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოშიც. სააპელაციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება. ოლიგარქად დასახელებული პირები შეეყვანილ იქნებიან ოლიგარქთა რეესტრში, სადაც აღნიშნული იქნება, რომ „მითითება იმის შესახებ, რომ პირის ოლიგარქად ცნობა და რეესტრში შეყვანა თავისთავად არ მოწმობს, რომ ეს პირი დამნაშავეა ან სხვა სახის სამართალდამრღვევია“. ასევე პირს უფლება ექნება ანტიკორუფციულ ბიუროს მიმართოს მისი ოლიგარქთა რეესტრიდან ამორიცხვის მოთხოვნით კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ, რასაც ანტიკორუფციული ბიურო განიხილავს და თუ პირი კრიტერიუმებიდან რომელიმეს აღარ აკმაყოფილებს, მას რეესტრიდან ამორიცხავს.

ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით

ვენეციის კომისიამ რედაქტირებულ კანონპროექტთან დაკავშირებით 2023 წლის 12 ივნისს [გამოაქვეყნა](#) თავისი საბოლოო შეფასება, რომელიც კვლავ კრიტიკული დარჩა. ვენეციის კომისიამ გაიმეორა, რომ დეოლიგარქიზაციის შეცვლილი კანონპროექტი კვლავ ე.წ. „პერსონალურ“ მიდგომას ეფუძნებოდა, ანუ შედარებით სადამსჯელო ხასიათის იყო და კვლავ ხაზი გაუსვა სისტემური მიდგომის უპირატესობას, რომელიც უფრო ეფექტიან და გრძელვადიან პერსპექტივაში პრევენციული დატვირთვის მქონედ მიიჩნია. აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისიამ ხაზი გაუსვა, რომ არ არსებობს უნივერსალური სისტემური მიდგომა და ყველა ქვეყანამ საკუთარი ისტორიული, სამართლებრივი და პოლიტიკური კონტექსტი უნდა გაითვალისწინოს.

„პერსონალურ“ მიდგომასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიამ განაცხადა, რომ პერსონალური ბუნების მქონე ზოგიერთი ზომა შესაძლოა გამართლებული იყოს, როგორც ბოლო გამოსავალი, მხოლოდ გამონაკლის, განსაკუთრებით კრიტიკულ სიტუაციაში (მაგალითად, როგორიცაა სახელმწიფოს მიტაცება), თუმცა როგორც დროებითი და გამონაკლისი ზომა და როგორც სისტემურის დამატება და არა - ალტერნატივა. ამ

შემთხვევაშიც კი უნდა არსებობდეს მკაფიო სამართლებრივი კრიტერიუმები და ძლიერი გარანტიები, როგორიცაა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო და სათანადო პროცესი. ვენეციის კომისიამ ასევე აღნიშნა ანტი-ოლიგარქიული კანონების პარადოქსი - თუ ადმინისტრაცია და სასამართლო იმდენად ძლიერები და დამოუკიდებლები არიან, რომ პერსონალური ზომების სათანადო აღსრულება შეძლონ, მაშინ მსგავსი ზომები საჭირო აღარაა, რადგან უფრო სისტემური და ეფექტური სტრატეგიის წინაპირობები უკვე შექმნილია. ვენეციის კომისიამ მისთვის შესაფასებლად გაგზავნილი „პერსონალურ“ მიდგომაზე დაფუძნებული კანონები არ მიიჩნია არსებულ პრობლემაზე არც დემოკრატიულ და არც ეფექტურ პასუხად, რადგან ისინი ნაცვლად ოლიგარქიულ გავლენასთან ეფექტურად ბრძოლისა, ძირს უთხრის დემოკრატისა და კანონის უზენაესობას. ვენეციის კომისიის აზრით, კანონპროექტით შეთავაზებული „პერსონალური“ ზომები ვერ აკმაყოფილებენ საჭირო სტანდარტებს და ამდენად, ვენეციის კომისია კანონპროექტს მხარს არ უჭერს.

ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ ქართული მხარის მტკიცებით, ისინი სისტემურ მიდგომასაც მიჰყვებიან, რაც გამოიხატება სასამართლოს რეფორმაში, ახლადშექმნილი ანტიკორუფციული ბიუროს გაძლიერებაში, საერთაშორისოდ აღიარებულ მაღალ შედეგებში ისეთ სფეროებში, როგორიცაა კონკურენცია, მედიის მფლობელობა, საგადასახადო კანონმდებლობა, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება და ბენეფიციური მესაკუთრეობის გამჭვირვალობა. თუმცა, ვენეციის კომისიის აზრით, საჭიროა არა მხოლოდ გარკვეული სექტორული რეფორმები, არამედ კონკრეტული ზომები ოლიგარქიული გავლენის შესამცირებლად და შეფასება, თუ რა გავლენა აქვთ ამ ზომებს ოლიგარქიზაციასთან გასამკლავებლად. შესაბამისად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, უნდა მომზადდეს ყოვლისმომცველი, დეტალური ანალიზი არსებული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ინსტიტუტების გამოწვევების შესახებ ოლიგარქიული გავლენის წინააღმდეგ ბრძოლაში და რეგულარულად შეფასდეს ნებისმიერი დამატებითი ღონისძიების ზემოქმედება დეოლიგარქიზაციის კუთხით.

ვენეციის კომისიამ ასევე განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოდგენილი განახლებული კანონპროექტი, ერთი შეხედვით (*prima facie*) და თეორიულად ითვალისწინებს 2023 წლის მარტის ვენეციის კომისიის შუალედური დასკვნის რეკომენდაციების უმეტესობას, ვინაიდან ისინი მიმართული იყო კანონპროექტით გათვალისწინებული „პერსონალური მიდგომის“ გაუმჯობესებაზე. მიუხედავად ამისა, კომისიამ მიიჩნია, რომ კანონპროექტის დახვეწის მიზნით გადადგმულმა ნაბიჯებმა მაინც ვერ აღმოფხვრა მთავარი პრობლემა და კანონპროექტი კვლავ აძლევს აღმასრულებელ ხელისუფლებას შესაძლებლობას, ბუნდოვან კრიტერიუმებზე დაყრდნობით საჯაროდ „შეიყვანოს შავ სიაში“ პოტენციური პოლიტიკური ოპონენტები, რაც შეიძლება იქცეს სახიფათო იარაღად ხელისუფლებაში მყოფთა ხელში, პოლიტიკური ოპონენტების შევიწროების მიზნით. ამიტომ, ვენეციის კომისიამ გაიმეორა, რომ საქართველოში ოლიგარქიული გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა განსახილველი კანონის ნაცვლად უნდა განხორციელდეს კარგად შემუშავებული და ეფექტური ყოვლისმომცველი „სისტემით“.

ვენეციის კომისია ვერ დარწმუნდა, რომ დეოლიგარქიზაციის განახლებულ კანონპროექტში შეტანილი ცვლილებები აღმოფხვრიდა გარდაუვალ წინააღმდეგობას ევროსაბჭოს ადამიანის

უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სტანდარტებთან. შესაბამისად, ვენეციის კომისიამ გასცა რეკომენდაცია, საქართველოს პარლამენტს არ მიეღო განახლებული კანონპროექტი.

დეოლიგარქიზაციის პრობლემის სისტემურად მოსაგვარებლად აუცილებელი პირობები

ვენეციის კომისიამ საქართველოს სისტემური მიდგომის ელემენტების არამომწურავი სია შესთავაზა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ჩამონათვალი დეოლიგარქიზაციის პრიორიტეტის შესრულებისთვის გადასადგმელი ნაბიჯების ევროკავშირის მოლოდინს წარმოადგენს. ეს პირობებია:

- სისტემური ჩავარდნების, უფლებამოსილებისა და კოორდინაციის ხარისხის დასადგენად, არსებული სისტემური ზომების სიღრმისეული და ყოვლისმომცველი ანალიზის ჩატარება;
- დამატებითი, შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტების, ან ზომების შემუშავება, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:
 - ეფექტური კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბება და აღსრულება;
 - ელიტარული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და კორუფციის პრევენცია GRECO-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით;
 - საჯარო შესყიდვებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შენარჩუნება;
 - მედია-პლურალიზმის განმტკიცება და მედიის მფლობელობის გამჭვირვალობა;
 - ფულის გათეთრების წინააღმდეგ შემუშავებული პოლიტიკის განვითარება, მათ შორის, MONEYVAL-ისა და FATF-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით; იურიდიული პირებისა და ხელშეკრულებების გამჭვირვალობისა და საკუთრების შესახებ ინფორმაციის დროული და ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
 - პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების შესახებ არსებული რეგულაციებისა და არსებული კონტროლის მექანიზმების აღსრულება;
 - საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება.
- ძირითადი მარეგულირებელი და კონტროლზე პასუხისმგებელი უწყებების დამოუკიდებლობის და ეფექტურობის განმტკიცება;
- სხვადასხვა უწყებას (ანტი-კორუფციული უწყებები, ანტი-მონოპოლიური კომიტეტი, აუდიტის სამსახური, საბანკო ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ერთეულები და ა.შ.) შორის თანამშრომლობის გაზრდის ჭრილში, პოლიტიკაში, ეკონომიკასა და საჯარო სივრცეში „ოლიგარქიული“ გავლენების პრევენციისა და აღმოფხვრის გზების შეფასება;
- შესაძლო გავლენების/შედეგების შეფასების რეგულარული ინტერვალებით ჩატარება;

ვენეციის კომისიამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია სასამართლოს, მათ

შორის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ძირეული რეფორმირება, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული გათვალისწინებით, სასამართლოს დამოუკიდებლობის, შეუვალობის და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

„ქართული ოცნების“ დამოკიდებულება დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებული შემდგომი ნაბიჯების მიმართ

ვენეციის კომისიის მეორე მოსაზრების მომზადების პროცესში კომისიის საქართველოში სამუშაო ვიზიტის პერიოდში ირაკლი კობახიძემ 2023 წლის 18 მაისს [განაცხადა](#), რომ თუ ევროკომისია პერსონალურ მიდგომაზე უარს იტყოდა და 12 პუნქტიდან ასეთ მიდგომას ამოიღებდა, მაშინ კანონს აღარ მიიღებდნენ. თუმცა, მას შემდეგ რაც ვენეციის კომისიამ თავის მეორე მოსაზრებაში რეკომენდაცია გასცა, რომ პარლამენტს აღნიშნული კანონპროექტი არ მიეღო, „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი მეორე მოსმენით 2023 წლის 13 ივნისს მაინც [მიიღო](#).

„ქართული ოცნების“ ლიდერების 2023 წლის 13-14 ივნისის განცხადებებით, „ევრორეკომენდაცია და ვენეციის კომისიის შეფასებები ერთმანეთთან მთლად [ჰარმონიაში](#) არ არის“ და ორი ევროპული სტრუქტურის პოზიციებს შორის [კოლიზია](#), ისინი კი სწორებას ევროკომისიის გადაწყვეტილებაზე აკეთებდნენ და სპეკულაციებისთვის სივრცე რომ არ დაეტოვებინათ, დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონს ამიტომ იღებდნენ. „ქართული ოცნების“ წევრები ასევე აღნიშნავდნენ, რომ ევროკომისიამ უკრაინულ კანონს მხარი დაუჭირა, ხოლო ქართული კანონპროექტი უკრაინულის ანალოგს წარმოადგენდა. ნიშანდობლივია, რომ თავის დასკვნაში ვენეციის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა სხვადასხვა ქვეყნების განსხვავებული კონტექსტის გათვალისწინების აუცილებლობა და რომ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას სწორედ განსხვავებული კონტექსტი აქვთ. კობახიძის [ტექმით](#), კანონის მიღება არა მათი, არამედ ევროკომისიის იდეა იყო და ეს 12 პუნქტის შემადგენელი ნაწილია. თუმცა რეალურად, 12 პრიორიტეტში პერსონალური მიდგომა მოთხოვნილი არ ყოფილა, ხოლო საქართველოში ევროკავშირის იმ დროს მოქმედი ელჩი, კარ ჰარცელი, აცხადებდა, რომ მხარს უჭერდა დეოლიგარქიზაციის პრიორიტეტის შესასრულებლად მიდგომას, რომელიც გულისხმობდა არა ცალკეული კანონპროექტის მიღებას, არამედ დანარჩენი 11 პრიორიტეტის შესრულებას, რაც დეოლიგარქიზაციის პრობლემასაც გადაჭრიდა (დანარჩენი 11 პრიორიტეტი მოიცავს რიგ საკითხებს, რაც ემთხვევა ვენეციის კომისიის მიერ სისტემური მიდგომის შემადგენელ ნაწილად დასახელებულ სფეროებს).

2023 წლის ივნისში ირაკლი [კობახიძემ](#) და ირაკლი [ქადაგიშვილმა](#) დეოლიგარქიზაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ განახლებული პოზიცია გააჟღერეს: კანონი მესამე მოსმენით იქნებოდა მიღებული ივნისის ბოლომდე და მისი ამოქმედების ვადა 2024 წლის 1 მარტს იქნებოდა. თუმცა, თუ ევროკომისია დაეთანხმებოდა ვენეციის კომისიას, რომ ინდივიდუალური მიდგომა და კანონის მიღება არ იყო საჭირო და ამოიღებდა ჩანაწერს დეოლიგარქიზაციის შესახებ 12 პრიორიტეტიდან, „ქართული ოცნება“ ამოქმედებამდევე გააუქმებდა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონს.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ამ პოზიციის პასუხად, ევროკავშირის

წარმომადგენლობამ საქართველოში 2023 წლის 14 ივნისს გაავრცელა [განცხადება](#), რომელშიც დაეთანხმა ვენეციის კომისიის დასკვნას, რომ კანონპროექტი არ იყოს მიღებული და შესთავაზა საქართველოს ხელისუფლებას მხარდაჭერა უკეთესი გამოსავლის პოვნაში სისტემური მიდგომის გამოყენებით. საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, პაველ ჰერჩინსკიმ ასევე 14 ივნისს დამატებით [განმარტა](#), რომ ვენეციის კომისიის მიხედვით, „მმართველი უმრავლესობის მიერ არჩეული მიდგომა, კერძოდ, დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტი არ არის სწორი მიდგომა“ და ის „უამრავ რისკს შეიცავს“ და განაცხადა, რომ სწორედ ამიტომ ევროკავშირი სისტემურ მიდგომას მოელოს, „როგორც ეს ვენეციის კომისიის დასკვნაშია ნათქვამი.“ მის თანახმად, სისტემური მიდგომა მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, პოლიტიკური კამპანიების დაფინანსება, არჩევნების დაფინანსება, მედიის თავისუფლება, მართლმსაჯულების რეფორმა, მაღალი დონის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და ისეთი გარემოს შექმნა, რომ მდიდარ ადამიანებს არ მიეცეთ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის საშუალება.

მას შემდეგ რაც დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის საკითხი დაისვა პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის ბრიუსელში ვიზიტის დროს 2023 წლის 14 ივნისს შარლ მიშელთან შეხვედრაზე, „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, გაეთვალისწინებინა ევროკავშირის, პოზიცია და კანონის მიღება გადაედო 2023 წლის დეკემბრამდე. 2023 წლის 21 ივნისს ირაკლი კობახიძემ [განაცხადა](#), რომ „ქართული ოცნება“ დაელოდებოდა დეკემბერში ევროკომისიის და ევროპული საბჭოს პოზიციას იმასთან დაკავშირებით “მოიხსნება თუ არა დეოლიგარქიზაციის საკითხი, რაც თავის თავში გულისხმობს პერსონალიზებულ მიდგომას”.

2023 წლის 23 ივნისს წარდგენილ შუალედურ შეფასებაში ევროკავშირი მიესალმა და ლიმიტირებულ პროგრესად შეაფასა მმართველი პარტიის გადაწყვეტილება, რომ დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტს, პარლამენტი აღარ მიიღებდა. ამასთან, ევროკომისარმა ოლივერ ვარჰიმ გაახმოვანა ევროკავშირის მოლოდინი დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებით - ვენეციის კომისიის რეკომენდაციებზე ფოკუსირებას და სისტემური მიდგომის შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, მათ შორის, კონკურენციის პოლიტიკისა და პარტიების დაფინანსების სფეროებში.

ევროკავშირის შუალედური შეფასების შემდეგ, “ქართულმა ოცნებამ” დეოლიგარქიზაციის პრიორიტეტთან დაკავშირებით კვლავ ახალი პოზიცია დააფიქსირა. პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა, 2023 წლის 23 ივნისს [განაცხადა](#): “...დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, თავად ევროკომისიაც ჩამოყალიბდა, რომ პერსონალური მიდგომა არ არის სწორი. ხაზი იყო გასმული კონკურენციის კანონმდებლობაზე, პარტიების დაფინანსების კანონმდებლობაზე, ამით დადასტურდა ის, რაზეც ვსაუბრობდით, რომ დეოლიგარქიზაციის პუნქტი ბუნდოვანი იყო, არასათანადო. რაც შეეხება ამ ორ საკითხს, სისტემური მიდგომას და კონკურენციის სამართალს პარტიების დაფინანსების კუთხით, იქაც საუბარი იყო შესაძლო დახვეწაზე, ვნახავთ ამ მხრივ რა შეიძლება გაკეთდეს. მთავარია, რომ დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებით შეფასებამ, რაც გუშინ იყო, აჩვენა, რომ ცალკე პუნქტად დეოლიგარქიზაციის გამოტანამ 12 რეკომენდაციაში ბუნდოვანება შექმნა და უადგილო იყო”. შესაბამისად, შალვა

პაპუაშვილმა გარკვეულწილად მიანიშნა, რომ ევროკავშირის მოლოდინის მიხედვით, შესაძლოა, პარლამენტმა სისტემური მიდგომისთვის საჭირო ცვლილებები განახორციელოს და მითითებულ სფეროებში კანონმდებლობა დახვეწოს.

“ქართული ოცნების” თავმჯდომარისა და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, ირაკლი კობახიძის, 2023 წლის 4 ივლისის [განცხადებით](#) კი, დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებით საჭიროა, ევროკავშირმა დააკონკრეტოს, თუ რა იგულისხმება დეოლიგარქიზაციაში - “თუ არ იგულისხმება პერსონალიზებული მიდგომა, მაშინ დეოლიგარქიზაციაზე საერთოდ არ უნდა იყოს საუბარი. თუ საუბარია მხოლოდ სისტემურ მიდგომაზე, მაშინ უნდა იყოს ჩამოთვლილი კონკრეტული ნაბიჯები, რაც უნდა გადაიდგას საქართველოს პარლამენტის და ხელისუფლების ხრიდან. კანონმდებლობის მიღება ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად სისტემური მიდგომის მიხედვით, მათ შორის, კონკურენციისა და პარტიების დაფინანსების სფეროში - აქ უკვე არსებითად გვაქვს მნიშვნელოვანი პროგრესი. შესაბამისად, აქაც დაგვჭირდება კონკრეტულ ევროკომისიისგან და ბუნებრივია გვექნება კონსულტაციები ამ თემაზე”. ხოლო 2023 წლის 14 აგვისტოს ირაკლი კობახიძემ ასევე [განაცხადა](#), რომ 12 პრიორიტეტთან დაკავშირებით პარლამენტი სამი მიმართულებით აპირებს მუშაობას, რომლებიც შესასრულებელი [რჩება](#), მათ შორის, დეოლიგარქიზაციაზე.

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის მიერ პრიორიტეტების წარდგენის შემდეგ უკვე ერთ წელზე მეტია გასული, რა დროსაც შესაძლებელი იყო ევროკავშირთან კონსულტაციისა და პრიორიტეტის შინაარსის დაზუსტება. ამასთან, ევროკავშირის გაცხადებული აქვს, რომ მხარს უჭერს ვენეციის კომისიის დასკვნას და მოლოდინიც სწორედ ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებაა. თავის მხრივ, ვენეციის კომისიას უკვე აქვს წარმოდგენილი, თუ რა მიდგომით და სფეროებში მოელის ცვლილებების განხორციელებას ოლიგარქიზაციის პრობლემასთან საბრძოლველად სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებისთვის.

2023 წლის 4 სექტემბერს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 67-ე სხდომაზე დეოლიგარქიზაციის სისტემურ მიდგომასთან დაკავშირებით [დამტკიცდა](#) დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის პროექტი. შალვა პაპუაშვილის [განცხადებით](#), “უახლოეს მომავალში მოხდება მთლიანად ამ სამოქმედო გეგმის მიღება”, რომელიც განსაზღვრავს იმ ნაბიჯებს, რაც შესაბამისობაში იქნება ვენეციის კომისიის დასკვნებთან და ევროკავშირის მოთხოვნებთან. 14 სექტემბერს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 68-ე სხდომაზე [მიიღეს](#) დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც, კომისიის თანახმად, შემუშავებულია ვენეციის კომისიისა და ევროკავშირის რეკომენდაციების საფუძველზე და [მოიცავს](#) 7 სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის: ანტიკორუფციული თემატიკა, ანტიმონოპოლიური საკითხები, ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული თემატიკა, მედიაპლურალიზმი, მართლმსაჯულებაში განსახორციელებელი ღონისძიებები. დოკუმენტის მიღების შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეწია რეკომენდაცია, გააგრძელოს დამატებითი კონსულტაციები ევროპელ პარტნიორებთან. დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმა გაეგზავნა ვენეციის კომისიას, თუმცა მიღებული პასუხის თანახმად, კომისიამ აღნიშნულ დოკუმენტზე დასკვნის მომზადებაზე [უარი თქვა](#), რადგან ის სამართლებრივი დოკუმენტი ან კანონი [არ არის](#). დეოლიგარქიზაციის სამოქმედო

გეგმა ასევე ევროკომისიასაც გადაეგზავნა.

მთავრობის მიერ დოკუმენტის მიღების შემდეგ მასზე მუშაობას საქართველოს პარლამენტი აგრძელებს. ამის ფონზე საპარლამენტო უმრავლესობამ დეოლიგარქიზაციის შესახებ წარსულში შემუშავებულ კანონპროექტს, რომელიც პერსონალურ მიდგომას ეფუძნებოდა და ვენეციის კომისია და ევროკავშირი აცხადებდა, რომ არ უნდა ყოფილიყო მიღებული, მესამე მოსმენაზე მხარი არ დაუჭირა და [ჩააგდო](#). მმართველი პარტიის განმარტებით, მიღებული სამოქმედო გეგმის ფონზე აღნიშნულმა კანონპროექტმა აქტუალობა დაკარგა.

დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმა 25 ოქტომბრის მდგომარეობით საჯაროდ არ გამოქვეყნებულა. "ქართულ ოცნებას" სამოქმედო გეგმა არც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, არც ოპოზიციური პარტიებისა და არც მედია საშუალებებისთვის არ მიუწოდებია, რაც არ გვაძლევს საშუალებას ამ ანალიზში გავითვალისწინოთ "ქართული ოცნების" მიერ დაგეგმილი ნაბიჯების შეფასება.

დეოლიგარქიზაციის მიმართულებით შემდგომი რეალური ნაბიჯების ნაკლებობის გამო ეს პროცესი კვლავ კრიტიკის საგანი რჩება, მათ შორის ევროკავშირის მხრიდან. 2023 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს მიერ პრიორიტეტების შესრულების მდგომარეობაზე კომენტარის გაკეთებისას ევროკავშირის ელჩმა [განაცხადა](#), რომ „წელიწად ნახევარში უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა“ და დეოლიგარქიზაციის მიმართულებით ჯერ მხოლოდ სამომავლო ნაბიჯები არსებობს.

* * *

ჩვენი შეფასებით, დეოლიგარქიზაციის მოთხოვნა კვლავ შესასრულებელია. მის შესასრულებლად საჭიროა, გატარდეს სისტემური რეფორმები ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად და აღმოიფხვრას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ოლიგარქიების მავნე გავლენა. ასევე ამ მიზნისკენ გადადგმული სწორი ნაბიჯი იქნებოდა ევროკავშირის თორმეტი მოთხოვნიდან ისეთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტების შესრულება, როგორიცაა სასამართლოს რეფორმა და კორუფციასთან ბრძოლა, ასევე საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწა, ინსტიტუტების და მათი დამოუკიდებლობის გაძლიერება, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ჩარჩოს გაუმჯობესება და მედია პლურალიზმის უზრუნველყოფა.

პრიორიტეტი N 6 ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

“ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რაც უნდა დაეფუძნოს საერთოხის დეტალურ შეფასებებს, კერძოდ, საგულდაგულო გამოძიებების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების სანდო გამოცდილების უზრუნველყოფის გზით; სამართალდამცველი უწყებების ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა უნდა იყოს გარანტირებული”

შესავალი

მეექვსე პრიორიტეტი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასა და სამართალდამცველი უწყებებზე ზედამხედველობის გაძლიერებას ეხება. ევროკომისიის მოსაზრებაში, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადთან დაკავშირებით მომზადდა, ორგანიზებული დანაშაულის საკითხს ვრცელი ქვეთავი ეთმობა.²⁰ მოსაზრების მიხედვით, საქართველოში ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული მსჯავრდებების რიცხვი დანაშაულებრივი ბაზრის სავარაუდო მოცულობასთან შედარებით მცირეა. ასევე, წინა წლებთან შედარებით გაიზარდა, თუმცა, მაინც შედარებით დაბალია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე დასრულებული სისხლის სამართლებრივი საქმეების რიცხვი. ბოლო სამი წლის განმავლობაში ძალიან დაბალი იყო ადამიანთა ტრეფიკინგის საქმეებზე დასრულებული გამოძიებების რიცხვი.²¹

2023 წლის 22 ივნისის შუალედური შეფასების მიხედვით, მე-6 პრიორიტეტთან დაკავშირებით ევროკავშირი საქართველოს ხელისუფლებისგან მოელის ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (ევროპის საბჭოს MONEYVAL) რეკომენდაციების შესრულებას.

მეექვსე პრიორიტეტთან დაკავშირებით საზოგადოებრივ სივრცეში მნიშვნელოვანი განხილვა პრაქტიკულად არ ყოფილა. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ [ხედვის](#) მიხედვით, „სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ შესაბამისი შესაძლებლობები და რესურსები, ასევე საკანონმდებლო ბაზა, რათა ეფექტურად დაძლიონ ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემები.“ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ ამ პირობის შესრულება რეალურად საჭიროებდა პრაქტიკის გაუმჯობესებას და მისი შესრულება დაუყოვნებლივ იყო შესაძლებელი.

პოლიტიკური პარტიების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ლელოს“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ საერთო [დოკუმენტში](#), რომელიც 12 პირობის შესრულებას ეხებოდა, მეექვსე პრიორიტეტთან დაკავშირებით აღნიშნული იყო, რომ პარლამენტში უნდა შექმნილიყო ინტერპარტიული მუდმივმოქმედი კომისია, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა ყველა საპარლამენტო პოლიტიკური ფრაქციის და ჯგუფის ერთი წარმომადგენელი, რომელიც მუდმივ საპარლამენტო ზედამხედველობას გაუწევდა ძალოვანი უწყებების საქმიანობას, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულის კუთხით. ინიციატივა პარლამენტში არ განხილულა და, შესაბამისად, არც კომისია შექმნილა.

²⁰ ec.europa.eu, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, Brussels, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3FBDzLr>, გვ.9, 17.6.2022

²¹ იქვე.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

ევროკავშირის 12 მოთხოვნის შესრულების მიზნით „ქართული ოცნების“ მიერ შემუშავებული [გეგმის](#) თანახმად, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით. კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ბერაიას [განცხადებით](#), „*ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ამოცანაა ამ კუთხით ქვეყანაში არსებული ვითარების შეფასება, ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი წინადადებების მომზადება*“.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში სახელმწიფო უწყებების გარდა, სამი საზოგადოებრივი ორგანიზაცია მონაწილეობდა. მოგვიანებით, საიამ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა ISFED-თან დაკავშირებით მიღებული დისკრიმინაციული გადაწყვეტილების გამო შეაჩერეს.

სამუშაო ჯგუფის პირველი საჯარო შეხვედრის შემდეგ, სადაც ჯგუფის მუშაობა დაიგეგმა, სამუშაო ჯგუფმა 8 შეხვედრა [დახურულ](#) ფორმატში ჩაატარა. საჯაროდ ხელმისაწვდომი არ გამხდარა არც სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები, რაც პარლამენტმა „განსახილველი საკითხების სპეციფიკით“ ახსნა.

„ქართული ოცნების“ გეგმის მიხედვით, სამუშაო ჯგუფს 2022 წლის 1 ნოემბრამდე უნდა მოემზადებინა „არსებული მდგომარეობის სიღრმისეული შეფასება და შეემუშავებინა წინადადებები ხარვეზების გამოსწორებისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერების თაობაზე“. 2022 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა „წინადადებები/შემდგომი ნაბიჯები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით.“²²

2022 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის ბიუროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაცია [მიაწოდა](#). წერილში აღნიშნულია, რომ ჯგუფმა ხუთი მიმართულებით იმუშავა:

- ორგანიზებული დანაშაულის (მათ შორის, „კანონიერი ქურდების“, „ქურდული სამყაროს“ წევრების, მათი მხარდამჭერების) წინააღმდეგ ბრძოლა;
- კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა;
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა;
- ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.

ევროკავშირის დირექტივასთან [შესაბამისობისთვის](#) ცვლილებები ასევე [განხორციელდა](#) „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში. მთავრობამ პარლამენტთან თანამშრომლობით ასევე [შეიმუშავა](#) საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ფინანსურ ქმედებებში სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტების შესაბამისად დადგენილი რეკომენდაციების შესრულებას უზრუნველყოფს, მათ შორის, ცვლილებები განხორციელდა ონლაინ ახარტული და მომგებიანი თამაშობის ორგანიზებებსა და დაკავშირებით.

²² Parliament.ge, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგები - წინადადებები/შემდგომი ნაბიჯები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, ხელმისაწვდომია:

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/309867>, 02.11.2022

საქართველოს პარლამენტმა MONEYVAL-ის მეხუთე რაუნდის შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით, საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო კანონებში „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო აქტებში.

MONEYVAL-ის 2022 წლის ნოემბრის ტექნიკური შესაბამისობის ხელახალი შეფასების მიხედვით, საქართველომ სრულად შეასრულა 6, მეტწილად შეასრულა 22, ნაწილობრივ შეასრულა 11 და არ შეუსრულებია MONEYVAL-ის ერთი რეკომენდაცია. მიღწეული პროგრესის შესახებ საქართველომ MONEYVAL-ს 2023 წლის ნოემბრისთვის უნდა შეატყობინოს.

მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობისთვის გადადგმული ნაბიჯებისა, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია ე.წ. ქოლცენტრების საქმეზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას. 2023 წლის 26 აპრილს საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა 34 დეპუტატმა „ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ თაღლითური „ქოლცენტრების“ მეშვეობით ჩადენილი ტრანსნაციონალური დანაშაულებისა და მათზე შესაძლო არასათანადო რეაგირების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ [დადგენილების](#) პროექტი²³ დააინიცირა, რომელიც მიზნად ისახავს შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების შესაძლო არასათანადო რეაგირების ფაქტების, სისტემური ჩავარდნის გამომწვევი მიზეზების შესწავლას და მათზე პასუხისმგებელი პირების დადგენას. დადგენილების პროექტის თანახმად, დროებითი საგამოძიებო კომისიას უნდა გამოეკვლია:

1. 2020 წლიდან დღემდე, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ თაღლითური „ქოლ-ცენტრების“ შექმნითა და გამოყენებით ჩადენილი სავარაუდო ტრანსნაციონალური დანაშაულები, მათ განხორციელების სქემა, პასუხისმგებელი პირები;
2. შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების შესაძლო არასათანადო რეაგირების ფაქტები, ამ სისტემური ჩავარდნის გამომწვევი მიზეზები და მასზე პასუხისმგებელი პირები;
3. სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებული პირდაპირი თუ არაპირდაპირი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები და მათი შესაძლო შედეგები საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის.

„ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სადაც ქოლ-ცენტრების საქმეზე საგამოძიებო კომისიის შექმნაზე უნდა ეყარათ კენჭი, რეგისტრაცია არ გაიარა და საგამოძიებო კომისიის შექმნას პროცედურული გზით ხელი შეუშლა.²⁴

სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა

მიუხედავად იმისა, რომ მეექვსე პრიორიტეტი ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების გარდა, სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და

²³ იხ. <https://parliament.ge/legislation/26282>

²⁴ ფორმულა, „საგამოძიებო კომისია „ქოლცენტრების საქმეზე“ - „ოცნება“ წინააღმდეგია“, ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=ox-kH9gsdXw>

ზედამხედველობის უზრუნველყოფას შეეხებოდა, აღნიშნული საკითხი კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგში საერთოდ არ მოხვდა. სამუშაო ჯგუფის პირველ საჯარო შეხვედრაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ეს იმით ახსნა, რომ აღნიშნულ საკითხზე საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფი იმუშავებდა.²⁵ არადა, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა რეკომენდაციები, რომლებიც უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის გაძლიერებას ეხებოდა, სწორედ იმ მოტივით არ განიხილა, რომ ამ საკითხებზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფი გაამახვილებდა ყურადღებას.²⁶ შესაბამისად, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის რეკომენდაციები, რომლებიც უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის გაძლიერებას შეეხებოდა, არც ერთმა სამუშაო ჯგუფმა არ განიხილა.

შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის საკითხები კვლავ გამოწვევად რჩება - პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი საპარლამენტო ოპოზიციას არ აძლევს კომიტეტის მუშაობაში სრულფასოვნად ჩართვის შესაძლებლობას, რაც თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალ უწყებებში ვიზიტების შესახებ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი დეპუტატებისთვის ინფორმაციის არ მიწოდებაში გამოიხატება; ნდობის ჯგუფს, რომელიც თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლს ახორციელებს, ამ დრომდე არ ყავს მეხუთე წევრი საპარლამენტო უმცირესობის კვოტიდან; თავის მხრივ, ნდობის ჯგუფს არ გააჩნია ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე; საპარლამენტო ოპოზიციას არ აქვს კომიტეტის სხდომაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის და გენერალური პროკურორის დაბარების უფლება; საპარლამენტო ოპოზიციის შეკითხვებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები დაგვიანებით, ან არასრულად პასუხობენ; კომიტეტის სხდომაზე სავალდებულო დასწრების რეგლამენტით დადგენილი ვალდებულების მიუხედავად, თანამდებობის პირები პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე არ ცხადდებიან. მაგალითად, პოლიტიკური ჯგუფის „რეფორმების ჯგუფის“ 2023 წლის 30 მარტის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე მოწვეულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. ასევე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტზე მოიწვიეს საქართველოს თავდაცვის მინისტრი პოლიტიკური ჯგუფების - „რეფორმების ჯგუფის“ და „საქართველოსთვის“ მოთხოვნის საფუძველზე. მიუხედავად რეგლამენტით დადგენილი ვალდებულებისა, არცერთი თანამდებობის პირი არ დაესწრო საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომას. პარლამენტიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით, სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზად ორივე თანამდებობის პირმა აღნიშნულ პერიოდში საზღვარგარეთ ოფიციალური ვიზიტი დაასახელა.

პარლამენტის სუსტი კონტროლი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი ვალდებულების დარღვევამ - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოველწლიური ანგარიში საქართველოს პარლამენტს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ნაცვლად, სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა, რაც პარლამენტის რეგლამენტის დარღვევას წარმოადგენს; თუმცა პარლამენტს არავითარი რეაგირება არ ჰქონია. გარდა ამისა, სამსახურის 2022 წლის ანგარიში უკიდურესად ზედაპირულია და საქართველოს პარლამენტის წევრებს

²⁵ იხ. სამუშაო შეხვედრის პირველი სხდომის ოქმი, ხელმისაწვდომია:

<https://parliament.ge/parliament/committees/50927/documents>, ბოლოს ნანახია: 14.05.2023

²⁶ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2023, „ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების

შეფასება“, გვ. 38, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/ahuM8>

ვერ აწვდის აუცილებელ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის შესახებ.

* * *

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერებისა და სამართალდამცავი უწყებების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ევროკავშირის მეექვსე პირობა ნაწილობრივ შესრულებულია. კერძოდ, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით საკანონმდებლო დონეზე ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის საკითხები კვლავ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება.

პრიორიტეტი N 7 მედიის თავისუფლება

“თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად უფრო ძლიერი ძალისხმევის განხორციელება, განსაკუთრებით მედიის მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლებრივი პროცედურების უმაღლესი სამართლებრივი სტანდარტებით გატარების უზრუნველყოფისა, და ჟურნალისტებისა და მედიის სხვა მუშაკთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარების შემთხვევებზე მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებების ჩატარების გზით”

შესავალი

ევროკავშირის მეშვიდე პრიორიტეტი მედიის თავისუფლების საკითხს შეეხება. ბოლო წლებში მედიის თავისუფლება საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ევროინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთ კრიტიკულ გამოწვევად იქცა.

ევროკომისიის მეშვიდე პრიორიტეტთან დაკავშირებით, საკუთარი სამპუნქტიანი ხედვა [წარადგინეს](#) არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთა წინადადებები მიზნად ისახავდა ზემოთ ნახსენები პრობლემების მოგვარებას. სამოქალაქო სექტორის პირველი რეკომენდაცია ეხებოდა ხელისუფლების მხრიდან კრიტიკული მედია საშუალებების დამფუძნებლებთან დაკავშირებული მიმდინარე გამოძიებების და სასამართლო პროცესების შეწყვეტას. არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, ამ მიმართულებით ხელისუფლების ნების დემონსტრირება შეიძლებოდა ყოფილიყო ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დირექტორისა და დამფუძნებლის ნიკა გვარამიას ციხიდან გათავისუფლება.

სამოქალაქო სექტორის მეორე რეკომენდაცია ითვალისწინებდა 2021 წლის 5-6 ივლისს მედიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობის საქმის მიუკერძოებელ, ეფექტურ და დროულ გამოძიებას. ასევე, სამოქალაქო სექტორმა მოითხოვა, ეფექტიანი რეაგირება მედიის წარმომადგენლების მასიური უკანონო ფარული მიყურადება/თვალთვალის საქმეებზე.

არასამთავრობო სექტორის მესამე მოთხოვნა გულისხმობდა პარლამენტის მიერ მედიის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზებას ევროკავშირის აუდიოვიზუალური მედია სერვისების დირექტივასთან.

მეშვიდე პუნქტთან დაკავშირებით არასამთავრობო სექტორის პოზიცია [გაიზიარა](#) ოპოზიციამაც. საკუთარ ხედვაში, ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა პრაქტიკულად სრულიად გაიმეორეს სამოქალაქო სექტორის სამ-პუნქტიანი გეგმა.

ნიშანდობლივია, რომ არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ მნიშვნელოვან გამოწვევაზე, „ქართულ ოცნებას“ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა არ დაუანონსებია. უფრო მეტიც, მმართველი პარტიის მიერ 2022 წლის 1 ივლისს წარდგენილი [გეგმის](#) თანახმად, მეშვიდე პრიორიტეტის დასაკმაყოფილებლად „ქართულმა ოცნებამ“ დააანონსა მხოლოდ პარლამენტის ადამიანი უფლებებისდაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მხრიდან, საქართველოს პროკურატურასთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, ინფორმაციის

საჯაროობის უზრუნველყოფა ყველა შესაბამისი საქმის გამოძიების შესახებ.

ევროკომისიის 2023 წლის 22 ივნისის შუალედური შეფასების მიხედვით ევროკავშირი რეკომენდაციას აძლევს საქართველოს ხელისუფლებას: განახორციელოს “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებები ევროპის საბჭოს მოსაზრებების მიხედვით; უზრუნველყოს ჟურნალისტებისთვის უსაფრთხო გარემო და გააუმჯობესოს ჟურნალისტებისა და მედიამფლობელების თავისუფლების დაცვის ხარისხი.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით და საკანონმდებლო კუთხით საქართველოში დაცულია გამოხატვის და მედიის თავისუფლება, პრაქტიკა მკვეთრად განსხვავებულია. ბოლო პერიოდში გამოიკვეთა რამდენიმე საგანგაშო ტენდენცია, რომელიც ასევე მოექცა ევროპარლამენტის და სხვა საერთაშორისო დამკვირვებლების ყურადღების ქვეშ. ამ საგანგაშო ტენდენციებს შორისაა შემდეგი:

ტელეკომპანია „მთავარის“ დამფუძნებლისა და დირექტორის ნიკა გვარამიას დაპატიმრება

ტელეკომპანია “მთავარის” დამფუძნებელი ნიკა გვარამია 2022 წლის 16 მაისს დააკავეს და 3,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 2022 წლის 2 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ნიკა გვარამია საპატიმროში დატოვა. ნიკა გვარამიას საქმე [შეაფასა](#) საქართველოს სახალხო დამცველმა, რომლის მოსაზრებითაც საქმეში დარღვეულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი, ვინაიდან მის დაპატიმრებას გააჩნდა პოლიტიკური საფუძველი. ნიკა გვარამიას უკანონო პატიმრობას გამოეხმაურა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის, ჰელსინკის კომისიაც, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს ნიკა გვარამიას შეწყალებისკენ [მოუწოდა](#).

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ნიკა გვარამიას საქმეზე საკასაციო საჩივრის განხილვის დაწყება ადვოკატების განცხადებით, ჭიანჭურდებოდა. ადვოკატები, მოსამართლე, მერაბ გაბინაშვილის, საქმიდან [აცილებას ითხოვდნენ](#). 2023 წლის 7 ივნისს ნიკა გვარამიას საქმეზე უზენაესი სასამართლოს კოლეგიის შემდეგი შემადგენლობა განისაზღვრა: ლევან თევზაძე, მერაბ გაბინაშვილი და ნინო [სანდოიძე](#).

2023 წლის 19 ივნისს უზენაესმა სასამართლომ ნიკა გვარამიას საქმეზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად [ცნო](#) და ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა. 2023 წლის 23 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ნიკა გვარამია [შეიწყალა](#).

გარდა ამისა, საერთო სასამართლოებში მიმდინარეობს „ტვ პირველისა“ და „ფორმულას“ დამფუძნებლებთან დაკავშირებული, სისხლის და სხვა სახის სამართალწარმოებები. აღნიშნულ საქმეებზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს ამავე მედიებისა და ზოგადად, საქართველოში მედიის თავისუფლების მდგომარეობა.

ტვ “ფორმულას” დამფუძნებლის საქმე

2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა პირველი და სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებული გამამართლებელი განაჩენი, ტელეკომპანია “ფორმულას” 51%-ის მფლობელი [დამნაშავედ ცნო](#) 5.060.000 ევროს გაფლანგვაში და საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად 5-წლიანი პატიმრობა [მიუსაჯა](#).

2022 წლის 29 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი და დავით კეზერაშვილსა და თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, ალექსანდრე ნინუას თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის სახით 5.060.000 ევროს გადახდა [დააკისრა](#). აღნიშნული განაჩენი 2023 წლის 21 მარტს [ძალაში დატოვა](#) თბილისის სააპელაციო სასამართლომაც. საბოლოო გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უნდა მიიღოს, რის შემდეგაც გადაწყვეტილება შევა ძალაში და სავალდებულო იქნება აღსასრულებლად. გამომდინარე, იქიდან, რომ დავით კეზერაშვილს საქართველოში ქონების/კაპიტალის სახით მხოლოდ ტვ “ფორმულას” 51%-იანი წილის ფლობდა, არსებობდა მოლოდინი და საფრთხე, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებების აღსრულება, სწორედ ამ ქონებით მოხდებოდა, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს შეუუქმნიდა ტვ “ფორმულას” სარედაქციო პოლიტიკას და ზოგადად, მედიის თავისუფლებას საქართველოში. BBC-ის ეთერში, ე.წ. ქოლცენტრების საქმის შესახებ, გასული სიუჟეტის შემდეგ, დავით კეზერაშვილმა [განაცხადა](#), რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ წილის ნახევრის გადაცემას თანამშრომლებისთვის აპირებდა. ტელეკომპანია ფორმულას მენეჯმენტის 09 ივნისის [განცხადებით](#) ფორმულამ თანამშრომლებისთვის 25%-იანი წილის გადაცემა ნოტარიულად გააფორმა. 2023 წლის 4 აგვისტოდან დავით კეზერაშვილი აღარ არის ტელეკომპანია “ფორმულის” საკონტროლო პაკეტის მფლობელი. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ [დააკმაყოფილა](#) დავით კეზერაშვილის მოთხოვნა და კუთვნილი 51 პროცენტიანი წილიდან 25 პროცენტი გადაეცა თანამშრომელთა გაერთიანებას - ააიპ “თავისუფლების ფორმულას”.

ჟურნალისტებზე ძალადობისა და მათი მასშტაბური, სავარაუდო უკანონო მოსმენა-მიყურადების ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება

ჟურნალისტებზე ძალადობა, ძალადობის ფაქტების არაჯეროვანი, გაჭიანურებული გამოძიება და დამნაშავეთა არასათანადო დასჯა/ძალადობის ორგანიზატორთა დაუსჯელობა (2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტების მასობრივი [დარბევა](#), 2019 წლის 20 ივნისს ჟურნალისტების მიმართ რეზინის ტყვიების [გამოყენება](#) და ა.შ.) საქართველოში მედიათავისუფლების მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მხოლოდ 5 ივლისს, ათზე მეტი მედიასამუშაოების ჟურნალისტზე, ოპერატორზე და ფოტოგრაფზე 53 ძალადობის შემთხვევა [დაფიქსირდა](#). 5 ივლისის ძალადობიდან რამდენიმე დღეში, გარდაიცვალა, ტვ პირველის ოპერატორი, ალექსანდრე ლაშქარავა. დღემდე, დაუსჯელნი რჩებიან 5 ივლისის მასშტაბური ძალადობის ორგანიზატორები.

2021 წლის 13 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია და ჩანაწერები/ფაილები საქართველოში მასშტაბური სავარაუდო უკანონო მოსმენა-მიყურადების შესახებ. ათობით ჟურნალისტი [ადასტურებს](#) რომ, ე.წ. სუს-ის ფაილებში, მათ და მათი საუბრების შესახებ არსებული

ინფორმაცია, ნამდვილია და ავთენტური. საქმეზე გამოძიება 2021 წლის 14 სექტემბერს დაიწყო, დღემდე გამოძიებას არ გამოუვლენია და პასუხისმგებლობაში არ მიუცია, აღნიშნული მასშტაბური სავარაუდოდ უკანონო, მოსმენა-მიყურადების ჩამდენნი და ორგანიზატორები.

2023 წლის 27 ივნისს თავს დაესხნენ ტელეკომპანია “ფორმულას” თანადამფუძნებელს მიშა მშვილდაძეს. ჟურნალისტური გამოძიებით დადგენილი გარემოებებით, ფაქტობრივად დასტურდება, რომ მიშა მშვილდაძეზე თავდასხმა წარმოადგენდა ორგანიზებულ დანაშაულს, რომელშიც სავარაუდოდ ჩართულები არიან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები. საქართველოს გენერალური პროკურორის დადგენილებით, სისხლის სამართლის საქმე ამოღებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოებიდან და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

დაზარალებულისა და მისი უფლებადამცველი ორგანიზაციის [პოზიციით](#) გამოძიება გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობდა, რამაც დანაშაულის სრული მასშტაბით გახსნას და დამნაშავეთა გამოვლენას არ შეუწყო ხელი. 12 სექტემბერს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა საქმე დახურა და სასამართლოს გადაუგზავნა [განსახილველად](#).

ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში

საპარლამენტო უმრავლესობამ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2022 წლის 22 დეკემბერს [ცვლილებები](#) განახორციელა. მმართველი პარტიის განცხადებით ცვლილებების მიზანს კანონდებლობის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების 2010/13/EU ევროდირექტივასთან ჰარმონიზაცია წარმოადგენდა. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული [ცვლილებები](#) პრობლემურ ნაწილში სცდებოდა/რიგ შემთხვევაში პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ევროდირექტივის მოთხოვნებს ან/და კიდევ უფრო ზრდიდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ძალაუფლებას მედიის თავისუფლების საზიანოდ.

GDI-ს [შეფასებით](#), „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები პრობლემური იყო 3 ძირითადი მიმართულებით:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარებოდა. გასაჩივრება კომისიის გადაწყვეტილებების მოქმედებას აღარ შეაჩერებდა. ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის 2021 წლის 22 მარტის No. 1008 / 2020 დასკვნით, მართალია სხვა კანონის/კანონპროექტის კონტექსტში, თუმცა იგივე საკითხი (კომისიის გადაწყვეტილებების მოქმედების გასაჩივრების შემთხვევაში არ შეჩერება) უარყოფითად შეფასდა. კომისიის მიერ მედიების წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ ძალაში შესვლა, სასამართლოში არსებული პრობლემების ფონზე, კიდევ უფრო ზრდიდა რეპრესიული პოლიტიკის წნეხს კრიტიკულ მედიებზე და წარმოადგენდა მედიის თავისუფლების შეზღუდვის ახალ საფრთხეს.

2. პასუხის უფლების კონტექსტში გაუმართლებლად გაფართოვდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მანდატი: კომისიის მიერ დაინტერესებული პირის

საჩივრების განხილვა, მას შესაძლებლობას აძლევდა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შეეფასებინა რამდენად მიიღეს მაუწყებლებმა ყველა ზომა პროგრამებში ფაქტების ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და ადგილი ჰქონდა თუ არა მათ მიერ მცდარი ფაქტების გავრცელებას. კომისიის მანდატის მსგავსი ფორმით გაფართოება არ ყოფილა ხსენებული ევროდირექტივის უპირობო მოთხოვნა, ზრდიდა კომისიის უფლებამოსილებას ჩაერეულიყო კომისიის სარედაქციო პოლიტიკაში და შინაარსობრივად შეეფასებინა მაუწყებლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტე.

3. განისაზღვრა სიძულვილის ენის საკანონმდებლო რეგულირება: ევროდირექტივა პირდაპირ არ განსაზღვრავს სიძულვილის ენის რეგულირების რომელი მოდელი/მექანიზმი(თვითრეგულირება, კომისიის მიერ რეგულირება თუ სხვა) უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ. მართალია, დირექტივით არ არის აკრძალული სახელმწიფოს მარეგულირებელი ორგანოების მიერ სიძულვილის ენის რეგულირება, მაგრამ დირექტივით არც ამის ვალდებულება არ არის დადგენილი. პირიქით, 2018/1808 დირექტივაში, რომლითაც შეიცვალა 2010/13/EU დირექტივა, პირდაპირ მითითებულია, რომ დირექტივა ახალისებს სიძულვილის ენის თვითრეგულირების მექანიზმის არსებობას.

პარლამენტის მიერ განხორციელებული ცვლილებების ევროდირექტივასთან შეუსაბამობას დადასტურდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის სამართლებრივი [დასკვნით](#). დასკვნის თანახმად, „მაუწყებლობის შესახებ კანონის“ რამდენიმე მიმართულება არ შეესაბამება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს სტანდარტებს. ევროპის საბჭომ რეკომენდაცია მისცა საქართველოს პარლამენტს განეხორციელებინა ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში, მისი ევროდირექტივას შესაბამისობაში მოყვანისთვის.

ქართული ოცნების წევრებმა მაუწყებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებების მიზნით დაარეგისტრირეს 3 კანონპროექტი. აქედან ორი კანონპროექტი, განმარტებითი ბარათის მიხედვით, მიზნად ისახავდა მაუწყებლობის შესახებ კანონმდებლობის ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის სამართლებრივი დასკვნით განსაზღვრული რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანას. შემოთავაზებულმა ცვლილებებმა ძირითადად გააუმჯობესა, თუმცა ბოლომდე ვერ პასუხობდა დასკვნასა და წინამდებარე ანგარიშში მითითებულ გამოწვევებს. კერძოდ:

- 2023 წლის 24 [მაისისა](#) და 31 [მაისის](#) კანონპროექტებით სიძულვილის ენის, ტერორიზმისკენ მოწოდების საკითხი კომისიის რეგულირებას ადარ ექვემდებარებოდა. სიძულვილის ენის დეფინიციას დაემატა შემდეგი ცვლილება: “პროგრამა ან რეკლამა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამ პუნქტით გათვალისწინებული სიძულვილის ენის შემცველად, მხოლოდ მისი შეურაცხმყოფელი ან კრიტიკული შინაარსის გამო”. შემოთავაზებული ცვლილებები ასევე შეეხო კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხს, კერძოდ: “ჯარიმები, რომელიც მაუწყებლის წლიური შემოსავლის 1%-ს და ამავედროულად 5000 ლარს აღემატება ან გადაწყვეტილება მოიცავს მაუწყებლის ავტორიზაციის შეჩერება/გაუქმების საკითხს, არ შეიძლება დაუყოვნებლი აღსრულდეს. ამგვარ დავებთან დაკავშირებით სასარჩელო წარმოების პროცესში სანქციის მოქმედება შეჩერდება”. აღნიშნულმა საკანონმდებლო ინიციატივამ მანამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით

გააუმჯობესა მაუწყებლობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო სივრცე.

- გაუქმდა პასუხის უფლების მომწესრიგებელი დამოუკიდებელი ნორმა და იგი გაერთიანდა კანონის 52-ე მუხლთან. მართალია მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-14 მუხლით 52-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხი კომისიის რეგულირების მიღმა დარჩა, თუმცა თავად ცვლილებებით შემოთავაზებულ 52-ე მუხლში მითითებულია, რომ პასუხის უფლებაზე მაუწყებლის უარი ექვემდებარება კომისიაში გასაჩივრებას. შესაბამისად, ბუნდოვანია პასუხის უფლება კვლავ კომისიის რეგულირების საგანს წარმოადგენს თუ სრულად გადის კომისიის რეგულირების ფარგლებიდან.

2023 წლის 30 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა “მაუწყებლობის შესახებ” კანონში აღნიშნული ცვლილებების მიღებას.

- გარდა ამისა, 2023 წლის 17 მაისის [კანონპროექტით](#) 9-დან 11-მდე იზრდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას ენიჭებოდა სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატებიდან 2 კანდიდატის საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენის უფლებამოსილება. საყურადღებოა რომ აქამდე კომისიას აღნიშნული უფლებამოსილება არ გააჩნდა. კომისიის საქმიანობისა და მისი პოლიტიკური მიკერძოების საკითხზე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებული მწვავე კრიტიკის გათვალისწინებით გაუგებარი იყო რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში კომისიის გავლენებისა და ინტერესების შემოყვანა მმართველი პარტიის მიერ. ამის საპირისპიროდ, მიგვაჩნია, რომ კანონპროექტის კანონად ქცევა გაზრდიდა მაუწყებლის ხელმძღვანელ ორგანოში პოლიტიკურ გავლენებს და კიდევ უფრო მეტ საფრთხეს შეუქმნიდა მის დამოუკიდებლობას. კანონპროექტს 2023 წლის 31 მაისს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო. საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 3 ივლისს მესამე მოსმენით კანონპროექტს მხარი დაუჭირა. კანონპროექტის საბოლოო ვერსია აღარ ითვალისწინებს კომისიის უფლებამოსილებას სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატებიდან 2 კანდიდატი წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს.
- საქართველოს პარლამენტმა “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში 2023 წლის 3 ივლისს შეტანილი ცვლილებებით გააუქმა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო. საბჭოს უფლებამოსილებები საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ფუნქციებში გადავიდა. ამ უკანასკნელის შემადგენლობა 9-დან 11-მდე გაიზარდა, საიდანაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭო ერთის ნაცვლად სამ წევრს წარადგენს. მრჩეველთა საბჭოს გაუქმებას არ ჰქონდა რაიმე ლეგიტიმური მიზანი. მისი გაუქმება და ფაქტიურად საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთვის შეერთება აძლიერებს მმართველი პარტიის გავლენებს მაუწყებლის ხელმძღვანელ ორგანოში.
- აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ, მმართველი პარტიმ 2023 წლის 11 [ოქტომბერს](#) “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში კანონპროექტი დააინიცირა. კანონპროექტის ინიცირების მოტივად კვლავ ევროკავშირის მოთხოვნებთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, მათ შორის ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის დადგენილი 12 პრიორიტეტის შესრულება

დასახელდა. საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტი დაჩქარებული წესით განიხილა და 3 მოსმენით მხარი დაუჭირა მის მიღებას. შემოთავაზებული ცვლილებებით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიენიჭება სიბუღალის ენის გამოყენებაზე, აგრეთვე უზამსობის შემცველ პროგრამებზე ზედამხედველობის უფლებამოსილება. GDI-ს შეფასებით, მაშინ როდესაც კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის საქმიანობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე შეფასებულია როგორც მიკერძოებული და პოლიტიზირებული, მისთვის უფლებამოსილების გაფართოებამ განსაკუთრებული საფრთხე შეიძლება შეუქმნას მაუწყებლების სარედაქციო დამოუკიდებლობას და მედიის თავისუფლებას.

პარლამენტში ჟურნალისტთა აკრედიტაციის არაკონსტიტუციური წესი

2023 წლის 6 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის ახალი წესი. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ჟურნალისტი ვალდებულია საქართველოს პარლამენტის წევრის, აპარატის თანამშრომლის ან პარლამენტში სტუმრად მყოფი პირის მიერ ინტერვიუს ჩაწერაზე უარის თქმის შემთხვევაში შეწყვიტოს ინტერვიუ. აღნიშნული მოთხოვნის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ბრძანება ითვალისწინებს ჟურნალისტისთვის აკრედიტაციის შეჩერების შესაძლებლობას. GDI-ს [შეფასებით](#) პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლთანაც, რითაც გარანტირებულია ყოველი ადამიანის უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება, პარლამენტს ანიჭებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას იმ ჟურნალისტების აკრედიტაციის შეზღუდვის გზით, რომელთა დასმული კითხვებიც შესაძლოა დისკომფორტს უქმნიდეს მმართველ პარტიას. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების შეზღუდვის საფუძველად არ ითვალისწინებს პარლამენტარების უფლებას დაცული იყვნენ ჟურნალისტების კრიტიკული კითხვებისგან. ახალი მოწესრიგება გულისხმობს ჟურნალისტურ საქმიანობაზე ინფორმაციული ფილტრის დაყენებას, რასაც მსუსხავი ეფექტი გააჩნია. მოქმედი წესის პირობებში ჟურნალისტებმა აკრედიტაციის შეჩერების შიშით შესაძლოა თავი აარიდონ მმართველი პარტიისთვის კრიტიკული კითხვების დასმას, რაც მათ წაართმევს შესაძლებლობას უზრუნველყონ საზოგადოების ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე. საგანგაშოა, რომ 2023 წლის 6 აპრილს საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული ბრძანების საფუძველზე აკრედიტაცია შეუჩერა კრიტიკული მედიის სამ ჟურნალისტსა და ორ ოპერატორს, კერძოდ, „ფორმულას“ ჟურნალისტს სოფიო გოზალიშვილს, „ტვ პირველის“ ჟურნალისტს რუსუდან დუმბაძეს და ოპერატორს ირაკლი მურმანიშვილს, „მთავარი არხის“ ჟურნალისტს თათია წოწონავას და ოპერატორს ზუკა ჩხვირკიას. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტმა მას შემდეგ მიიღო, რაც მედიის წარმომადგენლებმა დეპუტატებს კითხვები დაუსვეს აშშ-ს მიერ მოსამართლეების დასაწესრიგებასა და ქალთა სექსუალურ შევიწროებაში მხილებულ, სამთავრობო ტელევიზია

პოსტ-ს ჟურნალისტ, შალვა რამიშვილთან დაკავშირებით. პარლამენტმა აღნიშნული წესის საფუძველზე 2023 წლის 11 მაისს აკრედიტაცია ასევე [შეუხერხა](#) ფორმულას გადამღებ ჯგუფს - ჟურნალისტ გიორგი კიკაბიძესა და ოპერატორ თედო ქვაჩახიას მმართველი პარტიის წევრი ირაკლი ზარქუასთვის რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ კითხვების დასმის გამო. აღნიშნული ბრძანების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით GDI-მ საკონსტიტუციო სასამართლოს 12 ივნისს კონსტიტუციური სარჩელით [მიმართა](#).

მედიის წინაშე არსებული სერიოზული ფინანსური პრობლემები

მედია დაწესებულებებში ფინანსური შემოსავლების მკვეთრი შემცირება გასულ წელს სამი მიზეზის გამო მოხდა: 1) საკანონმდებლო ცვლილებებმა შეზღუდა მედიის ფინანსური შემოსავალი. კერძოდ, ცვლილებები შევიდა კანონში აზარტული თამაშების შესახებ, რომელმაც, ფაქტობრივად, შეზღუდა სათამაშო კომპანიების მიერ ქართულ ტელევიზიებში რეკლამის განთავსება. კომუნიკაციების კომისიის [მონაცემებით](#), 2022 წლის მეორე კვარტალში, 2021 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, სარეკლამო შემოსავლები 17.5%-ით არის შემცირებული. ფინანსური კრიზისი განსაკუთრებით ოპოზიციურ მედიასაშუალებებზე აისახა, რასაც მათი სახალხო შემოწირულობების რეჟიმზე გადასვლა მოწმობს. 2) COVID-19-ის პანდემიის დროს ბიზნესმა შეამცირა რეკლამაზე დანახარჯები. 3) სავარაუდო პოლიტიკური ზეწოლა დამფინანსებლებზე/რეკლამის განმთავსებლებზე.

ცილისწამების საფუძველით დაწყებული სამართალწარმოება კრიტიკული მედიისა და მისი ჟურნალისტების წინააღმდეგ

მაღალი პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირების, “ქართული ოცნების” წარმომადგენლების, მათთან და ოლიგარქ, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული სხვა პირების მიერ ცილისწამების მოტივით დაწყებული სამართლებრივი დავები ბოლო პერიოდში მედიის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ახალ იარაღად იქცა. GDI-ს [დაკვირვებით](#), 2021-2023 წლებში საქართველოში დაიწყო და მნიშვნელოვნად გაიზარდა კრიტიკული მედიისა და უფლებადამცველების წინააღმდეგ ე.წ. SLAPP (Strategic Litigation against Public Participation) სარჩელებით სასამართლოსთვის მიმართვის ტენდენცია. SLAPP-ად განიხილება პოლიტიკური თუ ფინანსური თვალსაზრისით გავლენიანი პირების მიერ აღძრული აშკარად უსაფუძვლო სარჩელები (ცილისწამების შესახებ), რომელთა მიზანიც არის არა პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა, არამედ აქტიური მოქალაქეების გაჩუმება და მათთვის ფინანსური ბარიერების შექმნა. თუმცა SLAPP-ებს ინდივიდუალური შემთხვევების მიღმა აქვთ „მსუსხავი ეფექტიც“, რაც ძირს უთხრის ჯანსაღი და პლურალისტური გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც მოქალაქეებს შეეძლება სამოქალაქო ინიციატივების განხორციელება. GDI-ს ინფორმაციით, ამ ეტაპზე საერთო სასამართლოებში სულ მცირე 38 ცილისწამების საქმე განიხილება. აღნიშნული საქმეების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ დავების უმეტესობა გამოირჩევა SLAPP-ებისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი თუ ფაქტობრივი თავისებურებებით, რაც მათ

კამპანიურ ხასიათზე მიუთითებს.

პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფი კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია კონსტიტუციური ორგანოა, რომლის მანდატსაც მედია პლურალიზმის, გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის მონოპოლიზაციისგან დაცვა წარმოადგენს. კრიტიკული მედია ორგანიზაციების დაუბრკოლებელ საქმიანობას ასევე აფერხებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები, რაც აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ კომუნიკაციების კომისიის ქმედებები მიკერძოებულია და ემსახურება კრიტიკული მედიის გაჩუმებასა და მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის [ანგარიშში](#) კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია მოხსენიებულია როგორც მმართველი პარტიის, ანუ ქართული ოცნების გავლენის ქვეშ მყოფი ინსტიტუტი. კომუნიკაციების კომისიის მიერ მედიების წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებიდან აღსანიშნავია 2022 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც კომისიამ დააკმაყოფილა ქართული ოცნების საჩივარი კრიტიკული მედია მაუწყებლების „ფორმულას“, „მთავარი არხისა“ და „ტვ პირველის“ წინააღმდეგ. მედიების დაჯარიმების საფუძველი გახდა კლიპის „შინ ევროპაში“ ეთერში გაშვება, რომლის გამოც კომისიამ „ტვ პირველს“ და „ფორმულას“ გაფთხილება, ხოლო მთავარი არხის მიმართ 118,700 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთხსენებული კლიპი მიზნად ისახავდა 2022 წლის 24 ივნისს გასამართი პრო-ევროპული აქციის დაანონსებას და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას. კომისიის გადაწყვეტილებით, კლიპი პოლიტიკურ რეკლამად შეფასდა, რის გამოც დაირღვა პოლიტიკური რეკლამის ეთერში გავრცელების წესები, რადგან კომისიის განმარტებით კანონმდებლობით პოლიტიკური რეკლამის განთავსება დასაშვებია მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში. აღნიშნული გადაწყვეტილება მედიების მიერ გასაჩივრებულ იქნა საერთო სასამართლოებში, თუმცა, ამ დრომდე არ ჩანიშნულა სასამართლო [სხდომა](#). კომუნიკაციების კომისიის ქცევა მიაჩნდება მის ინსტრუმენტალიზებაზე მმართველი პოლიტიკური ძალის ხელში, პოლიტიკური მიზნით მედიის თავისუფლებაზე გავლენის მოსახდენად.

ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მხრიდან კრიტიკული მედიის მიმართ მუდმივი ბოიკოტი და დისკრედიტაცია

წლებია მმართველ პარტიასა და კრიტიკულ მედიას, ასევე ოპოზიციურ პარტიებსა და პრო-სახელისუფლებო მედიას შორის ურთიერთობა უკიდურესად არაჯანსაღია. ხელისუფლების წარმომადგენლები უარს ამბობენ კრიტიკული მედიებში მისვლაზე და კომენტარის მიცემაზე. ხოლო ოპოზიციურ პარტიებს თითქმის არასდროს იწვევენ პრო-სამთავრობო მედიის სატელევიზიო გადაცემებსა და დებატებში. უფრო მეტიც, ხელისუფლების მხრიდან კრიტიკული მედია საშუალებების ჟურნალისტების მიმართ ზოგად დამოკიდებულებას აქვს ბულინგის, იარაღების მიწებებისა და შეურაცხყოფის სახე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მმართველი უმრავლესობის წევრების მიერ ინიცირებული და ქართული ოცნების მიერ სრულად მხარდაჭერილი კანონპროექტი

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომლის მიზანსაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების მიმართ კონტროლის მექანიზმის დაწესება და საზოგადოების თვალში მათი დისკრედიტაცია წარმოადგენდა. კანონპროექტის მიხედვით, უნდა შექმნილიყო უცხოური გავლენის აგენტების რეესტრი, რომელში დარეგისტრირების ვალდებულება ეკისრებოდათ იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მედიებს, რომელთა დაფინანსების 20%-ზე მეტი მიღებული იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული წყაროებიდან. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლების აგენტის სტატუსის ქვეშ საქმიანობა კი მნიშვნელოვნად დააზიანებდა მათ როლს საზოგადოების თვალში და შეუძლებელს გახდიდა მათ მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას. სწორედ მსგავსი შედეგებით დასრულდა რუსეთში მიღებული მსგავსი კანონის მოქმედების შემდგომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების საქმიანობა. საბოლოოდ, 2023 წლის 6-7-8 მარტს რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული მასშტაბური აქციების ფონზე, კანონპროექტმა მეორე მოსმენით მიღებისთვის საჭირო ხმები ვერ დააგროვა - კანონპროექტს მხარი დაუჭირა ერთმა დეპუტატმა, ხოლო წინააღმდეგ ხმა მისცა 35-მა დეპუტატმა. შესაბამისად, მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ მეორე მოსმენით ჩააგდო კანონპროექტის მიღება.

ხელისუფლების მიერ მედიის ანტი-დასავლური პროპაგანდის იარაღად გამოყენება

ეს განსაკუთრებით დრამატული გახდა 2022 წელს, როდესაც ხელისუფლების მომხრე მედია საშუალებები პრაქტიკულად იქცნენ სამთავრობო გზავნილების პროპაგანდისტებად ისეთ თემებზე, როგორიცაა რუსეთ- უკრაინის ომი, ოპოზიციის დადანაშაულება საქართველოს ომში ჩართვის მცდელობაში, კრიტიკული მედიის წარმოჩენა ოპოზიციური პარტიების „პრეს-სამსახურებად“ და არასამთავრობო ორგანიზაციების შერაცხვა უცხო ქვეყნის აგენტებად.

აღნიშნული ტენდენციების დიდი ნაწილი ასევე ასახულია Human Rights Watch-ის 2022 წლის ანგარიშში, რომლის მიხედვით, მედიის თავისუფლების მხრივ საქართველოში მდგომარეობა გაუარესდა, რაც მედიის წარმომადგენლებზე გახშირებული თავდასხმებითა და „მთავარი არხის“ დირექტორის, ნიკა გვარამიას, დაპატიმრებითაა განპირობებული. ანგარიშის თანახმად, „გახშირდა ჟურნალისტებზე თავდასხმისა და მათ საქმიანობაში ჩარევის შემთხვევები.“ Human Rights Watch-ი ასევე გამოყოფს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებულ ცენზურასა და სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევას.

* * *

ჩვენი შეფასებით, ევროკავშირის მეშვიდე პრიორიტეტი ნაწილობრივ შესრულდა. იმისთვის, რომ მედიის თავისუფლება უზრუნველყოფილი იყოს, აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ გადადგას ფუნდამენტური ნაბიჯები, როგორიცაა:

- „ფორმულას“ და „TV პირველის“ მფლობელებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლისა და სხვა სახის სამართლებრივ დავებზე, რომელიც საფრთხეს უქმნის ამავე მედიების თავისუფლებას, სამართალწარმოების შეწყვეტა;

- 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტების მიმართ ძალადობის ჩამდენებისა და ორგანიზატორების სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა;
- მედიის წარმომადგენლების უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადების ფაქტებზე გამოძიების დასრულება და დამნაშავეების სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა;
- ჟურნალისტებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის საკითხი და კონკრეტულ ფაქტებზე სახელმწიფოს ეფექტიანი რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება;
- მედიის საქმიანობისთვის ხელისშემშლელი კანონმდებლობის ნებისმიერი სახით ინიცირებისა და მასზე განხილვების დაწყებისგან თავის შეკავება ან/და არმიღება;
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ახალი ბრძანების იმ ნაწილის გაუქმება, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ხელს უშლის პარლამენტში მედიის თავისუფლად საქმიანობას.
- კრიტიკული მედიისა და ჟურნალისტების გაჩუმების მიზნით, ცილისწამების საფუძველით დაწყებული სამართალწარმოებების (SLAPP საქმეები) შეწყვეტა.

პრიორიტეტი N8 მოწყვლადი ჯგუფები

“მოწყვლადი ჯგუფების ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, მათ შორის, მოძალადეების და ამ ძალადობის დამკვეთების მართლმსაჯულების წინაშე უფრო ეფექტიანად წარდგომის გზით”.

„ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი [გეგმით](#), მერვე მიმართულებით რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა არ იგეგმებოდა. მათ გეგმაში მეშვიდე და მერვე პრიორიტეტი გაერთიანებული იყო და ორივე პუნქტის შესახებ მითითებული იყო, რომ „პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს პროკურატურასთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას ყველა შესაბამისი საქმის გამოძიების შესახებ“. 2022 წლის ბოლოს მე-7 და მე-8 პუნქტი “ქართულმა ოცნებამ” მაინც განაცალკევა, ინფორმაციის საჯაროობა მე-8 პუნქტში დატოვა, ხოლო მე-7 პუნქტში (მედიის თავისუფლება) ევროკავშირის დირექტივის ქართულ კანონმდებლობაში გადმოტანა დაამატა.

არასამთავრობო ორგანიზაციების [თანახმად](#), მე-8 პუნქტში პროგრესის დასაფიქსირებლად საჭირო იყო:

1. 2021 წლის 5 ივლისს დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების სრულყოფილად გამოძიება და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის უშუალო ჩამდენებისა და ორგანიზატორების პასუხისგებაში მიცემა;
2. ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მიღება, რომელიც მოიცავდა ყველა მოწყვლადი ჯგუფის მათ შორის LGBTQI+ თემის წარმომადგენლების უფლებების განუხრელ დაცვას, ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას და, მათ შორის, საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარებას, რომელიც მიმართული იქნებოდა საზოგადოებაში ჰომოფობიისა და ქსენოფობიის შემცირებაზე;
3. სპეციალური მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელიც გაზრდის ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ წარმომადგენლობის და მონაწილეობას, მათ შორის, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე დემოკრატიული, ინკლუზიური და რეგულარული საკონსულტაციო მექანიზმების შექმნას, რომელშიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული იქნებიან დამოუკიდებელი სამოქალაქო აქტივისტები და ორგანიზაციები ეთნიკური უმცირესობების თემიდან.

ოპოზიციის ნაწილის („ენმ“, „ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“) [აზრით](#), საჭირო იყო შეიქმნილიყო საპარლამენტო მუდმივმოქმედი კომისია, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა საპარლამენტო პოლიტიკური ფრაქციებიდან და ჯგუფებიდან თითო წარმომადგენელი და რომელსაც უხელმძღვანელებდა ოპოზიციის წევრი. ამ კომისიას უნდა დავალებოდა დისკრიმინაციული მოტივით ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევით ჩადენილი დანაშაულების მონიტორინგი და ძალოვანი უწყებების მხრიდან ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე რეაგირების ზედამხედველობა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე ოპოზიციის აზრით, 2021 წლის 5-6 ივლისის ძალადობის ორგანიზატორთა დაუსჯელობა აღნიშნული პრიორიტეტის შესრულებისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორია. ასევე გამოწვევად რჩება LGBTQI+ ჯგუფების უფლებების დაცვის საკითხი და მათ მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების ნაკლებობა.

2023 წლის 22 ივნისს, ევროკავშირის მიერ საქართველოს შესახებ წარდგენილი შუალედური ანგარიშის თანახმად, მე-8 პრიორიტეტის სრულად შესასრულებლად რეკომენდაცია მისცა ხელისუფლებას ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ინკლუზიური მიდგომით შემუშავებასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა LGBTQI თემის წარმომადგენლებისთვის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების გარანტიების აუცილებლობას.

აღნიშნული ანგარიშთან დაკავშირებით, ივლისის თვეში ქართული ოცნების თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ სამოქმედო გეგმა შემუშავდება ინკლუზიური მიდგომით; ხოლო LGBTQI თემის წევრების შეკრების თავისუფლებისა და დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა, რომ გარკვეული შეკრებები უკვე იმართება და პოლიცია არის მასშტაბურად მობილიზებული იმისათვის, რომ უსაფრთხოება იყოს დაცული.

2021 წლის 5-6 ივლისის ძალადობა

2021 წლის 5-6 ივლისის ძალადობის ორგანიზატორები და ჩამდენები კვლავ დაუსჯელი რჩებიან. შსს-ს განცხადებით აღნიშნულ ძალადობრივ დანაშაულებზე სამართლებრივ პასუხისმგებლობაში 31 პირია მიცემული. თუმცა, ძალადობის ორგანიზების ბრალდება არც ერთ მათგანს კვლავ არ ეხება. ჟურნალისტებისა და ოპერატორების, მათ შორის, ლექსო ლაშქარავას მიმართ ფიზიკურ ძალადობაში მსჯავრდადებულები თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა დამნაშავედ ცნეს, თუმცა ძალადობის ორგანიზებისთვის კვლავ არც ერთი ადამიანი არ დასჯილა.

ადამიანის უფლებათა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ იქნა და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის“, რომელსაც მხარი დაუჭირა ოპოზიციის ნაწილმაც. ეროვნული სტრატეგიიდან LGBTQI+ თემის უფლებების დაცვის საკითხი მთლიანად ამოღებულია. სტრატეგიის შემუშავების პროცესში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ჩართულნი არ იყვნენ. მათ შენიშვნები მოგვიანებით მაინც მიაწოდეს მთავრობას, მათ შორის, ცალკე თავი LGBTQI+ ადამიანების უფლებების ნაწილზე, თუმცა რეკომენდაციები არ გაუთვალისწინებია არც მთავრობას და არც საქართველოს პარლამენტს.

2023 წლის 1 ნოემბერს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის (2024-2026 წწ.) სამუშაო ვერსია წარუდგინა. პროექტი სტრატეგიის მსგავსად, ასევე არ ითვალისწინებს LGBTQI თემის უფლებების დაცვის საკითხებს.

LGBTQI+ თემის უფლებები

მმართველი გუნდის მიერ 2023 წლის მარტში “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის” შესახებ

კანონპროექტის მიღების მცდელობისა და საქართველოს მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლების შედეგად ჩავარდნის შემდეგ, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა და სატელიტმა პარტიებმა დაიწყეს და უპრეცედენტოდ გააძლიერეს LGBTQI+ თემის საწინააღმდეგო რიტორიკა რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება მე-8 რეკომენდაციის შესრულების სულისკვეთებას.

საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირებულია კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს 3 ძირითად კანონში, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსში, ცვლილებას, რომელიც ეხება შეკრებისა და მანიფესტაციის დროს სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირების, პოპულარიზაციის ან/და პროპაგანდის, ასევე რელიგიური მიმდინარეობის საწინააღმდეგო, მადიკრედიტირებელი ან/და ადამიანთა რწმენის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელი განცხადებების და მოწოდებების ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ დასჯას (მათ შორის 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, და თანამდებობის დაკავების, საქმიანობის უფლების 3 წლით ჩამორთმევა). ამ დრომდე ოფიციალურად უცნობია მმართველი გუნდის პოზიცია აღნიშნული კანონპროექტებთან დაკავშირებით. თუმცა საგულისხმოა მათი ჰომოფობიური საჯარო რიტორიკა.

2023 წლის 4 მაისს, უნგრეთში, კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კომიტეტის [CPAC] კონფერენციაზე სიტყვით გამოვლისას, საქართველოს პრემიერ მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა არაერთი ჰომოფობიური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ „არ დავუშვებთ უმცირესობის ძალადობას – უმრავლესობაზე. მხარს არ დავუჭერთ უმცირესობის მცდელობას, აგრესიული პროპაგანდით შეცვალოს ფასეულობები, რაც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას ღმერთის მიერ დადგენილად მიაჩნია“. [მისი სიტყვა](#) უმცირესობებთან დაკავშირებით შეიცავდა მანიპულაციასაც არასრულწლოვნების სქესის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით. ამ კონფერენციაში მონაწილეების გამო ღარიბაშვილი ჯერ კიდევ გამოსვლამდე გააკრიტიკეს ევროპარლამენტარებმა. ამერიკელი ანალიტიკოსმა, წარსულში „ქართული ოცნების“ ყოფილმა მრჩეველმა კი განაცხადა, რომ უნგრეთში დაგეგმილ კონსერვატორთა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობით ღარიბაშვილი ფაშისტების და პუტინის აპოლოგეტების რიგებში ეწერება. პრემიერ-მინისტრმა თბილისში ღირსების მარშის ჩატარება „მეტად პროვოკაციულ ღონისძიებად“ შეაფასა. ქართული ოცნების ლიდერმა ირაკლი კობახიძემ, „LGBT პროპაგანდა“ „არასახელმწიფო საქმიანობებს“ შორის მოიხსენია; მან აგრეთვე მის მიმართ კრიტიკულად განწყობილი სტუდენტები შეაფასა შემდეგნაირად - „*მათი ორიენტაცია ყველანაირად არის არეული, მე მგონი ეს ადამიანები უნდა მოექცნენ სწორ რელსებზე - საჭიროა, რომ ბიჭებმა ცოლები მოიყვანონ, გოგოები დაქორწინდნენ გამრავლდნენ და ა.შ. მათი ყველანაირი ორიენტაცია პოლიტიკურიდან დაწყებული უნდა გამოსწორდეს, ეს არის ჩვენი ამოცანა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის, მათ შორის ახალგაზრდების გადასარჩენად*“; მმართველი გუნდის ლიდერს, [მამუკა მდინარაძეს](#) სარწმუნოდ მიაჩნია მოსაზრება, რომ „ლგბტ-პროპაგანდამ“ შესაძლოა „დრამატულად გაზარდოს კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლების რაოდენობა“. „უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან პროპაგანდა გარკვეული თემების, მათ შორის ლგბტ-პროპაგანდა, და ადამიანების უფლებების დაცვა, რომელიც გარკვეულ ჯგუფს წარმოადგენენ...“. „ეს არ არის მარტივი თემა, ერთ-ერთი ძალიან სენსიტიური თემაა და თემა, რომელსაც თავისი განშტოებები აქვს და ყველა განშტოებას თავისი მიმდევარი ჰყავს ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების თვალსაზრისით“ – თქვა მდინარაძემ. პარლამენტში „ოცნების“ სატელიტური პარტიის, „სოციალ-დემოკრატების“ ლიდერი, [ფრიდონ ინჯია](#) ამბობს, პარლამენტს საკანონმდებლო პაკეტით მიმართავენ რომელთა შორის იქნება „ლგბტ-პროპაგანდის“ კანონით აკრძალვის შესახებ კანონპროექტი, რომელსაც ის იზიარებს და მხარს უჭერს.

საქართველოს ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო 2023 წლის ივლისის თვეში წინასწარ დაგეგმილი LGBTQI+ ჯგუფის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების და უსაფრთხოების უფლებების დაცვა. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური დაპირების მიუხედავად, თბილისში თბილისის პრაიდის კვირეულის ფარგლებში, ფესტივალი არ ჩატარდა, რადგან პოლიციამ არ უზრუნველყო ფესტივალის მონაწილეთა უსაფრთხოება ძალადობრივი ჯგუფებისგან.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ექვსმა ევროპარლამენტარმა გამოაქვეყნა ერთობლივი წერილი, რომლითაც ისინი ევროკომისიასა და ევროპულ საბჭოს მოუწოდებენ, “ალტ-ინფო” და მისი ლიდერი, კონსტანტინე მარგოშია დაასაჩუქრონ. წერილის ადრესატები არიან: ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ ვერ ლაიენი, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი, საქართველოში ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი და თანასწორობის საკითხებში ევროკომისარი ჰელენა დალი. ევროპარლამენტარებმა მოუწოდეს წერილის ადრესატებს “ყველა საჭირო ნაბიჯი გადადგან, რათა უმაღლეს დონეზე დაგმონ კვირას, 8 ივლისს Tbilisi Pride-ის წინააღმდეგ LGBTIQ-ფობიური თავდასხმები”. “ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს “ალტ-ინფოს” ჯგუფისა და ჯგუფის უკან მდგომი ოლიგარქის, კონსტანტინე მარგოშიას წინააღმდეგ მიზნობრივ საჩუქრებს. “ალტ-ინფო” ცნობილია მის მედია არხებზე LGBTIQ-ფობიური სიძულვილის ენის გავრცელებით და აქტიურად იყო ჩართული 8 ივლისს Tbilisi Pride-ის წინააღმდეგ თავდასხმებში”, - წერია წერილში. ევროპარლამენტარები, ასევე, აღნიშნავენ, რომ საქართველოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან 2019 და 2021 წლებში LGBTQI-ფობიური ძალადობაში ჩართული პირების წინააღმდეგ სათანადო სამართლებრივი დევნა არ ხორციელდება.

ეთნიკური უმცირესობები

მთავრობა აცხადებს, რომ აგრძელებს პოლიტიკის გატარებას, რათა გააძლიეროს ეთნიკური უმცირესობები, მათ შორის, მხარი დაუჭიროს ეთნიკურ უმცირესობებს ქართული ენის შესწავლაში, ყველა დონეზე განათლების ხელმისაწვდომობაში, სახელმწიფო ორგანოებში სტაჟირების შესაძლებლობაში და მათ მშობლიურ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში. მათი დანაპირებით აგრეთვე მუშაობენ საქართველოს მთავრობასა და პარლამენტთან, დემოკრატიული, ინკლუზიური და რეგულარული საკონსულტაციო მექანიზმის შექმნისთვის ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გასაზრდელად. თუმცა, ამ ეტაპზე მთავრობამ ვერ წარმოადგინა მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლების მნიშვნელოვან ჩართულობას პროცესებში და მათი საბაზისო უფლებების (განათლება, ინფორმაციაზე წვდომა, დასაქმება) მნიშვნელოვან პროგრესს. არც ჩართულობის მექანიზმი შექმნილა მთავრობასა და პარლამენტთან.

* * *

ჩვენი შეფასებით, ევროკავშირის მერვე პრიორიტეტი ნაწილობრივ შესრულდა“, ვინაიდან 5 ივლისის ძალადობის ორგანიზატორები ამ დრომდე არ დასჯილან, ადამიანის უფლებათა 2022-2030 ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტიდან ამოღებულია LGBTQI+თემის უფლებრივი მდგომარეობის საკითხი, ისევე როგორც სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიიდან, რომელიც მხოლოდ 2023 წლის 1 ნოემბერს წარედგინა სამოქალაქო საზოგადოებას. მმართველმა გუნდმა პოლიტიკურ ინსტრუმენტად აქცია LGBTQI+ თემა და უპრეცედენტოდ გააძლიერა მათ წინააღმდეგ სიძულვილის რიტორიკა და ხელისუფლებამ არ უზრუნველყო LGBTQI+ თემის წევრთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების და

უსაფრთხოების უფლებების დაცვა ძალადობრივი ჯგუფებისგან. ასევე, საქართველოს მთავრობასა და პარლამენტთან, დემოკრატიული, ინკლუზიური და რეგულარული საკონსულტაციო მექანიზმი ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გასაზრდელად არ შექმნილა.

პრიორიტეტი N 9 გენდერული თანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა

“გამლიერდეს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის ზრდისთვის და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ”

მეცხრე პრიორიტეტი გულისხმობს გენდერული თანასწორობის გაზრდას და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ ნაბიჯების გადადგმას. მოლოდინებს შორის, რომელიც ამ მოთხოვნის შესრულებას უკავშირდება აღსანიშნავია გენდერული თანასწორობის შესახებ კანონების უკეთ აღსრულება, გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის შესახებ სამოქმედო გეგმის მიღება, გაუპატიურების განმარტების შეცვლა სტამბულის კონვენციის მიხედვით და მსხვერპლის სტატუსის, როგორც სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის წინაპირობის მოხსნა. ეს სამი მოთხოვნა ასევე ნახსენები აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს საკუთარ რეკომენდაციებში და ოპოზიციურ პარტიებს, მათ მიერ გამოქვეყნებულ ხედვაში.

მეცხრე პრიორიტეტის შესასრულებლად 2022 წელს პარლამენტმა „ქართული ოცნების“ წარდგენილი სამი საკანონმდებლო წინადადება მიიღო, რომელიც გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ იყო მიმართული. კერძოდ, შეიცვალა „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც ეხება კანონის რეგულირების სფეროს და განისაზღვრა, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. ასევე განისაზღვრა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალსა და მამაკაცს შორის რეალური თანასწორობის დამკვიდრების სტიმულირებას და ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრას. კანონმა სავალდებულო გახადა გენდერული გავლენის შეფასების განხორციელება ყველა ახალი საკანონმდებლო აქტის პროექტის მომზადებისას და ყველა საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის მომზადებისას.

მიღებული ცვლილებების თანახმად, მკვიდრდება სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისას გასათვალისწინებელი პრინციპი, რომ სახელმწიფო გარდა ფორმალური გენდერული თანასწორობის მიღწევისა, უზრუნველყოფს ქალსა და მამაკაცს შორის რეალური/ფაქტობრივი თანასწორობის დამკვიდრების სტიმულირებას. გაფართოვდა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს კომპეტენცია და იგი ვალდებული გახდა, შეიმუშაოს წინადადებები ქალსა და მამაკაცს შორის ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრისთვის და განახორციელოს მათი ადვოკატირება შესაბამის დაწესებულებებთან. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში და „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩაიწერა შესაბამისი დებულებები, ქალებსა და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორობის დამკვიდრებისთვის, ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრისთვის და შესაბამის დაწესებულებებთან ადვოკატირების გაწევასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებებს მხარის „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ყველა საპარლამენტო ფრაქციისა თუ ჯგუფის წარმომადგენლებმაც დაუჭირეს.

ასევე, პარლამენტმა მრავალპარტიული [მხარდაჭერით მიიღო](#) „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო [კონცეფცია](#)“, რომლის მიზანია

სქესისა და გენდერის ნიშნით ნებისმიერი სახის დისკრიმინაციასთან ბრძოლა და რეალური თანასწორობის ხელშეწყობა“. თუმცა, კონცეფცია გენდერულ თანასწორობად განიხილავს მხოლოდ ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, რითაც ეფექტურად მისი მოქმედების მიღმა ტოვებს LGBTQI თემის საჭიროებებს და უფლებების დაცვას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს ფარგლებში [განხორციელდა თემატური მოკვლევა](#) -

„ქალების წვდომა ფინანსურ რესურსებზე“, რომელსაც საქართველოს საპარლამენტო საკმიანობაში პირველად ოპოზიციის წარმომადგენელი - „ლელოს“ დეპუტატი ანა ნაცვლიშვილი ხელმძღვანელობდა. თემატური მოკვლევით დადგინდა, რომ მიუხედავად არაერთი მიმართულებით ხელშესახები პროგრესისა, განსაკუთრებით კანონმდებლობის დახვეწის კუთხით, ქალები საქართველოში კვლავ სისტემურად უთანასწორო გარემოში იმყოფებიან, მრავალი პრობლემის წინაშე. იდენტიფიცირებული პრობლემების მოსაგვარებლად თემატური მოკვლევის ფარგლებში შემუშავდა მოკლე, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში გასატარებელი რეკომენდაციები, რომლებიც ეხება როგორც ცენტრალიზებული პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას, ისე არსებულ პროგრამებში და საკანონმდებლო ჩარჩოში გარკვეული ცვლილებების განხორციელებას, ეროვნული ბანკის მარეგულირებელ ჩარჩოში სპეციფიკური სიახლეების დანერგვას და ა.შ.

პარლამენტმა გაითვალისწინა მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით ოპოზიციის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია და „ქალთა მიმართ ძალადობის, ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში [ცვლილებები შეიტანა](#), რითაც კანონმდებლობა სტამბულის კონვენციის დებულებებთან შესაბამისობაში მოვიდა. ცვლილებების თანახმად, „ახლებურად წესრიგდება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენასთან, მსხვერპლის უფლებებთან, მისი სოციალური დაცვის და შრომით გარანტიებთან, მხარდაჭერის მომსახურებებთან,

მომალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართულ ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები.“ მათ შორის, მიღებული კანონი ეხება თავშესაფრით, კრიზისული ცენტრით სარგებლობის საკითხს. კერძოდ, გაუქმდა მომსახურებებით სარგებლობის საჭიროებისას მსხვერპლის სტატუსის არსებობის წინაპირობა.

საქართველოს [მთავრობამ](#) ასევე არასამთავრობო, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით [შეცვალა](#) ქალთა მიმართ ძალადობის, ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობა და კომპენსაციის გაცემის წესი. ასევე მიმდინარეობს მუშაობა ოჯახში ძალადობის, ან/და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის, შშმ პირთათვის ადაპტირებით. ამ მიზნით იგეგმება თბილისში ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრის, ხოლო სამეგრელოსა და კახეთში კრიზისული ცენტრების ამოქმედება.

მეცხრე პრიორიტეტის სრულად შესრულების ფარგლებში გადაუჭრელი რჩება გაუპატიურების განმარტების შეცვლის საკითხი. არასამთავრობო სექტორი და ოპოზიცია ითხოვს კანონმდებლობის სტამბულის კონვენციის [36-ე მუხლთან](#) ჰარმონიზებას, რაც გულისხმობს, რომ გაუპატიურებად უნდა ჩაითვალოს სექსუალური ხასიათის ურთიერთობაში შესვლა მეორე მხარის თანხმობის გარეშე და რომ თანხმობა ადამიანის თავისუფალი ნების შესაბამისად ნაბაყოფლობით უნდა იქნას გამოხატული, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებების კონტექსტში უნდა შეფასდეს.

ამ თემაზე კონკრეტული რეკომენდაციები [წარადგინეს](#) ოპოზიციონერმა ქალმა დეპუტატებმა ანა ნაცვლიშვილმა („ლელო“), ხატია დეკანოიძემ („ენმ“), ხათუნა სამნიძემ („რესპუბლიკური პარტია“), ანა ბუჩუკურმა („საქართველოსთვის“), თეონა აქუბარდიამ და თამარ კორძაიამ. აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციასთან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების და ცალკეული საკითხების იდენტიფიცირების მიზნით თემატური მოკვლევის დაწყების გადაწყვეტილება [მიიღო](#). თემატური მოკვლევის ჯგუფში შედის ოპოზიციონერი დეპუტატი ანა ნაცვლიშვილი. თემატური მოკვლევის ჯგუფი განიხილავს, მათ შორის, გაუპატიურების დეფინიციის საკითხსაც.

2023 წლის მარტის ბოლოს რამდენიმე ქალმა საჯაროდ ამხილა ხელისუფლების მხარდამჭერი ჟურნალისტი და „პოსტ ტვ“-ს დამფუძნებელი შალვა რამიშვილი სექსუალურ შევიწროებაში, რის პასუხადაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააკეთეს რამიშვილის მხარდამჭერი განცხადებები. მაგალითად, მამუკა მდინარაძემ ეს შეაფასა, როგორც „არადამაჯერებელი“ და „ფაშისტური კამპანიის ნაწილი“. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა კი აღნიშნა, რომ თუმცა სექსუალური შევიწროება მძიმე დანაშაულია, „დაბრალება არანაკლებ მძიმეა“. ამგვარი რეაქცია თავისთავად არ უწყობს ხელს ქალების მიერ სექსუალური შევიწროების შესახებ კანონმდებლობის გამოყენებას, რომელიც თავისთავად კარგ დაცვას სთავაზობს მსხვერპლ ქალებს და საფრთხეს უქმნის ამ კანონმდებლობის აღსრულებას.

* * *

ჩვენი შეფასებით, ევროკავშირის მეცხრე პრიორიტეტი მეტწილად შესრულებულია. აღსანიშნავია, რომ გენდერულ საკითხებთან მიღებული კანონმდებლობა იშვიათი გამონაკლისი იყო, სადაც მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის კონსენსუსი შედგა და კანონში შეტანილი ცვლილებები მრავალპარტიული მხარდამჭერით მიიღეს. ერთადერთი საკითხი, რომელიც მეცხრე პრიორიტეტის შესაცვლელად დარჩა, გაუპატიურების დეფინიციას, რასთან დაკავშირებითაც განხილვა მიმდინარეობს.

პრიორიტეტი N10 სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა

„უზრუნველყოფილ იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე“

ზოგადი მოთხოვნები და სამოქმედო გეგმა

მეათე პრიორიტეტის თანახმად, „უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე“. ევროკავშირში გაწევრიანების საქართველოს განაცხადზე ევროკომისიის დასკვნაში ნათქვამია, რომ „საქართველოს ჰყავს კარგად განვითარებული და დინამიური სამოქალაქო საზოგადოება, რომლის შეხედულებებისა და საქმიანობის შედეგების გათვალისწინებაც საჭიროა მოხდეს მეტად სისტემური სახით.“²⁷

რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების შეხედულებით, მე-10 პრიორიტეტის შესასრულებლად საჭიროა, რომ (1) „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფორმატი უფრო ეფექტური გახდეს. კერძოდ, მთავრობის ადმინისტრაციამ ღია მმართველობის საბჭოს კენჭისყრის დროს სამოქალაქო საზოგადოების წევრების მიერ შემოთავაზებული მინიმუმ 2 მთავარი (ე.წ. ვარსკვლავური) ვალდებულება უნდა აიღოს; და (2) მთავრობის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა ეროვნული დონის პოლიტიკის/სტრატეგიის დოკუმენტების და მათი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიების მოსაზრებითაც, მეათე პრიორიტეტის შესასრულებლად მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა ეროვნული დონის დოკუმენტების და მათი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში.

„ქართული ოცნების“ [გეგმის](#) თანახმად, მმართველ ძალას უნდა უზრუნველყოს ევროკავშირის მიერ წარდგენილი 12 პრიორიტეტის შესრულებაში სამოქალაქო საზოგადოების ეფექტიანი ჩართულობა. სამოქმედო გეგმაში ასევე ნათქვამია, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნას „ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმების შენარჩუნება ევროკავშირის პირობებზე მუშაობის დასრულების შემდეგ“.

ევროკომისიის აზრით კანონმდებლობა არ ზღუდავს არასამთავრობო ორგანიზაციებს თავიანთ საქმიანობაში, მაგრამ აქვე შეიძლება ითქვას, რომ იგი ასევე არ ზრუნავს მათი გაძლიერებისთვის, მაგალითად რაიმე სახის მხარდაჭერის, მათ შორის ფინანსურის, აღმოჩენით. თავდაპირველად „ქართულმა ოცნებამ“ სამუშაო ჯგუფებში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მართლაც მიიწვია, თუმცა მალე გაირკვა, რომ მმართველი პარტია არ აპირებდა მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხებზე სამოქალაქო სექტორის რეკომენდაციების გათვალისწინებას და მათ სრულად ჩართვას სამუშაო პროცესში. კერძოდ, „ქართულმა ოცნებამ“ სამუშაო ჯგუფებში არ დაუშვა ერთ-ერთი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაცია - „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED). ასევე, „ქართულმა ოცნებამ“ არ გაიზიარა სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების დიდი ნაწილი სხვადასხვა პრიორიტეტთან დაკავშირებით, რაც ამ მოხსენების შესაბამის თავებშია ასახული.

²⁷ Brussels, 17.6.2022 COM(2022) 405 final. გვ.16

არამეგობრული დამოკიდებულება

განსაკუთრებით პრობლემატურია, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერები და სამთავრობო მედია საშუალებები მუდმივად ეწევიან არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციას და სამოქალაქო სექტორის ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებთან აფილირებულ ან/და კორუფციულ დაჯგუფებებთან წარმოჩენას. ბოლო ერთი წლის განმავლობაში აქცენტი კეთდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების აშშ-ს ან სხვა უცხო ქვეყნის აგენტებად წარმოჩენასა და მათი ფინანსების გაუმჭვირვალობაზე. მადისკრედიტებული კამპანიის მთავარი გზავნილია, რომ “მდიდარი არასამთავრობო ორგანიზაციები” ეწევიან ანტი-ქართულ საქმიანობას, არიან დასავლეთის აგენტები და სურთ საქართველოს ჩართვა რუსეთის წინააღმდეგ ომში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს რეფორმების ასოციაცია“ (GRASS) და მისი პროექტი - „ფაქტ-მეტრი“, რომელიც სხვა არასამთავრობოებთან ერთად არაერთხელ გამხდარან ქართული ოცნების მადისკრედიტირებული კამპანიის ობიექტი. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით „ქართული ოცნების“ მხრიდან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ წარმოებული აგრესიული კამპანია უკვე საგანგაშო ნიშნულს [მიუახლოვდა](#).

აღნიშნულ კამპანიაში აქტიურად არის ჩართული „ხალხის ძალა“ - საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილია და პარლამენტში ცხრა დეპუტატი ჰყავს. “ხალხის ძალა” „ქართულ ოცნებას“ ფორმალურად გამოეყო, თუმცა სამოქალაქო საზოგადოებას და ოპოზიციას ისინი რეალურად ერთ პოლიტიკურ გუნდად [მიაჩნია](#). რაც შეეხება ღირებულებით ნაწილს, კობახიძემ დაადასტურა, რომ “რაიმე არსებითი განსხვავება არ არის”.

სტიგმატიზების მცდელობა

2022 წლის ბოლოს “ხალხის ძალამ” კონკრეტული ინიციატივა დააყენა, რომ საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა. მათი მხრიდან მალე მოხდება საკანონმდებლო პაკეტის ინიცირება, რომლის მიხედვით არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება მკაცრ საკანონმდებლო ჩარჩოებში მოექცევა. ეს ინიციატივა თავისი შინაარსით და პათოსით, ასევე რიტორიკით ძალიან ჰგავს უცხოელი გავლენის აგენტების შესახებ კანონს, რომლითაც რუსეთში (2012) და ბელარუსში (2015) მოხდა არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის საქმიანობის შეზღუდვა. ასევე, ამის მცდელობას ჰქონდა ადგილი უნგრეთშიც 2015-2017 წლებში. “ხალხის ძალის” ინიციატივა უარყოფითად შეაფასეს როგორც ოპოზიციის, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმაც. “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” თანახმად, “კანონპროექტი არის არასამთავრობო ორგანიზაციების სტიგმატიზაციის და საზოგადოებაში მათ მიმართ ზიზღის და უნდობლობის გაღვივების მცდელობა, რასაც შემდეგ მოჰყვება სხვა ტიპის შემზღუდველი ღონისძიებები, როგორც რუსეთში [მოხდა](#)..” საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ექსპერტების აზრით, კი აღნიშნული კანონპროექტი წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის მიერ აღებული რიგ საერთაშორისო ვალდებულებებთან, მათ შორის, პირველ რიგში, ევროკავშირთან 2014 წელს ხელმოწერილ ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან.

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონპროექტის ინიცირებიდან რამდენიმე დღეში სამოქალაქო საზოგადოების ნაწილის მოთხოვნით გაიმართა შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარესთან. შეხვედრაზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პარლამენტის თავმჯდომარეს გააცნეს საკუთარი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი დამოკიდებულება განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით. კერძოდ, აღინიშნა, რომ

მისი მიღებით ხელისუფლებას მიეცემოდა სამოქალაქო ორგანიზაციების დასუსტების და შევიწროების შესაძლებლობა. ასევე აღინიშნა, რომ კანონპროექტის განხილვის პროცესი თავად უკვე გააღრმავებდა პოლარიზაციას საზოგადოებაში, შეამცირებდა ქვეყნისთვის ევროკავშირის კანდიდატის ქვეყნის სტატუსის მინიჭების შანსებს. სამწუხაროდ შეხვედრაზე ვერ მოხერხდა პოზიციების შეთანხმება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ხელისუფლებამ გააგრძელა კანონპროექტის ინიცირების პროცესი. კანონპროექტის საკომიტეტო განხილვებში მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომლებმაც არგუმენტირებულად გააშუქეს კანონპროექტის უარყოფითი მხარეები და რისკები, რომელსაც საზოგადოებისთვის და ქვეყნის დემოკრატიული, ევროპული მომავლისთვის ის წარმოადგენდა. მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების ამ მცდელობისა, რომ მათსა და ხელისუფლებას შორის გამხდარიყო შესაძლებელი ხედვების დაახლოება, მათი არგუმენტები კვლავ არ იქნა შესმენილი. 7 მარტს საპარლამენტო უმრავლესობამ პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის” შესახებ კანონს, რომელიც ევროკავშირის წარმომადგენლების თანახმად, ევროპულ ღირებულებებსა და პრინციპებს და 12 პრიორიტეტიდან მინიმუმ ორს ეწინააღმდეგებოდა. კანონპროექტის მიღებას ასევე ეწინააღმდეგებოდა მთლიანად ქართული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი, ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო, ევროკავშირის ინსტიტუტები, აშშ-ს ადმინისტრაცია და საქართველოს მოსახლეობის აქტიური ნაწილი სრულად. საპარლამენტო უმრავლესობამ მასობრივი პროტესტის შემდეგ 9 მარტს (პირველი მოსმენით მიღებიდან სულ რაღაც ორი დღის შემდეგ) მეორე მოსმენაზე კანონპროექტი თავად ჩააგდო. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისთვის ხელისშემშლელი კანონების ინიცირებისა და პირველი მოსმენით მიღების შედეგად, ერთი მხრივ, ხელისუფლებასა და, მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებასა და ოპოზიციაში მყოფ პოლიტიკურ ძალებს შორის პოლარიზაცია გაიზარდა, რამაც 12 პრიორიტეტის შესრულების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა კიდევ უფრო გაართულა.

“აგენტების შესახებ” კანონის მიღების მცდელობის შემდგომი სიტუაცია

მმართველი პარტიის მიერ ე.წ. “აგენტების” კანონის პრინციპების ერთგულების გამო, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრობა შეაჩერეს; თუმცა, სანამ ეს მოხდებოდა თავად პარლამენტის ადმინისტრაციამ ამ ჯგუფს ჩამოართვა პარლამენტში მათ განკარგულებაში არსებული სამუშაო ფართით სარგებლობის უფლება, რითაც მათი იქ საქმიანობისთვის პირობები გააუარესა.

კანონპროექტის ჩაგდების შემდგომ, “ქართულმა ოცნებამ” სამოქალაქო სექტორზე თავდასხმები გააგრძელა და მათ წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანია გაამძაფრა. მათ შორის, ე.წ. “აგენტების” კანონის მიღებაზე უარის თქმის მიუხედავად, “ქართული ოცნების” ლიდერები საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უცხოური გავლენის აგენტებს უწოდებენ. სამოქალაქო სექტორს ევროინტეგრაციის პროცესის ხელის შეშლაში, პროვოკაციების მოწყობაში, დესტრუქციულ საქმიანობასა და საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვის სურვილშიც ადანაშაულებენ. ასევე, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მათი დაფინანსების წყაროების წარმოშობას და ქვეყნის მიმართ მათ ერთგულებას. აღნიშვნის ღირსია ფაქტი, რომ 2023 წლის 2 ივნისს საქართველოს პარლამენტის წინ გამართულ მშვიდობიან აქციაზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აქტივისტები

და უფლებადამცველები ცარიელი ფურცლებისა და პლაკატების გამო დააკავეს. მიუხედავად იმისა, რომ შსს-მ, კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ადმინისტრაციული დაკავების ვადის გახანგრძლივების მიზანშეწონილობა ვერ დაასაბუთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები დროებითი მოთავსების იზოლატორში მაქსიმალური, 48 საათის განმავლობაში იყვნენ მოთავსებულები. მათ საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია.

თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები

აგენტების შესახებ კანონპროექტის მიღების წარუმატებელი მცდელობის შემდგომ, არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ “აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ” მოითხოვა და გამართა შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარესთან. ამჯერად, არასამთავრობო სექტორი ითხოვდა 12 პრიორიტეტის იმპლემენტაციის თემაზე კონსულტაციების კვლავ განახლებას. შედეგად, ცალკეულ საკითხებზე შედგა სამოქალაქო წარმომადგენლების რამდენიმე შეხვედრა პარლამენტის და კომიტეტების თავმჯდომარეებთან.

ივნისის დასაწყისში საპარლამენტო ფორმატში 12 პრიორიტეტის განხორციელებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის ქვეჯგუფების მუშაობა ნაწილობრივ აღდგა. კერძოდ, შედგა სასამართლო რეფორმის ქვეჯგუფის ორი შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა “საერთო სასამართლოების შესახებ” კანონპროექტში ვენეციის კომისიის რეკომენდაციების ასახვას. ქვეჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმის წევრი რამდენიმე ორგანიზაცია - ლიბერალური აკადემია, დემოკრატიის ინდექსი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტი. სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა წარადგინეს წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, თუმცა კანონპროექტში, რომელიც მიღებულ იქნა 13 ივნისს, ეს წინადადებები არ იქნა გათვალისწინებული.

მაუწყებლობის შესახებ ევროკავშირის აუდიო-ვიზუალური დირექტივის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა საკომიტეტო მოსმენებში, კერძოდ, მოსმენებში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და მედია ადვოკატირების კოალიციის წარმომადგენლები. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოითხოვდნენ შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას მაუწყებლობის შესახებ კანონში, რასაც ასევე მოითხოვდა ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ შემუშავებული 2023 წლის 21 თებერვლის დასკვნა (ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის დასკვნა საქართველოს კანონზე მაუწყებლობის შესახებ) ამ მიმართულებით. პარლამენტის

სახელისუფლებო გუნდი დაეთანხმა მათ წინადადებებს და კანონპროექტი პარლამენტმა სამი მოსმენით 30 ივნისს მიიღო.

სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ასევე მიმართეს საპარლამენტო უმრავლესობას (კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარეს) წინადადებით, პოლიტიკოსებისთვის მედიაში წინასაარჩევნო დებატებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, რაც საზოგადოებაში პოლარიზაციის შემცირებას შეუწყობს ხელს;

წარმატებულად წარიმართა გარემოსდაცვითი ორგანიზაციების თანამშრომლობა სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან და გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტთან, საქართველოს წყლის კანონის შემუშავებასთან დაკავშირებით. შედეგად 30 ივნისს მესამე მოსმენით იქნა მიღებული წყლის შესახებ საქართველოს კანონი. კანონის მიღებას საკანონმდებლო დაახლოების კონტექსტში მოითხოვდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება. მმართველმა ძალამ გაითვალისწინა არასამთავრობო სექტორის მიერ შეთავაზებული საკითხების სამი მეოთხედი (28 წინადადება 36 შეთავაზებულიდან) და მიღებული კანონი პრაქტიკულად ჰარმონიზებულია ევროკავშირის შესაბამის დირექტივასთან.

2023 წლის ივნისისა და ივლისი პირველი ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები პარლამენტის თავმჯდომარის აპარატსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს შორის შესაძლო თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით. ეს კონსულტაციები კვლავ განახლდა სექტემბერ-ოქტომბერში და დასრულდა პარლამენტის თავმჯდომარესა და ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარეს შორის 20 ოქტომბერს დოკუმენტის ხელმოწერით. მემორანდუმი ითვალისწინებს პარლამენტის წარმომადგენლებთან არასამთავრობოთა კოალიციის რეგულარული შეხვედრების მექანიზმის დაარსებას, ერთობლივი კონფერენციის გამართვას, რომელზეც მოხდა ევროინტეგრაციისთვის აუცილებელი რეფორმების მიმდინარეობის შეფასება და პრობლემების საჯაროდ განხილვა. მემორანდუმის ტექსტზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს კონსულტაციები, მაგრამ ერთობლივი კონფერენცია უკვე გაიმართა 2023 წლის 25 ივლისს. კონფერენცია ძირითადად კონსტრუქციულ სამუშაო ვითარებაში ჩატარდა და პარლამენტის წევრებმა მოისმინეს არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები ევროკავშირის 12 პრიორიტეტით გათვალისწინებულ სფეროებში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით. თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად გაიზიარა სახელისუფლებო გუნდმა მათი შენიშვნები. მწვავე საუბრები გაიმართა სამოქალაქო საზოგადოების როლთან და მისი ჩართულობის საკითხთან მიმართებაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების ხედვებს შორის. ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ წარმოადგენს ხალხის აზრსა და შეხედულებებს, თუმც საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ნაწილი პირდაპირ გამოხატავს კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესს, გასაუბრებით ეს ეხება

პროფესიულ კავშირებს, ბიზნეს ასოციაციებს თუ სხვადასხვა სახის სექტორულ არასამთავრობო ორგანიზაციებს (მწვანეები, აგრარული კავშირები, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების გაერთიანებები, ა.შ.). ასევე განსხვავებული აღმოჩნდა საერთოდ სამოქალაქო საზოგადოების გაგება მმართველი ძალის მიერ, მათმა მაღალი დონის წარმომადგენელმა ეჭვი შეიტანა იმაში, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები საერთოდ განეკუთვნებიან სამოქალაქო საზოგადოებას, ამიტომ მათ დაფინანსებაზე ისინი არ აპირებენ ზრუნვას. აღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა არ ცნობს სამოქალაქო საზოგადოების აუცილებელ როლსა და ადგილს დემოკრატიის მშენებლობასა და განხორციელებაში სათანადოდ არ უწევს ანგარიშს მათ როგორც პოლიტიკურ/საზოგადოებრივ ფაქტორს. თუმცა, აუცილებელია ასეთი სახის კონფერენციების კვლავ გამართვა, რომლებიც, მიუხედავად სირთულეებისა, მაინც ემსახურება ურთიერთგაგებისკენ მიმართულ სულისკვეთებას. შემდეგი კონფერენცია უკვე იგეგმება და ნოემბრის დასაწყისში გაიმართება.

კრიტიკულად მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები

დიდი ხანია აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუტები თითქმის აღარ ატარებენ საკონსულტაციო ან საინფორმაციო შეხვედრებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან (თუ არ ჩავთვლით ეროვნული პლატფორმის შეხვედრებს პარლამენტის თავმჯდომარესთან და ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესთან), რაც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათ თანამონაწილეობას პრაქტიკულად გამორიცხავს. 2014 წელს მიღებული თვითმმართველობის კოდექსი ავალდებულებს მუნიციპალიტეტების მმართველობის ორგანოებს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების შექმნასა და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თბილისის 10 მუნიციპალიტეტიდან 9-ში ასეთი საბჭო შეიქმნა და ფუნქციონირებდა შედარებით ნაყოფიერად 2017 წლამდე. 2019 წლისთვის კი საბჭოებმა პრაქტიკულად შეწყვიტეს აქტივობა. ამ მხრივ კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა რეგიონებში, სადაც თითქმის არ მოქმედებენ ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ფორმატები. ასევე მნიშვნელოვნადაა შემცირებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეხვედრები აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. თუმცა ასეთი თანამშრომლობის ფორმატები ფორმალურად არსებობს. მაგალითად, წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული პლატფორმის ორგანიზაციები ატარებდნენ ხშირ კონსულტაციებს დარგობრივ სამინისტროებთან და უწყებებთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგისა და ხელშეწყობის მიზნით, ასევე იღებდნენ თანამონაწილეობას ასოცირების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ხელისუფლება და მთავრობა არ ცდილობენ არასამთავრობო სექტორისთვის დაფინანსების წყაროების შექმნასა და რიგი ამოცანების შესასრულებლად - როგორიცაა კანონპროექტების შეფასება, სტრატეგიებისა და კონცეფციების შემუშავება, პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა, ბიზნეს სექტორის კონსულტირება ახალი კანონების დანერგვის საქმეში, დატრენინგება და ა.შ., მათი დახმარების გამოყენებას. პირიქით, ისინი ასეთი ამოცანების შესასრულებლად აქტიურად აარსებენ საჯარო სამართლის იურიდიული

და სამთავრობო დაქვემდებარებაში არსებულ არასამეწარმეო - არაკომერციული იურიდიულ პირებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ფინანსდებიან, როგორც ბიუჯეტიდან ასევე საერთაშორისო გრანტებიდან და პრაქტიკულად კონკურენციას უწევენ დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციებს. პარლამენტისა და მთავრობის წარმომადგენლების წინაშე ბევრჯერ დაისვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის და საჯარო დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი თანამონაწილეობის ხელშეწყობისთვის სპეციალური (დამოუკიდებელი) სახელმწიფო ფონდის შექმნის თაობაზე. ასეთი ფონდი ხელს შეუწყობდა ახალი დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნასა და მათ პროფესიულ ზრდას, ასევე არსებული ორგანიზაციების გრძელვადიან მდგრადობას. სამწუხაროდ ამ მომართულებით არ გადადგმულა არც ერთი ნაბიჯი. დამატებით, აღსანიშნავია ისეთი მაგალითები, როგორიცაა საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო პლატფორმა, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმების 412 მუხლითაა დაარსებული და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მხარდაჭერა, ამრიგად, სახელმწიფოს ვალდებულებაა. ეს, პლატფორმა 2015 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს საზოგადოებრივ საწყისებზე და დიდ სირთულეების გადალახვით უხდება, განსაკუთრებით, ევროკავშირის ტერიტორიაზე გამართულ რეგლამენტით გათვალისწინებულ სხდომებზე დელეგატების გაგზავნა. ცნობისთვის, ევროკომისიის ზემოხსენებულ დასკვნაში (საქართველოს ევროკავშირის წევრობის განაცხადზე) აღნიშნულია, რომ “საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა ასოცირების შესახებ შეთანხმების მიერ შექმნილი ერთ-ერთი ინსტიტუტია. ის ხელ უწყობს ორივე მხარის ორგანიზაციების მიერ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესისა და შესაბამისი უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირებისთვის განკუთვნილი რეკომენდაციების მომზადებას.”

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილებების პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა რომ სისტემურად და არა ეკლექტურად მოხდეს, აუცილებელია პარლამენტთან იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ნებაყოფლობითი ცენტრალიზებული რეესტრი შეიქმნას, რომლებსაც აინტერესებთ მთლიანად სახელმწიფო და სამთავრობო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა. ასეთი ავტომატიზებული რეესტრი, მოახდენდა არასამთავრობო ორგანიზაციების დარგობრივი ინტერესის მიხედვით კლასიფიცირებას და ნებისმიერი კანონპროექტის ან სამთავრობო ინიციატივის განხილვაზე მათ მიწვევას, ასევე შეხვედრების ორგანიზებას მათივე თხოვნის საფუძველზე. ასეთი სახის ორგანიზაციულ ინსტრუმენტს (რომლის ანალოგიც ევროპარლამენტში არსებობს) სრულიად საპირისპირო დატვირთვა ექნებოდა ვიდრე ამას “აგენტების” დამაზიანებელი კანონპროექტი ისახავდა მიზნად და, პირიქით, ხელს შეუწყობდა სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას პროცესებში, გააღრმავებდა ურთიერთნდობასა და ერთობლივად მუშაობის მოტივაციას.

ჩვენი შეფასებით, მეათე პრიორიტეტი ნაწილობრივ შესრულდა, რადგან მიუხედავად “ქართული ოცნების” მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო ჯგუფებში ჩართვისა,

სასამართლო რეფორმის, ანტი-კორუფციული ზომების, დემოკრატიული ზედამხედველობის, მედიის, მოწყვლადი ჯგუფების და ომბუდსმენის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების უმეტესობა მმართველი პარტიის მიერ არ იქნა გათვალისწინებული. არ გაჟღერებულა არავითარი ინიციატივა ისეთი მექანიზმების შექმნასთან დაკავშირებით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მეტ და მუდმივი ფორმით სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას. ამასთან, მუდმივი შეტევები სამოქალაქო სექტორზე და მათ წინააღმდეგ წარმოებული მადისკრედიტირებელი კამპანია ევროკავშირის პირობის შესრულების საწინააღმდეგოდ მუშაობს.

პრიორიტეტი N 11 ECHR-ის გადაწყვეტილებების პროაქტიური გათვალისწინება

მეთერთმეტე პრიორიტეტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ეროვნული სასამართლოების მიერ პროაქტიურად გამოყენებას გულისხმობს.

აღნიშნული პრიორიტეტის შესასრულებლად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა პირველი გაფართოებული ფორმატის შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის ხელმძღვანელობით და სამუშაო ჯგუფის წევრების, აღმასრულებელი ხელისუფლების, სასამართლო ხელისუფლების, აკადემიური წრეების, სამოქალაქო საზოგადოების, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის და ევროკავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით 2022 წლის 13 ივლისს [გამართა](#). სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონპროექტი პარლამენტმა მესამე მოსმენით 2022 წლის 18 ოქტომბერს [მიიღო](#). კანონი შემდეგ ცვლილებებს და სიახლეებს [მოიცავს](#):

- მოსამართლის შეფასებისას მოხდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების არა მხოლოდ რაოდენობრივი კომპონენტის, არამედ მათი რელევანტურობის გათვალისწინებაც;
- საქართველოს უზენაეს სასამართლოს და სააპელაციო სასამართლოებში სავალდებულო იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეულის არსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსამართლეებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობას, მოახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პერიოდულ ანალიზს და განახორციელებს საინფორმაციო და საგამომცემლო საქმიანობას;
- ცვლილება [შევიდა](#) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 266-ე მუხლში, რომლის მიხედვით სასამართლო დადგენილება შესაძლებელია შეიცავდეს ასევე მითითებას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ნორმებზე და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა;
- განისაზღვრა, რომ ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახული განმარტებები. ანალოგიურად, განისაზღვრა, რომ კონსტიტუციურ სარჩელში, ან კონსტიტუციურ წარდგინებაში შესაძლებელია მითითებული იყოს მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები;
- პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის აუცილებელ კომპონენტად [მიეთითა](#) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი;
- კანონით [განისაზღვრა](#), რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა

ევროპული კონვენციის გამოყენებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები ითვლება ოფიციალურ განმარტებად და ნორმების გამოყენებელს შეეძლება დაეყრდნოს ამ განმარტებებს;

- ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის, ასევე ადვოკატთა განგრძობადი სავალდებულო განათლების პროგრამის აუცილებელ კომპონენტად [მიეთითა](#) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.
- სასამართლოს განჩინებაში შესაძლებელი გახდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ნორმების და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული საქმეების მითითება;
- სასამართლოს განაჩენის კანონიერების განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორად ასევე განისაზღვრა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ნორმატიული აქტების სწორად გამოყენება;
- სასამართლო განაჩენში შესაძლებელი გახდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ნორმების და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების მითითება;
- ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების ერთ-ერთ საფუძვლად დაემატა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის, ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით;
- განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შესაძლებელია მიეთითოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ნორმებზე და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე, რომელიც გამოყენებული იქნა გადაწყვეტილების მიღებისას;
- იუსტიციის სამინისტროს [დაევალა](#) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების რეესტრის წარმოება, ხოლო გადაწყვეტილებების/განჩინებების თარგმნა და გამოქვეყნება დაევალა, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.
- აღსანიშნავია, რომ [ოპოზიციური პარტიების](#) წარმომადგენლებმა კანონპროექტს მხარი [დაუჭირეს](#). ამ ცვლილებებს ასევე მხარი დაუჭირეს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმაც;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შეიქმნა ანალიტიკური სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქცია მოსამართლეებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზია.

* * *

ჩვენი შეფასებით, ევროკავშირის მე-11 პრიორიტეტი შესრულდა, რადგან შესაბამისი კანონპროექტები პარლამენტმა მრავალპარტიული მხარდაჭერით მიიღო. ამასთან, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი იქნება მიღებული ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვა.

პრიორიტეტი N 12 დამოუკიდებელი სახალხო დამცველი

“უზრუნველყოფილი იქნას, რომ სახალხო დამცველის ნომინირების პროცესში უპირატესობა მიენიჭება დამოუკიდებელ პირს და რომ პროცესი წარიმართება გამჭვირვალედ; დაცული უნდა იყოს აპარატის ეფექტიანი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა”

მეთორმეტე პრიორიტეტი სახალხო დამცველად დამოუკიდებელი კანდიდატის გამჭვირვალედ არჩევას და სახალხო დამცველის აპარატის ეფექტიანი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის დაცულობას გულისხმობს.

2022 წლის დეკემბერში სახალხო დამცველს ნინო ლომჯარიას უფლებამოსილების ვადა გაუვიდა. ევროკავშირმა შეგნებულად წინმსწრებად დაამატა დამოუკიდებელი სახალხო დამცველის არჩევის ვალდებულება ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის მოთხოვნებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მმართველ პარტიას არ დაენიშნა პოლიტიკურად ლოიალური პირი ომბუდსმენად. აღსანიშნავია, რომ ბრიუსელი დამოუკიდებელი სახალხო დამცველის არჩევას საქართველოს ხელისუფლებისთვის ერთგვარ გამოცდად მიიჩნევდა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახალხო დამცველს პარლამენტი ირჩევს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით (ე.ი. მინიმუმ 90 ხმით) 6 წლის ვადით (ამავდროულად, სხვა კანდიდატზე მეტი ხმით). ამასთან, დაუშვებელია სახალხო დამცველად ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევა. საქართველოს სახალხო დამცველის არჩევის წესი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი რეგულირდება. რეგლამენტის თანახმად, კანდიდატის წარდგენის უფლებამოსილი პირია როგორც ფრაქცია, ისე უფრაქციო პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციანი ჯგუფი.

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად ახალი სახალხო დამცველის კანდიდატის შერჩევის პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის პირობის შესასრულებლად “ქართულმა ოცნებამ” სახალხო დამცველის არჩევის დროებითი წესი შემოიღო. ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის, მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავდა “სახალხო დამცველის კანდიდატის შერჩევისა და წარდგენის პროცესის მაღალ გამჭვირვალობას და მასში სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, აკადემიური და პროფესიული წრეების ფართო ჩართულობას.” 2022 წლის 9 სექტემბერს პარლამენტმა რეგლამენტში შესატანი

ცვლილებით, სახალხო დამცველის არჩევის დროებითი წესი 83 ხმით [მიიღო](#). რეგლამენტში განხორციელებული დროებითი ცვლილების [თანახმად](#), საქართველოს სახალხო დამცველის არჩევის დროებითი წესი შემდეგნაირად განისაზღვრა:

- პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა შეფასების სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 9 წევრისგან – სამოქალაქო საზოგადოების (მათ შორის, პროფესიული და აკადემიური წრეების) წარმომადგენლებისგან;
- შეფასების სამუშაო ჯგუფი საქართველოს სახალხო დამცველობის კანდიდატად წარდგენის მსურველ პირებს აფასებდა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: კეთილსინდისიერება, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, მაღალი რეპუტაციის, სათანადო პროფესიული ცოდნისა და
- ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში პრაქტიკული გამოცდილების ქონა;
- რეგლამენტით გათვალისწინებული საქართველოს სახალხო დამცველის კანდიდატურის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტი პარლამენტს წარუდგენდა ერთ, ან ერთზე მეტ კანდიდატურას იმ პირთაგან, რომლებმაც მიმართეს პარლამენტს საქართველოს სახალხო დამცველობის კანდიდატად წარდგენის მსურველ პირთა შეფასების პროცესში მონაწილეობის მისაღებად;
- პარლამენტი საქართველოს სახალხო დამცველობის კანდიდატების განხილვას დაიწყებდა, თუ დასახელებული კანდიდატების რაოდენობა 7-ზე ნაკლები არ იქნებოდა. სხვა შემთხვევაში შესაბამისი პროცედურები თავიდან დაიწყებოდა.

ამასთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის [ბრძანებით](#) დადგინდა, რომ სახალხო დამცველობის პოზიციაზე საკუთარი თავის წარდგინება ყველა მსურველს შეეძლო, პარლამენტის უფლებამოსილი სუბიექტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენდა ერთ, ან ერთზე მეტ კანდიდატურას იმ პირთაგან, რომლებიც მიმართავდნენ საქართველოს პარლამენტს კანდიდატა შეფასების პროცესში მონაწილეობის მისაღებად და რომ საქართველოს სახალხო დამცველობის კანდიდატების წარდგენა [შეეძლოთ](#) ფრაქციების გარდა პოლიტიკური ჯგუფებსაც.

სახალხო დამცველის პოზიციაზე კანდიდატები შეარჩია არასამთავრობო სექტორმაც, რომელმაც რამდენიმე თვიანი მუშაობის შემდეგ ჯერ შერჩევის კრიტერიუმები შეიმუშავა, შემდეგ კი სახალხო დამცველობის სამი კანდიდატი [წარადგინა](#) - ანა აბაშიძე (არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი), გიორგი ბურჯანაძე (მოქმედი სახალხო დამცველის, ნინო ლომჯარიას მოადგილე) და ნაზი ჯანუშაშვილი (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი არამოსამართლე წევრი და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სასამართლოს გუშაგის“ დირექტორი). მიუხედავად იმისა, რომ ეს კანდიდატები ფართო კონსენსუსით იყვნენ შერჩეული, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სახალხო დამცველის კანდიდატების შერჩევა უარყოფითად [შეაფასა](#) და არასამთავრობო ორგანიზაციები კლანური პრინციპით მოქმედებაში [დაადანაშაულა](#) და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე უარი თქვა. სამოქალაქო საზოგადოების [განმარტებით](#), 52-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ 5 კანდიდატიდან კენჭისყრით აარჩია სამი ადამიანი, რომელიც საზოგადოებას 27

სექტემბერს წარუდგინა.

ოპოზიციური პარტიების დიდმა ნაწილმა („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“) სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოებულ პროცესს მხარი დაუჭირედ და მესამე სექტორის შერჩეული კანდიდატები ოფიციალურად [დაასახელეს](#), ხოლო პარტიამ „საქართველოსთვის“ მხარი მხოლოდ გიორგი ბურჯანაძეს [დაუჭირა](#).

ნიშანდობლივია, რომ „ქართული ოცნების“ მიერ შექმნილი შემფასებელი ჯგუფის მიერ ყველაზე მაღალი [ქულები](#) სწორედ იმ კანდიდატებმა, მიიღეს, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა წარადგინეს. მიუხედავად იმისა, რომ შემფასებლებმა განსხვავებული მეთოდები გამოიყენეს (ნაწილმა ყველა შეაფასა, ნაწილმა მხოლოდ ისინი - ვინც მოეწონა, ნაწილმა კი ზოგიერთი კანდიდატი კონკრეტულ კრიტერიუმში ინფორმაციის ნაკლებობის გამო არ შეაფასა და ა.შ.) არასამთავრობოების მიერ შერჩეული სამივე კანდიდატი ლიდერთა შორის აღმოჩნდა. კერძოდ, ქულების აბსოლუტური მნიშვნელობების დაჯამებით ოთხი ყველაზე მაღალი ქულის მქონე კანდიდატებად გამოიკვეთნენ ანა აბაშიძე, ნაზი ჯანეზაშვილი, ნუგზარ კოხრეიძე და გიორგი ბურჯანაძე, ხოლო, საშუალო ქულების დაჯამებით - ანა აბაშიძე, ნაზი ჯანეზაშვილი, გიორგი ბურჯანაძე და ნუგზარ კოხრეიძე. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს „ქართული ოცნების“ მიერ შექმნილ შემფასებელ ჯგუფს და ოპოზიციურ პარტიებს შორის გარკვეული კონსენსუსის კონტურები გამოიკვეთა, „ქართულმა ოცნებამ“ თავის მიერვე ინიცირებული სქემა უარყო. კერძოდ, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სარჯველაძემ [განაცხადა](#), რომ ომბუდსმენობის კანდიდატების ქულებით შეფასება პირობითი იყო, არავითარი სარეიტინგო მაჩვენებლები, უპირატესობა და პრეფერენციები არც ერთს არ ექნებოდა, და თანაბარი შანსი ჰქონდათ როგორც პირველ, ისე ბოლო ადგილზე გასულ კანდიდატურებს. ამ მიდგომით, ფაქტობრივად, სახალხო დამცველის კანდიდატის არჩევის პროცესში შემფასებლების როლი, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები და მხარდაჭერა, მთლიანად უგულებელყოფილ იქნა.

ომბუდსმენობის კანდიდატების ნომინირების და შემფასებელთა ჯგუფის მიერ მათი შეფასებების გამოქვეყნების შემდეგ, პოლიტიკურმა ჯგუფმა „მოქალაქეებმა“ სახალხო დამცველობის მსურველი 19-ვე აპლიკანტის კანდიდატურა [წარუდგინა](#) პარლამენტს. ამასთან, ლევან იოსელიანის ინიციატივით წარდგენილი [ცვლილების](#) თანახმად, სახალხო დამცველის არჩევა ღია კენჭისყრით მოხდა.

2022 წლის 25 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე პერიოდში ომბუდსმენობის კანდიდატებთან პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში საჯარო გასაუბრებები გაიმართა. პროცესზე დამკვირვებელთა აზრით, „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა კანდიდატებს მათ მიერ სოციალურ ქსელში ადრე განთავსებული განცხადებებზე დაუსვეს კითხვები, რამაც გააჩინა [ექვები](#), რომ „ქართულ ოცნებას“ რეალურად დამოუკიდებელი და მოუკერძოებელი კანდიდატის შერჩევა არ სურდა. აღნიშნულის გამო სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის ნაწილის მიერ მხარდაჭერილმა ერთ-ერთმა კანდიდატმა, ნაზი ჯანეზაშვილმა, გასაუბრებაში მონაწილეობაზე უარი [განაცხადა](#).

იმის გამო, რომ სახალხო დამცველის ასარჩევად პარლამენტში 90 ხმა იყო საჭირო,

„ქართულმა ოცნებამ“ გამართა კონსულტაციები ოპოზიციურ პარტიებთან საერთო კანდიდატურაზე შესაჯერებლად. „ქართულმა ოცნებამ“ უარი განცხადა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ნომინირებული კანდიდატების მხარდაჭერაზე. საპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ლელო“, „სტრატეგია აღმაშენებელმა“ და „საქართველოსთვის“, პირიქით, მხარი დაუჭირეს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დასახელებულ კანდიდატურებს. „მოქალაქეებმა“ მხარი 5 კანდიდატს დაუჭირეს, ხოლო პოლიტიკურმა გაერთიანება „გირჩმა“ პრინციპული პოზიცია დაიკავა, რომ მხარს მხოლოდ საკუთარი პარტიის წევრს - იაგო ხვიჩიას უჭერდა. შესაბამისად, კონსულტაციების შედეგად გაირკვა, რომ პარლამენტში არც ერთ კანდიდატს შესაბამისი უმრავლესობა არ ჰქონდა. 2022 წლის 22 დეკემბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრის [შედეგად](#) გიორგი ბურჯანაძემ ყველაზე მეტი - 16 ხმა მიიღო, ანა აბაშიძემ - 12 ხმა, იაგო ხვიჩიამ - 11, ნაზიბროლა ჯანუაშვილმა - 8, თინათინ ერქვანიამ - 6, ლელა გაფრინდაშვილმა - 5, ქეთევან ჩაჩავამ - 2, მარიკა არევაძემ - 1, ხოლო ყველა სხვა კანდიდატმა - 0. შესაბამისად, რადგან პარლამენტმა ახალი სახალხო დამცველი ვერ აირჩია, 2022 წლის დეკემბრიდან სახალხო დამცველის მოვალეობას სახალხო დამცველის პირველი მოადგილე [ასრულებდა](#). სახელისუფლებო პარტიამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო და პრაქტიკულად თავისივე წამოწყებული პროცესი ჩაშალა.

საგაზაფხულო სესიაზე, 7 მარტს „ქართულმა ოცნებამ“ მხარი დაუჭირა ოპოზიციური პარტიის „მოქალაქეები“ ერთ-ერთი ლიდერის, პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ლევან იოსელიანის კანდიდატურას. ლევან იოსელიანს „ქართული ოცნების“ 73 დეპუტატთან ერთად ღია კენჭისყრაზე [მხარი დაუჭირა](#) აგრეთვე „ევროპელი სოციალისტების“ (4 დეპუტატი), „რეფორმების ჯგუფის“ (2 დეპუტატი), „გირჩის“ (4 დეპუტატი) და „მოქალაქეების“ (2 დეპუტატი) წევრებმა. ლევან იოსელიანი არჩეული იქნა 96 დეპუტატის მხარდაჭერით, თუმცა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გარეშე. შესაბამისად, 16-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ [განცხადება](#) გაავრცელა და სახალხო დამცველის არჩევა ინკლუზიური და გამჭვირვალე პროცესის გარეშე, სამოქალაქო საზოგადოების მიერ დასახელებული კანდიდატების დაუსაბუთებელი უარყოფით, ევროკავშირის და გაეროს რეკომენდაციებთან შეუსაბამოდ მიიჩნია.

აღსანიშნავია, რომ 3 აპრილს ახალმა სახალხო დამცველმა თავის მოადგილედ დანიშნა პარტია „მოქალაქეების“ ხელმძღვანელის, დეპუტატი ალექო ელისაშვილის დისშვილი, ნათია ჯულაყიძე. არჩევის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ დამატებით გააჩინა ეჭვები მისი პოლიტიკური წარსულისა და პარლამენტში საქმიანობის დროს არსებული კავშირებისაგან ლევან იოსელიანის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

* * *

ჩვენი შეფასებით, ევროკავშირის მე-12 პრიორიტეტი [ნაწილობრივ შესრულდა](#). მართალია, ლევან იოსელიანი სახალხო დამცველად აირჩიეს რამდენიმე პარტიის კონსენსუსის შედეგად, ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არ იყვნენ ჩართულნი და ეს პროცესი, თავისთავად, სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარდგენილი კანდიდატების დაუსაბუთებელ უარყოფას გულისხმობდა.